The New ECONOMIST

DOI suffix: 10.36962/NEC20042025

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

N4, 2025, VOL 20, ISSUE 4

Economy is the basis of everything!

ISSN 2667-9752 (ONLINE)
ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი „ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში". იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. N5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N4 (79), 2025, VOL.20, ISSUE 4.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Phasis..

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA (Corresponding Member of Georgian National Academy of Science); IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Central European University); NATIA TURNAVA (President of the National Bank of Georgia); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA (Prezident of the Academy of Phasis); MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part); VASIL KIKUTADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA; LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Academician of Georgian National Academy of Science; Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); AVTANDIL SILAGADZE (Academician of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Responsible Secretary); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; LAMARA QOQIAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI; NIKO CHIKHLADZE; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Chancellor of Sukhumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE; MICHAEL JIBUTI (Academician of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N4 (79), 2025, ტ. 20, გამოც. 4

ლოიდ ქარჩავა - **მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის აკადემიის წევრი.**

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმფიფო უნივერსიტეტი); სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნავა (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი); ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); გია კვაშილავა (ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი); მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი); ვასილ კიკუტაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); ეკატერინე ლომია; რევაზ ლორთქიფანიძე; ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი); ალექსანდრე სიჭინava; გელა სვირავა; ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური; ლამარა ქოქიაური; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი; ნიკო ჩიხლაძე; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2025წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 30 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

INTERVIEW

Interview with the President of the National Bank of Georgia, MS. NATIA TURNAVA ---------- 9

Interview with the Chairman of the Georgian National Energy and Water Regulatory Commission, MR. DAVID NARMANIASTA ---------- 13

Interview with the Chairman of the Georgian Competition and Consumer Protection Agency, MR. IRAKLI LEKVINADZE ---------- 18

SCIENCE

Loid Karchava, Ketevan Chiabrishvili, George Goroshidze, Lasha Mgeladze, Shota Veshapidze
Indicators of Effective Use of the Rich Experience of Academic Staff ---------- 21

Nugzar Todua, Grigol Kartsivadze
Students' Perceptions of Chatgpt Integration in Higher Education ---------- 36

Vazha Kakabadze
Main Determinants of the Doctrine of Preservation of Independence of the Republics of the Former Ussr (Georgia, Ukraine) ---------- 50

Gela Lobjanidze, Koba Kartozia
Actual Aspects of Georgian Ethnocultural Heritage Economics in the Context of Global Trends ---------- 55

Gela Aladashvili
Waste Oils: Systemic Management Experience and Georgia's Challenges ---------- 63

Tamaz Obgadze, Maia Shevardenidze, Tornike Ogadze
a Conceptual Model of the Dynamics of Individual Mental Types and the Problem of the Stability of Equilibrium States ---------- 74

Lela Jamagidze
Institutional Mechanisms of Economic Integration ---------- 81

Otar Japaridze
Challenges and Opportunities for Sustainable Development of Mountain Tourism in Georgia ---------- 89

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Nika Tsotsoria
Economic Policy of Waste Management and Utilization in Georgia---------- 95

Ani Otarashvili
Regional Problems of Agricultural Development
and Economic Policy Measures for Their Resolution ---------- 103

Megi Abashidze
Orthodox Values and the Ethical Challenges of the Modern Economy ---------- 110

CONDOLENCES

Professor Ramaz Abesadze ---------- 117

Restore the Church ---------- 118

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ

ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტთან, ქალბატონ **ნათია თურნავასთან** ---------- 9

ინტერვიუ საქართველოს ენერგეტიკისა
და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის
თავმჯდომარესთან, ბატონ **დავით ნარმანიასთან** ---------- 13

ინტერვიუ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის
დაცვის სააგენტოს თავმჯდომარესთან, ბატონ **ირაკლი ლექვინაძესთან** ---------- 18

მეცნიერება

**ლოიდ ქარჩავა, ქეთევან ჭიაბრიშვილი, გიორგი გოროშიძე,
ლაშა მგელაძე, შოთა ვეშაპიძე**
აკადემიური პერსონალის მდიდარი გამოცდილების
ეფექტიანი გამოყენების ინდიკატორები ---------- 21

ნუგზარ თოდუა, გრიგოლ ქარცივაძე
სტუდენტების მიერ უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის ინტეგრაციის აღქმა ---------- 36

ვაჟა კაკაბაძე
ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების
(საქართველო, უკრაინა) დოქტრინის ძირითადი განმსაზღვრელები ---------- 50

გელა ლოგჯანიძე, კობა კარტოზია
საქართველოს ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკის აქტუალური
ასპექტები გლობალური ტენდენციების კონტექსტში ---------- 55

გელა ალადაშვილი
ნარჩენი ზეთები: სისტემური მართვის გამოცდილება
და საქართველოს გამოწვევები ---------- 63

თამაზ ოგბაძე, მაია შევარდენიძე, თორნიკე ოღაძე
ინდივიდის ფსიქიკური ტიპების დინამიკის კონცეპტუალური მოდელი და
წონასწორული მდგომარეობების მდგრადობის პრობლემა ---------- 74

ლელა ჯამაგიძე
ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმები ---------- 81

ოთარ ჯაფარიძე
საქართველოს მთის ტურიზმის მდგრადი განვითარების
გამოწვევები და შესაძლებლობები ---------- 89

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნიკა წოწორია
ნარჩენების დამუშავებისა და გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში ---------- 95

ანი ოთარაშვილი
აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული პრობლემები და მისი დაძლევის ეკონომიკური პოლიტიკა ---------- 103

მეგი აბაშიძე
მართლმადიდებლური ფასეულობები და თანამედროვე ეკონომიკის ეთიკური გამოწვევები ---------- 110

გამოსათხოვარი

პროფესორი რამაზ აბესაძე ---------- 117

ეკლესიის აღდგენა ---------- 118

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, ქალბატონ ნათია თურნავასთან

- გამარჯობა, ქალბატონო ნათია, გილოცავთ შობა-ახალ წელს და მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსათვის.

- მოგესალმებით.

- საქართველოს პარლამენტმა ეროვნული ბანკის 2026-2028 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები დაამტკიცა. როგორია ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დონე, მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად გამოყენებული მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები?

- მონეტარული პოლიტიკის მოქმედი ჩარჩოს პირობებში, რომლის მიხედვითაც მონეტარული პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია, ეკონომიკაზე მისი გადაცემის ეფექტიანობის გათვალისწინებით, თანმიმდევრული ნაბიჯები როგორც გამკაცრების, ისე ნორმალიზების მიმართულებით, საქართველოში ფასების სტაბილურობას უზრუნველყოფს. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების დადგენილებით, ინფლაციის მიზნრობივი მაჩვენებელი 3%-ით განისაზღვრა. ეროვნულმა ბანკმა, 2025 წლის დასაწყისიდან, მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ახალი, სცენარებზე დაფუძნებული მიდგომა დანერგა, რითაც უფრო გამჭვირვალე გახადა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი და რისკების მართვა დააფუძნა შესაძლო სცენარების დეტალურ ანალიზს. კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის გატარებისას, ეროვნული ბანკი რეაგირებს იმგვარად, რომ ნებისმიერი იდენტიფიცირებადი რისკის რეალიზების შემთხვევაში ეკონომიკური დანაკარგი მინიმიზებული იყოს. ეროვნულ ბანკს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ფულად–საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას საშუალოვადიან პერიოდში. შესაბამისად, ის გაზრდის საქართველოს ეკონომიკის მდგრადობას პოტენციური შოკის მიმართ და ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტაბილურ და გრძელვადიან ზრდას.

- როგორია სებ-ის პოლიტიკა რეზერვების დაგროვების მიმართულებით და იმის მიუხედავად

რომ სრული წლის მონაცემები ჯერ არ დასრულებულა რას აჩვენებს ტენდენცია?

- საქართველოს ეროვნული ბანკი რეზერვების შევსებაზე ორიენტირებული რჩება. საერთაშორისო სავალუტო რეზერვები ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტორია. ეროვნული ბანკის გრძელვადიანი პოლიტიკა ყოველთვის მიმართულია საერთაშორისო რეზერვების დაგროვებასა და სარეზერვო აქტივების ეფექტურ მართვაზე - ნოემბრის მონაცემებით მიღწეული მაჩვენებელიც აღნიშნულის დასტურია.

სავალუტო ბაზარზე არსებული ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე, 2025 წლის დასაწყისიდან ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს რეზერვების შევსებას. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა წმინდა შესყიდვებმა 2025 წლის იანვარ-ოქტომბრის მდგომარეობით დაახლოებით 1.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2025 წლის ნოემბრის მდგომარეობით კი საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5.8 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს. ამასთან, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სარეზერვო აქტივების ეფექტური მართვა. სწორედ ამ მიზნით, საერთაშორისო სავა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლუტო რეზერვებში მონეტარული ოქროს დამატება ეროვნული ბანკის სტრატეგიული გადაწყვეტილებაა, რომელიც დაკავშირებულია გლობალურ ინფლაციურ რისკებთან და რეზერვების მსყიდველუნარიანობის დაცვასთან. საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასი მზარდია და ოქროს შესყიდვის მომენტიდან ოქროს ფასის ღირებულების ზრდის შედეგად, ნოემბრის მდგომარეობით, რეზერვები 461.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

საერთაშორისო სავალუტო რეზერვები ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტორია. ეროვნული ბანკის გრძელვადიანი პოლიტიკა ყოველთვის მიმართულია საერთაშორისო რეზერვების დაგროვებასა და სარეზერვო აქტივების ეფექტურ მართვაზე - ნოემბრის მონაცემებით მიღწეული მაჩვენებელიც აღნიშნულის დასტურია.

- როგორი იქნება სების მონეტარული პოლიტიკა 2025 წელს?

- ინფლაციის თარგეთირების პირობებში, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და სამომავლო ტრაექტორიის შესახებ გადაწყვეტილება პროგნოზებზე დაყრდნობით მიიღება. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში გაურკვევლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასეთ პირობებში კი მაღალია პროგნოზიდან გადახრის რისკები. ეროვნულმა ბანკმა, 2025 წლის დასაწყისიდან, მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ახალი, სცენარებზე დაფუძნებული მიდგომა დანერგა, რითაც უფრო გამჭვირვალე გახადა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი და რისკების მართვა დააფუძნა შესაძლო სცენარების დეტალურ ანალიზს. კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის გატარებისას, ეროვნული ბანკი რეაგირებს იმგვარად, რომ ნებისმიერი იდენტიფიცირებადი რისკის რეალიზების შემთხვევაში ეკონომიკური დანაკარგი მინიმიზებული იყოს.

- როგორია ეროვნული ბანკის ლარიზაციის პოლიტიკა და გატარებული ღონისძიებები?

- ოქტომბრის მდგომარეობით, მთლიანი სესხების პორტფელის 58 პროცენტი ლარშია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზიკური პირების სესხების ლარიზაციის მაღალი დონე. კერძოდ, ფიზიკური პირების სესხების 76.9 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული. ეროვნული ბანკი დოლარიზაციის დინამიკას მუდმივად აანალიზებს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ღონისძიებებს ატარებს, რაც არა მხოლოდ ცალკეული მსესხებლების სავალუტო და მასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკებს ამცირებს, არამედ ასევე ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფით ლარის მიმართ ნდობა იზრდება, რაზეც საბანკო სექტორის დეპოზიტების ლარიზაციის ტენდენციები მიუთითებს. ოქტომბრის მდგომარეობით, მთლიანი დეპოზიტების 51.2 პროცენტი ეროვნული ვალუტაშია დენომინირებული.

- როგორ აფასებთ საქართველოს საბანკო სექტორს მდგრადობის თვალსაზრისით?

- მიმდინარე მონაცემებით საბანკო სექტორი კარგად კაპიტალიზებულია და ლიკვიდობის ჯანსაღ მაჩვენებლებს ინარჩუნებს. საკრედიტო აქტივობა ნომინალური ეკონომიკის ზრდის თანაზომიერია. სესხების მშპ-სთან ფარდობა ეკონომიკური აქტივობის ნორმალიზების კვალდაკვალ ეტაპობრივად უახლოვდება მის გრძელვადიან ტრენდს. აღსანიშნავია ისიც, რომ საბანკო სექტორი მომგებიანობის სოლიდური მაჩვენებლებით და აქტივების მაღალი ხარისხით ხასიათდება. ჯანსაღია სესხების ზრდა - თითქმის 15%, სადაც წამყვანი წილი ბიზნეს სესხებს უკავიათ. რაც შეეხება უმოქმედო სესხების წილს, იგი ისტორიულად დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება და 2.6%-ს შეადგენს. ჩვენი ქვეყნის საფინანსო სექტორი არის ღირსეული კონტრიბუტორი მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, მაკროეკონომიკური სტაბილურობა კი მნიშვნელოვანად უწყობს ხელს საფინანსო სექტორის მდგრადობას, მედეგობას სხვადასხვა შოკების მიმართ და სტაბილურ განვითარებას. ვხედავთ ქართული ბანკების კონკურენტუნარიანობას და ექსპანსიას რეგიონში, რასაც მივესალმებით და ვფიქრობთ, რომ დამატებით შესაძლებლობებს გააჩენს ჩვენი ბიზნესისთვისაც. ფინტეკის ხელშეწყობისთვის ჩვენ არაერთ ინიციატივას ვახორციელებთ და ხელშესახებ შედეგებს უკვე ვხედავთ. ბაზარზე გავაჩინეთ ციფრული ბანკებისა და მიკრობანკების ნიშა, უკვე გვყავს ლიცენზირებული მოთამაშეები და გვაქვს მოლოდინი, რომ ეს კონკურენტულ გარემოსა და ეკონომიკისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს

- მიმდინარე წელს საქართველომ პირველად უმასპინძლა მასშტაბურ საერთაშორისო ღონისძიებას თბილისის ფინანსურ სამიტს, როგორ აჯამებთ და რა გამოიკვეთა?

- „თბილისის ფინანსური სამიტი" 23 ოქტომბერს

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ოფიციალურად გაიხსნა. სამიტი წელს პირველად ჩატარდა და იგი „აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში" გაიმართა. მოხარული ვარ, რომ ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირები ისე რეგიონის ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო ინვესტორები, ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები და ფინტექ ინდუსტრიის ლიდერები. სიმბოლურია, რომ თბილისის ფინანსური სამიტი აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმის პარალელურად გაიმართა, რადგან საქართველომ უკვე დაიმკვიდრა თავი როგორც ძლიერმა რეგიონულმა ჰაბმა ვაჭრობის, ტრანსპორტის და ენერგეტიკის სექტორში, და ამით ჩვენი ქვეყანა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ევროპასა და აზიას შორის დაკავშირებადობის თვალსაზრისით. ამჟამად კი სახეზეა საქართველოს ასეთივე ძლიერ ფინანსურ ჰაბად ჩამოყალიბების აუცილებლობა და წინაპირობებიც. თბილისის ფინანსური სამიტის ერთ-ერთი თანაორგანიზატორია „გლობალური ფინანსური და ტექნოლოგიური ქსელი" (GFTN), რომელიც წარმოადგენს წამყვან საერთაშორისო ქსელს ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში და აერთიანებს ფინანსურ ინსტიტუტებს, ფინტექ კომპანიებსა და ინვესტორებს ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან.

- როგორია ქართული საბანკო სექტორის საერთაშორისო ინტეგრაცია?

- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წარმატებით დაასრულა გადასვლა გადახდების შეტყობინებების ახალ, გლობალურ სტანდარტზე - ISO 20022. ეს ნაბიჯი, რომელიც საერთაშორისო გადარიცხვების ეფექტურობას ზრდის და SWIFT-ის სტანდარტია, მნიშვნელოვნად აძლიერებს ქართული საბანკო სისტემის ინფრასტრუქტურას, ზრდის ეფექტურობას და უზრუნველყოფს მის სრულ ინტეგრაციას საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებში. ISO 20022 წარმოადგენს მონაცემთა გადაცემისა და შეტყობინებების საერთაშორისო სტანდარტს ფინანსურ სერვისებში. მისი გლობალური მნიშვნელობა უდიდესია, რადგან ის მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკებისა და საგადახდო სისტემების მიერ არის მიღებული და წარმოადგენს SWIFT-ის მიერ წამოწყებულ ინიციატივას გლობალური ფინანსური კომუნიკაციის მოდერნიზებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არა მხოლოდ საკუთარი სისტემები გადაიყვანა ახალ სტანდარტზე, არამედ წარმატებით გაუწია კოორდინაცია ქართული საბანკო სისტემის მასშტაბურ მიგრაციას. სებ-ის მხარდაჭერა და აქტიური ჩართულობა უმნიშვნელოვანესი იყო იმისთვის, რომ კომერციულ ბანკებს შეძლებოდათ დროულად და ეფექტურად განეხორციელებინათ საჭირო სისტემური ცვლილებები.

- აუცილებლად მინდა შევეხოთ საქართველოს საფინანსო სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობას - როგორია ტენდენციები ამ მიმართულებით?

- საქართველოს გლობალურ საფინანსო რუკაზე გამოჩენა არ არის შემთხვევითი. ბოლო წლებში ქვეყანამ მიაღწია შთამბეჭდავ ეკონომიკურ ზრდას, შეინარჩუნა ფინანსური სტაბილურობა გლობალური გამოწვევების ფონზე და განავითარა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. საქართველოში ჩამოყალიბდა და ნარჩუნდება სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, თითქმის ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რომელიც შედარებით დაბალ ინფლაციასთან ერთად გამოარჩევს ჩვენს ქვეყანას მეტად განვითარებულ ეკონომიკებთან შედარებითაც კი. გასაკვირი არ არის, რომ წლების განმავლობაში საქართველოს ფინანსური ინდუსტრია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით სხვა დარგებთან შედარებით ლიდერობს. როგორც რეგიონული, ისე გლობალური ინვესტორები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ საქართველოს ფინანსურ სექტორში ინვესტირების მიმართულებით. შედეგად, უკვე არაერთი ახალი ჯგუფი შემოდის ქართულ ბაზარზე

- ლარი 30 რა აქტივობები განხორციელდა წლის ჭრილში საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან და როგორია შედეგები?

- 2025 წელს ლარის მიმოქცევაში შესვლიდან 30 წლის იუბილე აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით თბილისში მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში, სახელწოდებით „ნდობიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე" მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის 300-ზე მეტი სტუმარი მონაწილეობდა. მათ შორის ბელგიის, ისლანდიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, მონტენეგროს, აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, ისრაელის, ინდოეთის, საუდის არაბეთისა და სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელი პირები, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საერთაშორისო

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საფინანსო ინსტიტუტების - შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ასევე მსხვილი საერთაშორისო კომპანიების - Gojo & Company, Ant International-ის, The Global Finance & Technology Network-ის, ასევე საქართველოს საფინანსო სექტორისა და ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ლარის საიუბილეო წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სხვადასხვა აქტივობებს გამართა. ჩატარდა ლარი 30-ის საკოლექციო ოქროს, ვერცხლისა და სპილენძ-ნიკელის მონეტების პრეზენტაცია და რეალიზაცია, საკოლექციო დანიშნულების ბანკნოტისა და მარკის გამოშვება. გარდა ამისა, გამოიცა სებ-ის განახლებული სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, ქართული ფულისა და ლარის კატალოგები. მთელი წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით ასევე ჩატარდა სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობები.

- როგორია საქართველოს ეროვნული ბანკის რეგიონული თანამშრომლობა?

- ეროვნულ დონეზე ფინტექ ეკოსისტემისა და ფინანსური სერვისების განვითარებასთან ერთად, ჩვენთვის პრიორიტეტია რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება — განსაკუთრებით ფინანსური ტექნოლოგიების, კაპიტალის ბაზრისა და გადახდების მიმართულებით. ჩვენი მიზანია, შუა დერეფნის ქვეყნებთან თანამშრომლობით, საქართველო მიმზიდველ საფინანსო ჰაბად ვაქციოთ, რაც ევროპისა და აზიის დაკავშირებადობის საქმეში ჩვენი ქვეყნის როლის შემდგომ გაძლიერებას ნიშნავს

- ფასების სტაბილური დონის შენარჩუნება და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა რჩება თუ არა მომავალი წლის უმთავრეს პრიორიტეტად და რა მექანიზმებს გამოიყენებს ეროვნული ბანკი აღნიშნულის მისაღწევად?

- მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკის მთავარი ფუნქცია ფასების სტაბილური დონის შენარჩუნება და ასევე, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ხელშეწყობაა და ამ კუთხით, საკმაოდ დადებითი შეფასებები მივიღეთ. თუმცა, რა თქმა უნდა, აღნიშნული არის გარკვეული რისკები და გამოწვევები, რაზეც ჩვენ გავაგრძელებთ და გავაძლიერებთ მუშაობას. საქართველოს ეროვნული ბანკი ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასების საერთო დონის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტთან ახლოს იქნება.

- დიდი მადლობა, ქალბატონო ნათია და კვლავაც წარმატებებს გისურვებთ.

- მადლობა, თქვენც ასევე.

ესაუბრა ჟურნალის
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა

N4 (79) 2025, Vol. 20, Issue 4.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარესთან, ბატონ დავით ნარმანიასთან

- გამარჯობა, ბატონო დავით, გილოცავთ შობა-ახალ წელს და მადლობას მოგახსენებთ, რომ დრო გამონახეთ ინტერვიუსათვის.

- გამარჯობა, მეც გილოცავთ შობა-ახალ წელს.

- როგორ შეაფასებდით 2025 წელს თქვენი უწყების განვითარების თვალსაზრისით? რომელი იყო წლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი?

- 2025 წელი როგორც ენერგეტიკის, ასევე წყალმომარაგების სექტორში დატვირთული იყო რიგი სიახლეებით და მნიშვნელოვანი ღონისძებებით. გრძელდებოდა რეგულირებადი სექტორების განვითარებისათვის შესაბამისი რეგულაციების შემუშავება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მომხმარებელთან კომუნიკაცია და სხვა.

მიმდინარე წლის მნიშვნელოვანი შედეგია ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სექტორში 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინვესტიციების შეთანხმება. საინვესტიციო გეგმები ითვალისწინებს ჭკვიანი მრიცხველების გაზრდილი რაოდენობის მოწყობას, და პროექტებს, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია გამანაწილებელი ქსელის უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო ელექტრომომარაგებისათვის.

- რომელი მიზნები შესრულდა სრულად და რა დარჩა ნაწილობრივ ან არ შესრულდა? რატომ?

- სემეკს აქვს გრძელვადიანი გეგმები, რომელიც მიმდინარე წლებში თანაბრად პრიორიტეტულია. აღნიშნული ეხება როგორც ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგებისა და მელიორაციის სექტორების რეგულირებას, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო ურთიერთობებს. 2025 წლის გეგმები სრულად შესრულებულია. ჩვენ ყოველწლიურად ვაუმჯობესებთ საქმიანობის ეფექტიანობას და ვნერგავთ იმ აუცილებელ და რეგულირებადი დარგების განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროექტებს, რომლებიც შედეგზე დადებითად აისახება. შესაბამისად, როგორც 2025 წელს, 2026 წელსაც ჩვენი მიზანი იქნება რეგულირების სფერო გახდეს უფრო მეტად ეფექტიანი, სადაც აუცილებლად იქნება დაცული ბალანსი მომხმარებელსა და მომსახურე კომპანიებს შორის.

- როგორ შეცვალა 2025 წლის პროცესებმა მომხმარებლებისთვის/ მეწარმეებისთვის მომსახურების ხარისხი ან ტარიფების სტაბილურობა?

- სემეკის დავალებებით მომსახურე კომპანიების მიერ განხორციელებული პროექტები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ რეგულირებად სექტორებში მომსახურების ხარისხი ეტაპობრივად უმჯობესდება. სემეკი მკაცრ მონიტორინგს უწევს კომპანიების საქმიანობას ამ მიმართულებით. მუდმივად ვზრუნავთ მომხმარებლის უფლებების დაცვაზე, დაუყოვნებლივ და ინდივიდუალურად ვრეაგირებთ თითოეული მოქალაქის მომართვაზე. მაგალითად, 2025 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების მომხმარებლებსა და კომუნალური მომსახურების კომპანიებს შორის არსებული სადავო საკითხების განხილვის შედეგად, მოქალაქეებს ჯამში ჩამო-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეწერათ უსაფუძვლოდ დარიცხული 1 მლნ ლარი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სემეკის გადაწყვეტილებების შესაბამისად, კომპანიების მიერ მოქალაქეებზე გაიცა 5.72 მილიონი ლარის კომპენსაცია.

რაც შეეხება ტარიფებს, მოგეხსენებათ ტარიფები დგინდება სატარიფო მეთოდოლოგიების საფუძველზე და სრულად ითვალისწინებს როგორც კომპანიების საჭიროებებს უსაფრთხო და სტაბილური მომარაგებისათვის, ასევე მომხმარებელთა ინტერესებს. ტარიფები დადგენილია გრძელვადიან პერიოდზე, რაც ინვესტორს, ასევე მომხმარებელს აძლევს სტაბილურობის გარანტიებს.

- 2025 წელს განხორციელებულ პროგრამებს შორის რომელს მიიჩნევთ ყველაზე წარმატებულ პროექტად?

გამოვყოფდი მელიორაციის სექტორის კუთხით განხორციელებულ პროექტებს. მოგეხსენებათ, სემეკმა მელიორაციის სექტორის რეგულირება 2023 წლიდან დაიწყო და შესაბამისად, ამ მიმართულებით შემუშავდა ახალი რეგულირების ჩარჩო, რამაც უკვე მისცა ფერმერს გაუმჯობესებული შედეგი. ასევე, მინდა აღვნიშნო მომხმარებლისათვის შეთავაზებული გამარტივებული სხვადასხვა პროექტები, რომელმაც მისცა შესაძლებლობა მომხმარებელს მიიღოს სხვადასხვა კომუნალური მომსახურება გამარტივებულად და მოკლე დროში (მათ შორის, იუსტიციის სახლში გადატანილი კომუნალური მომსახურებების მიღება, *303# - მობილური ტელეფონის საშუალების კომუნალურ მომსახურებებზე ინფორმაციის მიღება).

- რა გავლენა იქონია გლობალურმა ეკონომიკურმა პროცესებმა (ენერგომატარებლების ფასები, რეგიონალური უსაფრთხოება და სხვ.) საქართველოს ენერგოსექტორზე?

- გლობალურმა ეკონომიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი გავლენა მოახდინა საქართველოს ენერგეტიკის სექტორზე, განსაკუთრებით ბოლო წლებში. პირველ რიგში, ენერგომატარებლების გლობალური ფასების ზრდამ გაზარდა იმპორტირებული ენერგიის ღირებულება, რაც განსაკუთრებით აისახა ზამთრის პერიოდში, როდესაც საქართველო დამოკიდებულია ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის იმპორტზე. ფასების მერყეობამ გაზარდა ტარიფებზე ზეწოლა და გააძლიერა ენერგოდამოუკიდებლობის საკითხის სტრატეგიული მნიშვნელობა.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონული და გლობალური უსაფრთხოება, რამაც ენერგომომარაგება აქცია ეროვნული უსაფრთხოების ნაწილად, გაზარდა რისკების აღქმა და დააჩქარა განახლებადი ენერგიისა და დივერსიფიკაციის პოლიტიკა.

ამავე დროს, გლობალურმა პროცესებმა შექმნა შესაძლებლობებიც: გაიზარდა ინტერესი საქართველოს, როგორც სტაბილური ენერგეტიკული ტრანზიტის ქვეყნისა და პოტენციური მწვანე ენერგიის ექსპორტიორის მიმართ.

- რას უპასუხებდით კრიტიკას, რომელიც ეხება ტარიფების ზრდის რისკებს, ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს ან გარემოსდაცვით შეშფოთებებს?

თუ შევადარებთ საქართველოში მოქმედ ტარიფებს როგორც რეგიონის, ასევე ევროპის ქვეყნებში მოქმედ ტარიფებთან, ვნახავთ, რომ საქართველოში მოქმედი ტარიფები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. ხშირად, როდესაც ამ ანალიზსა და სტატისტიკაზე ვსაუბრობთ ხოლმე, ისმის კრიტიკა, რომ ევროპის ქვეყნებს სხვა ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ და არ უნდა გავაკეთოთ ასეთი შედარებები.

ტარიფების შედარებითი ანალიზი იძლევა იმის დანახვის შესაძლებლობას, რომ საქართველოში მოქმედი ტარიფები სრულად ითვალისწინებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს და სწორად ამ გათვალისწინების საფუძველზე არის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი. ზოგადად, რასაც მსოფლიო ტენდენციები აჩვენებს, ენერგიის ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

- როგორ იცვლება სტრატეგიები მაშინ, როცა ქვეყანა ენერგეტიკული დივერსიფიკაციისა და დამოუკიდებლობის საკითხის წინაშე დგას?

- საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ენერგეტიკული დივერსიფიკაცია და ენერგოუსაფრთხოების საკითხების გაძლიერება. ამ მიმართლებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ენერგეტიკა წარმოადგენს ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებას და ქვეყნის ეკონომიკის საყრდენს. მნიშვნელოვანია, ენერგეტიკული ბაზრების განვითარება, რაც მიმდინარე პროცესია.

- რა იქნება პრიორიტეტული მიმართულება 2026–2030 წლებში — გენერაციის გაფართოება, გადაცემის ქსელის გაუმჯობესება, ინოვაციები თუ სხვა?

- რა თქმა უნდა, აუცილებელი და მნიშვნელოვანია გენერაციის გაფართოება იმისათვის, რომ საქართველომ მიაღწიოს თავის მიზანს - გახდეს თვითკმარი ქვეყანა ელექტროენერგეტიკაში. თუმცა თანამედროვე და მოქნილი ქსელის გარეშე ახალი სიმძლავრეები სრულად ვერ იქნება ათვისებული. გადაცემის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, ენერგიის დაგროვების სისტემები და ჭკვიანი ქსელები შექმნის საფუძველს სისტემის მდგრადობისთვის. პარალელურად, ინოვაციები და ციფრული ტექნოლოგიები გაზრდის ეფექტიანობას, შეამცირებს დანაკარგებს და უზრუნველყოფს საქართველოს წარმატებულ ინტეგრაციას რეგიონულ და ევროპულ ენერგეტიკულ ბაზრებში.

- როგორ შეიძლება განვითარდეს საქართველოს რეგიონალური როლი — ტრანზიტში, ექსპორტში ან ელექტროენერგიის ბაზრის ინტეგრაციაში?

- ამ კუთხით, აუცილებლად მინდა გამოვყო შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი, რომელიც ხაზს უსვამს საქართველოს მნიშვნელობას. შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი წარმოადგენს სტრატეგიულ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც მკვეთრად ზრდის საქართველოს როლს რეგიონულ და ევროპულ ენერგეტიკულ სივრცეში. აღნიშნული პროექტი საქართველოს აკავშირებს ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზართან და აძლიერებს ქვეყნის, როგორც ენერგეტიკული ხიდის ფუნქციას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის უნიკალურ შესაძლებლობას, რომ ქვეყანამ უზრუნველყოს ელექტროენერგიის ტრანზიტი ევროპისკენ.

კაბელი არა მხოლოდ ექსპორტის პოტენციალს ზრდის, არამედ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ენერგეტიკული სისტემის საიმედოობასა და დივერსიფიკაციას. პროექტი ხელს უწყობს ენერგოდამოუკიდებლობას, ამცირებს რეგიონულ რისკებს და ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

- რა სტრუქტურული რეფორმებია აუცილებელი, რათა ქვეყანა უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს ენერგეტიკის სფეროში?

- საქართველოს მთავრობა ახორციელებს საჭირო და ეფექტიან ენერგეტიკულ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენციის ეტაპობრივ განვითარებას. ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის მიზანია კონკურენციის განვითარება და რაც შეიძლება მეტი ინვესტორის დაინტერესება. ეფექტიანი რეგულაციები, სამართლიანი მიდგომები იძლევა შედეგს და დღეს უკვე ვხედავთ, რომ წინა წლებთან შედარებით ინვესტორების დაინტერესება კიდევ უფრო მეტად გაზრდილია.

სემეკის მიერ ჩამოყალიბებული მარეგულირებელი ჩარჩო ქმნის სამართლიან გარემოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის. განახლებადი ენერგიის მაღალი პოტენციალი აძლიერებს ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას რეგიონში. ენერგეტიკული ბაზრების ეტაპობრივი გახსნა, ჭკვიანი აღრიცხვის სისტემების დანერგვა და ქსელების მოდერნიზაცია ზრდის ეფექტიანობასა და საიმედოობას. შედეგად, საქართველო პოზიციონირდება როგორც რეგიონული ენერგეტიკული თანამშრომლობისა და კონკურენტული ენერგომომარაგების ქვეყანა.

- ტექნოლოგიური ინოვაციები (Smart Grid, AI, Storage) რამდენად რეალისტური და საჭირო ხდება საქართველოსთვის უახლოეს წლებში?

- ვფიქრობ, რომ თანამედროვე ტექნილოგიების დანერგვა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში აუცილებელია. სემეკი აქტიურად მუშაობს ხელოვნური ინტელექტის დანერგვაზე სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის მომსახურების ნაწილში. ეს შეეხება როგორც ქოლცენტში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტის შექმნას.

ახალ ტექნოლოგიებს მოაქვს გაზრდილი ოპერაციული ეფექტიანობის, ხარჯების შემცირებისა და ადამიანური შეცდომების შემცირების პოტენციალი. „ჭკვიანი“ ქსელი ის მოცემულობაა, როდესაც ტექნოლოგიას გარკვეული რუტინული ფუნქციების შესრულება შეუძლია. თანამედროვე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესის სრული გაციფრულება, ელექტროენერგიით ვაჭრობის თანამედროვე პროგრამული პროდუქტების, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების მართვის ავტომატიზებული სისტემების ფართოდ დანერგვა. გაციფრულება მოიცავს „ჭკვიანი“ ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მომხმარებლების საიმედო, უწყვეტი მომარაგების უზრუნველყოფისა და, მეორე მხრივ, ცვლად განახლებად რესურსზე მომუშავე გენერაციის ობიექტების ქსელში ფართო ინტეგრაციისა და ელექტროენერგიით ვაჭრობაში მასიურად ჩართულობისათვის.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

უნდა აღინიშნოს, რომ ქსელის გაციფრულება მარტივი და ხანმოკლე პროცესი არ არის, რადგან საკმაოდ დიდ ბიუჯეტსა და თანამიმდევრული პოლიტიკის გატარებას საჭიროებს. სმარტ-ქსელი საქართველოს ელექტროენერგიის გადაცემის ნაწილში გარკვეულწილად დამკვიდრებულია, რასაც უზრუნველყოფს „სკადა"-ს და "გიზ"-ის სისტემები, რომლის მეშვეობითაც ციფრულად ხდება ელექტროენერგიის გადაცემის სრული პროცესის მონიტორინგი. რაც შეეხება გამანაწილებელ ქსელს, საკანონმდებლო დონეზე და განვითარების გეგმებში სმარტ-ქსელის ჩამოყალიბება ერთ-ერთი პრიორიტეტია. გამანაწილებელი ქსელის „ჭკვიან" ქსელად ჩამოყალიბება ხელს უწყობს მზისა და ქარისგან წარმოებული ელექტროენერგიის უფრო ჭარბი რაოდენობით ქსელში მიღებას. „ჭკვიანი" მრიცხველი SmartGrid-ის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა – მხოლოდ ნაწილი. სემეკის გადაწყვეტილებებით, ყველა ახალაშენებულ კორპუსში, რომლებიც ექსპლუატაციაში 2021 წლის 1 ოქტომბრიდან არის შესული, მომხმარებლებისთვის მონტაჟდება „ჭკვიანი" მრიცხველები. რაც შეეხება ძველ კორპუსებს, მრიცხველების ჩანაცვლებისას ეტაპობრივად ხდება ძველი მრიცხველების ახალი, სმარტ-მრიცხველებით ჩანაცვლება.

- რას ხედავთ თქვენი საქმიანობის ყველაზე დიდ მიღწევად დღემდე?

- სემეკს არაერთი მიღწევა და წარმატება აქვს ბოლო წლების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორის განვითარებისათვის შემუშავდა ისეთი ფუნდამენტური რეგულაციები, რომლებიც ხელს უწყობს ორივე დარგის პერმანენტულ განვითარებას. როგორც სემეკის თავმჯდომარე, რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს გამოვყოფდი მარეგულირებელი კომისიის საქმიანობის ნაწილში:

ჩემი ინიციატივით, 2022 წელს სემეკის მიერ დაფუძნდა ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი, რომელიც სექტორში დასაქმებულებს, სტუდენტებს, მკვლევრებს და სხვადასხვა სექტორში დასაქმებულებს აძლევს შესაძლებლობას გაიღრმავონ ცოდნა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ, პირდაპირი დროის რეჟიმში გაეცნონ რეგულირების კუთხით არსებულ სიახლეებს, რეგულატორებისგან მიიღონ ინფორმაცია და სწავლება ამა თუ იმ საკითხზე. ცენტრს დღემდე 3000-ზე მეტი პირი გვყავს გადამზადებული.

გარდა ამისა, სემეკს მიენიჭა ISO 9001:2015 საერთაშორისო ხარისხის მართვის სერტიფიკატი, რომელიც ასევე ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯია.

- როგორ განსაზღვრავთ იმას, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს ენერგეტიკული სექტორი 10 წლის შემდეგ?

- საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს სტაბილურად ნეტო-ექსპორტიორი ქვეყანა. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა, რომელშიც გაერთიანებულია ყველა პრიორიტეტული საკითხი, რაც ენერგეტიკის სექტორის განუხრელი განვითარებისთვისაა საჭირო. ენერგეტიკული პოლიტიკის შესაბამისად, საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს თვითკმარი ქვეყანა. აღნიშნული მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს ადგილობრივი წარმოების განვითარებით. აუცილებელია მარეგულირებელი ჰესების მშენებლობა. დღეისათვის, ენერგეტიკაში ინვესტიციის განხორციელების კუთხით უპრეცენდენტოდ მაღალი მაჩვენებლებია. განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობა, ტრანსსასაზღვრო, ქვეყნის შიდა გადამცემი და გამანაწილებელი ელექტროსისტემების განვითარება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. სემეკს, ფაქტობრივად, ენერგეტიკის სექტორის პულსზე უდევს ხელი და ეფექტიანი რეგულაციების შემუშავებით აძლევს დარგს განვითარების სტიმულირებას.

ენერგოუსაფრთხოების გაძლიერება უმნიშვნელოვანესი საკითხია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში არაერთი ფუნდამენტური პროექტი განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. საქართველოს არ გააჩნია გაზის ან ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგები, წარმოადგენს სატრანზიტო ქვეყანას და შესაბამისად, ამ კუთხითაც უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველო ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების მიზნებს, ენერგოეფერტურობისა და ენერგეტიკული ბაზრების განვითარების საკითხებს.

- რას ეტყოდით ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთაც სურთ ენერგეტიკის სფეროში კარიერის დაწყება?

- ახალგაზრდა სპეციალისტებს ვეტყოდი, რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავება. ენერგეტიკა და წყალმომარაგება წარმოადგენს ისეთ

სფეროებს, სადაც მუდმივი განვითარებაა საჭირო, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიონალ კადრებს, ამ დარგების განვითარება, ფაქტობრივად, ეფუძნება სპეციალისტებს. სემეკის კარი ყოველთვის ღიაა ახალგაზრდებისათვის სტაჟირებისა თუ პრაქტიკის გასავლელად. სემეკი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან, მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტთან. სემეკის მიერ დაფუძნებულ ენერგეტიკის სასწავლო ცენტრში სწორად ასეთი ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის შემუშავებულია სხვადასხვა სასწავლო კურსი, რომლებიც მათ ეხმარება ცოდნის გაღმავებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. როგორც ენერგეტიკის, ასევე წყალმომარაგების მიმართულებით ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი პროფესიონალი კადრი, რადგანაც აღნიშნული დარგები დინამიურად განვითარებადია და საჭიროებს მეტ პროფესიონალს.

- რამეს ხომ არ დაამატებდით?

- მინდა აღვნიშნო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც 2026 წელსაა დაგეგმილი. მომავალ წელს სემეკი უმასპინძლებს ენერგეტიკის რეგულირების შესახებ მე-9 მსოფლიო ფორუმს. აღნიშნული ფორუმი საქართველოში პირველად იმართება, რომლის ფარგლებშიც თბილისს 1000-მდე მაღალი რანგის დელეგატი ეწვევა. ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ ევროპისა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, ენერგეტიკული გაერთიანების, ასოციაციების წევრი ქვეყნები, სამთავრობო უწყებების, ენერგეტიკული და დონორი ორგანიზაციების პირველი პირები.

ფორუმზე იმსჯელებენ მსოფლიო მასშტაბით ენერგეტიკის სექტორში არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებზე, საინვესტიციო საკითხებსა და განახლებადი ენერგიების როლზე მდგრადი ენერგეტიკის განვითარებაში. ფორუმზე ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალი და საინვესტიციო გარემო.

ენერგეტიკის მარეგულირებელთა საერთაშორისო კონფედერაციის ეგიდით (ICER), ენერგეტიკის რეგულირების მსოფლიო ფორუმი 2000 წლიდან, ყოველ 3 წელიწადში ერთხელ იმართება. წინა წლებში ფორუმის მასპინძელი ქვეყნები იყვნენ: აშშ, იტალია, საბერძნეთი, კანადა, თურქეთი, მექსიკა და პერუ.

- დიდი მადლობა, ბატონო დავით, კვლავაც წარმატებებს გისურვებთ.

- მადლობა, თქვენც წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა ჟურნალის
მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარესთან, ბატონ ირაკლი ლექვინაძესთან

- გამარჯობა, ბატონო ირაკლი, გილოცავთ შობა-ახალ წელს და მადლობას მოგახსენებთ, ინტერვიუსათვის.

- გამარჯობა, მეც გილოცავთ შობა-ახალ წელს.

- როგორი იყო 2025 წელი საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის?

2025 წელი საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის ისტორიაში ცალსახად შეიძლება შეფასდეს როგორც წარმატებული. დაარსებიდან 12 წლის თავზე სააგენტო, როგორც ქვეყნის შიდა ბაზრებზე გავლენის, ასევე საერთაშორისო აღიარებისა და ჩართულობის კუთხით, მნიშვნელოვან შედეგებს აჩვენებს.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო ამ დროისთვის ორი მნიშვნელოვანი მიმართულების აღსრულებას ახორციელებს - კონკურენციის, მომხმარებლის უფლებების დაცვისა და ანტიდემპინგური პოლიტიკის მიმართულებით.

კონკურენციის აღსრულების კუთხით სააგენტო ახორციელებს მოკვლევებს შეთანხმებული ქმედებების, დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სახელმწიფო ადმინისტრაციული უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის მიმართულებით.

სააგენტო ასევე ახორციელებს ბაზრების მონიტორინგს კონკურენციის ხარისხის შეფასების მიზნით და აკონტროლებს საქართველოში განხორციელებულ ბიზნესკონცენტრაციებს. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიების ფინანსური ბრუნვა შესაბამის მაჩვენებლებს აკმაყოფილებს, სააგენტოს მიზანია ბიზნესის გამსხვილებების კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შეფასება.

- 2025 წელს თუ განხორციელდა კომპანიების შემოწმება და რა შედეგები მივიღეთ?

მოკვლევების კუთხით სააგენტომ 2025 წელს ოთხი ქეისი დაასრულა. მათ შორის, ორში დადგინდა მომხმარებლისთვის ჭარბი ფასის დაწესება, ხოლო ორ ქეისში დარღვევები არ დადასტურდა, თუმცა, გაიცა რეკომენდაციები. ჭარბი ფასი დადგინდა ფარმაცევტულ ბაზარზე - მედიკამენტების საბითუმო მიმწოდებელი ოთხი კომპანიის შემთხვევაში. მოკვლევამ აჩვენა, რომ შვიდი მედიკამენტი რეფერენტული ფასების შემოღებამდე მაღალი ფასნამატით იყიდებოდა. ჭარბმა ფასმა ჯამში 150–200% შეადგინა, ხოლო საბაჟოდან დახლამდე სრული ფასნამატი 1000-3000%-ის ფარგლებში იყო. შესაბამისად, აღნიშნული კომპანიები ჯამურად 600 ათას ლარამდე ოდენობით დაჯარიმდნენ. საინტერესო იყო ისიც, რომ სხვადასხვა მედიკამენტის ფასში გათვალისწინებული იყო საჩუქრების, კონფერენციების, სასტუმროებში განთავსების, სამკაულებისა და ძვირადღირებული ავტომობილების ოპერირების ხარჯები.

მეორე დარღვევა შეეხებოდა რუსთავის ავტობაზრობას, რომელმაც 2023 წელს ავტოიმპორტიორებისთვის პარკირების საფასური ორჯერ და მეტად გაზარდა. მოკვლევამ აჩვენა, რომ პარკირების საფასური გაიზარდა ისე, რომ თვითღირებულება არ გაზრდილა და ავტობაზრობას მომსახურების პირობები არ გაუუმჯობესებია. შესაბამისად, ფასი მიჩნეული იქნა ჭარბად და კომპანიას 900 ათას ლარამდე ჯარიმა დაეკისრა.

დარჩენილი ორი ქეისი შეეხებოდა ონლაინ პლატფორმებზე ვაჭრობასა და ბათუმის თევზის ბაზარს, სადაც დარღვევები არ დადასტურდა.

- ამ ეტაპზე თუ მიმდინარეობს მონიტორინგი და რომელს სფეროში?

- ამ დროისთვის სააგენტო ახორციელებს შემდეგი ბაზრების მონიტორინგს: საწვავის, FMCG-ის, პესტიციდებისა და აგროსასუქების, თამბაქოს, მოცვისა და თხილის ექსპორტის, ასევე, სამედიცინო სერვისების ბაზრების.

შუალედური ანგარიშები პერიოდულად ქვეყნდება სააგენტოს მიერ, სადაც შეფასებულია ბაზრებზე კონკურენციის ხარისხი და მიმდინარე ტენდენციები.

2025 წელს სააგენტომ 18 კონცენტრაციაზე გასცა თანხმობა და გადაამოწმა დაახლოებით 25 ათასი რეგისტრირებული ბიზნესგაერთიანება. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი კონცენტრაცია სამშენებლო და სამშენებლო მასალების სექტორში განხორციელდა, შემდეგ პოზიციებზე კი სწრაფი მოხმარების საქონელი (FMCG) და სამედიცინო/განათლების სექტორები არიან. სააგენტო მუდმივად აკონტროლებს საქართველოში განხორციელებულ ყველა კონცენტრაციას, რომლის შესახებ ინფორმაციას სამეწარმეო რეესტრიდან კვარტალურად იღებს. შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი ეკონომიკური აგენტები ჯარიმდებიან. 2025 წელს 18 შემთხვევიდან 9 ასეთი დარღვევა დაფიქსირდა.

- რა კეთდება თქვენს სააგენტოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით?

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის აღსრულებას სააგენტო მესამე წელია ახორციელებს. 2025 წელს განაცხადების რაოდენობა 65%-ით გაიზარდა, რაც მომხმარებელთა ცნობიერების ზრდაზე მიუთითებს. მომართვიანობაში ძირითადად დომინირებს ონლაინ ვაჭრობა, სექტორულ ჭრილში კი — ტანსაცმლითა და ტექნიკით ვაჭრობა, ასევე, გადაზიდვისა და სატრანსპორტო სერვისები. აღსანიშნავია, რომ წლიურად საშუალოდ მოქალაქეები სააგენტოს ჩართულობით დაახლოებით 1 მილიონ ლარს იბრუნებენ უკან.

მომხმარებელთა უფლებების კუთხით, ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც პრეტენზია აქვს მოვაჭრის მიმართ არასათანადო, ნაკლიანი, არასრულყოფილი ან დაზიანებული ნივთის ან მომსახურების შეძენის გამო, შეუძლია ჩვენს სააგენტოს მიმართოს. თუ მომხმარებელი ვერ თანხმდება მოვაჭრესთან, ის მიმართავს სააგენტოს, რომელიც ერთი თვის ვადაში, ყოველგვარი ხარჯის გარეშე, განიხილავს საჩივარს. სააგენტო იღებს სამი ტიპის გადაწყვეტილებას:

1. აფიქსირებს მოვაჭრის დარღვევას;
2. არ აფიქსირებს დარღვევას;
3. ფორმდება პირობითი ხელშეკრულება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის, რის შედეგადაც მოვაჭრე აღადგენს მომხმარებლის უფლებას და ასწორებს სავაჭრო პოლიტიკას, ხოლო საქმის წარმოება წყდება.

უმეტეს შემთხვევაში სწორედ ასეთი ხელშეკრულებები ფორმდება, თუმცა ბოლო წლებში დამრღვევთა რაოდენობა გაზრდილია. 2025 წელს ჯარიმების ოდენობამ 100 ათას ლარს გადააჭარბა.

სააგენტო ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს, რათა მომხმარებლებს მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ საკუთარი უფლებების შესახებ. მიმდინარეობს ვიზიტები რეგიონებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ასევე, სხვადასხვა მომხმარებელთა ჯგუფებთან. მიღებულია სტანდარტები ქართულ ენაზე სერვისის მიწოდების, ფასებისა და ფასდაკლებების, მენიუებში ფასების წარმოდგენისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

- დემპინგური ფასები თუ შეინიშნება ქართულ ბაზარზე და რომელ სფეროში? თუ კი, თქვენი უწყება რა ანტიდემპინგურ ქმედებას ეწევა?

- ანტიდემპინგის მიმართულებით სააგენტომ 2025 წელს ერთი ქეისი დახურა, რომელიც შეეხებოდა რუსეთიდან და ირანიდან არმატურის შესაძლო დემპინგურ იმპორტს. ადგილობრივი ინდუსტრია მიუთითებდა დემპინგურ ფასებზე, რაც მათ შემოსავლებზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე უარყოფითად აისახებოდა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა დემპინგური ფასების სხვაობა - რუსეთიდან 8%-ის, ირანიდან კი 24%-ის ფარგლებში. სააგენტოს დასკვნით ტარიფის შემოღებაზე რეკომენდაცია არ გაიცა, ვინაიდან საქართველოს მთავრობის მიერ 2024 წლის იანვრიდან უკვე შემოღებული იყო დამცავი ტარიფი არმატურისა და გლინულას იმპორტზე.

- ვიცით, რომ არაერთი საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღეთ მონაწილეობა, როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ. იქნებ ამაზეც გვიამბოთ.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

- მარეგულირებელ უწყებებთან ერთად სააგენტომ 2025 წელსაც ტრადიციულად უმასპინძლა კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების მეოთხე საერთაშორისო კონფერენციას, რომელსაც 18 ქვეყნის 50-ზე მეტი საერთაშორისო სპიკერი დაესწრო. კონფერენციის მიზანი რეგიონში საერთაშორისო პლატფორმის ორგანიზება იყო, რომელიც აჯამებს წლის განმავლობაში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების სფეროში არსებულ მიღწევებს. გაიმართა პანელები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა ბიზნესკონცენტრაციები, კონკურენცია ციფრულ ბაზრებზე, სამედიცინო და ფარმაცევტულ სექტორში არსებული გამოწვევები, მომხმარებელთა უფლებების დაცვა ონლაინ ბაზრებზე და მარეგულირებელ უწყებებს შორის თანამშრომლობის ფორმები.

სააგენტოსთვის 2025 წელი გამორჩეული იყო საერთაშორისო ასპარეზზეც. ჩვენ ვიცე-პრეზიდენტის რანგში ვუხელმძღვანელეთ ვაჭრობისა და განვითარების გაეროს კონფერენციას (UNCTAD) ჟენევაში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების საკითხებზე. ასევე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონკურენციის გლობალურ ფორუმზე ვუხელმძღვანელეთ სპეციალურ პანელს და წამყვან სესიაზე წარვდექით, რომელიც ჯანდაცვის სექტორში კონკურენციის საკითხებს ეძღვნებოდა.

საქართველოს სახით სააგენტომ მოიპოვა მომხმარებელთა საერთაშორისო ქსელის — ICPEN-ის - პრეზიდენტობა 2026–2027 წლებში, რაც მნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარებაა. ორგანიზაცია 90-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს და აზიარებს საუკეთესო პრაქტიკებს მომხმარებელთა უფლებების სფეროში. ამ რანგში საქართველო 2026 წლის სექტემბერში მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს სააგენტომ მსოფლიო ბანკის საერთაშორისო აღიარება და ჯილდო მოიპოვა ფარმაცევტულ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებებისათვის - 40 ქვეყანას შორის საუკეთესო შეფასება მიიღო და ჯილდო ედინბურგში გადმოგვეცა. ასევე, მსოფლიო ბანკის მიერ საუკეთესოდ შეფასდა სააგენტოს საკომუნიკაციო სტრატეგია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღიარებაა.

- რა გამოწვევების წინაშე დაგას სააგენტო ამ ეტაპზე?

მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, ვთვლით, რომ სააგენტოს წინაშე კვლავ არსებობს გამოწვევები, რომლებიც შესაბამის რეაგირებას საჭიროებს — კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება, კრიტიკული ბაზრების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების დანერგვა კონკურენციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ასევე ახალი გაიდლაინებისა და მიდგომების დანერგვა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში. სააგენტო იქნება აქტიური და პროაქტიულ ქმედებებზე ორიენტირებული, რათა უზრუნველყოს როგორც ჯანსაღი კონკურენციის დაცვა, ისე მომხმარებელთა უფლებების მაღალი სტანდარტი.

- დიდი მადლობა, ბატონო ირაკლი, კვლავაც წარმატებებს გისურვებთ.

- მადლობა, თქვენც წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა ჟურნალის მთავარი რედაქტორი
ლოიდ ქარჩავა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

INDICATORS OF EFFECTIVE USE OF THE RICH EXPERIENCE OF ACADEMIC STAFF

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 17, 2025
Published: December 12, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-21

Loid Karchava
Doctor of Business Administration,
Associate Professor, Caucasus International University
ORCID: https://orcid. org/0000-0003-2857-0235
E-mail: loidk@yahoo.com

Ketevan Chiabrishvili
Doctor of Economics, Professor,
National Defence Academy of Georgia
ORCID: https://orcid. org 0000-0001-7293-5786
E-mail: kchiabrishvili@eta.edu.ge

George Goroshidze
PHD, psychology
Invited Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: https://orcid.org/ 0000-0002-6244-2942
E-mail: goroshidze@gmail.com

Lasha Mgeladze
PHD, economics, Associate Professor
Technical University of Georgia
ORCID ID: https://orcid.org/0000-0003-4608-7255
E-mail: lmgeladze@gmail.com

Shota Veshapidze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID iD: https://orcid. org/0000-0003-0933-3648
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ABSTRACT

This article examines academic standards, post-tenure review, and retirement policies for academic staff through a comparative legal perspective. Drawing on the practices of the United States, the United Kingdom, Germany, and France, the study explores institutional models that balance academic freedom, non-discrimination on the basis of age, and quality assurance in higher education. Particular attention is paid to post-tenure review as a development-oriented mechanism and to voluntary and phased retirement models that mitigate age-related conflicts within academic institutions. The analysis of Georgia's legal and institutional framework demonstrates that while national legislation prohibits age discrimination, it lacks detailed internal regulations ensuring transparent productivity assessment and structured academic succession. The article concludes that Georgian state universities should prioritize the establishment of performance-based evaluation systems and phased retirement mechanisms rather than age-based limitations, aligning institutional governance with international standards and legal principles of equality.

Keywords: *higher education, academic tenure, post-tenure review, age discrimination, emeritus.*

REFERENCES:

1. Altbach, P. G., & Salmi, J. (2011). *The road to academic excellence: The making of world-class research universities*. Washington, DC: World Bank.

2. AAUP. (2015). *Post-tenure review: An AAUP response*. American Association of University Professors.

3. Altbach, P. G. (2005). Academic challenges: The American professoriate in comparative perspective. *Higher Education*, 50(1), 23–44. https://doi.org/10.1007/s10734-004-6353-5

4. Bedianashvili, G. (2018). Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context. Globalization and Business. 6, 58-66. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2018.06.007

5. Bedianashvili, G., Bichia, Q., & Natsvlishvili, E. (2021). Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. Globalization and Business. 12, 21-31. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002

6. Bennett, K.;Cochrane, A.; Mohan, G. and Neal, S. (2017). Negotiating the educational spaces of urban multiculture: Skills, competencies and college life. *Urban Studies*, 54(10) pp. 2305–2321. https://doi.org/10.1177/0042098016650325

7. Brennan, J., & Teichler, U. (2008). The future of higher education and of higher education research. *Higher Education*, 56(3), 259–264. https://doi.org/10.1007/s10734-008-9124-6

8. Chkhikvishvili, L. (2020). Prevention of Age Discrimination and the Higher Education System in Georgia. International Law Review, 12(3), 34–52.

9. Clark, R. L., & Ghent, L. S. (2018). Phased retirement and faculty labor supply. *Research in Labor Economics*, 46, 223–254. https://doi.org/10.1108/S0147-912120180000046007

10. Constitution of Georgia (1995). Parliament of Georgia, Tbilisi.

11. Diamond, R. M. (2002). *Faculty, instructional, and organizational development: Options and choices*. Anker Publishing.

12. Finkelstein, M. J., Conley, V. M., & Schuster, J. H. (2016). *The faculty factor: Reassessing the American academy in a turbulent era*. Johns Hopkins University Press.

13. Fairweather, J. S. (2005). *The post-tenure review debate in U.S. higher education*. Journal of Higher Education Policy, 18(2), 145–164.

14. Georgian Law About higher education (2004). Parliament of Georgia, Tbilisi.

15. Georgian Civil Code (1999). Parliament of Georgia, Tbilisi.

16. Goroshidze, G. (2018). Organizational climate of educational institutions and ways to optimize attitudes towards academic staff (principles and procedures for holding academic positions). "Internet-Academy"/Georgian electronic peer-reviewed scientific journal "GESJ "/ Educational science-ethics and psychology. N 3 (49), p. 84-97.

17. Goroshidze, G. (2019). Models of evaluation and management of human resources in the education system (organizational behavior in education). "Internet-Academy"/Georgian electronic peer-reviewed scientific journal "GESJ"/Educational sciences and psychology. N 3 (53), p. 76-90.

18. Goroshidze, G. (2021). Leadership models and organizational pathologies in the education system. Educational Sciences and Psychology, peer-reviewed, impact factor, international electronic scientific journal, No. 2 (59), p. 83-94;

19. Goroshidze, G. (2021). Increasing the effectiveness of leadership in the higher education system. Educational Sciences and Psychology, peer-reviewed, impact factor, international electronic scientific journal, No. 3 (60), p. 136-143;

20. Goroshidze, G. (2023). Moral inferiority of the leader as an indicator of his/her incompatibility with the position (in the education system). Peer-reviewed, impact factor, international electronic scientific journal, No. 3 (68), p. 86-93.

21. Goroshidze, G. (2023). Formation of moral climate as a superstrategy of personnel management (in the education system). Peer-reviewed, impact factor, international electronic scientific journal, No. 3 (68), p. 94-105.

22. Goroshidze, G. (2023). Great advantages of a lifetime employment contract in the higher education system. Peer-reviewed, impact factor, international electronic scientific journal, No. 4 (69), p. 21-32.

23. Goroshidze, G. (2023). Hierarchical triad **Morality ► Justice ► Law** in the management of academic staff. Peer-reviewed, impact factor, international electronic scientific journal, No. 4 (69), p. 55-67.

24. Goroshidze, G., Mgeladze, L. "Academic corruption" - remuneration, contests and evaluation system. The New Economist, international refereed and peer-reviewed scientific journal, identifiable in Google Scholar and Research Gates databases, N3 (70), 2023, Vol. 18, ex. 3, p. 29-44.

25. Goroshidze, G. (2024). Correction of Academic Personnel Management Defficiencies in the Higher Education System. Peer-reviewed, impact factor, international electronic scientific journal, No. 1 (70), p. 64-72.

26. Gulua, E. (2020). Peculiarities of academic staff selection at higher education institutions. Innovative Economics and Management, 7(1), 73–92.

27. Miller, J. E., & Seldin, P. (2014). Changing practices in faculty evaluation: Can better evaluation make a difference? *Change: The Magazine of Higher Learning*, 46(3), 32–38. https://doi.org/10.1080/00091383.2014.905274

28. Musselin, C. (2005). European academic labor markets in transition. *Higher Education*, 49(1–2), 135–154. https://doi.org/10.1007/s10734-004-2918-7

29. Nikoleishvili, T. (2025). The concept of higher education reform: (Counter)reform in education? Unpublished manuscript. https://gnomonwise.org/public/storage/publications/October2025/AjP21D3B0hvjXX-V7qMDm.pdf

30. O'Meara, K. (2011). Inside the panopticon: Studying academic reward systems. *Higher Education*, 62(1), 79–95. https://doi.org/10.1007/s10734-010-9353-7

31. Organic law of Georgia, Labor Code of Georgia (2010). Parliament of Georgia, Tbilisi.

32. Teichler, U. (2017). Academic profession and higher education systems. *Springer International Publishing*. https://doi.org/10.1007/978-3-319-45844-1

33. UNESCO. (1997). *Recommendation concerning the status of higher-education teaching personnel*. UNESCO.

34. OECD. (2019). *Phased retirement policies in higher education: Comparative perspectives*. Paris: OECD Publishing.

35. Pirtskhalava, N. (2017). Post-tenure assessment practices in Georgian universities. Higher Education Studies, 5(1), 22–39.

36. Resolution of the Government of Georgia No. 467. (2018). Voluntary Retirement Regime for Professors and Teachers of State Universities. Tbilisi: Legal Bureau of the Government of Georgia.

37. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., & Pailodze, N. (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia. In *PRADEC Conference Proceedings* (Vol. 2, No. 1, pp. 95-98).

38. Veshapidze, S., CHIABRISHVILI, K., Zubiashvili, T., & Zoidze, G. (2021). On the relationship between education and economic security. *Ecoforum Journal*, *10*(3).

39. Veshapidze, S., Zoidze, G., & Berishvili, K. (2021). The economic determinant of the education system. *Sciences of Europe*, (81-2), 6-12.

40. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia/საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ევოლუცია. *The New Economist*, *16*(2), 33-2.

41. Veshapidze, S. (2023). About the dangers of academic competition. Conference proceedings, Tbilisi.

42. Veshapidze, S., & Mgeladze, L. (2023). Some aspects of protection of labor freedom in higher education institution. *The New Economist*, *18*(1), 40-2.

43. Veshapidze, S., & Megreladze, G. (2024). Prospects for the development of Georgia's trade with the European Union. *The New Economist*, *19*(2), 11-223.

44. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. *DOI: https://doi. org/10.5281/zenodo, 6373197*.

45. Veshapidze, S. (2025). Values and Principles in Ilia Chavchavadze's Thought: Interpretation in the Modern Economic Context. *The New Economist*, *20*(2), 25-39.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

აკადემიური პერსონალის მდიდარი გამოცდილების ეფექტიანი გამოყენების ინდიკატორები

ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: loidk@yahoo.com

ქეთევან ჭიაბრიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის
აკადემიის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი;
chiaberi25@gmail.com

გიორგი გოროშიძე
ფსიქოლოგიის დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: goroshidze@gmail.com

ლაშა მგელაძე
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ. ფოსტა: lmgeladze@gmail.com

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ. ფოსტა: shota.veshapidze@tsu.ge

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია იკვლევს აკადემიური სტანდარტების დაცვის, პოსტ-ტენუარის შეფასებისა და აკადემიური პერსონალის პენსიაზე გასვლის საკითხებს საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით. კვლევა ეფუძნება შედარებით-სამართლებრივ მეთოდს და აანალიზებს ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს, გერმანიისა და საფრანგეთის პრაქტიკას, რათა გამოავლინოს ის ინსტიტუციური მოდელები, რომლებიც აკადემიური თავისუფლების, ასაკობრივი დისკრიმინაციის აკრძალვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ბალანსს ქმნის. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოსტ-ტენუარის შეფასებას, როგორც განვითარებისკენ მიმართულ ინსტრუმენტს, და პენსიაზე გასვლის ნებაყოფლობით, ეტაპობრივ მოდელებს (phased retirement), რომლებიც ამცირებს ასაკობრივ კონფლიქტებს აკადემიურ სივრცეში. საქართველოს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი აჩვენებს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ქმნის ასაკობრივად ნეიტრალურ გარემოს, თუმცა აკლია დეტალური შიდა რეგლამენტები, რომლებიც პროდუქტიულობის ობიექტურ შეფასებასა და ინსტიტუციურ მემკვიდრეობას უზრუნველყოფდა. სტატია ასკვნის, რომ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის პრიორიტეტულია არა ასაკობრივი შეზღუდვების შემოღება, არამედ შეფასებისა და პენსიაზე გასვლის ისეთი რეგლამენტირებული მექანიზმების დანერგვა, რომლებიც შეესაბამება როგორც საერთაშორისო პრაქტიკას, ისე დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოქმედ სამართლებრივ სტანდარტებს.

საკვანძო სიტყვები: *უმაღლესი განათლება, აკადემიური ტენუარი, პოსტ-ტენუარის შეფასება, ასაკობრივი დისკრიმინაცია, ემერიტუსი.*

შესავალი

მრავალი თანამედროვე უნივერსიტეტი დგას რთული დილემის წინაშე: ერთის მხრივ, უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლება და ასაკობრივი დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ხოლო მეორეს მხრივ — შეინარჩუნოს სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი. აღნიშნული დილემა განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ხანდაზმული აკადემიური პერსონალის დასაქმების, შეფასებისა და სამსახურიდან გასვლის საკითხებში. ასეთ შემთხვევებისთვის შემუშავებულია რიგი ორგანიზაციული მექანიზმებისა, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა უნივერსიტეტების ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნება და საზოგადოებისთვის ღირებული სოციალური კლიმატის დამკვიდრება, რაც პოზიტიურად აისახება მის უწყვეტი განვითარების პროცესზე.

ერთ-ერთი ასეთი მექანიზმის როლში აკადემიური **ტენუარის** (tenure) **ინსტიტუტი** გვევლინება (ტენუარი არის მუდმივი აკადემიური სტატუსი, რომელსაც პროფესორი იღებს გარკვეული პერიოდის მუშაობისა და შეფასების შემდეგ). იგი ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც პროფესორთა დამოუკიდებლობის დაცვის მექანიზმი, თუმცა თანამედროვე რეალობაში იგი სულ უფრო მეტად ექვემდებარება ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის მოთხოვნებს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **პოსტ-ტენუარის** სტატუსის განხილვას (post-tenure review - ეტაპი ან სტატუსი, რომელიც დგება ტენუარის მიღების შემდეგ), რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება არა როგორც სადამსჯელო ღონისძიება, არამედ როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი.

საქართველოში აღნიშნული საკითხების მოწესრიგებულობა ამჟამად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ცალსახად კრძალავს ასაკობრივ დისკრიმინაციას, აკადემიური პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები პრობლემურია, ხოლო ასაკით სამსახურიდან გასვლის ინსტიტუციური ალტერნატივები პრაქტიკულად არ არსებობს. ამის შედეგად, ასაკი ხშირად იქცევა არაპირდაპირ ფაქტორად აკადემიური პერსონალის მართვის პოლიტიკისთვის, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება როგორც სამართლებრივ, ისე აკადემიური მოღვაწეობის პრინციპებს.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეისწავლოს უმაღლესი განათლების სფეროში აკადემიური მუშაობის სტანდარტების, ტენუარის და ემერიტუსის სტატუსების მინიჭების, პოსტ-ტენუარის სტატუსის განხილვის, ასაკით პენსიაზე გასვლის საერთაშორისო მოდელები და შეადაროს ისინი საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ რეალობას. კვლევა ეფუძნება სოციოლოგიური და სამართლებრივი მიდგომების საფუძველზე წარმოებულ შედარებით ანალიზს და მიზნად ისახავს პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის.

აკადემიური ტენუარის კონცეფცია სათავეს იღებს XX საუკუნის დასაწყისის ამერიკულ უნივერსიტეტებში და თავდაპირველად მიზნად ისახავდა პოლიტიკური და ადმინისტრაციული ზეწოლისგან პროფესორების დაცვას (Altbach, 2005). შემდგომში, მას დაემატა აკადემიური პასუხისმგებლობის ელემენტიც, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა პოსტ-ტენუარის შეფასების სისტემის დანერგვის სახით (O'Meara, 2011).

კვლევები მიუთითებს, რომ ეფექტიანი post-tenure review (თანამდებობაზე მუშაობის შემდგომი შეფასება) სისტემა ზრდის ინსტიტუციურ ანგარიშვალდებულებას ისე, რომ არ აზიანებს პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას (Diamond, 2002). ამასთან, ასაკობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი ჩარჩოები (მაგ., EU Equality Directives; U.S. Age Discrimination in Employment Act) უნივერსიტეტებს ავალდებულებს, რომ აკადემიური კადრების პენსიაზე გასვლის პოლიტიკა ააგონ ნებაყოფლობითობისა და სტიმულირების პრინციპებზე.

აკადემიური ტენუარის კონცეფციის ევოლუცია

აკადემიური ტენუარის ინსტიტუტი ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც პროფესორის აკადემიური თავისუფლების დაცვის მექანიზმი. მისი კლასიკური გაგება უკავშირდება იდეას, რომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს კვლევისა და სწავლების თავისუფლება პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ზეწოლისგან (Altbach, 2005). ამ კონტექსტში ტენუარი განიხილებოდა როგორც პროფესიული სტაბილურობის გარანტია და არა როგორც უვადო, უპირობო დასაქმება.

თანამედროვე ლიტერატურა ხაზს უსვამს, რომ ტენუარის კონცეფცია მნიშვნელოვნად გარდაიქმნა. უნივერსიტეტების მზარდმა ანგარიშვალდებულებამ, კონკურენციამ და საჯარო რესურსებზე დამოკიდებულებამ ტენუარს დაუ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მატა პასუხისმგებლობის ელემენტი (Finkelstein, Conley, & Schuster, 2016). შესაბამისად, ტენუარი აღარ განიხილება როგორც სტატიკური სტატუსი, არამედ როგორც დინამიკური სამართლებრივი და ინსტიტუციური ურთიერთობა პროფესორსა და უნივერსიტეტს შორის.

პოსტ-ტენუარის შეფასება (POST-TENURE REVIEW)

პოსტ-ტენუარის შეფასება ჩამოყალიბდა XX საუკუნის ბოლოს, განსაკუთრებით აშშ-ის უმაღლესი განათლების სისტემაში, როგორც პასუხი კრიტიკაზე, რომ ტენუარი შეიძლება ხელს უწყობდეს აკადემიური პროდუქტიულობის შემცირებას (Diamond, 2002). ლიტერატურაში აღინიშნება, რომ post-tenure review-ის მიზანი არ არის პროფესორის „დასჯა", არამედ აკადემიური ხარისხის შენარჩუნება და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა (O'Meara, 2011).

კვლევები აჩვენებს, რომ ეფექტიანი პოსტ-ტენუარის შეფასება ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს:

- რეგულარულობასა და წინასწარ განსაზღვრულ პერიოდულობას;
- მკაფიო, გაზომვად კრიტერიუმებს;
- შეფასების შედეგების გამოყენებას კადრების განვითარების გეგმების შესამუშავებლად და არა მხოლოდ ადმინისტრაციული სანქციებისთვის (Miller & Seldin, 2014).

ამავე დროს, არაერთი ავტორი იძლევა გაფრთხილებას, რომ შეფასების არასწორად კონსტრუირებული სისტემა შეიძლება გადაიქცეს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტად, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც შეფასება გამოიყენება უნივერსიტეტის პერსონალის შემცირების ან არასასურველი პროფესორების განათლების სისტემიდან გაშვების მიზნით (AAUP, 2015).

აკადემიური თავისუფლება და პასუხისმგებლობა

აკადემიური თავისუფლება საერთაშორისო დონეზე აღიარებულია როგორც უმაღლესი განათლების ფუნდამენტური პრინციპი. UNESCO-ს რეკომენდაციები უნივერსიტეტის პერსონალის სტატუსის შესახებ ხაზს უსვამს, რომ პროფესორები უნდა იყვნენ დაცულნი დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან, თუმცა ამავე დროს ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ მაღალი პროფესიული სტანდარტები (UNESCO, 1997). თანამედროვე აკადემიური დისკურსი სულ უფრო მეტად იყენებს **„თავისუფლება + პასუხისმგებლობის"** მოდელს. ამ მიდგომის თანახმად, პროფესორის ავტონომია განუყოფელია აკადემიური ხარისხისგან და საზოგადოებრივი ინტერესებისგან (Brennan & Teichler, 2008). სწორედ ამ ლოგიკაში განიხილება პოსტ-ტენუარის შეფასება — როგორც აკადემიური თავისუფლების კომპლემენტარული, და არა მასთან წინააღმდეგობაში მყოფი ინსტრუმენტი.

ასაკობრივი დისკრიმინაციის სამართლებრივი ჩარჩო

აკადემიური პერსონალის ასაკთან დაკავშირებული პოლიტიკა განსაკუთრებულ სამართლებრივ სენსიტიურობას ატარებს. ასაკობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა დამკვიდრებულია როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ სამართალში. მაგალითად, ევროკავშირის თანასწორობის დირექტივები კრძალავს ასაკის საფუძველზე განსხვავებულ მოპყრობას დასაქმების სფეროში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსხვავება გამართლებულია ლეგიტიმური მიზნით და პროპორციულია (Council Directive 2000/78/EC).

ამერიკის შეერთებული შტატებში აკადემიური კადრების ასაკობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული აქტები (Age Discrimination in Employment Act – დასაქმებაში ასაკობრივი დისკრიმინაციის აკტი) განათლების სფეროში პირდაპირ კრძალავს ხსენებული კადრების სავალდებულო პენსიაზე გასვლას, რაც უნივერსიტეტებს აიძულებს, რომ ასაკის ნაცვლად გამოიყენონ მათი პროდუქტიულობისა და ხარისხის კრიტერიუმები (Neal & Bennett, 2013).

განხილული ლიტერატურის ავტორები თანხმდებიან იმაში, რომ სამართლებრივად მდგრადი აკადემიური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს არა ქრონოლოგიურ ასაკს, არამედ პროფესიული საქმიანობის შეფასებას. ამ მიდგომამ განაპირობა ისეთი ინსტრუმენტების განვითარება, როგორიცაა phased retirement (პენსიაზე ეტაპობრივი გასვლა) და **ემერიტუსის სტატუსი** (საპატიო სტატუსი, რომელიც ენიჭება პენსიაზე გასულ პროფესორს ხანგრძლივი და ღირსეული სამსახურისთვის), რომლებიც აერთიანებს ასაკობრივი ნეიტრალიტეტის (ხელშეუხებლობის) და ინსტიტუციური ინტერესების დაცვას (Clark & Ghent, 2018), რაც უნივერსიტეტებში არსებული დიდი ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ამოცანებს ემსხურება საზოგადოებრივი ცხოვრე-

ბის გაუმჯობესების მიზნებიდან გამომდინარე.

ასაკობრივი დისკრიმინაცია - „ეიჯიზმი“ (ageism) გულისხმობს პირის უფლებების შეზღუდვას მხოლოდ მისი ასაკის საფუძველზე, ინდივიდუალური უნარების, კომპეტენციისა და საქმიანობის ხარისხის შეფასების გარეშე. თანამედროვე სამართლებრივ და აკადემიურ დისკურსში ეიჯიზმი განიხილება ისეთივე მიუღებელ დისკრიმინაციულ პრაქტიკად, როგორიც არის სქესის, ეთნიკური კუთვნილების ან შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია. მხოლოდ ქრონოლოგიური ასაკის გამოყენება პროფესიული ვარგისიანობის კრიტერიუმად არ არის მეცნიერულად გამართლებული, ვინაიდან ასაკი არ წარმოადგენს ადამიანის ინტელექტუალური, პედაგოგიური ან სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობების უშუალო ინდიკატორს.

თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი ეფუძნება თანასწორობის პრინციპს, რომლის თანახმადაც ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა უნდა იყოს: **ლეგიტიმური**, **აუცილებელი** და **პროპორციული**. ასაკობრივი ზედა ზღვრის დაწესება ვერ აკმაყოფილებს ამ სამიდან ვერცერთ კრიტერიუმს, ვინაიდან: ა/ ლეგიტიმური მიზანი (სწავლების ხარისხი) მიიღწევა სხვა, ნაკლებად შემზღუდავი საშუალებებით; ბ/ აუცილებლობა არ დასტურდება, როდესაც არსებობს საქმიანობის შეფასების ალტერნატიული მექანიზმები; გ/ ირღვევა პროპორციულობაც, რადგან ადამიანი გამორიცხულია პროფესიული საქმიანობიდან მხოლოდ ასაკის გამო. ამრიგად, ასაკის ზედა ზღვრის დაწესებით სრულად ირღვევა შრომის, თვითრეალიზაციისა და ღირსების დაცვის ფუნდამენტურ უფლებები.

აკადემიური საქმიანობა განათლების სფეროში არსებითად განსხვავდება სხვა იმ პროფესიული სფეროებისგან, სადაც ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგრამ ამ სფეროებისგან განსხვავებით ლექტორისა და მკვლევრის საქმიანობა ეფუძნება: ა/ სიღრმისეულ ცოდნას და დაგროვებულ გამოცდილებას; ბ/ ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას; გ/ მეთოდოლოგიურ და კვლევით კომპეტენციას; დ/ აკადემიურ ეთიკასა და პედაგოგიურ დახელოვნებას. ეს კომპონენტები, როგორც წესი, ასაკთან ერთად კი არ სუსტდება, არამედ პრაქტიკულად უფრო და უფრო ძლიერდება.

უნივერსიტეტების სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შესწავლიდან ნათელი ხდება, რომ სავსებით შესაძლებელია მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფა ასაკობრივი შეზღუდვების გარეშე. ამისთვის ფართოდ გამოიყენება შემდეგი აქტივობები: 1. ლექტორის თვითშეფასება; 2. სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული აქტივობების შეფასება; 3. მინიმალურად სავალდებულო საქმიანობის ანგარიშები; 4. სტუდენტთა გამოკითხვები; 5. აკადემიური პროდუქტიულობის მაჩვენებლები.

თუკი განათლების სფეროში მთავარი მიზანია აკადემიური სტანდარტების ამაღლება, მაშინ ლოგიკურად სრულიად გამართლებულია სწორედ ზემოაღნიშნული მექანიზმების დახვეწა და არა ასაკობრივი ზღვრის დაწესება. მდიდარი საერთაშორისო პრაქტიკა იძლევა ამ მოსაზრების მართებულობის დამადასტურებელ უამრავ მაგალითს. დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოების უნივერსიტეტების უმრავლესობაში არ მოქმედებს სავალდებულო საპენსიო ასაკი. პროფესორი ან ლექტორი საქმიანობას აგრძელებს მანამ, სანამ აკმაყოფილებს აკადემიურ სტანდარტებს. პენსიაზე გასვლა არის უფლება და არა იძულება. პროფესორი ან ლექტორი თვითონ წყვეტს გავიდეს თუ არა პენსიაზე. სადაც კი იძულებითი საპენსიო ასაკი ჯერ კიდევ არსებობს, პენსიის ოდენობა, როგორც წესი, მაღალია და თან ახლავს ღირსეული სოციალური უზრუნველყოფა!

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობების რეგულირება საპენსიო ასაკის იძულებითი გამოყენების პირობებში იწვევს შემდეგს:

- ზღუდავს ადამიანის თვითრეალიზაციას;
- ამცირებს აკადემიური ინსტიტუციების ინტელექტუალურ კაპიტალს;
- აძლიერებს სიღარიბისა და სოციალური მარგინალიზაციის რისკს;
- უგულებელყოფს გამოცდილებისა და მენტორობის ღირებულებას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ხაპენსიო ასაკის საფუძველზე აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეზღუდვა (ან შეწყვეტა) წარმოადგენს: 1) ასაკობრივ დისკრიმინაციას (ეიჯიზმს); 2) არაპროპორციულ და ანტიკონსტიტუციურ ჩარევას შრომის უფლებაში; 3) აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის არაეფექტიან ინსტრუმენტს.

თანამედროვე, სამართლიანი და ხარისხზე ორიენტირებული უნივერსიტეტი უნდა ეფუძნებოდეს **საქმიანობის შედეგების შეფასებას და არა ადამიანის ქრონოლოგიურ ასაკს.**

როგორც საკითხის შესწავლიდან ირკვევა,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ტენუარი არ წარმოადგენს აკადემიური კადრების უპირობო ხელუხლებლობის უზრუნველმყოფ თანამდებობრივ სტატუსს, არამედ წარმოადგენს პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ ინსტიტუტს; **პოსტ-ტენუარის** შეფასება კი წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს; ასაკობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა არ გამორიცხავს აკადემიური კადრების პროდუქტიულობის შეფასებას; ამრიგად, ეფექტიანი საკადრო პოლიტიკა მოითხოვს მკაფიო სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს არსებობას, რომლის ნორმების ფარგლებშიც მაქსიმალურად რეალიზებული იქნება როგორც აკადემიური პერსონალის ღირსეული დაფასება, ისე საზოგადოებისთვის მათი მოღვაწეობის დიდი სარგებლიანობა.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი განათლების სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ინსტიტუციას აკადემიური ტენუარის, პოსტ-ტენუარის შეფასებისა და ასაკის საფუძველზე პენსიაზე იძულებითი გასვლის არდაშვების (აკრძალვის) პოლიტიკის თვალსაზრისით. ტენუარი აქ ფუნქციონირებს როგორც პროფესორ-მასწავლებლების აკადემიური თავისუფლების დაცვის მექანიზმი, თუმცა იგი მკაფიოდ არის დაკავშირებული მათ ანგარიშვალდებულებასთან და პროფესიული საქმიანობის პროდუქტიულობასთან. პოსტ-ტენუარის შეფასება (post-tenure review = ტენუარის შემდგომი საქმიანობის შეფასება) ფართოდ გავრცელებულია როგორც საჯარო, ისე კერძო უნივერსიტეტებში. შეფასება, როგორც წესი, ტარდება ყოველ 5–7 წელიწადში ერთხელ და მოიცავს:

- კვლევით პროდუქტიულობას (პუბლიკაციები, ციტირების ინდექსი, გრანტები);
- სწავლების ხარისხს (სტუდენტთა შეფასებები, კოლეგიალური დაკვირვება);
- ინსტიტუციურ და საზოგადოებრივ სამსახურს (AAUP, 2015).

სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ უარყოფითი შეფასება იშვიათად იწვევს პირდაპირ გათავისუფლებას. უფრო გავრცელებულია **პროფესიული განვითარების გეგმის** (development plan) შემუშავება, რაც ხაზს უსვამს შეფასების არასადამსჯელო ბუნებას (O'Meara, 2011).

ასაკობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, აშშ-ში აკადემიური პერსონალის მიმართ სავალდებულო საპენსიო ასაკი გაუქმებულია. Age Discrimination in Employment Act (აქტი დასაქმებაში ასაკობრივი დისკრიმინაციის შესახებ) კრძალავს პროფესორის იძულებით პენსიაზე გაშვებას ასაკის გამო. ამის საპასუხოდ უნივერსიტეტებმა განავითარეს **phased retirement-ის** (ეტაპობრივად პენსიაზე გასვლის) მოდელები, რომლებიც საშუალებას აძლევს პროფესორს ეტაპობრივად შეამციროს დატვირთვა, შეინარჩუნოს ნაწილი ანაზღაურებისა და გააგრძელოს ინსტიტუციისთვის აკადემიური ცოდნის გადაცემა (Clark & Ghent, 2018). ამ მოდელის თავისებურებას წარმოადგენს უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მუშაობის პროდუქტიულობაზე დაფუძნებული შეფასება ასაკის იგნორირების პირობებში.

გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში ტენუარის კლასიკური ამერიკული მოდელი მნიშვნელოვნად მოდიფიცირებულია. პროფესორების უმრავლესობა დასაქმებულია გრძელვადიანი ან უვადო კონტრაქტებით, თუმცა ისინი ექვემდებარებიან რეგულარულ **Performance Review** (შესრულებული სამუშაოს შეფასება) სისტემას. აკადემიური შეფასება მჭიდროდ არის დაკავშირებული კვლევების ეროვნულ პროგრამასთან, განსაკუთრებით **Research Excellence Framework (REF)**-თან (კვლევის ხარისხის შეფასების ჩარჩო), რომელიც ზეგავლენას ახდენს როგორც უნივერსიტეტების დაფინანსებაზე, ისე ინდივიდუალურ აკადემიურ კარიერაზე (Brennan & Teichler, 2008). ეს ქმნის ძლიერი ინსტიტუციური სტიმულების სისტემას კვლევითი პროდუქტიულობის შესანარჩუნებლად.

2011 წლამდე გაერთიანებულ სამეფოში არსებობდა სავალდებულო საპენსიო ასაკი (Employer Justified Retirement Age – დამსაქმებლის მიერ დადგენილი და დასაბუთებული საპენსიო ასაკი), თუმცა მისი გაუქმების შემდეგ პენსიაზე გასვლა სრულად ნებაყოფლობითი გახდა. უნივერსიტეტები ფართოდ იყენებენ შემდეგ რეგულაციებს:

- ნაწილობრივი დატვირთვის მოდელებს;
- teaching-only ან mentoring-focused (მხოლოდ სწავლებაზე ორიენტირებულ ან მენტორობაზე ფოკუსირებულ) პოზიციებს;
- ფინანსურ სტიმულებს პენსიაზე ნებაყოფლობითი გასვლისთვის.

აღნიშნული მოდელის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს შეფასებაზე დაფუძნებული სახელშეკრულებო პირობების სტაბილურობა ასაკობრივი ზღვრის გარეშე (Bennett, Cochrane, Mohan and

Neal, 2017).

გერმანია

გერმანიის უნივერსიტეტებში აკადემიური პერსონალის დასაქმების მოდელი მკვეთრად განსხვავდება ანგლო-საქსური მოდელებისგან. პროფესორების მნიშვნელოვანი ნაწილი არის სახელმწიფო მოხელე (Beamte), რაც უზრუნველყოფს დასაქმების მაღალი დონის სტაბილურობას. ეს მოდელი ამავე დროს ქმნის მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოებს. პოსტ-ტენურარის შეფასება გერმანიაში ნაკლებად ფორმალიზებულია. აქ კონტროლის მთავარი მექანიზმებია:

– კონკურენტული დაფინანსების სისტემები;
– ინსტიტუციური შეფასებები;
– აკადემიური რეპუტაცია.

დაბალი პროდუქტიულობა იშვიათად იწვევს ფორმალურ სანქციებს, თუმცა პრაქტიკაში ზღუდავს პროფესორის წვდომას რესურსებზე და გავლენას ახდენს მის ინსტიტუციურ როლზე (Teichler, 2017). პენსიაზე გასვლა, განსხვავებით აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოსგან, **სავალდებულოა** (ჩვეულებრივ 67 წელი). ამასთან ერთად, ფართოდ არის გავრცელებული:

- კონტრაქტის დროებითი გაგრძელება;
- ემერიტუსის სტატუსი;
- კვლევითი ან საკონსულტაციო ჩართულობა პენსიის შემდეგ.

ამ მოდელის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ ასაკობრივი შეზღუდვა კომპენსირებულია ემერიტუსისა და ინსტიტუციური მემკვიდრეობის შენარჩუნების მექანიზმებით.

საფრანგეთი

საფრანგეთში პროფესორები ძირითადად დასაქმებულნი არიან სახელმწიფო სექტორში და ექვემდებარებიან ცენტრალიზებულ ადმინისტრაციულ და აკადემიურ კონტროლს. კადრების აკადემიური შეფასება ხორციელდება ეროვნული კომისიების მონაწილეობით და უკავშირდება კარიერულ წინსვლას, ადმინისტრაციული პოზიციების დაკავებას და კვლევით დაფინანსებას.

პოსტ-ტენურარის შეფასება ამ შემთხვევაში უფრო ბიუროკრატიული ხასიათისაა და ნაკლებად ინდივიდუალურად მორგებული. მიუხედავად ამისა, აკადემიური აქტივობის შემცირება რეალურ შედეგებს იწვევს ლექტორის ინსტიტუციურ სტატუსზე (Musselin, 2005). პენსიაზე გასვლა რეგულირდება სახელმწიფო კანონმდებლობით და მოიცავს მკაფიო ასაკობრივ ზღვრებს. ამასთან, მოქმედებს მექანიზმი **cumul emploi-retraite** (დასაქმებისა და პენსიაზე გასვლის შეთავსება), რომელიც პროფესორებს საშუალებას აძლევს პენსიის მიღების პარალელურად შეინარჩუნონ აკადემიური ან კვლევითი ჩართულობა. აღნიშნული მოდელის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს ცენტრალიზებული კონტროლი ასაკობრივი პოლიტიკის პირობებში.

რომ შევაჯამოთ ზემოთქმული დასავლეთის წამყვან ქვეყნებში უმაღლესი განათლების სისტემების თავისებურებათა შესახებ, ადვილად მივალთ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში უმთავრესად გამოყენებაშია ძირითადად ოთხი მოდელი:

1. **პროდუქტიულობაზე ორიენტირებული, ასაკობრივად ნეიტრალური მოდელი** (აშშ);
2. **შეფასებაზე დაფუძნებული კონტრაქტული მოდელი** (გაერთიანებული სამეფო);
3. **ასაკობრივი ზღვრის მქონე სახელმწიფოებრივი მოდელი** (გერმანია, საფრანგეთი);
4. **აკადემიური მემკვიდრეობის ინსტიტუციონალიზაცია** (ემერიტუსი, phased retirement– ეტაპობრივი პენსიაზე გასვლა).

ეს მოდელები ქმნის ანალიტიკურ საფუძველს საქართველოს პრაქტიკის შეფასებისა და ისეთი რეგლამენტის შემუშავებისთვის, რომელიც ერთდროულად:

- შეესაბამება ასაკობრივი დისკრიმინაციის აკრძალვას;
- უზრუნველყოფს აკადემიური ხარისხის კონტროლს;
- ქმნის პენსიაზე გასვლის რეალისტურ და ჰუმანურ ჩარჩოს.

საქართველო

საქართველოს უმაღლესი განათლების სფერო რეგულირდება რამდენიმე ძირითადი ნორმატიული აქტით, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის დასაქმების, შეფასებისა და პენსიაზე გასვლის სამართლებრივ ჩარჩოს, რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია **საქართველოს კონსტიტუციას**, **შრომის კოდექსს** და **უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს**.

კონსტიტუციური დონეზე გარანტირებულია შრომის თავისუფლება და თანასწორობის პრინციპი, რაც მოიცავს ასაკობრივი დისკრიმინაციის აკრძალვას. აღნიშნული პრინციპი დეტალიზებულია შრომის კოდექსში, რომელიც კრძალავს დასაქმების სფეროში ნებისმიერი სახის განსხვავებულ მოპყრობას ასაკის საფუძველზე, გარდა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კანონით პირდაპირ დასაშვები გამონაკლისებისა. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი აკადემიურ პერსონალს განსაზღვრავს როგორც განსაკუთრებულ კატეგორიას, რომელიც სარგებლობს აკადემიური თავისუფლებითა და ინსტიტუციური ავტონომიით. თუმცა კანონი მხოლოდ ზოგადად მიუთითებს აკადემიური საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე და არ ქმნის დეტალურ მექანიზმებს ტენურარის, პოსტ-ტენურარის შეფასებისა ან პენსიაზე გასვლის ინსტიტუციური მართვისთვის.

აკადემიური ტენურარის სამართლებრივი სტატუსი საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ტენურარის ცნების ერთიანი, მკაფიო და სრული სამართლებრივი განსაზღვრის შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პრაქტიკაში ტენურარი ხშირად ინტერპრეტირდება როგორც: ა/ გრძელვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულება, ან ბ/ შედარებით სტაბილური აკადემიური პოზიცია, ან გ/ სტატუსი, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული თვითნებობისგან დაცვის საშუალებას. თუმცა ტენურარის სტატუსისთვის მისი შინაარსის დაკონკრეტება უმეტესწილად მინდობილია უნივერსიტეტების შიდა რეგლამენტებისა და წესდებებისთვის. ეს ქმნის მისი გამოყენების ფრაგმენტულ პრაქტიკას, რის გამოც: სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტში ტენურარის პირობები განსხვავებულია; კადრების შეფასების კრიტერიუმები ხშირად არ არის მკაფიოდ განსაზღვრული; ტენურარი იშვიათად განიხილება, როგორც პოსტ-ტენურარის სისტემური წინაპირობა. ამის შედეგად, ტენურარი საქართველოში უფრო ხშირად ფუნქციონირებს როგორც ფორმალური სტატუსი, ვიდრე ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი.

აკადემიური პერსონალის შეფასების არსებული პრაქტიკა

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში აკადემიური პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება: ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების შესრულების ფარგლებში; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემების მეშვეობით; კონკურსებისა და ხელშეკრულებების განახლების პროცესში. ისინი ხშირად ტენდენციურად ხორციელდება, რაც სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა. ეს მექანიზმები, როგორც წესი, არ არის რეგულარული და ციკლური; ნაკლებად ინდივიდუალურია და იშვიათად უკავშირდება პროფესიული განვითარების გეგმებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **პოსტ-ტენურარის შეფასება,** როგორც ცალკე ინსტიტუციური მექანიზმი, პრაქტიკულად არ არსებობს. შეფასება ხშირად ხდება ფორმალურად, რაოდენობრივი ინდიკატორების გარეშე, ან მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, რაც არღვევს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ „განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების“ პრინციპს.

აკადემიური სტატუსები ასაკთან მიმართებაში

საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს სავალდებულო საპენსიო ასაკს აკადემიური პერსონალისთვის. პენსიაზე გასვლა წარმოადგენს ინდივიდის პირად არჩევანს, რაც სრულად შეესაბამება ასაკობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა ინსტიტუციურ დონეზე არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი:

- არ არის შემუშავებული და ჩამოყალიბებული **phased retirement-ის** (პენსიაზე ეტაპობრივი გასვლა) მექანიზმები;
- არ არსებობს **„ემერიტუსის“** სტატუსის ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო;
- პენსიაზე გასვლა უმთავრესად ხდება არანებაყოფლობით, უეცრად და არაინსტიტუციურად.

ამ ხარვეზების გამო საქართველოს უნივერსიტეტები ვერ ახერხებენ: ა/ ცოდნისა და გამოცდილების სისტემურ გადაცემას; ბ/ ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის ეტაპობრივ ინტეგრაციას; გ/ ადამიანური რესურსების სტრატეგიულ დაგეგმვას.

ამ კონტექსტში ასაკი, მიუხედავად მისი ფორმალური ნეიტრალიტეტისა, ხშირად იქცევა არაპირდაპირ ფაქტორად აკადემიური პოლიტიკის მიღმა მიმდინარე გადაწყვეტილებებში, რაც მკვეთრად ზრდის სამართლებრივი დავების წარმოშობის შესაძლებლობას. ამდენად, საქართველოს აკადემიური სივრცის ანალიზი აჩვენებს რამდენიმე სისტემურ პრობლემას ზემოთ აღწერილი აკადემიური სტატუსების განსაზღვრაში და დიფერენცირებაში. კერძოდ, 1. არსებობს დიდი სამართლებრივი ბუნდოვანება ტენურარის შინაარსის გარკვევაში; 2. პოსტ-ტენურარის შეფასების სისტემა პრაქტიკულად არ არსებობს; 3. აკადემიური მუშაობის პროდუქტიულობის შეფასება არის არათანაბარი და გაუმჭვირვალე; 4. საერთოდ არ არსებობს პენსიაზე

ღირსეული გასვლის ალტერნატიული ინსტიტუციური მექანიზმები.

ზემოთჩამოთვლილი პრობლემები ქმნის ისეთ არასახარბიელო გარემოს, რომელშიც დიდწილად იგნორირებულია მოწინავე საერთაშორისო საგანმანათლებლო პრაქტიკის ღირებული მიღწევები. ამის შედეგად ვღებულობთ იმას, რომ: ა/ აკადემიური კადრების ასაკობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა მხოლოდ ფორმალურად არის დაცული. რეალურად ამ მხრივ მათი უფლებები უხეშად ირღვევა. ბ/ აკადემიური მუშაობის ხარისხის კონტროლი სუსტია, ეკლექტურია და საჭიროებს კომპეტენტურ კორექტირებას; გ/ უნივერსიტეტების სტრატეგიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები სუსტია ან არ არსებობს.

ამრიგად, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო ქმნის ნეიტრალურ, მაგრამ არასაკმარისად ფუნქციურ გარემოს აკადემიური სტანდარტების შესანარჩუნებლად. საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარება ცხადყოფს, რომ ძირითადი გამოწვევა არ არის სამართლებრივი აკრძალვები, არამედ არის **შიდა რეგლამენტების ნაკლებობა**, რომლებიც პროდუქტიულობასა და პასუხისმგებლობას ერთმანეთთან დააკავშირებდა ასაკისგან დამოუკიდებლად.

საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ განვითარებულ აკადემიურ სისტემებში პროფესორის და ლექტორის ასაკი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სამართლებრივ ან ინსტიტუციურ კრიტერიუმს პერსონალის დასაქმების გაგრძელების ან შეწყვეტისათვის. აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში ძირითადი აქცენტი კეთდება **აკადემიურ პროდუქტიულობაზე**, რომელიც განისაზღვრება მკაფიოდ გაწერილი და პერიოდულად განახლებადი ინდიკატორებით. საქართველოს შემთხვევაში საკითხი გართულებულია: აკადემიური კადრების პროდუქტიულობის კრიტერიუმები არ არის სტანდარტიზებული; მათი გამოყენების დროს არ არის დაცული თანაბრობის მოთხოვნა; ისინი არ უკავშირდება ციკლურ შეფასებას. იქ, სადაც პროდუქტიულობის შეფასება სუსტია ან გაუმჭვირვალე, ასაკი შეიძლება იქცეს შეფასების არაპირდაპირ ფაქტორად.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს საგანმაბათლებლო პრაქტიკაში აკადემიური კადრების შეფასებაში შრომის პროდუქტიულობაზე აქცენტირება საფუძველს ქმნის პოსტ-ტენურარის შეფასებისთვის, რომელიც საბოლოოდ წარმოადგენს **განვითარებაზე ორიენტირებულ ინსტიტუტს** და ემსახურება: აკადემიური ხარისხის შენარჩუნებას; პროფესორის პროფესიულ განვითარებას; უნივერსიტეტის სტრატეგიულ ინტერესებს. გერმანიასა და საფრანგეთში პოსტ-ტენურარის შეფასება ნაკლებად არის ფორმალიზებული, თუმცა პერსონალის ასაკობრივი ზღვრის არსებობა და კონტროლის ცენტრალიზებული სისტემა ნაწილობრივ ანაცვლებს ამ მექანიზმს. საქართველოში პოსტ-ტენურარის შეფასება, როგორც ცალკე ინსტიტუციური პროცედურა, პრაქტიკულად არ არსებობს. შეფასება ხშირად დაკავშირებულია კონტრაქტის განახლებასთან, რაც: ა/ ზრდის ადმინისტრაციული ზეწოლის რისკს; ბ/ არღვევს შეფასების დამოუკიდებლობის პრინციპს; გ/ ამცირებს აკადემიური თავისუფლების დაცვის დონეს. საქართველოს მოდელი ფორმალურად შეესაბამება ნებაყოფლობითობის პრინციპს, თუმცა ინსტიტუციური ინსტრუმენტების არქონა იწვევს: პენსიაზე მოულოდნელ და არაინსტიტუციურ, არაკონსტრუქციულ გასვლას; აკადემიური მემკვიდრეობის დაკარგვას; ადამიანური რესურსების დაგეგმვის სირთულეს.

უნივერსიტეტის ავტონომიის და რეგლამენტის როლი

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც კი გადამწყვეტ როლს ასრულებს **შიდა რეგლამენტი**, რომელიც: აკონკრეტებს საკანონმდებლო ჩარჩოს; ადგენს შეფასების პროცედურებს; ქმნის ბალანსს აკადემიურ თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის. საქართველოს შემთხვევაში უნივერსიტეტების ავტონომია საკმარისია მსგავსი რეგლამენტების შესამუშავებლად, თუმცა პრაქტიკაში ეს შესაძლებლობა არასაკმარისად არის გამოყენებული.

უმაღლესი განათლების ზემოთ წარმოდგენილი მოდელების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მთავარი პრობლემას წარმოადგენს არა ის, რომ არის სამართლებრივი შეზღუდვები, არამედ ის, რომ არსებობს გამართული **ინსტიტუციური რეგლამენტაციების მწვავე დეფიციტი**. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ: ასაკობრივი ნეიტრალიტეტი და ხარისხის კონტროლი თავსებადია; პოსტ-ტენურარის შეფასება ამცირებს ასაკობრივ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კონფლიქტებს; ხოლო phased retirement ქმნის ჰუმანურ და სამართლებრივად მდგრად გამოსავალს აკადემიური კადრების მიმართ არაადეკვატური დმოკიდებულებების ვითარებებიდან.

ტენუარის (უვადო დასაქმების) ინსტიტუტი საქართველოს რეალობაში

ტენუარის (უვადო დასაქმების) ინსტიტუტი წარმოადგენს აკადემიური თავისუფლებისა და პროფესიული სტაბილურობის ერთ-ერთ ძირითად გარანტიას თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში. მისი მიზანია, აკადემიური პერსონალი დაცული იყოს ადმინისტრაციული ზეწოლისგან და ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად განახორციელოს კვლევითი და სასწავლო საქმიანობა. საქართველოში აღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივი მოწესრიგება არაერთ წინააღმდეგობას აჩენს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის ასახული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ნორმატიულ აქტებში (Goroshidze & Mgeladze, 2023; Veshapidze, 2023).

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში, აკადემიური პერსონალის შერჩევა, როგორც წესი, ხორციელდება კონკურსის საფუძველზე მხოლოდ ერთხელ — სამსახურში მიღების ეტაპზე. წარმატებული შეფასებისა და საცდელი პერიოდის (probationary period) დასრულების შემდეგ (რომელიც საქართველოს ორგანული კანონით -„ შრომის კოდექსით“ განისაზღვრება 30 თვით), აკადემიური თანამშრომელი იღებს უვადო სტატუსს - ტენუარს (tenure). ამ სტატუსის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემდგომში თანამშრომლის საქმიანობა ფასდება პროფესიული ხარისხისა და აკადემიური ეთიკის მიხედვით და არა პერიოდული, ფორმალური და დამამცირებელი კონკურსების გზით. კონკურსების სისტემატური განმეორება ტენუარის არსს ეწინააღმდეგება და აღიქმება როგორც შრომითი უფლებების და აკადემიური დამოუკიდებლობის შეზღუდვის მექანიზმი.

საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის - მე-12 მუხლის თანახმად, თუ შრომითი ურთიერთობა გარკვეული პირობების არსებობისას გრძელდება განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, იგი გარდაიქმნება უვადო შრომით ურთიერთობად. აღნიშნული ნორმა გამოხატავს დასაქმებულთა შრომითი სტაბილურობის პრინციპს და უნდა გამოიყენებოდეს აკადემიური პერსონალის, როგორც დასაქმებული კადრების მიმართაც. შესაბამისად, შრომის კოდექსის ლოგიკიდან გამომდინარე, აკადემიური თანამშრომელი, რომელიც კანონიერად არის მიღებული სამსახურში და ახორციელებს შრომით საქმიანობას, უნდა სარგებლობდეს უვადო დასაქმების სამართლებრივი დაცვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის მკაფიოდ და კონსტიტუციურად დასაბუთებულად განსაზღვრული.

პრაქტიკაში კი, სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებებში ხშირად გვხვდება რეგულაციები, რომლებიც სათანადოდ არ არის ჰარმონიზებული საქართველოს კონსტიტუციასთან, საქართველოს ორგანულ კანონთან (შრომის კოდექსთან), საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ. ასეთი წესდებები აკადემიური პერსონალისთვის აწესებს პერიოდულ კონკურსებს, მიუხედავად იმისა, რომ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად უწყვეტია, რომელიც განსაზღვრულია შრომის კოდექსის იმპერატიული მოთხოვნით. აღნიშნული მიდგომა აჩენს სამართლებრივ კოლიზიას და ეწინააღმდეგება სამართლის იერარქიის პრინციპს, რომლის მიხედვითაც შიდა ნორმატიული აქტი ვერ შეეწინააღმდეგება ვერც საქართველოს კანონს, ვერც ორგანულ კანონს და ვერც კონსტიტუციას. ასეთის არსებობის შემთხვევაში, იგი ბათილია.

2023 წლის 6 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოში მიღებულია სარჩელი, რომელიც ეხება სწორედ ამ პრობლემატიკას — აკადემიური პერსონალის შრომითი სტატუსის კონსტიტუციურობას და ტენუარის ინსტიტუტის რეალურ არსებობას საქართველოში (https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16042). დავის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიძლება თუ არა შიდა რეგულაციებით გაუქმდეს ან შეიზღუდოს ის უფლებები, რომლებიც გარანტირებულია კონსტიტუციითა და ორგანული კანონებით.

დასკვნა

სტატიაში განხილული პრობლემატიკის სირთულისა და მრავალგანზომილებიანობის გათვალისწინებით, მიღებული დასკვნები ერთმნიშვნელოვანი ხასიათის არ არის და გამოირჩევა შინაარსობრივი სიღრმითა და კომპლექსურობით, რაც განაპირობებს მათი მრავალმხრივი ანალიზის აუცილებლობას.

I. კვლევის ზოგადი შეფასება და პრობლემის კონცეპტუალური ჩარჩო

წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში აკადემიური პერსონალის მართვის ძირითადი გამოწვევები დაკავშირებულია არა მოქმედი კანონმდებლობის არსობრივ ხარვეზებთან, არამედ იმ ინსტიტუციურ მექანიზმებთან, რომელთა მეშვეობითაც ეს კანონმდებლობა პრაქტიკაში რეალიზდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია, შრომის კოდექსი და უმაღლესი განათლების მარეგულირებელი კანონები ფორმალურად უზრუნველყოფს ასაკობრივი დისკრიმინაციის აკრძალვას, აკადემიური თავისუფლების დაცვას და შრომითი სტაბილურობის პრინციპს, აღნიშნული ნორმები ინსტიტუციურ დონეზე სრულფასოვნად არ ტრანსფორმირდება ეფექტიან მმართველობით პრაქტიკად. კვლევა ადასტურებს, რომ აკადემიური სისტემის მდგრადობა პირდაპირ არის დაკავშირებული ასაკობრივ ნეიტრალობაზე დაფუძნებულ მმართველობასთან, რომელიც ორიენტირებულია პროფესიულ პროდუქტიულობაზე, აკადემიურ ხარისხსა და პასუხისმგებლობაზე და არა ბიოლოგიურ ასაკზე ან ადმინისტრაციის პირად გადაწყვეტილებაზე.

II. სამართლებრივი ჩარჩო და ინსტიტუციური კოლიზიები

საქართველოს შრომის კოდექსი მკაფიოდ ადგენს შრომითი ურთიერთობების სტაბილურობის პრინციპს, რომლის თანახმად, კანონით განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში, შრომითი ურთიერთობა გარდაიქმნება უვადო შრომით ურთიერთობად. აღნიშნული ნორმა უნივერსალურია და აკადემიური პერსონალის მიმართაც ვრცელდება. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აკადემიური პერსონალისთვის სავალდებულო საპენსიო ასაკს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ასაკობრივი ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის აუცილებლობას. თუმცა პრაქტიკაში სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებებში ფართოდ არის გავრცელებული რეგულაციები, რომლებიც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს პერიოდულად გაიაროს კონკურსები უკვე არსებული შრომითი ურთიერთობის პირობებში. ასეთი მიდგომა ქმნის სამართლებრივ კოლიზიას კონსტიტუციურ ნორმებს, შრომის კოდექსსა და ნორმატიული აქტების იერარქიის პრინციპთან მიმართებით და რეალურად ასუსტებს ტენუარის ინსტიტუტის ფუნქციურ შინაარსს. აღნიშნული სამართლებრივი დისბალანსი ზრდის როგორც ინდივიდუალური სამართლებრივი დავების წარმოშობის რისკს, ისე ინსტიტუციურ დაძაბულობას აკადემიურ სივრცეში, რაც ნეგატიურად აისახება უნივერსიტეტების სტაბილურობასა და რეპუტაციაზე.

III. ტენუარის ინსტიტუტის არსი და მისი დეფიციტი საქართველოს რეალობაში

ტენუარის (უვადო დასაქმების) ინსტიტუტი თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში წარმოადგენს აკადემიური თავისუფლების, პროფესიული სტაბილურობისა და კვლევითი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ძირითად გარანტიას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ აკადემიური თანამშრომლის საქმიანობის შეფასება ეფუძნებოდეს პროფესიულ შედეგებს, აკადემიურ ეთიკასა და ხარისხობრივ ინდიკატორებს და არა ადმინისტრაციული ნების ან პერიოდული ფორმალური პროცედურების მოთხოვნებს.

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ტენუარის მინიჭება, როგორც წესი, ხდება ერთჯერადი კონკურსის, საცდელი პერიოდის (probationary period) და კომპლექსური შეფასების საფუძველზე. ტენუარის მიღების შემდეგ, კონტროლის მექანიზმი ინარჩუნებს ფორმას პოსტ-ტენუარის შეფასების სისტემის სახით, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის გარეშე.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ტენუარის შინაარსი ხშირად ბუნდოვანი და ფრაგმენტულია. უვადო დასაქმება ან არ არის პირდაპირ აღიარებული, ან პრაქტიკაში ნეიტრალდება განმეორებითი კონკურსების გზით, რაც ეწინააღმდეგება ტენუარის კონცეპტუალურ არსს და ქმნის მუდმივი ინსტიტუციური არასტაბილურობის განცდას აკადემიური პერსონალისთვის.

IV. შეფასების მექანიზმები და აკადემიური ხარისხის კონტროლი

კვლევა აჩვენებს, რომ აკადემიური საქმიანობის შეფასების სისტემა საქართველოში არასაკმარისად სტრუქტურირებული და სტანდარტიზებულია. აკადემიური პროდუქტიულობის, კვლევითი შედეგებისა და სასწავლო ხარისხის შეფასების კრიტერიუმები ხშირად არ არის ურთიერთჰარმონიზებული არც უნივერსიტეტებს შორის და არც ერთი და იმავე ინსტიტუციის ფარგლებში.

პოსტ-ტენუარის შეფასების ინსტიტუციური არარსებობა ან ფორმალური ხასიათი ხელს უშლის როგორც ხარისხის სისტემურ კონტროლს, ისე პროფესიული განვითარების წახალისებას. ამის შედეგად, აკადემიური მუშაობის შეფასება

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ხშირად აღიქმება არა როგორც განვითარების ინსტრუმენტი, არამედ როგორც ადმინისტრაციული კონტროლის მექანიზმი, რაც აზიანებს აკადემიურ მოტივაციასა და დამოუკიდებლობას.

V. პენსიაზე გასვლის პოლიტიკა, phased retirement და ემერიტუსის ინსტიტუტი

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ და კონსტრუქციულ პრობლემას წარმოადგენს პენსიაზე გასვლის ალტერნატიული, ცივილიზებული მოდელების ნაკლებობა. პრაქტიკაში პენსიაზე გასვლა ხშირად ხდება არაინსტიტუციური ნორმების საფუძველზე, რაც იწვევს:

- ან პირადი ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას;
- ან დროებითი და სიტუაციური შეთანხმებებით გადაწყვეტილებების მიღებას;
- ან გამოცდილი აკადემიური კადრების ნაადრევ დაკარგვას;
- ან კონფლიქტურ და სხვა არამდგრად ვითარებებს.

საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისთვის phased retirement-ის (ეტაპობრივად პენსიაზე გასვლის) მექანიზმები და ემერიტუსის სტატუსის მკაფიოდ განერილი ინსტიტუციური ჩარჩო უზრუნველყოფს პროფესიული ღირსების შენარჩუნებას, აკადემიურ რესურსებზე წვდომას და ცოდნის სისტემურ გადაცემას ახალგაზრდა აკადემიური პერსონალისთვის. საქართველოში ემერიტუსის სტატუსი უმეტეს შემთხვევაში ატარებს სიმბოლურ ხასიათს და მოკლებულია რეალურ ფუნქციურ დატვირთვას.

VI. ინსტიტუციური მართვა და ადამიანური რესურსების სტრატეგიული განვითარება

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აკადემიური პერსონალის მართვა საქართველოში ნაკლებად არის დაკავშირებული გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვასთან. ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის ინტეგრაცია, მენტორობის ინსტიტუტის განვითარება და ცოდნის გადაცემის მექანიზმები ფრაგმენტულია ან სრულიად არარსებული. ეფექტიანი აკადემიური სისტემა მოითხოვს ადამიანური რესურსების მართვის ისეთი მოდელის არსებობას, რომელიც აერთიანებს სტაბილურობას, პროფესიულ განვითარებასა და შედეგიანობის შეფასებას და ამავდროულად უზრუნველყოფს ინსტიტუციურ პროგნოზირებადობას.

VII. ტენურის (უვადო დასაქმების) ინსტიტუტი და მისი სამართლებრივი პრობლემატიკა საქართველოში

ტენურის (უვადო დასაქმების) ინსტიტუტი წარმოადგენს აკადემიური კადრების თავისუფლებისა და პროფესიული სტაბილურობის ერთ-ერთ ძირითად გარანტიას თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში. მისი მიზანია, აკადემიური პერსონალი დაცული იყოს ადმინისტრაციული ზეწოლისგან და ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა. საქართველოში აღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივი მოწესრიგება არაერთ წინააღმდეგობას აწყდება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ნორმატიულ აქტებში.

საქართველოს შრომის კოდექსი და უვადო დასაქმება. საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, თუ შრომითი ურთიერთობა გარკვეული პირობების არსებობისას გრძელდება 30 თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, იგი გარდაიქმნება უვადო შრომით ურთიერთობად. აღნიშნული ნორმა ემსახურება შრომითი სტაბილურობის პრინციპს და გამოიყენება ყველა კატეგორიის დასაქმებულთა მიმართ აკადემიური პერსონალის ჩათვლით. შესაბამისად, შრომის კოდექსის ლოგიკიდან გამომდინარე, აკადემიური თანამშრომელი, რომელიც კანონიერად არის მიღებული სამსახურში და ასრულებს შრომით ვალდებულებებს, უნდა სარგებლობდეს უვადო დასაქმების სამართლებრივი გარანტიებით, თუ სხვა რამ კანონით მკაფიოდ არ არის განსაზღვრული და კონსტიტუციასთან ჰარმონიზებული.

პრობლემები სახელმწიფო უნივერსიტეტების წესდებებში. პრაქტიკაში, საქართველოში სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებებში ხშირად გვხვდება რეგულაციები, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულებით არ არის ჰარმონიზებული არც საქართველოს კონსტიტუციასთან, არც საქართველოს ორგანულ კანონებთან (შრომის კოდექსთან და სხვ.) და არც საქათველოს კანონებთან. ასეთი წესდებები აკადემიური პერსონალისთვის აწესებს პერიოდულ კონკურსებს განურჩევლად მათი გამოცდილებისა და მიუხედავად იმისა, რომ 30 თვეზე მეტი გამოცდილების შემთხვევაში შრომითი ურთიერთობა ითვლება უწყვეტად (რაც არის ორგანული კანონის იმპერატიული მოთხოვნა). ზემოაღნიშნული მიდგომა აჩენს სამართლებრივ კოლიზიას და

ეწინააღმდეგება კანონს ნორმატიული აქტების იერარქიის შესახებ, რომლის მიხედვითაც შიდა ნორმატიული აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზემდებარე კანონებს და კონსტიტუციას.

საკონსტიტუციო დავის კონტექსტი. 2023 წლის 6 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში აქვს მიღებული სარჩელი, რომელიც ეხება სწორედ ამ პრობლემატიკას — აკადემიური პერსონალის შრომითი სტატუსის კონსტიტუციურობას და ტენურარის ინსტიტუტის რეალური არსებობის უზრუნველყოფას საქართველოში. დავის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაუქმდეს ან შეიზღუდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ის შიდა რეგულაციები და უფლებები, რომლებიც დაუშვებელია კონსტიტუციისა და ორგანული კანონების სამართლებრივი ნორმებით.

VIII. საბოლოო შეფასება

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევა არის ტენურარის ინსტიტუტის, შეფასების მექანიზმებისა და ეტაპობრივად პენსიაზე გასვლის პოლიტიკას შორის სისტემური კავშირის არარსებობა. მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო იძლევა ამ პრობლემების გადაჭრის საკმარის საფუძველს, თუმცა მათი რეალიზება საჭიროებს შიდა რეგლამენტაციების, ინსტიტუციური პოლიტიკისა და მმართველობითი კულტურის ფუნდამენტურ რეფორმას.

ტენურარის ინსტიტუტის თანამედროვე მნიშვნელობით ლეგალიზება, პოსტ-ტენურარის შეფასების სისტემური დანერგვა, phased retirement-ისა და ემერიტუსის ინსტიტუტის ფუნქციური გაძლიერება წარმოადგენს იმ აუცილებელ წინაპირობებს, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხზე ორიენტირებულ, სამართლიან და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებად განვითარებას.

ყოველივე ზემოთქმულის რეალიზებისთვის სრულიად აუცილებელია და საკმარისია 7 მარტივი და კანონიერი პროცედურის ერთდროულად, კომპლექსურად განხორციელება:

1. აკადემიური პერსონალის მართვის პრინციპების კორექტიკრება;
2. თანამედროვე მნიშვნელობით ტენურარის სტატუსის ლეგალიზება;
3. პოსტ-ტენურის შეფასების ინსტიტუციონალიზაცია;
4. აკადემიური კადრების შეფასების კრიტერიუმების ურთიერთჰარმონიზაცია;
5. ნებაყოფლობით პენსიაზე გასვლის ცივილიზებული მოდელის დანერგვა;
6. ემერიტუსის ინსტიტუტის გაძლიერება და გაფართოება;
7. პერსონალის შეფასების სამართლებრივი და ინსტიტუციური დაცვის უზრუნველყოფა.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ფუნდამენტური ტრანსფორმაციის პროცესშია, სადაც რეფორმის ცენტრალურ ღერძს განათლების ხარისხის უწყვეტი ამაღლება და მისი ევროპულ სტანდარტებთან (ESG) ჰარმონიზაცია წარმოადგენს. ხარისხის უზრუნველყოფა არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციას, არამედ, პირველ რიგში, აკადემიური პერსონალის პროფესიული მდგრადობისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმების დახვეწას გულისხმობს. სტატიაში განხილული საკითხები — პოსტ-ტენურარის შეფასება და ეტაპობრივად პენსიაზე ღირსეული გასვლის მოქნილი მოდელები — პირდაპირ კავშირშია ხარისხის ამაღლების სტრატეგიულ პრიორიტეტთან. აკადემიური ხარისხის შენარჩუნება შეუძლებელია მუდმივი მონიტორინგისა და პროდუქტიულობის შეფასების გარეშე, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებთან პროფესორ-მასწავლებელთა კომპეტენციების შესაბამისობას უზრუნველყოფს. ამასთანავე, პენსიაზე გასვლის ეტაპობრივი და ნებაყოფლობითი მექანიზმების დანერგვა უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციური მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, რაც ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვისა და გამოცდილი პერსონალის ინტელექტუალური რესურსის რაციონალური გამოყენების ბალანსს ქმნის. საქართველოს სამართლებრივი გარემო, რომელიც ასაკის მიმართ ნეიტრალურია, საჭიროებს პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, რათა ხარისხის კონტროლი არ იქცეს ფორმალობად. კვლევა მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული შიდა ინსტიტუციური რეგლამენტების შექმნა არის გზა არა გამოცდილი აკადემიური პერსონალის შეზღუდვისკენ და შემცირებისკენ, არამედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობისა და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მაღალი სტანდარტის გარანტიების შექმნისკენ.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

STUDENTS' PERCEPTIONS OF CHATGPT INTEGRATION IN HIGHER EDUCATION

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: December 17, 2025
Published: December 29, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-36

Nugzar Todua
Doctor of Economics Science,
Professor and Head of Marketing Department,
Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: http://orcid.org/0000-0002-1486-2141
E-mail: nugzar.todua@tsu.ge

Grigol Kartsivadze
PhD Student,
Faculty of Economics
and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: http://orcid.org/0009-0000-7799-9017
E-mail: grigol.kartsivadze@tsu.ge

ABSTRACT

The increasing integration of ChatGPT into higher education underscores the importance of evaluating its impact on the educational landscape. As this AI-driven technology gains traction, understanding its effects on both pedagogical practices and student development is crucial. This context highlights the relevance of investigating student perceptions regarding the utilization of ChatGPT for academic endeavors, a subject of growing interest among higher education researchers. While recent research has explored this area, the development of predictive models for student adoption of ChatGPT remains limited. Therefore, this study aims to analyze the influence of ChatGPT on students' academic performance, alongside an examination of their behavioral intentions and attitudes towards the technology. Drawing upon the Technology Acceptance Model (TAM), a framework frequently employed in related research, this study investigates the factors influencing students' adoption of ChatGPT. Extending the TAM model, the study incorporates perceived ease of use, perceived usefulness, and social influence as independent variables. Student attitude towards ChatGPT serves as a mediating variable, while behavioral intention and usage behavior are the dependent variables. Based on the literature analysis, suitable provisions for the research variables have been identified, which have enabled the formulation of hypotheses and the development of a conceptual model for the study. Data were collected via an online survey, with respondents selected through a probability sampling method. A total of 390 students across Georgia participated in the survey. The

collected data were analyzed using regression analysis. The statistically significant results obtained support the reliability of the research findings. Specifically, the analysis reveals a significant relationship between student attitude towards ChatGPT and perceived ease of use (ß = 0.614, t = 15.305, P = 0.000), perceived usefulness (ß = 0.670, t = 17.787, P = 0.000), and social influence (ß = 0.583, t = 14.124, P = 0.000). Furthermore, student attitude towards ChatGPT demonstrates a significant relationship with behavioral intention (ß = 0.051, t = 755, P = 0.000), which in turn significantly influences usage behavior (ß = 0.776, t = 24.252, P = 0.000).

The findings indicate that the integration of ChatGPT into higher education yields a notable influence on both the academic performance and learning engagement of Georgian students. The research demonstrates a favorable student disposition towards the application of ChatGPT within the Georgian higher education landscape. Results reveal that a majority of students perceive ChatGPT as both accessible and beneficial, further asserting its capacity to enhance the learning process. According to the study, Georgian students generally consider the information produced by ChatGPT to be adequately accurate and reliable, thereby encouraging its prevalent adoption in academic pursuits. The study suggests students exhibit a readiness to embrace emerging technologies, finding their implementation straightforward. Attitudes towards ChatGPT are also shaped by the perceptions of peers and instructors, highlighting the substantial social influence exerted on this adoption process. Concurrently, a positive attitude regarding ChatGPT correlates with students' behavioral intentions, fostering the widespread integration of this technology into academic endeavors. Cumulatively, these factors underscore the positive impact of ChatGPT on the learning process. Statistical analysis of the research data revealed significant indicators that reflect positive correlations between the variables examined. The research outcomes demonstrate the relevance of the selected ChatGPT usage characteristics in relation to students. Consequently, the research findings possess theoretical significance in the context of utilizing ChatGPT as an artificial intelligence tool in higher education. Practical application of the research results will benefit stakeholders interested in artificial intelligence, enabling them to broaden their understanding of ChatGPT technology and actively leverage it in their respective domains. Our research findings regarding the integration and application of ChatGPT provide a robust framework for exploring other innovative technologies. This exploration can potentially improve the quality of higher education in Georgia and foster the development of students' academic activities.

Keywords: *Higher education, artificial intelligence, ChatGPT, student behavior, marketing research.*

REFERENCES:

1. Abdi, A. N. M., Omar, A. M., Ahmed, M. H., & Ahmed, A. A. (2025). The predictors of behavioral intention to use ChatGPT for academic purposes: evidence from higher education in Somalia. *Cogent Education*, *12*(1), 2460250.

2. Acosta-Enriquez, B. G., Arbulú Ballesteros, M. A., Huamaní Jordan, O., López Roca, C., & Saavedra Tirado, K. (2024). Analysis of college students' attitudes toward the use of ChatGPT in their academic activities: effect of intent to use, verification of information and responsible use. *BMC psychology*, *12*(1), 255.

3. Al-Adwan, A. S., & Al-Debei, M. M. (2024). The determinants of Gen Z's metaverse adoption decisions in higher education: Integrating UTAUT2 with personal innovativeness in IT. *Education and Information Technologies*, *29*(6), 7413-7445.

4. Almulla, M. A. (2024). Investigating influencing factors of learning satisfaction in AI ChatGPT for research: University students perspective. *Heliyon*, *10*(11).

5. Al-Rahmi, W. M., Yahaya, N., Alturki, U., Alrobai, A., Aldraiweesh, A. A., Omar Alsayed, A., & Kamin, Y. B. (2022). Social media–based collaborative learning: The effect on learning success with the moderating role of cyberstalking and cyberbullying. *Interactive Learning Environments*, *30*(8), 1434-1447.

6. Alshammari, S. H., & Babu, E. (2025). The mediating role of satisfaction in the relationship between perceived usefulness, perceived ease of use and students' behavioural intention to use ChatGPT. *Scientific Reports*, *15*(1), 7169.

7. Benuyenah, V. (2023). Commentary: ChatGPT use in higher education assessment: Prospects and epistemic threats. *Journal of Research in Innovative Teaching & Learning*, *16*(1), 134-135.

8. Camilleri, M. A. (2024). Factors affecting performance expectancy and intentions to use ChatGPT: Using SmartPLS to advance an information technology acceptance framework. *Technological Forecasting and Social Change*, *201*, 123247.

9. Chai, C. S., Lin, P. Y., Jong, M. S. Y., Dai, Y., Chiu,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

T. K., & Qin, J. (2021). Perceptions of and behavioral intentions towards learning artificial intelligence in primary school students. *Educational Technology & Society*, *24*(3), 89-101.

10. Chen, Y., Jensen, S., Albert, L. J., Gupta, S., & Lee, T. (2023). Artificial intelligence (AI) student assistants in the classroom: Designing chatbots to support student success. *Information Systems Frontiers*, *25*(1), 161-182.

11. Dahri, N. A., Yahaya, N., Al-Rahmi, W. M., Aldraiweesh, A., Alturki, U., Almutairy, S., ... & Soomro, R. B. (2024). Extended TAM based acceptance of AI-Powered ChatGPT for supporting metacognitive self-regulated learning in education: A mixed-methods study. *Heliyon*, *10*(8).

12. Davis, F. D. (1989). Perceived usefulness, perceived ease of use, and user acceptance of information technology. *MIS quarterly*, 319-340.

13. Foon, P. Y., Ganesan, Y., Iranmanesh, M., & Foroughi, B. (2020). Understanding the behavioural intention to dispose of unused medicines: An extension of the theory of planned behaviour. *Environmental Science and Pollution Research*, *27*(22), 28030-28041.

14. Foroughi, B., Iranmanesh, M., & Hyun, S. S. (2019). Understanding the determinants of mobile banking continuance usage intention. *Journal of Enterprise Information Management*, *32*(6), 1015-1033.

15. Foroughi, B., Senali, M. G., Iranmanesh, M., Khanfar, A., Ghobakhloo, M., Annamalai, N., & Naghmeh-Abbaspour, B. (2024). Determinants of intention to use ChatGPT for educational purposes: Findings from PLS-SEM and fsQCA. *International Journal of Human–Computer Interaction*, *40*(17), 4501-4520.

16. Ge, Y., Qi, H., & Qu, W. (2023). The factors impacting the use of navigation systems: A study based on the technology acceptance model. *Transportation research part F: traffic psychology and behaviour*, *93*, 106-117.

17. Geostat (2024). *Education.* Retrieved from https://www.geostat.ge/en/modules/categories/193/education

18. Hasanein, A. M., & Sobaih, A. E. E. (2023). Drivers and consequences of ChatGPT use in higher education: Key stakeholder perspectives. *European journal of investigation in health, psychology and education*, *13*(11), 2599-2614.

19. Heslop, L. A., Papadopoulos, N., & Bourk, M. (1998). An interregional and intercultural perspective on subcultural differences in product evaluations. *Canadian Journal of Administrative Sciences/Revue Canadienne des Sciences de l'Administration*, *15*(2), 113-127.

20. Kimiloglu, H., Ozturan, M., & Kutlu, B. (2017). Perceptions about and attitude toward the usage of e-learning in corporate training. *Computers in Human Behavior*, *72*, 339-349.

21. Krejcie, R. V., & Morgan, D. W. (1970). Determining sample size for research activities. *Educational and Psychological Measurement, 30*(3), 607-610.

22. Kwangsawad, A., & Jattamart, A. (2022). Overcoming customer innovation resistance to the sustainable adoption of chatbot services: A community-enterprise perspective in Thailand. *Journal of Innovation & Knowledge*, *7*(3), 100211.

23. Lund, B. D., Wang, T., Mannuru, N. R., Nie, B., Shimray, S., & Wang, Z. (2023). ChatGPT and a new academic reality: Artificial Intelligence-written research papers and the ethics of the large language models in scholarly publishing. *Journal of the Association for Information Science and Technology*, *74*(5), 570-581.

24. Maheshwari, G. (2024). Factors influencing students' intention to adopt and use ChatGPT in higher education: A study in the Vietnamese context. *Education and Information Technologies*, *29*(10), 12167-12195.

25. Malhotra, N. (2020). Marketing research: An applied orientation. 7th ed., Upper Saddle River, N.J.; London: Pearson Education.

26. Malinka, K., Peresíni, M., Firc, A., Hujnák, O., & Janus, F. (2023, June). On the educational impact of chatgpt: Is artificial intelligence ready to obtain a university degree?. In *Proceedings of the 2023 Conference on Innovation and Technology in Computer Science Education V. 1* (pp. 47-53).

27. Menon, D., & Shilpa, K. (2023). "Chatting with ChatGPT": Analyzing the factors influencing users' intention to Use the Open AI's ChatGPT using the UTAUT model. *Heliyon*, *9*(11).

28. Na, S., Heo, S., Han, S., Shin, Y., & Roh, Y. (2022). Acceptance model of artificial intelligence (AI)-based technologies in construction firms: Applying the Technology Acceptance Model (TAM) in combination with the Technology–Organisation–Environment (TOE) framework. *Buildings*, *12*(2), 90.

29. Obaid, O. I., Ali, A. H., & Yaseen, M. G. (2023). Impact of Chat GPT on scientific research: Opportunities, risks, limitations, and ethical issues. *Iraqi Journal for Computer Science and Mathematics*, *4*(4), 13-17.

30. Papakostas, C., Troussas, C., Krouska, A., & Sgouropoulou, C. (2023). Exploring users' behavioral intention to adopt mobile augmented reality in education through an extended technology acceptance

model. *International Journal of Human–Computer Interaction*, *39*(6), 1294-1302.

31. Park, S. Y., Nam, M. W., & Cha, S. B. (2012). University students' behavioral intention to use mobile learning: Evaluating the technology acceptance model. *British journal of educational technology*, *43*(4), 592-605.

32. Rawas, S. (2024). ChatGPT: Empowering lifelong learning in the digital age of higher education. *Education and Information Technologies*, *29*(6), 6895-6908.

33. Romero-Rodríguez, J. M., Ramírez-Montoya, M. S., Buenestado-Fernández, M., & Lara-Lara, F. (2023). Use of ChatGPT at university as a tool for complex thinking: Students' perceived usefulness. *Journal of New Approaches in Educational Research*, *12*(2), 323-339.

34. Salifu, I., Arthur, F., Arkorful, V., Abam Nortey, S., & Solomon Osei-Yaw, R. (2024). Economics students' behavioural intention and usage of ChatGPT in higher education: A hybrid structural equation modelling-artificial neural network approach. *Cogent Social Sciences*, *10*(1), 2300177.

35. Strzelecki, A. (2024). To use or not to use ChatGPT in higher education? A study of students' acceptance and use of technology. *Interactive learning environments*, *32*(9), 5142-5155.

36. Sun, P., Li, L., Hossain, M. S., & Zabin, S. (2025). Investigating students' behavioral intention to use ChatGPT for educational purposes. *Sustainable Futures*, *9*, 100531.

37. Tiwari, C. K., Bhat, M., Khan, S. T., Subramaniam, R., & Khan, M. A. I. (2024). What drives students toward ChatGPT? An investigation of the factors influencing adoption and usage of ChatGPT. *Interactive Technology and Smart Education*, *21*(3), 333-355.

38. Todua, N. (2012). *Marketing Research of Consumer Behavior in Georgian Market.* Tbilisi: Universal.

39. Todua, N. (2018). Impact of social media marketing on consumer behavior in the Georgian tourism industry. *Web of Scholar*, *3*(5), 11-16.

40. Todua, N., & Dotchviri, T. (2015a). On the Marketing Research of consumer prices and inflation process. *British Journal of Marketing Studies*, *3*(2), 48-57.

41. Todua, N., & Dotchviri, T. (2015b). ANOVA in marketing research of consumer behavior of different categories in georgian market. *Annals of the "Constantin Brâncusi" University of Târgu Jiu, Economy Series,(1)*, 183-190.

42. Todua, N., & Urotadze, E. (2022). The Effect of Social Media Marketing on Consumer Behavior of Tourism Destinations. *Strategic Planning and Marketing in the Digital World. Edition: University of National and World Economy (Sofia). Publishing Complex UNWE*, 123-133.

43. Venkatesh, V., Morris, M. G., Davis, G. B., & Davis, F. D. (2003). User acceptance of information technology: Toward a unified view. *MIS quarterly*, *27*(3), 425-478.

სტუდენტების მიერ უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის ინტეგრაციის აღქმა

ნუგზარ თოდუა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
პროფესორი,
მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი
ORCID: http://orcid.org/0000-0002-1486-2141
ელ.ფოსტა: nugzar.todua@tsu.ge

გრიგოლ ქარცივაძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი
ORCID: http://orcid.org/0009-0000-7799-9017
ელ.ფოსტა: grigol.kartsivadze@tsu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ChatGPT-ის, როგორც ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიის, პოტენციალი, რომელმაც შეიძლება რევოლუცია მოახდინოს უმაღლეს განათლებაში. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესში ChatGPT-ის გამოყენება ყოველდღიურად მატულობს. შესაბამისად, საგანმანათლებლო სფეროში ამ ტექნოლოგიის დანერგვის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც სასწავლო პროცესის სრულყოფის, ასევე სტუდენტების პროფესიული განვითარების კუთხით. კვლევის მიზანია სტუდენტების აკადემიურ საქმიანობაზე ChatGPT-ის გავლენის შესწავლა, ასევე მათი ქცევთი განზრახვისა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

და დამოკიდებულებების გამოვლენა. ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია საკვლევი ცვლადები და რელევანტური დებულებები, რომელთა დახმარებით ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზები და შემუშავებულია კვლევის კონცეპტუალური მოდელი. მონაცემები შეგროვდა ონლაინგამოკითხვის გზით, ხოლო რესპონდენტები შეირჩა საალბათო პრინციპით. საქართველოს მასშტაბით სულ გამოკითხა 389 რესპონდენტი. მიღებული მონაცემები დამუშავდა რეგრესიული ანალიზის მეთოდით. მონაცემების გაანალიზებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც კვლევის შედეგების სანდოობას ამტკიცებს. კვლევის შედეგებს აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა უმაღლეს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გამოყენების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: *უმაღლესი განათლება, ხელოვნური ინტელექტი, ChatGPT, სტუდენტების ქცევა, მარკეტინგული კვლევა.*

შესავალი

საგანმანათლებლო სფეროში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა. ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე შექმნილი ჩატბოტი, როგორიცაა ChatGPT (Chat Generative Pre-trained Transformer), სულ უფრო ხშირად გამოიყენება სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლებისათვის (Chen et al., 2023). ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ჩატბოტი ChatGPT, რომელიც 2022 წელს იქნა ჩაშვებული, სტუდენტების მიერ საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს (Abdi et al., 2025). შექმნის დღიდან ChatGPT-იმ სტუდენტების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რამაც სასწავლო პროცესში მისი სწრაფად ჩართვა უზრუნველყო (Rawas, 2024). შეიძლება ითქვას, რომ ChatGPT ვირტუალური ტუტორის როლს ასრულებს, ვინაიდან იგი სტუდენტებს უკუკავშირებს სთავაზობს და მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიძნელეების გადალახვაში ეხმარება (Foroughi et al., 2024). უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის გამოყენების შესახებ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მას აქვს უამრავი უპირატესობა, როგორიცაა მომსახურების სწრაფად მიწოდება, აკადემიური და არააკადემიური მხარდაჭერა, სასწავლო მასალების შექმნა, რედაქტირების სერვისებით სარგებლობა და სხვა (Hasanein & Sobaih, 2023; Benuyenah, 2023; Strzelecki, 2024). მიუხედავად იმისა, რომ ChatGPT ეხმარება სტუდენტებს დავალებების, პროექტებისა და კვლევითი ამოცანების შესრულებაში, სასწავლო პროცესში მისი ინტეგრირების ზოგიერთი საკითხი (მიკერძოებული ინფორმაციის გენერირება, ციტატების სანდოობა, ინტელექტუალური საკუთრებისა და ეთიკური ნორმების დაცვა) უმაღლეს განათლებაში დასაქმებული მეცნიერებისა და პედაგოგების მძაფრ დებატებს იწვევს (Obaid et al., 2023; Lund et al., 2023). საკმაოდ შემაშფოთებელია ChatGPT-ის მიერ შექმნილი კონტენტის ბოროტად გამოყენება, ChatGPT-ისადმი მეტისმეტი დამოკიდებულების გამო სტუდენტების მიერ კვლევითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში შეფერხება (Hasanein & Sobaih, 2023). აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტების მიერ აკადემიური მიზნებისათვის ChatGPT-ის გამოყენებისადმი დამოკიდებულების შესწავლა აქტუალური საკითხია, რაც უმაღლესი განათლების მკვლევრების განსაკუთრებულ დაინტერესებას განაპირობებს. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ, ბოლო დროს ჩატარებული კვლევების მზარდი რაოდენობის მიუხედავად, ცოტა რამ კეთდება ისეთი მოდელების შემუშავებისათვის, რომლებიც სტუდენტების მიერ ChatGPT-ის გამოყენების პროგნოზირებას მოახდენდა (Hasanein & Sobaih, 2023; Abdi et al., 2025). განსაკუთრებით, ეს ეხება აღნიშნულ პროცესში ქცევითი ფაქტორების ჩართვას (Acosta-Enriquez et al., 2024). ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ განათლებაში ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული კვლევები ეფუძნება სხვადასხვა მოდელს. მათში ტექნოლოგიების ათვისების მოდელს (TAM) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (Papakostas et al., 2023). TAM ფოკუსირებულია ისეთ ცვლადებზე, როგორიცაა გამოყენების აღქმული სიმარტივე (PEU) და აღქმული სარგებლიანობა (PU) (Davis, 1989). წინამდებარე კვლევა აფართოებს TAM მოდელს, რომელშიც ჩართულია ChatGPT-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციისადმი სოციალური გავლენა, ხოლო მედიაციურ ცვლადად წარმოდგენილია დამოკიდებულება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ ემოციურ და ქცევით ფაქტორებზე, როგორიცაა ქცევითი განზრახვა და გამოყენების ქცევა. მართალია, საქართველოში მომხმარებელთა ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის თვალსაზრისით შესრულებულია გარ-

კვეული სამუშაოები (Todua, 2012; Todua & Dotchviri, 2015a; Todua & Dotchviri, 2015b; Todua, 2018; Todua & Urotadze, 2022), თუმცა, ინოვაციური ტექნოლოგიების გავლენის კვლევაში შეიმჩნევა ხარვეზები. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ის ქცევითი ფაქტორები, რომლებიც სტუდენტების მიერ ChatGPT-ის გამოყენებაზე გავლენას ახდენენ. დასახული მიზნის მისაღწევად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი კითხვები (RQ):

RQ 1: როგორ გავლენას ახდენს ChatGPT-ის გამოყენების აღქმული სიმარტივე, აღქმული სარგებლიანობა და სოციალური გავლენა ამ ტექნოლოგიისადმი სტუდენტების დამოკიდებულებაზე?

RQ 2: როგორ გავლენას ახდენს ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულება მყიდველობით განზრახვაზე?

RQ 3: როგორ გავლენას ახდენს სტუდენტების მყიდველობითი განზრახვა ChatGPT-ის გამოყენების ქცევაზე?

ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის ჰიპოთეზების განვითარება

TAM-ზე დაფუძნებულ კვლევებში PEU განისაზღვრება, როგორც კრიტიკული ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ტექნოლოგიებისადმი მომხმარებლების დამოკიდებულებას (Venkatesh et al., 2003; Park et al., 2012). აღქმული სიმარტივე მჭიდროდაა დაკავშირებული ChatGPT-ის როგორც მიმდინარე, ისე მომავალ გამოყენებასთან, რაც აჩვენებს, თუ რამდენად ადვილია ამ ტექნოლოგიით სარგებლობა (Tiwari et al., 2024). შესაბამისად, PEU განისაზღვრება, როგორც მომხმარებელთა შთაბეჭდილება იმის შესახებ, თუ რამდენად მარტივი და ადვილია ChatGPT-სთან ურთიერთობა. ისეთი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები (როგორიცაა, მაგალითად, ChatGPT), რომლებსაც სტუდენტები მარტივად აღიქვამენ, დიდი ალბათობით, მათ მიერ ხშირად იქნება გამოყენებული (Dahri et al., 2024). კვლევები აჩვენებს, რომ სტუდენტების მიერ PEU-ს აღქმა არსებით გავლენას ახდენს მათ ქცევით განზრახვაზე, რათა ChatGPT აკადემიური მიზნებისათვის გამოიყენონ (Na et al., 2022; Alshammari & Babu, 2025). შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ PEU ხელს შეუწყობს ChatGPT-ისადმი სტუდენტების დადებით დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამრიგად, წამოყენებულია შემდეგი ჰიპოთეზა:

H1: ChatGPT-ის გამოყენების აღქმული სიმარტივე დადებითად მოქმედებს ამ ტექნოლოგიისადმი სტუდენტების დამოკიდებულებაზე.

აღქმული სარგებლიანობა (PU) TAM-ის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ ადამიანის შეხედულებაზე (Venkatesh et al., 2003; Ge et al., 2023). აკადემიურ კონტექსტში სტუდენტები ChatGPT-ის გამოყენებისადმი უფრო კეთილგანწყობილნი არიან იმ შემთხვევაში, როცა იგი აფართოებს მათ შესაძლებლობებს, შეასრულონ ესა თუ ის დავალება და ამით ხელი შეუწყონ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას (Malinka et al., 2023). უფრო მეტიც, სტუდენტები უფრო მიდრეკილნი არიან, გამოიყენონ ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა ChatGPT, რომლებსაც ისინი თავიანთი აკადემიური მიზნების მისაღწევად სასარგებლოდ თვლიან (Romero-Rodríguez et al., 2023). TAM-ის მიხედვით, მომხმარებლების მოსაზრებები ChatGPT-ის გამოყენების სარგებლიანობის შესახებ დიდ გავლენას ახდენს მათ ქცევით განზრახვაზე (Camilleri, 2024; Alshammari & Babu, 2025). გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ სტუდენტები, რომლებიც დადებითად აფასებენ ChatGPT-ის სარგებლიანობას, დიდი ალბათობით, სწავლებისადმი უფრო მოტივირებულნი არიან, რაც ამ ტექნოლოგიის მიმართ მათ დადებით დამოკიდებულებას განაპირობებს (Almulla, 2024). ამასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია შემდეგი ჰიპოთეზა:

H2: ChatGPT-ის გამოყენების აღქმული სარგებლიანობა დადებითად მოქმედებს ამ ტექნოლოგიისადმი სტუდენტების დამოკიდებულებაზე.

ბოლო ხანებში ჩატარებულ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტების მიერ ტექნოლოგიების ათვისებასა და გამოყენებაში სოციალური კავშირების მნიშვნელობას (Al-Adwan & Al-Debei, 2024). კვლევებში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ადამიანები იცვლიან თავიანთ შეხედულებებს და ქცევას რეფერენტული ჯგუფების გავლენით, რათა სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდნენ. მაგალითად, სტუდენტები, განიცდიან რა სოციალური მოწონებისა და ინტეგრაციის მოთხოვნილებებს, მოტივირებულნი არიან, გამოიყენონ ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა ChatGPT იმ შემთხვევაში, თუ მათი თანატოლები ასეთ ფასეულობას აღიარებენ (Foroughi et al., 2024). კვლევები ასევე ადასტურებს, რომ სტუდენტები მიდრეკილნი არიან, გამოიყენონ ChatGPT, თუ ჩათვლიან, რომ მათ მხარს დაუჭერენ ის ადამიანები, რომლებსაც ისინი პატივს სცემენ (Menon

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

& Shilpa, 2023; Strzelecki, 2024). აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური გავლენა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სტუდენტების არჩევანზე, გამოიყენონ ChatGPT, ვინაიდან ეს ტექნოლოგია აკმაყოფილებს მათ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას სოციალური აღიარების თვალსაზრისით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H3: სოციალური გავლენა დადებითად მოქმედებს ChatGPT-ის გამოყენებისადმი სტუდენტების დამოკიდებულებაზე.

დამოკიდებულება წარმოადგენს TAM-ისთან დაკავშირებულ საკვანძო ფაქტორს და პირდაპირ განსაზღვრავს ადამიანის განზრახვას, გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები (Foroughi et al., 2019). დამოკიდებულება ასახავს ინდივიდის მიერ კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენების დადებით ან უარყოფით შეფასებას, რაც მის ფსიქოლოგიურ მიდრეკილებაში ვლინდება (Foon et al., 2020). გამოყენების განზრახვისადმი დამოკიდებულების დადებითი გავლენა კარგადაა შესწავლილი ელექტრონული სწავლებისა და ჩატბოტების მიმღებლობის თვალსაზრისით (Kwangsawad & Jattamart, 2022). უმაღლეს განათლებაში ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ჩატბოტების გამოყენებისადმი დამოკიდებულების დადგენა უმნიშვნელოვანესია ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და პოპულარიზაციისათვის, რაც სტუდენტების მიერ მათ მიმღებლობას და ფართოდ გამოყენებას უზრუნველყოფს (Kimiloglu et al., 2017). კვლევები აჩვენებს, რომ ChatGPT-ისადმი დადებითმა დამოკიდებულებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს სტუდენტების განზრახვაზე, გამოიყენონ ეს ტექნოლოგია თავიანთ აკადემიურ საქმიანობაში (Sun et al., 2025). ზემოაღნიშნული არგუმენტები იძლევა საშუალებას, წამოვაყენოთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H4: ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულება დადებითად მოქმედებს მათ ქცევით განზრახვაზე.

ქცევითი განზრახვა შეესაბამება დონეს, რომლითაც სტუდენტები სასწავლო მიზნებისათვის ChatGPT-ის გამოყენებას გეგმავენ (Maheshwari, 2024). ამიტომაც ქცევითი განზრახვა წარმოადგენს ტექნოლოგიის ფაქტიური გამოყენების ძლიერ პრედიქტორს, ვინაიდან მომხმარებლის განზრახვა აისახება მის მზადყოფნასა და სურვილში, რეალურ პირობებში ChatGPT-ისთან იმოქმედოს (Chai et al., 2021). ChatGPT-ის გამოყენება, როგორც ცვლადი, არის იმის საზომი, უნივერსიტეტის სტუდენტები რამდენად აქტიურად ურთიერთობენ მასთან სასწავლო პროცესში, ასევე როგორი სიხშირითა და არგუმენტაციით იყენებენ მას სამეცნიერო მუშაობაში (Al-Rahmi et al., 2022). კვლევები აჩვენებს, რომ სტუდენტების განზრახვა, გამოიყენონ ChatGPT, დიდადაა დამოკიდებული ამ ტექნოლოგიასთან მათი მუშაობის ფაქტიურ გამოცდილებაზე (Dahri et al., 2024). ამასთან, ChatGPT-ის გამოყენების, როგორც ცვლადის, ჩართვა წინამდებარე კვლევის კონსტრუქციაში ემთხვევა ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს, რომელშიც ასახულია სტუდენტების მიერ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ინსტრუმენტების გამოყენების ქცევის მნიშვნელობა (Salifu et al., 2024; Dahri et al., 2024).

ნახაზი 1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი



წყარო: ავტორები

H5: ChatGPT-ის მიმართ სტუდენტების ქცევით განზრახვა დადებითად მოქმედებს მათ გამოყენების ქცევაზე.

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შევიმუშავეთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე. კვლევაში ჩართულია სამი დამოუკიდებელი ცვლადი (ChatGPT-ის გამოყენების აღქმული სიმარტივე, ChatGPT-ის გამოყენების აღქმული სარგებლიანობა, ChatGPT-ის სოციალური გავლენა), ერთი მედიაციური ცვლადი (ChatGPT-ის გამოყენებისადმი დამოკიდებულება) და ორი დამოკიდებული ცვლადი (ქცევითი განზრახვა და გამოყენების ქცევა). ეს კონცეპტუალური მოდელი გვიჩვენებს ზემოაღნიშნულ ცვლადებს შორის დამოკიდებულებას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოვიყენეთ მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდი, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტაში გამოყენებული კითხვები დაეფუძნა იმ ავტორების მოსაზრებებს, რომლებიც მოხსენებულია წინამდებარე ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში. კონსტრუქცია, შესაბამისი დებულებები და ავტორები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა (1=სრულიად არ ვეთანხმები, 2=არ ვეთანხმები, 3=ნეიტრალური ვარ, 4=ვეთანხმები, 5=სავსებით ვეთანხმები). გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული ინტერვიუს მეთოდით. კვლევა

ცხრილი 1

კვლევის კონსტრუქცია

ცვლადები	კოდები	საზომი დებულებები	წყაროები
გამოყენების აღქმული სიმარტივე / Perceived ease of use (PEU)	PEU1	ჩემთვის ChatGPT-ის გამოყენების ათვისება მარტივი და პრაქტიკულია	Venkatesh et al. (2003); Strzelecki (2024)
	PEU2	ჩემი ურთიერთქმედება ChatGPT-ისთან ნათელი და გასაგებია	
	PEU3	მიმაჩნია, რომ ChatGPT მარტივი გამოსაყენებელია	
აღქმული სარგებლიანობა / Perceived usefulness (PU)	PU1	ChatGPT-ის გამოყენება სასწავლო ამოცანების უფრო სწრაფად შესრულებას უზრუნველყოფს	Venkatesh et al. (2003); Foroughi et al. (2024)
	PU2	ChatGPT-ის გამოყენება ზრდის აკადემიური საქმიანობის ეფექტიანობას	
	PU3	ChatGPT მეხმარება ახალი ცოდნის მიღებაში	
	PU4	ChatGPT მეხმარება სასწავლო მასალების უკეთ გაგებაში	
	PU5	ChatGPT მეხმარება კრიტიკული აზროვნების განვითარებაში	
სოციალური გავლენა / Social influence (SI)	SI1	ადამიანები, რომლებიც ჩემთვის მნიშვნელოვანია, თვლიან, რომ აკადემიურ საქმიანობაში ChatGPT უნდა გამოვიყენო	Strzelecki (2024)
	SI2	ადამიანები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩემს ქცევაზე, მირჩევენ, რომ ChatGPT აკადემიურ საქმიანობაში გამოვიყენო	
	SI3	მე ვიყენებ ChatGPT-ის, რადგან ჩემი მეგობრების ნაწილი იყენებს მას აკადემიურ საქმიანობაში	
დამოკიდებულება / Attitude (ATT)	ATT1	მე მომწონს აკადემიური მიზნებისათვის ChatGPT-ის გამოყენება	Foroughi et al. (2024)
	ATT2	მე მსიამოვნებს აკადემიური მიზნებისათვის ChatGPT-ის გამოყენება	

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ქცევითი განზრახვა / Behavioral Intention (BI)	BI1	მე ვაპირებ, გავაგრძელო ChatGPT-ის გამოყენება აკადემიური მიზნებისათვის	Salifu et al. (2024)
	BI2	მე ვაპირებ, უფრო ხშირად გამოვიყენო ChatGPT აკადემიური მიზნებისათვის	
	BI3	მე ყოველთვის ვეცდები, გამოვიყენო ChatGPT აკადემიური მიზნებისათვის	
გამოყენების ქცევა / Usage behavior (UB)	UB1	ChatGPT-ის მეშვეობით ვეძებ სხვადასხვა ინფორმაციას, რომელიც მჭირდება აკადემიურ საქმიანობაში	Dahri et al. (2024)
	UB2	ChatGPT-ის დახმარებით შეძენილ ცოდნას და უნარებს ვიყენებ ჩემს აკადემიურ საქმიანობაში	
	UB3	მე ვიყენებ ChatGPT-ის, რათა ჩემი აკადემიური საქმიანობის დონე ავამაღლო	
	UB4	ChatGPT-ის გამოყენება ზრდის აკადემიურ საქმიანობაში ჩემს გამოცდილებას	

წყარო: ავტორები

დაეფუძნა საალბათო შერჩევის მეთოდს. კვლევის არეს წარმოადგენს საქართველო, ხოლო გენერალურ ერთობლიობას უმაღლესი და პროფესიული განათლების სტუდენტები, რომელთა რაოდენობა საქსტატის მიხედვით, 2024 წლისათვის შეადგენდა 192588 ადამიანს (Geostat, 2024). შერჩევის ზომა განვსაზღვრეთ კრეიჩისა და მორგანის ფორმულის დახმარებით (Krejcie & Morgan,1970). 95%-იანი

ცხრილი 2. ცვლადების საზომი დებულებების შემოწმება

ცვლადები	დებულებები	ფაქტორული დატვირთვები	AVE	α	CR
PEU	PEU1	0.713	0.527	0.935	0.769
	PEU2	0.753			
	PEU3	0.711			
PU	PU1	0.751	0.541	0.906	0.911
	PU2	0.758			
	PU3	0.752			
	PU4	0.742			
	PU5	0.748			
SI	SI1	0.725	0.567	0.858	0.634
	SI2	0.717			
	SI3	0.774			
ATT	ATT1	0.852	0.597	0.824	0.815
	ATT2	0.754			
BI	BI1	0.830	0.646	0.898	0.784
	BI2	0.775			
	BI3	0.708			
UB	UB1	0.854	0.654	0.949	0.949
	UB2	0.830			
	UB3	0.793			
	UB4	0.815			

წყარო: ავტორები

სანდო ალბათობისა და 5%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, შერჩევის ზომამ ჩვენს კვლევაში შეადგინა 384 ადამიანი. სოციალური ქსელებისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით სულ შევეხმიანეთ 470 რესპონდენტს, რომლიდანაც მივიღეთ 390 შევსებული ანკეტა (მთლიანი რაოდენობის 82,9%, რაც ითვლება მისაღებად (Heslop et al.,1998). რესპონდენტების 59.2% არის ქალი, ხოლო 140,8% - მამაკაცი. მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS-29-ის მეშვეობით.

კვლევითი ინსტრუმენტის ვალიდურობის შესამოწმებლად შევამოწმეთ მისი გაზომვისუნარიანობა. ვალიდურობა შევაფასეთ ფაქტორული დატვირთვების გამოყენებით, რომელთა ზღვრული მნიშვნელობა არის 0,7 (Malhotra, 2020). დებულებები, რომლებიც ამ კრიტერიუმს პასუხობს, შესაბამისი ცვლადებისათვის ვალიდურად ჩაითვალა. გაზომვის მოდელი ავაგეთ ექსტაქტირებული საშუალო დისპერსიის (AVE) საფუძველზე, რომლის სასაზღვრო მნიშვნელობაა 0,5 (Malhotra, 2020). ჩვენი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ თითოეული განხილული ცვლადი შეესაბამება შემოთავაზებულ კონსტრუქციას (იხ. ცხრილი 2). ამასთან, საიმედოობის შემოწმებისათვის გამოვიყენეთ კრონბახის ალფა (α) და კომპოზიციური საიმედოობა (CR). საკვლევი ინსტრუმენტის საიმედოობა უნდა აღემატებოდეს 0,6-ს (Malhotra, 2020). ჩვენს შემთხვევაში ყველა ცვლადი საიმედოა, ვინაიდან კრონბახის ალფას და CR-ის მნიშვნელობა 0.8-ზე მეტია.

კვლევის შედეგების ანალიზი

ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი. მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული 1-ლი, მე-2 და მე-3 მოდელები სანდოა [$P<0.001$, $F(234.236)>F_{კრ}(3.84)$; $P<0.001$, $F(316.385)>F_{კრ}(3.84)$; $P<0.001$, $F(199.477)>F_{კრ}(3.84)$]. აქედან გამომდინარე, H1, H2 და H3 ჰიპოთეზები დადასტურდა. შესაბამისად, ChatGPT-ის გამოყენების აღქმული სიმარტივე დადებითად მოქმედებს ამ ტექნოლოგიისადმი სტუდენტების დამოკიდებულებაზე (დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.376$, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულების 37.6% გამოწვეულია აღქმული სიმარტივით, ხოლო დანარჩენი ახსნილია სხვა ფაქტორებით). ასევე, აღ-

ცხრილი 3

ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულებაზე აღქმული სიმარტივის, აღქმული სარგებლიანობისა და სოციალური ზემოქმედების გავლენის რეგრესიული ანალიზი

ა) მოდელის რეზიუმე

მოდელი	R	R^2	კორექტირებული R^2	შეფასების სტანდარტული შეცდომა
1	0.614	0.376	0.375	1.68799
2	0.670	0.449	0.448	1.58651
3	0.583	0.340	0.338	1.73720

ბ) ANOVA

მოდელი		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
1	რეგრესია	667.408	1	667.408	234.236	0.000
	ცდომილება	1105.528	388	2.849		
	ჯამი	1772.936	389			
2	რეგრესია	796.340	1	796.340	316.385	0.000
	ცდომილება	976.596	388	2.517		
	ჯამი	1772.936	389			
3	რეგრესია	601.998	1	601.998	199.477	0.000
	ცდომილება	1170.938	388	3.018		
	ჯამი	1772.936	389			

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გ) კოეფიციენტები						
მოდელი		არასტანდარტიზებული კოეფიციენტები		სტანდარტიზებული კოეფიციენტები	T	P
		B	სტანდარ-ტული შეცდომა	ß		
1	(კონსტანტა)	2.315	0.319		7.266	0.000
	აღქმული სიმარტივე	0.406	0.027	0.614	15.305	0.000
2	(კონსტანტა)	1.896	0.299		6.347	0.000
	აღქმული სარგებლიანობა	0.290	0.016	0.670	17.787	0.000
3	(კონსტანტა)	3.732	0.248		15.027	0.000
	სოციალური გავლენა	0.377	0.027	0.583	14.124	0.000
შენიშვნა: დამოკიდებული ცვლადი: ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულება; პრედიქტორები: აღქმული სიმარტივე; აღქმული სარგებლიანობა, სოციალური გავლენა						

წყარო: ავტორები

ქმული სარგებლიანობა დადებით გავლენას ახდენს ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულებაზე (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.449, რაც იმას ნიშნავს, რომ ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულების 44.9% გამოწვეულია აღქმული სარგებლიანობით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით). ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულებაზე ზემოქმედებას ახდენს სოციალური გავლენა (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.340, რაც იმას ნიშნავს, რომ ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულების 34% გამოწვეულია სოციალური გავლენით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით).

რეგრესული ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, ChatGPT-ის გამოყენების აღქმული სიმარტივის, ერთი ერთეულით გაზრდისას დამოკიდებული ცვლადი, ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულება 0,406 ერთეულით მატულობს. ასევე, დამოუკიდებელი ცვლადის, აღქმული სარგებლიანობის, ერთი ერთეულით გაზრდისას დამოკიდებული ცვლადი, ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულება 0,290 ერთეულით მატულობს. მე-3 ცხრილიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, სოცილური გავლენის, ერთი ერთეულით გაზრდისას დამოკიდებული ცვლადი, ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულება 0,377 ერთეულით მატულობს (იხ. ცხრილი 3).

მე-4 ცხრილში ნაჩვენებია, რომ ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულება დადებით გავლენას ახდენს მათ ქცევით განზრახვაზე. შესაბამისად, ჩვენ მიერ შემუშავებული მე-4 მოდელი სანდოა (P<0.0001); F(515.091)>$F_{კრ}$(3.84) და H4 ჰიპოთეზა გამართლდა. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.570. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ სტუდენტთა ქცევითი განზრახვის 57% ახსნილია ChatGPT-ისადმი მათი დამოკიდებულებით, ხოლო დანარჩენი განპირობებულია სხვა ფაქტორებით. რეგრესული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, ChatGPT-ისადმი დამოკიდებულების, ერთი ერთეულით მატება დამოკიდებული ცვლადის, ქცევითი განზრახვის 0,467 ერთეულით ზრდას იწვევს (იხ. ცხრილი 4).

რეგრესიულმა ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ სტუდენტების ქცევითი განზრახვა დადებით გავლენას ახდენს მათ მიერ ChatGPT-ის გამოყენებაზე. ეს ამტკიცებს იმას, ჩვენ მიერ შემუშავებული მე-5 მოდელი სანდოა (P<0.0001); F(588.178)>$F_{კრ}$(3.84) და H5 ჰიპოთეზა დადასტურდა. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.603. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ სტუდენტების მიერ ChatGPT-ის გამოყენების ქცევის 60.3% ახსნილია მათი ქცევითი განზრახვით, ხოლო დანარჩენი განპირობებულია სხვა ფაქტორებით. რეგრესული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, ქცევითი განზრახვის ერთი ერთეულით მატება დამოკიდებული ცვლადის, ChatGPT-ის გამოყენების ქცევის 1.044 ერთეულით ზრდას იწვევს (იხ. ცხრილი 5).

ჰიპოთეზური დამოკიდებულების ანალიზი (იხ.

ცხრილი 4

სტუდენტების ქცევით განზრახვაზე ChatGPT-ისადმი მათი დამოკიდებულების გავლენის რეგრესიული ანალიზი

<table>
<tr><th colspan="8">ა) მოდელის რეზიუმე</th></tr>
<tr><td>მოდელი</td><td>R</td><td>R^2</td><td>კორექტირე-ბული R^2</td><td colspan="4">შეფასების სტანდარტული შეცდომა</td></tr>
<tr><td>4</td><td>0.755</td><td>0.570</td><td>0.569</td><td colspan="4">2.14240</td></tr>
<tr><th colspan="8">ბ) ANOVA</th></tr>
<tr><td colspan="2">მოდელი</td><td>კვადრატების ჯამი</td><td>DF</td><td colspan="2">საშუალო კვადრატი</td><td>F</td><td>P</td></tr>
<tr><td rowspan="3">4</td><td>რეგრესია</td><td>2364.199</td><td>1</td><td colspan="2">2364.199</td><td>515.091</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>ცდომილება</td><td>1780.867</td><td>388</td><td colspan="2">4.590</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>ჯამი</td><td>4145.067</td><td>389</td><td colspan="2"></td><td></td><td></td></tr>
<tr><th colspan="8">გ) კოეფიციენტები</th></tr>
<tr><td colspan="2" rowspan="2">მოდელი</td><td colspan="2">არასტანდარტიზებული კოეფიციენტები</td><td colspan="2">სტანდარტიზებული კოეფიციენტები</td><td rowspan="2">T</td><td rowspan="2">P</td></tr>
<tr><td>B</td><td>სტანდარტუ-ლი შეცდომა</td><td colspan="2">ß</td></tr>
<tr><td rowspan="2">4</td><td>(კონსტანტა)</td><td>4.031</td><td>2.035</td><td colspan="2">0.373</td><td></td><td>5.457</td></tr>
<tr><td>სოციალური მედიისადმი დამოკიდე-ბულება</td><td>0.467</td><td>1.155</td><td colspan="2">0.051</td><td>0.755</td><td>22.696</td></tr>
<tr><td colspan="8">შენიშვნა: დამოკიდებული ცვლადი: ქცევითი განზრახვა; პრედიქტორი: ChatGPT-ისადმი დამოკიდებულება</td></tr>
</table>

წყარო: ავტორები

ცხრილი 5

სტუდენტების მიერ ChatGPT-ის გამოყენებაზე მათი ქცევითი განზრახვის გავლენის რეგრესიული ანალიზი

<table>
<tr><th colspan="8">ა) მოდელის რეზიუმე</th></tr>
<tr><td>მოდელი</td><td>R</td><td>R^2</td><td>კორექტირე-ბული R^2</td><td colspan="4">შეფასების სტანდარტული შეცდომა</td></tr>
<tr><td>5</td><td>0.776</td><td>0.603</td><td>0.602</td><td colspan="4">2.77060</td></tr>
<tr><th colspan="8">ბ) ANOVA</th></tr>
<tr><td colspan="2">მოდელი</td><td>კვადრატების ჯამი</td><td>DF</td><td colspan="2">საშუალო კვადრატი</td><td>F</td><td>P</td></tr>
<tr><td rowspan="3">5</td><td>რეგრესია</td><td>4514.970</td><td>1</td><td colspan="2">4514.970</td><td>588.178</td><td>0.000</td></tr>
<tr><td>ცდომილება</td><td>2978.366</td><td>388</td><td colspan="2">7.676</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>ჯამი</td><td>4514.970</td><td>1</td><td colspan="2">4514.970</td><td>588.178</td><td>0.000</td></tr>
</table>

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გ) კოეფიციენტები						
მოდელი		არასტანდარტიზებული კოეფიციენტები		სტანდარტიზებული კოეფიციენტები	T	P
		B	სტანდარტუ-ლი შეცდომა	ß		
5	(კონსტანტა)	3.904	0.458		8.522	0.000
	სოციალური მედიისადმი დამოკიდე-ბულება	1.044	0.043	0.776	24.252	0.000
შენიშვნა: დამოკიდებული ცვლადი: ChatGPT-ის გამოყენების ქცევა; პრედიქტორი: ქცევითი განზრახვა						

წყარო: ავტორები

ცხრილი 6) გვიჩვენებს, რომ ChatGPT-ისადმი სტუ-დენტების დამოკიდებულებასთან მნიშვნელოვანი კავშირი აქვს აღქმულ სიმარტივეს (ß = 0.614, t = 15.305, P = 0.000), აღქმულ სარგებლიანობას (ß = 0.670, t = 17.787, P = 0.000) და სოციალურ გავლე-ნას (ß = 0.583, t = 14.124, P = 0.000). თავის მხრივ, ChatGPT-ისადმი სტუდენტების დამოკიდებულებას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ქცევით განზრახვა-სთან (ß = 0.051, t = 755, P = 0.000), ხოლო ამ უკა-ნასკნელს გამოყენების ქცევასთან (ß = 0.776, t = 24.252, P = 0.000).

დასკვნები

კვლევამ აჩვენა, რომ ChatGPT-ის გამოყენება უმა-ღლეს განათლებაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართველი სტუდენტების აკადემიურ წარმატებაზე და სწავლის პროცესში მათ ჩართულობაზე. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს უმაღლეს განათლებაში ChatGPT-ის გამოყენებისა-დმი სტუდენტების დამოკიდებულება დადებითია. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტების უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს ChatGPT-ის

ცხრილი 6

ჰიპოთეზების ტესტირების შედეგები

No	ჰიპოთეზური დამოკიდებულება	ß	T	P	გადაწყვეტილება
H1	გამოყენების აღქმული სიმარტივე -> ChatGPTისადმი დამოკიდებულება	0.614	15.305	0.000	დამტკიცდა
H2	აღქმული სარგებლიანობა -> ChatGPTისადმი დამოკიდებულება	0.670	17.787	0.000	დამტკიცდა
H3	სოციალური გავლენა -> ChatGPTისადმი დამოკიდებულება	0.583	14.124	0.000	დამტკიცდა
H4	ChatGPTისადმი დამოკიდებულება -> ქცევითი განზრახვა	0.051	0.755	0.000	დამტკიცდა
H5	ქცევითი განზრახვა -> გამოყენების ქცევა	0.776	24.252	0.000	დამტკიცდა

წყარო: ავტორები

გამოყენების სიმარტივეს და სარგებლიანობას და მიიჩნევს, რომ იგი სწავლის პროცესს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. კვლევიდან გამომდინარე, ChatGPT-ის მიერ გენერირებული ინფორმაცია ქართველი სტუდენტების უმეტესობისთვის საკმარისად ზუსტი და სანდოა, რაც ხელს უწყობს მის აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. კვლევა ცხადყოფს, რომ სტუდენტები მზად არიან, გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები, რაც მათთვის რთული არაა. ChatGPT-ისადმი დამოკიდებულებას ასევე განსაზღვრავს სხვა სტუდენტების და პედაგოგების მოსაზრებები, რაც ამ პროცესზე მაღალი სოციალური გავლენის მაჩვენებელია. თავის მხრივ, ChatGPT-ისადმი დადებითი დამოკიდებულება განაპირობებს სტუდენტების ქცევითი განზრახვას, რაც ზრდის აკადემიურ საქმიანობაში ამ ტექნოლოგიის ფართოდ გამოყენებას. ყოველივე ეს აჩვენებს ChatGPT-ის დადებით გავლენას სასწავლო პროცესზე. კვლევის შედეგების ანალიზმა გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ცვლადებს შორის დადებით კავშირებს ასახავს. კვლევის შედეგებმა მოახდინა იმის ილუსტრირება, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ChatGPT-ის გამოყენების მახასიათებლები რელევანტურია სტუდენტებთან ურთიერთობებისათვის. ამიტომ კვლევის შედეგებს აქვს თეორიული მნიშვნელობა ChatGPT-ის, როგორც ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტის, უმაღლეს განათლებაში გამოყენების თვალსაზრისით. კვლევის შედეგების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ხელოვნური ინტელექტის საკითხებით დაინტერესებულ პირებს, გაიფართოონ თავიანთი წარმოდგენა ChatGPT-ის ტექნოლოგიის შესახებ და აქტიურად გამოიყენონ იგი თავიანთ საქმიანობაში. ჩვენ მიერ ჩატარებული ChatGPT-ის ინტეგრაციისა და გამოყენების კვლევის შედეგები შეიძლება გახდეს პლატფორმა სხვა ინოვაციური ტექნოლოგიების შესწავლისთვის, რაც გააუმჯობესებს საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხს და ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური საქმიანობის განვითარებას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

MAIN DETERMINANTS OF THE DOCTRINE OF PRESERVATION OF INDEPENDENCE OF THE REPUBLICS OF THE FORMER USSR (GEORGIA, UKRAINE)

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 27, 2025
Published: December 14, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-50

Vazha Kakabadze
Doctor of Economics, member of the Academy of Fasis, geological engineer, Corresponding Fellow of the Engineering Academy of Georgia.
E-mail: kakabadzev@hotmail.com

ABSTRACT

In the existing international political system the process of integration of the former USSR republics into the world politics and economy is connected with many problems, as they inherited such causal issues of regional problems as: independence, disputes and ethno-conflicts related to historical territories; integration into the European Union and settlement of relations with Russia; improvement of economic situation and at the same time restriction of Russian capital; and, finally, variability of decisions related to the preparation of the regional integration process. From all this follows the necessity to develop a unified doctrine for the former republics of the USSR and now independent states.

Keywords: *pinpoint strike, doctrine, functional system.*

REFERENCES:

1. kakabadze v., international relations of georgia in modern conditions. P/h: “ecomobile”, tbilisi, 1998. (in georgian)
2. kakabadze v., evaluation of economic and political transformation and strategic dilemma of georgia - years 1942-2010 (first part). Georgia, tbilisi, international forum, 27 may, 2015. (in english)
3. kakabadze v., usa and georgia. Ukraine, kharkiv, international conference, 20 may, 2015. (in english)
4. Lomia, E., 2020. Historical narratives of the “New World Order”/„ახალი მსოფლიო წესრიგის “ისტორიული ნარატივები. The New Economist, 15(1), pp.46-2. (In Georgian).
5. Lomia, E. and Karchava, L., 2021. Georgian ethnopolitical conflict as a subject of confrontation between the USA and Russia. Journal of Liberty and International Affairs, 7(2), pp.90-102.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების (საქართველო, უკრაინა) დოქტრინის ძირითადი განმსაზღვრელები

ვაჟა კაკაბაძე
ეკონომიკის დოქტორი, ფაზისის აკადემიის წევრი, ინჟინერ-გეოლოგი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი.

აბსტრაქტი

არსებულ საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების მსოფლიო პოლიტიკაში და ეკონომიკაში ინტეგრირების პროცესი დაკავშირებულია მრავალ პრობლემასთან, რამეთუ მათ შთამომავლობით ერგოთ რეგიონული პრობლემების ისეთი კაუზალური საკითხები, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, ისტორიულ ტერიტორიებთან დაკავშირებული სადავო საკითხები და ეთნოკონფლიქტები; ევროკავშირში ინტეგრირება და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება; ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და, ამასთან, რუსული კაპიტალის შეზღუდვა; დაბოლოს, თავად გადაწყვეტილებათა ვარიაცულობა, დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილების მომზადებასთან, რომელიც უნდა მოიცავდეს ქმედებების ალტერნატიულ შესაძლებლობებს, რაც შეუძლებელია ყოფილ რესპუბლიკებში შემორჩენილი რუსული აგენტური ქსელის და რუსეთისადმი ნოსტალგიურად განწყობილი საზოგადოების არსებობის გამო. ყოველივე არსებულის გამო აუცილებელია ყოფილმა სსრკ-ს რესპუბლიკებმა და, ამჟამად უკვე, დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა შეიმუშაონ ერთიანი დოქტრინა.

საკვანძო სიტყვები: *წერტილოვანი დარტყმა, დოქტრინა, ფუნქციური სისტემა.*

INTRODUCTION

In the process of redistribution of world influence, the Russian Federation has chosen the most dangerous method, since Russia's doctrine, and thus its methods, consist in the use of "political-military violence" and "pinpoint aggression". For illustration, it is enough to cite Russia's policies in Chechnya, Georgia, Moldova and Ukraine. However, this behavior of Russia has created a belt of confrontation around it, and if this belt buckles, Russia will find itself in a bad political and economic situation, which is already confirmed by the current situation. Indeed, for a certain period of time, Russia secured loyalty and neutrality around it with pinpoint strikes, but after the military confrontation with Ukraine, this loyalty has significantly decreased. In addition, the threat from disgruntled autonomies, namely "autonomies" or small nations within the Russian Federation, has increased. And, in addition, there is a threat from the West.

Although some republics of the former USSR (Belarus) maintain good relations with Russia and Russia tolerates a lot from them, but only in order to strengthen the public perception in Georgia and Ukraine that they are in good relations with Russia, which is very important for Moscow to achieve the effect of psychological influence on the public.

MAIN PART

Based on the above, the doctrine of Georgia, Ukraine and other republics of the former USSR should be unified and consist of the following:

First of all, there should be a unified military alliance, which should include and be based on the following values:

1. Recognition of the territorial integrity of the states belonging to the union by mutual agreement and, accordingly, the defense of their borders as a postulate of the national dignity of each member;
2. Ensuring regional security;
3. Participating in the fight against terrorism under the auspices of NATO's joint forces and preventing the manifestation of terrorism within their borders by the forces of nation states.

Thus, the purpose and objectives of the allies should be:

- Protecting the territorial integrity of the allies, the sovereignty of the participating nations, and regional interests, which should include:

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

- Ensuring high combat readiness;
- Establishing an effective mobilization system;
- Creation of a system of guaranteed detection and warning of new aggression;
- Creation of a unified system of air and sea space control.

◆ Ensuring the return of lost territories, which should include:

- Systematic peaceful and controlling actions;
- Establishing full control over territories recovered by the combined forces and supporting the establishment of democratic institutions.

◆ Assisting member countries in dealing with natural and man-made disasters;

Also, the management, leadership and functions of the allied armed forces should be determined on the basis of a mutual agreement of the participating countries, the basis of which will be equality, and financial support will be in accordance with the number of military units. At the same time, all participants should follow international norms and democratic principles.

The political doctrine of the Union should take into account the following circumstances:

First: after the collapse of the USSR, a powerful political or military alliance alternative to the NATO armed forces has not yet been created. However, there is an attempt to create two groupings by Russia and China separately, as well as an alliance of southern Muslim countries with the possibility of forming a secret alliance between them. Therefore, it becomes obvious that Georgia, Moldova and Ukraine (possibly joined by Azerbaijan) should conduct their foreign policy in such a way as to get into the zone of interests of Western countries and at the same time not to lose the respect of Muslim states. This is necessary because the policy of Slavic-Muslim states and Muslim republics that make up the Russian Federation, united in the current political space, as we have already noted, is aimed at the alliance of "southern" Muslim countries, and Georgia, Moldova and Ukraine may find themselves, as it was in the past centuries, surrounded by Muslim countries, and then they will be forced to join Russia, but already as a part of it.

Georgia and Ukraine, geographically located at the economic-magistral crossroads of Europe and Asia, are of the greatest practical importance. Interest in these countries will increase even more if power lines for Europe pass through Georgia, the seaport of Anaklia is built and oil is found in the Georgian part of the Black Sea (where oil does exist).

In the process of redistribution of political power in the world, Georgia and Ukraine should show the whole world that without them Europe will not be able to ensure its economic and political security. For this purpose, Georgia and Ukraine should strive in every possible way to expand economic cooperation among the Black Sea countries, to create favorable conditions for turning the Black Sea basin into a world political decision-making center.

The transformation of the Black Sea basin into a world political center is also facilitated by the fact that the Danube states want to launch the construction of the Danube-Rhine Canal and connect it to the Baltic Sea, and if this project is implemented, the countries of Eastern Europe will be united under one political and economic interest, while Russia will be forced to adhere to the principles of international democracy and equality.

As I have already mentioned, the need to establish relations with the leading European states is undoubted, but this should not lead to an excessive bias in favor of European countries. In particular, great attention should be paid to relations with the countries of the East. Taking into account the geographical location and historical experience of Georgia and Ukraine, as well as the expected confrontation between the East and the West (this confrontation will be mainly of an economic nature), relations with China and Eastern Muslim countries should occupy an important place in the foreign policy of Georgia and Ukraine, and thus all the member states of the Alliance.

A cautious and balanced policy should be pursued in relations with Islamic countries, and the doctrine should take this into account, since eastern Islamic states (Iran, Afghanistan, etc.), unlike southern Muslim states, do not adapt at all to the principles recognized by European states. It cannot be ruled out that such states will create more aggressive, closed alliances based on purely Islamic religious understanding, i.e. especially specific economic and political alliances, which may pose a danger even to Russia.

Therefore, the political doctrine of Georgia, Ukraine and other republics of the former USSR should include:

Firstly, the formation of a unified, flexible and multipolar policy with appropriate alternatives;

Secondly, the development and implementation of a policy of mutual support for the economic development of the member states of the Alliance, which in

turn should include:

- Harmonization of legislation between the parties;
- Creation of interstate banks;
- Introduction of a unified tax system;
- Implementation of a common foreign trade policy;
- That is, the gradual creation of a common economic space.

Thirdly, building relations with Russia on the principle of partnership and equality;

Fourthly, the elaboration of a unified policy for solving minority problems, which should include:

- Protection of educational and cultural interests of minorities within a given state;

Fifthly, the development of a unified energy policy;

Sixthly, the development of a unified emigration policy;

Seventhly, the development of a unified anti-inflationary policy;

Eighthly, the development of a unified environmental security policy.

In addition, the doctrine should take into account the risk factors that may develop from the following amorphous state:

1. The principle of structure of the international system is anarchic, which means that the system consists of independent political units (states) with no supreme authority. In other words, there is no supreme governing body, supra-state, whereas sovereignty is an inherent property of states and at the same time a societal requirement based on historical memory;
2. States are never sure what intentions move another state. In particular, no state has a guarantee that aggressive weapons will not be used against it by its friend or neighbor, and this follows from the fact that the main driving motive of states is self-preservation;
3. States fear each other because they are constantly in anticipation of danger due to policy replay;
4. The personal interest of the state is a fact that expresses independence. Thus the minimum of interests is self-preservation and security;
5. In addition, the following notion should be considered: "The supreme morality and moral of a politician is the interests of his country".

Taking into account the above-mentioned, it is possible to draw up a functional scheme of union (alliance) management, which can be generalized for other republics of the former USSR (Fig. 1):

Depending on the strategic interests of the alliance, the functions can be divided into functional groups, namely:

1. A functional group providing decision making and implementation;
2. A functional group providing formation and functioning of effective information systems and at the same time providing justification of decision alternatives;
3. A functional group ensuring the development of a flexible strategy that will meet new requirements (external and internal factors) at all stages of the Union's development;
4. A functional group to develop and manage an effective system of incentives for the implementation of decisions.

The algorithm of stabilization of the Alliance can be presented as follows (Fig. 2):

Fig: 1



ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Fig: 2

	Main stages of stabilization		
Characterization of indicators	Elimination of defense incapacity	Ensuring political equilibrium	Maintaining political equilibrium

And the algorithm of the Alliance's development should be based on the following principles (Fig: 3)

CONCLUSION

Thus, politics is an arena where the interests of individual states constitute an independent algorithm, and often these interests collide, which sooner or later will lead to conflict. Hence, a doctrine should not be based on the interests of only one state if it is to work for a long time.

RESUME (SYNOPSIS)

The presented article considers the main determinants of the doctrine of preservation of independence of the republics of the former USSR, namely for the union of Georgia and Ukraine, which is built on the basis of existing and expected threats. The article also considers the functional scheme of the union (alliance) management, presents an algorithm for stabilizing the functioning of the union and an algorithm for developing the union.



Fig: 3

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ACTUAL ASPECTS OF GEORGIAN ETHNOCULTURAL HERITAGE ECONOMICS IN THE CONTEXT OF GLOBAL TRENDS

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 12, 2025
Published: December 05, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-55

Gela Lobjanidze
Doctor of Economics, Associate Professor
LEPL Georgian Technical University
ORCID: https://orcid.org/0009-0009-3652-0247
E-mail: g.lobjanidze@gtu.ge

Koba Kartozia
MA in Economics and Management, Financial Director, LTD Company „GRW“
ORCID https://orcid.org/0009-0001-9892-4433
E-mail: kkartozia@gmail.com

ABSTRACT

In the modern world, the study, research and analysis of global trends in the economy of ethnocultural heritage plays an important role in the socio-economic development of a particular country, on the one hand, in the formation of cultural identity, in the preservation and popularization of values, in the development of new technologies and their transfer to future generations, and on the other hand, in the development of education, science and tourism, in the strengthening of public-private partnerships, in the creation of new jobs and in attracting investments.

The article discusses and analyzes the essence of ethnoculture, a significant part of cultural heritage, determines its main socio-cultural and economic functions, discusses its role in maintaining peace and stability, in the dialogue of cultures and in the preservation of cultural diversity, as well as the current state of Georgia's cultural heritage and the problems of its preservation, the global competitiveness of cultural resources and the possibilities of their use for the socio-economic development of the country and the preservation of cultural heritage.

The research methodology is based on a systematic approach and uses general scientific methods of cognition: analysis, synthesis, comparison, logical reasoning, collection of facts.

Ethnoculture, its customs and traditions play a very important role in improving all aspects of the life of Georgian society, the ignorance of which often harms the national interests of the state. Accordingly, the paper describes the main factors and mechanisms by which ethnocultural heritage influences various aspects of society, which allows developing effective strategies for the preservation and further rational use of ethnocultural heritage, which take into account global trends, sustainable development goals, interests in forming a positive image of the

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

country, synergistic interaction with such areas of the economy as the development of innovations, technologies, business, culture and demonstrating their importance for the socio-economic development of the state.

Key words: *Ethnoculture, Cultural Heritage, Economy, Global Trends, Identity, Sustainable development, Competitiveness, Socio-Economic Development.*

REFERENCES:

1. https://www.europeanproceedings.com/article/10.15405/epsbs.2022.11.5
2. https://culturalheritageinaction.eu/wp-content/uploads/sites/2/2021/11/CH-a-powerful-catalyst.pdf
3. https://sias.ru/upload/iblock/1e7/2016_aktualnie_problemi_ekonomiki.pdf
4. https://charter-alliance.eu/future-scenarios-for-cultural-heritage/
5. https://www.heritagesites.ge/ka/files/95
6. https://unesco.ge/?page_id=540
7. https://forbes.ge/kulturuli-memkvidreobis/
8. https://blueshield.ge/wp-content/uploads/2017/03/Cultural-heritage-protector-guide.pdf
9. https://www.culturalpolicies.net/wp-content/uploads/pdf_full/georgia/Georgia_full-profile_01_2025.pdf
10. https://www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf
11. https://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/Culture-Strategy-2025.pdf
12. https://monographs.4science.ge/index.php/ss/catalog/download/116/134/337?inline=1
13. https://forbes.ge/blogs/mogzaurobisa-da-turizmis-reitingshi-saqarthvelo-45-e-adgilzea/
14. https://www3.weforum.org/docs/WEF_Travel_and_Tourism_Development_Index_2024.pdf

საქართველოს ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკის აქტუალური ასპექტები გლობალური ტენდენციების კონტექსტში

გელა ლობჯანიძე
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ORCID: https://orcid.org/0009-0009-3652-0247
ელ.ფოსტა: g.lobjanidze@gtu.ge

კობა კარტოზია
ეკონომიკისა და მართვის მაგისტრი,
ფინანსური დირექტორი
შპს კომპანია „GRW“
ORCID: https://orcid.org/0009-0001-9892-4433
ელ.ფოსტა: kkartozia@yahoo.com

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ცალკეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკის გლობალური ტენდენციების შესწავლა, კვლევა და ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ერთი მხრივ, კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში, ღირებულებების შენარჩუნება-პოპულარიზაციში, ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და მომავალ თაობებზე გადაცემაში, ხოლო მეორე მხრივ, განათლების, მეცნიერებისა და ტურიზმის განვითარებაში, საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ინვესტიციების მოზიდვაში.

სტატიაში განხილული და გაანალიზებულია კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ეთნოკულტურის არსი, განისაზღვრება მისი ძირითადი სოციოკულტურული და ეკონომიკური ფუნქციები, განიხილება მისი როლი მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში, კულტურათა დიალოგსა და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაში, ასევე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ამჟამინდელი მდგომარეობა და მისი შენარჩუნების პრობლემები, კულტურული რესურსების გლობალური კონკურენტუნარიანობა და მათი გამოყენების შესაძლებლობები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება სისტემურ მიდგომას და იყენებს შემეცნების ზოგად სამეცნიერო მეთოდებს: ანალიზს, სინთეზს, შედარებას, ლოგიკურ მსჯელობას, ფაქტების შეგროვებას.

ეთნოკულტურა, მისი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველი საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტის გაუმჯობესებაში, რომელთა იგნორირება ხშირად ზიანს აყენებს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად, ნაშრომში აღწერილია ძირითადი ფაქტორები და მექანიზმები, რომლითაც ეთნოკულტურული მემკვიდრეობა გავლენას ახდენს საზოგადოების სხვადასხვა ასპექტზე, რაც საშუალებას იძლევა შემუშავდეს ეფექტიანი სტრატეგიები ეთნოკულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და შემდგომი რაციონალური გამოყენებისთვის, სადაც გაითვალისწინება გლობალური ტენდენციები, მდგრადი განვითარების მიზნები, ქვეყნის დადებითი იმიჯის ფორმირების ინტერესები, ეკონომიკის ისეთი სფეროებთან სინერგიული ურთიერთკავშირი, როგორიცაა ინოვაციების, ტექნოლოგიების, ბიზნესის, კულტურის განვითარება და მათი მნიშვნელობის წარმოჩენა სახელმწიფოსა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ეთნოკულტურა, კულტურული მემკვიდრეობა, ეკონომიკა, გლობალური ტენდენციები, იდენტობა, ღირებულებები, მდგრადი განვითარება, კონკურენტუნარიანობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.*

შესავალი

ეთნოკულტურა გულისხმობს კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელ საერთო ღირებულებებს, ტრადიციებს, შეხედულებებსა და ცხოვრების წესს, რომელიც აერთიანებს კულტურულ და ეთნიკურ ასპექტებს. ის აყალიბებს ჯგუფების იდენტობას და მსოფლმხედველობას, მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა ენა, ისტორია, წეს-ჩვეულებები და სულიერება. ამასთან, ეთნოკულტურა განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეროვნულ იდენტობაში და შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. კულტურული მემკვიდრეობა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალურ ეკონომიკაში, რაც გავლენას ახდენს სხვადასხვა სექტორზე, როგორიცაა ტურიზმი, შემოქმედებითი ინდუსტრიები და ურბანული განვითარება. მისი ეკონომიკური ღირებულება აღიარებულია პირდაპირ წვლილში, როგორიცაა მემკვიდრეობითი ტურიზმი და კულტურული ინდუსტრიები, ასევე, ირიბ ზემოქმედებაში, როგორიცაა უძრავი ქონების ღირებულების ზრდა და ურბანული განვითარება. გარდა ამისა, კულტურული მემკვიდრეობა განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალა, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ინკლუზიურობას და ინოვაციებს. ხოლო, ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკა განვითარების პერსპექტიული სფეროა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაში, მდგრად განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

საერთოდ, თანამედროვე ცივილიზაციაში ეთნოკულტურული ღირებულებების პრობლემა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური ჯგუფის უნარზე, იპოვოს თავისი ადგილი მსოფლიოში სხვების მიბაძვის გარეშე, ტრადიციებისა და ინოვაციების შერწყმის უნარზე, ღიაობისა და ეკონომიკური კონკურენციის გამოწვევის მიღებაზე და ამ პროცესში შეინარჩუნოს თავისი თვითმყოფადობა.

საქართველოს ეთნოკულტურულ მემკვიდრეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მდიდარი კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისითით, რომლის შენარჩუნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია და ხელს უწყობს ტურიზმის, ხელოსნობის, შემოქმედებითი და სხვა ინდუსტრიების რაციონალურ და ეფექტიან ფუნქციონირებას. შესაბამისად, ეთნოკულტურული მემკვიდრეობის აქტუალური საკითხების და თემების ჩართვა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ხელს შეუწყობს კულტურული იდენტობის შენარჩუნებას და მის მომავალ თაობებზე გადაცემას.

ძირითადი ტექსტი

ეთნოკულტურული მემკვიდრეობა ეთნიკური ჯგუფების ცხოვრების მატერიალური და არამატერიალური მტკიცებულება და მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის შემოქმედებითი გამოხატულებაა, რომელიც ინახავს და გადასცემს ეთნიკური კულტურების შესახებ სოციალურად მნიშვნელოვან ინფორმაციას. არსებობისთვის ყველა ხალხმა უნდა გამოხატოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები და შეინარჩუნოს თავისი ისტორიის კვალი საუკუნეების განმავლობაში. ანუ, ეთნოკულტურული მემკვიდრეობა გულისხმობს სა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ერთო ტრადიციებს, პრაქტიკებს, წეს-ჩვეულებებს, ენებს, ხელოვნებასა და შეხედულებებს, რომლებიც ახასიათებს კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს, ემსახურება მისი იდენტობის განსაზღვრას და თაობებს შორის კავშირის ხელშეწყობას. იგი მოიცავს როგორც მატერიალურ ელემენტებს, როგორიცაა არტეფაქტები, შენობები და მუზეუმები, ასევე არამატერიალურ ასპექტებს, როგორიცაა ფოლკლორი, მუსიკა, ზეპირი ლიტერატურა და რიტუალები. თავის მხრივ, ეთნოკულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება გადამწყვეტია კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, საზოგადოების სოციალური ერთიანობის მხარდაჭერისა და მსოფლიოში მისი უნიკალური ადგილის გააზრებისთვის. ხოლო, ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკა არის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა, სადაც გაითვალისწინება ეთნიკური ჯგუფების კულტურული იდენტობის ამსახველი მატერიალური და არამატერიალური ობიექტების შექმნა, შენარჩუნება, გამოყენება, პოპულარიზაცია და ქმნის სამუშაო ადგილებს, გენერირებას უკეთებს შემოსავალს, ასტიმულირებს მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიებს (განათლება, ლოჯისტიკა, ტურიზმი) და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, რაც ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი თემების, ასევე მთლიანად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

თანამედროვე სამყაროში ეთნოკულტურული მემკვიდრეობა ინტელექტუალურ სიმდიდრეს, უნივერსალური ღირებულებების, ხალხთა კულტურული ტრადიციებისა და პიროვნული იდენტიფიკაციის პროცესების მარაგს წარმოადგენს. შესაბამისად, ცივილიზაციის განვითარებაში ორი ძალიან ურთიერთგამომრიცხავი ტენდენცია არსებობს. პირველი არის გლობალური სტრუქტურების შექმნა, ხოლო მეორე, – მსოფლიოს სეგმენტაცია, სადაც ერთი ტენდენციის ზრდასთან ერთად, მეორე ტენდენცია ამავდროულად, უფრო აქტიური ხდება. ამიტომ, თანამედროვე ცივილიზაციის ფორმირების პროცესში ეს წინააღმდეგობები ახალი მსოფლმხედველობის შექმნის სტიმულად იქცა, რომელიც პიროვნებაზე, ინდივიდუალობასა და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებაზეა დაფუძნებული. ეთნოკულტურული დამოკიდებულებების ევოლუციის პროცესები მიუთითებს, რომ გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის პირობებში ეთნიკური ჯგუფი არა მხოლოდ არ ასიმილირებს და არ კარგავს თავის პოტენციალს, არამედ, პირიქით, იღებს გარკვეულ დამატებით იმპულსებს საკუთარი იდენტობის განვითარებისა და შენარჩუნებისთვის [1].

ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკის გლობალური ტენდენციები აჩვენებს მისი მდგრადი ეკონომიკური განვითარების პოტენციალის მზარდი როლის აღიარებას კულტურული ინდუსტრიების მეშვეობით მშპ-ს განვითარებაში, მემკვიდრეობის ტურიზმსა და ურბანული დაგეგმარების ინტეგრაციაში ინვესტიციების ზრდასთან ერთად. აქ ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორებია ქალაქები, რომლებიც აბალანსებენ მოდერნიზაციას ისტორიის მნიშვნელოვანი მონაპოვრისა და კულტურული აქტივების შენარჩუნებასთან ერთად ლოკალიზებული კულტურული ინდუსტრიების განვითარებას, რაც ხელს უწყობს ინოვაციებს, დასაქმებას და ეთნოკულტურული ტურიზმის, განსაკუთრებით ადგილობრივი და ეთნოტურიზმისადმი მზარდ ინტერესს, კულტურული გაგებისა და საზოგადოებისთვის სარგებლის ხელშეწყობის მიზნით. მაგრამ ასევე, ხაზს უსვამს ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა ტურიზმიდან კომერციალიზაციის და არამატერიალური სარგებლის რაოდენობრივი განსაზღვრის სირთულე. ასევე, ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკაში მეტად მნიშვნელოვანია სინერგიული კავშირი მემკვიდრეობის შენარჩუნებას, მდგრად განვითარებას, სოციალურ კაპიტალსა და დაბალანსებულ რეგიონულ ზრდას შორის, რაც სცილდება მხოლოდ პირდაპირ ეკონომიკურ გავლენას სამუშაო ადგილების შექმნის და სხვა ბენეფიტების თვალსაზრისით. ამასთან, ახალი თემები მოიცავს ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ინტეგრაციას ეროვნული განვითარების სტრატეგიებში, მწვანე და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობას და ფოკუსირებას გრძელვადიანი ღირებულების შექმნაზე კულტურული გაცვლისა და საზოგადოების მდგრადობის გზით, სადაც თავის მხრივ, გაითვალისწინება შემდეგი აქტუალური მიმართულებები: კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების გამოყენება, არამატერიალური სარგებლის აღიარება, გლობალიზაციის გავლენის დაბალანსება, ურბანული მოდერნიზაცია და მემკვიდრეობის კონსერვაცია, კულტურული ინდუსტრიებისა და ლოკალიზებული ეკონომიკების ზრდა, ეთნოკულტურული ტურიზმის ზრდა, ადამიანური კაპიტალის მოზიდვა, გაზრდილი საჯარო და კერძო ინვესტიციები, ეკონომიკური სარგებელი, განვითარება და ზეგავლენა პირდაპირ ეკონომიკურ მოგებაზე, არაპირდაპირი და არამატერიალური სარგებელი, რეგიონული და ადგილო-

ბრივი განვითარების მხარდაჭერა, დიპლომატია და კონფლიქტების მოგვარება, ღირებულებები და შეხედულებები, ტრადიციები და პრაქტიკები, ენა, ისტორია და მემკვიდრეობა, ცხოვრების წესი, ეთნოკულტურის ეროვნული იდენტობა, სოციალური გაგება, კულტურათშორისი ურთიერთქმედება, დიგიტალიზაცია, მდგრადი ტურიზმი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა [2, 3]. ამასთან, გეოსტრატეგიული დინამიკის, კლიმატის ცვლილების, ცირკულარული ეკონომიკის, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან, კლიმატის და გლობალური სოციალურ-პოლიტიკური ლანდშაფტების ცვლილებებთან ერთად, ეთნოკულტურული მემკვიდრეობის სექტორი უპრეცედენტო გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დგას, სადაც მნიშვნელოვანია სექტორის ადაპტირებისა და განვითარების შესაძლებლობების ოპტიმალური რეალიზება სასიცოცხლო სოციალურ ძალად [4].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო ადამიანური ცივილიზაციის უძველესი ცენტრია და გამორჩეულია მდიდარი, მრავალფეროვანი, უნიკალური და საუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობით, სადაც მოიაზრება ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათ-წესები, ჩვეულებები, ტექნოლოგიები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები და, რომლებიც ქვეყნის იდენტობის, სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. როგორც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს შესწავლილი მასალებიდან გამომდინარეობს, მოძრავი ძეგლების რეესტრში დაფიქსირებულია დაახლოებით 6 000 მასალა, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის 75 სახეობა და 7 953 უძრავი ძეგლი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 3 და ბუნებრივი მემკვიდრეობის 1 ძეგლი შევიდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (მცხეთის ისტორიული ძეგლები (სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი)) – 1994 წ., ზემო სვანეთი - 1996 წ., გელათის მონასტერი და კოლხეთის ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები (2021 წ.) ხოლო, 5 ელემენტი – ქართული მრავალხმიანობა (2008 წ.), ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი (2013 წ.), ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა (2016 წ.), ქართული ჭიდაობა (2018 წ.) და ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები (2025) წარმოდგენილია UNESCO-ს არამატერიალური მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში. ამასთან, საერთო ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპის საბჭოს კულტურულ მარშრუტებში ჩართვა და ევროპულ სტრუქტურებში (ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ორგანიზაცია (EUROPA NOSTRA), კულტურის მენეჯმენტისა და პოლიტიკის ევროპული ქსელი (ENCATC), ევროპის საბჭოს კულტურის, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის მმართველი კომიტეტის ბიურო და სხვ.) გაწევრიანება [5, 6]. ანუ, წარსულის დაცვით მომავალის აშენება და საერთაშორისო სტრუქტურებსა და ინსტიტუციებში ინტეგრირება მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად საქართველოს ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას წლების განმავლობაში ხშირად და არასათანადოდ მოუვლელობის თუ არაკვალიფიციურად ჩატარებული სარეაბილიტაციო ან თვითნებური სარემონტო სამუშაოებისა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ გარემოში უხეში ჩარევების გამო. ამის მიზეზებად შეიძლება დასახელდეს არასრულყოფილი საკანონმდებლო გარემო და ინსტიტუციონალური მოწყობა, ცნობიერების ამაღლების საჭიროება, არასაკმარისი კვალიფიციური კადრები საპროექტო და სამშენებლო-საშემსრულებლო დონეებზე, მწირი საბიუჯეტო თანხები მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების საჭიროების ფონზე და სხვ. [7, 8].

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა, რომელსაც საერთაშორისო ქარტიების დონეზე ვალდებულებად იღებენ ცივილიზებული სამყაროს ქვეყნები, მ. შ. საქართველოც. გონივრული დამოკიდებულება მემკვიდრეობის მიმართ პირდაპირ მეტყველებს საზოგადოების კულტურული განვითარების დონეზე და ყოველი თაობის ვალია როგორც ღირებული ახლის შექმნა, ასევე, მემკვიდრეობის გაფრთხილება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა. ეს ორი რამ ერთმანეთს ხელს სულაც არ უშლის და სწორი დაგეგმვის შემთხვევაში სწორედ მათი თანაარსებობა წარმოადგენს მდგრადი განვითარების საფუძველს. ეს არათუ ეწინააღმდეგება ეკონომიკური განვითარების პრინციპებს, არამედ პირიქით, როგორც ამერიკაში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში არსებული

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კვლევებიდან და გამოცდილებიდან ცნობილია, ისტორიული შენობების რეაბილიტაციას, შენარჩუნება-განვითარებას და საერთოდ, კულტურულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი ფინანსური და სოციალური სარგებლიანობა მოაქვს, წარმოშობს მეტ სამუშაო ადგილს და უფრო მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა ქალაქებისა და სახელმწიფოებისთვის, ვიდრე ახალი მშენებლობა [6]. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი, მეთოდოლოგიური, ადმინისტრაციული, ორგანიზაციული, ფინანსური და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების და მექანიზმების სრულყოფილი შემუშავება და ეფექტიანი განხორციელება, სადაც გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი მიზნების მიღწევა:

◆ კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის შემოღება რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ყველა შესაბამისი ასპექტის სათანადოდ გათვალისწინების უზრუნველსაყოფად;

◆ არამატერიალური, მატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობიდან ახალი კანდიდატების მომზადება იუნესკოსთვის წარსადგენად;

◆ არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ციფრული ფორმატირება, კატალოგიზაცია დაცვის და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;

◆ საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;

◆ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური საველე სამუშაოების მხარდაჭერა და კვლევისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წახალისება;

◆ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც მთელი კაცობრიობის მემკვიდრეობის, პოპულარიზაცია სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით;

◆ კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის წარმართვა ინტეგრირებული კონსერვაციული მიდგომით და ურბანული, სივრცითი და რეგიონული განვითარების გეგმების გათვალისწინება შენობების, არქიტექტურული ანსამბლების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებისა და კულტურული ღირებულების მქონე ლანდშაფტების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

◆ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაშენების პირას მყოფი ფორმების დაცვის, აღორძინებისა და პრაქტიკის ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

◆ ქართველური ენების (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური) და კილოთა, ქართული დამწერლობისა და ანბანის კვლევისა და შენარჩუნების ხელშეწყობა, მხარდაჭერა და დაცვა;

◆ საფრთხის წინაშე მყოფი ენების, განსაკუთრებით კი აფხაზური ენის, როგორც ქართული იდენტობისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის დაცვისა და განვითარების მხარდაჭერა და სხვ. [8, 9].

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია და ეფექტიანად გამოყენება ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, სადაც გაითვალისწინება კულტურული მემკვიდრეობის, კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და მართვის ეფექტიანი მექანიზმების და სამუზეუმო საქმიანობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, რითაც გაიზრდება საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესწავლისა და სარესტავრაციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობა, ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის სახელმწიფო გეგმის შემუშავება და ეტაპობრივად განხორციელება, მუზეუმების ინფრასტრუქტურა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და მუზეუმებში დასაქმებული კადრების, ამ სფეროს პროფესიონალთა მომზადების/გადამზადების პროგრამების განვითარება, არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის ათვისების და კულტურული ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა [10].

მართალია, კულტურული მემკვიდრეობა მდგრადი განვითარების შედარებით ნაკლებად აღიარებული რესურსია, თუმცა მდგრადი განვითარების მიზნების 11.4-ე მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დასაცავად ძალისხმევა გააძლიერონ, სადაც გაითვალიწინება UNESCO-ს მონაცემებზე დაყრდნობით კონტინენტის ყველა ქვეყნის ე. წ. კულტურული მემკვიდრეობის მდგრადობის ინდექსის მეთოდებისა და ინდიკატორთა დადგენა და ინსტრუმენტის შემუშავება, რომელიც სოციალური კაპიტალის გაძლიერების, საერთაშო-

რისო ურთიერთობებში ტურიზმის განვთარების და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საშუალება შეიძლება გახდეს [10]. ამასთან, საზოგადოების თანამედროვე განვითარებაში ეთნოკულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მიდგომების და ასპექტების შეფასება, როგორც მდგრადი განვითარების რესურსი სტაბილურობის შენარჩუნებასა და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაში, ითვალისწინებს დეტალურ, კომპლექსურ და რაციონალურ ანალიზს, რადგან კულტურული მემკვიდრეობა ერთგვარი ფილტრია ადგილობრივი თემებისთვის სოციალური კაპიტალის ფორმირებაში, რომლის მეშვეობითაც აღიქმება მსოფლიოში გლობალური ცვლილებები. ასეთ შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების საფუძველზე, ადგილობრივ თემებს შეუძლიათ შეიმუშაონ ეფექტური სოციალური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბის დაძლევას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი ეკონომიკური „კლასტერების“ შექმნას, კულტურული მომსახურების ბაზრის გაფართოებას, ტურიზმის განვითარებას, კულტურის სფეროს მატერიალური ბაზის გაძლიერებას და თანამედროვე საზოგადოების წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზს, სადაც საჭიროა დიდი ძალისხმევა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების რაციონალური გადაწყვეტისათვის, რადგან კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალება, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მთავარი პლატფორმაა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შესაბამისი პროექტების, სტრატეგიებისა და მიდგომების შემუშავებას, რომლებიც შეინარჩუნებენ ქვეყნის კულტურული რესურსების სიმდიდრეს და გადასცემენ მათ მომავალ თაობებს მათი მრავალფეროვანი ფორმით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ქართული ისტორიული ეთნოკულტურული მემკვიდრეობის განადგურების და ქართული კვალის წაშლის სავალალო მდგომარეობა. თავის მხრივ, კულტურული ფასეულობების განადგურება ხელს უშლის ადამიანებს შორის შერიგებას, აფერხებს განვითარებას და ანგრევს კულტურულ მრავალფეროვნებას. ხოლო, ისტორიული ფესვებისა და კულტურული მრავალფეროვნების უარყოფის მცდელობამ, შეიძლება გააძლიეროს კონფლიქტი და შეაფერხოს შერიგება, რითაც ზოგადად, ფერხდება დაზარალებული სახელმწიფოების სტაბილურობა და კონკრეტულად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კულტურული სფეროს ეფექტიანი მმართველობა. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონსტრუქტივისტულ მიდგომებს და პოლიტიკური აქტორების მიერ დისკურსის ჩართულობა-განხილვებს უსაფრთხოების კონტექსტში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. დღესდღეობით, მნიშვნელოვანია იმის რწმენა, რომ კულტურა თავისთავად ფუნდამენტური ღირებულებაა ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის და კულტურულ მემკვიდრეობას აქვს ძალა გავლენა მოახდინოს „კონფლიქტსა“ და „შერიგებაზე“. ამიტომ, მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მონიტორინგის სხვადასხვა ზომების შემუშავება და გაძლიერება [12].

ამასთან, კულტურული რესურსების გლობალურ კონკურენტუნარიანობაში მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების 2024 წლის რეიტინგის ანალიზი, რომელიც რეალურად 2023 წლის მდგომარეობას ასახავს და, სადაც საქართველო მსოფლიოში 119 ქვეყანას შორის 4.14 ქულით (მაქსიმალურია 7 ქულა) 45-ე ადგილს იკავებს. 2022 წელს გამოქვეყნებულ ინდექსში საქართველო 44-ე ადგილზე იყო 4.3 ქულით, ანუ საქართველოს ქულა 0.16-ით შემცირდა და ქვეყანამ რეიტინგში ერთი საფეხურით ჩამოინაცვლა. ინდექსში შემავალი შეფასების ინდიკატორების მიხედვით, საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა – 6.17 (25-ე ადგილი) უსაფრთხოებაში აქვს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში – 5.51 (50-ე ადგილი), ჯანმრთელობასა და ჰიგიენაში – 5.49 (50-ე ადგილი) და კონკურენტულ ფასებში – 5.47 (27-ე ადგილი) ხოლო, ყველაზე დაბალი ქულა ბიზნესმოგზაურობაში – 1.56 (79-ე ადგილი) აქვს, კულტურულ რესურსებში – 1.81 (75-ე ადგილი), ბუნებრივ რესურსებში – 2.05 (84-ე ადგილი), აეროპორტების ინფრასტრუქტურაში – 3.35 (74-ე ადგილი) [13, 14]. ცხადია, ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამოწვევებთან. მართალია, ვითარება წინა წლებთან შედარებით უმჯობესდება, თუმცა, მიუხედავად ტურიზმის უზარმაზარი პოტენციალისა, მსოფლიო ტურისტულ მიღწევებთან შედარებით საქართველო ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ აღჭურვილი მთელი რიგი კრიტერიუმებით ტურისტებისთვის და შესაბამისად არ არის საკმარისად კონკურენტუნარიანი.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმში ეფექტიანი ჩართვა ხელს შუწყობს მთავარი ფუნქციების (საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობები, რაც გულისხმობს სულიერ ზრდა-განვითარებას, ეროვნული მენტალიტეტის, თვითშეგნების ჩამოყალიბებას, პატრიოტული გრძნობების გაღვივებას, ცნობიერების ამაღლებას, განათლებას და ეკონომიკური (კომერციული) შემოსავლის მიღება, რომლის გამოყენებაც საქართველოში შესაძლებელია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ფინანსური რესურსების მოპოვებისთვის)) განხორციელებას, რაც თავის მხრივ, გაზრდის თავად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების დონეს და მასშტაბებს, მოგზაურობისა და ტურიზმის გლობალურ კონკურენტუნარიანობას.

ამრიგად, ეთნოკულტურული მემკვიდრეობა როგორც ერის იდენტობის სასიცოცხლო კომპონენტი ასახავს მის ისტორიას, ტრადიციებს, ღირებულებებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარსულის აწმყოსთან დაკავშირების, თემებში იდენტობის განცდის უზრუნველყოფის, სოციალური თანასწორობის, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობის გზით და მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად იქცა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

დასკვნა

ეთნოკულტურული მემკვიდრეობა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს მდგრად ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მნიშვნელოვანია მდგრადი ბიზნეს მოდელები, როგორიცაა საჯარო-კერძო პარტნიორობა და საზოგადოების მიერ ორგანიზებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ინიციატივების შემუშავება და ეფექტიანი განხორციელება სამთავრობო უწყებების, კერძო სექტორის კომპანიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევით, რათა უზრუნველყოფილი იყოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ეკონომიკური სარგებლის გენერირება მომავალი თაობებისა და ადგილობრივი თემებისთვის ინკლუზიური და მდგრადი მიდგომების დანერგვით.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

WASTE OILS: SYSTEMIC MANAGEMENT EXPERIENCE AND GEORGIA'S CHALLENGES

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 17, 2025
Published: December 12, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-63

Gela Aladashvili
PhD in Economics,
Professor, at Georgian International University,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-2786-3346
E-mail:gela.aladashvili@giu.edu.ge

ABSTRACT

This paper presents global trends in waste oils; discusses technological innovations, policy instruments, economic and infrastructural factors in waste oil processing; examines Georgia's experience and international practice, based on which recommendations have been developed for the systemic management of waste oils.

Waste oils are classified as hazardous waste, and their improper management, including illegal burning or incorrect disposal, significantly damages the environment, causes soil, water and air pollution, and reduces biodiversity. The purpose of the paper is to analyze existing systemic characteristics using examples from different countries, assess the effectiveness of collection and processing methods, and identify factors that promote sustainable waste oil management. The article examines the experience of developed countries, where regeneration rates often exceed 80%, which is driven by strong policy frameworks, economic incentives, and the implementation of modern technologies, such as vacuum distillation and hydrotreating. Particular attention is devoted to the Extended Producer Responsibility (EPR) system as an effective policy instrument for increasing collection and regeneration rates. The findings demonstrate that waste oil management requires an integrated policy framework, robust oversight, and clear traceability. In the Georgian context, the paper highlights local challenges, which include infrastructural and technological backwardness, weak regulations, and low awareness. The article emphasizes the necessity for Georgia to transform its own management system in accordance with circular economy requirements, in order to achieve sustainable development goals.

Keywords: *Waste oils; Extended Producer Responsibility; EPR; Georgia; Environmental policy.*

REFERENCES:

1. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2016). National Waste Management Strategy and Action Plan 2016–2030. Tbilisi: Ministry of Environmental Protection and Agriculture (in Georgian).

2. Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia. (2024). Annual Waste Management Report 2024. Tbilisi: Ministry of Environment Protection and Agriculture (in Georgian).

3. Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia. (2024). Oil Waste Management Report 2024. Tbilisi: Ministry of Environment Protection and Agriculture (in Georgian).

4. Parliament of Georgia. (2015). Waste Management Code. Legislative Herald of Georgia (in Georgian).

5. Technical Regulations on Oil Waste Management of Georgia. Resolution of the Government of Georgia No. 327, 2020 (in Georgian).

6. Order of the Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia No. 2 773. August 31, 2020 - On approval of the rules for maintaining of electronic register of producer extended obligations regarding to oil waste management (in Georgian).

7.Cabrera-Escobar, C., Moreno-Gutiérrez, J., Rodríguez-Moreno, R., Pájaro-Velázquez, E., Calderay-Cayetano, F., & Durán-Grados, V. (2025). A review on global recovery policy of used lubricating oils and

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

their effects on the environment and circular economy. Environments, 12(5), 135. https://doi.org/10.3390/environments12050135

8. CONOU. (2021). Annual report on waste oil management in Italy. Consorzio Nazionale per la Gestione, Raccolta e Trattamento degli Oli Usati. https://www.conou.it/en/

9. Environmental Protection Agency. (2024). U.S. recycling infrastructure assessment and state data reports. EPA.

10. European Commission. (2023). Circularity of mineral and synthetic lubrication and industrial waste oil management in the EU. Brussels: European Commission.

11. European Commission. (2023). Study to analyse lubricant and industrial oil management systems and waste oil collection schemes in EU Member States to support measures to increase collection rates. Publications Office of the European Union. https://doi.org/10.2779/948514

12. European Environment Agency. (2024). Waste oil collection and recycling in Europe: Trends and challenges. EEA.

13. Global Growth Insights. (2025). Waste oil recycling market. https://www.globalgrowthinsights.com/market-reports/waste-oil-recycling-market-110225

14. JRC. (2023). Environmental and socio-economic sustainability of waste lubricant oil management in the EU (JRC133752). Joint Research Centre. https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/handle/JRC133752

15. Khalid, M., Rahman, M., & Singh, R. (2023). Advances in re-refining technologies for waste lubricants. Renewable & Sustainable Energy Reviews, 160, 112–129.

16. Klenert, D., García-Gutiérrez, P., Tonini, D., Saveyn, H., & Marschinski, R. (2025). The economics of waste oil recycling in the EU. Journal of Environmental Economics and Policy, 14(1), 1–22. https://doi.org/10.1080/21606544.2024.2318385

17. Niza, S., Santos, E., Costa, I., Ribeiro, P., & Ferrão, P. (2014). Extended producer responsibility policy in Portugal: A strategy toward improving waste management performance. Journal of Cleaner Production, 64, 277–287.

18.OECD. (2022). Extended producer responsibility and waste oil management: Global practices. OECD Publishing.

19. Product Stewardship for Oil Program. (n.d.). Australian Taxation Office. https://www.ato.gov.au/businesses-and-organisations/income-deductions-and-concessions/incentives-and-concessions/fuel-schemes/product-stewardship-for-oil-program

20. Smyth, J. (2024). Waste management challenges in developing countries. Environmental Policy Review, 12(1), 44–59. https://www.hilarispublisher.com/open-access/waste-management-in-developing-countries-challenges-and-solutions.pdf

21. UNEP. (2024). Global Waste Management Outlook 2024. United Nations Environment Programme.

22. Waste Oil Global Market Report. (2025). https://www.thebusinessresearchcompany.com/report/waste-oil-global-market-report

23. Waste Oil Market Size and Forecast 2025 to 2034. (2025). https://www.precedenceresearch.com/waste-oil-market

ნარჩენი ზეთები: სისტემური მართვის გამოცდილება და საქართველოს გამოწვევები

გელა ალადაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-2786-3346
ელ.ფოსტა: gela.aladashvili@giu.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომში მოცემულია ნარჩენი ზეთების გლობალური ტენდენციები; განხილულია ტექნოლოგიურ ინოვაციები პოლიტიკის ინსტრუმენტები, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ფაქტორები ნარჩენი ზეთების გადამუშავებაში; შესწავლილია საქართველოს გამოცდილება და საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის გათვალისინებით შემუშავებულია რეკომენდაციები ნარჩენი ზეთების სისტემური მართვისთვის.

ნარჩენი ზეთები კლასიფიცირდება როგორც სახიფათო ნარჩენი, რომლის არასათანადო მართვა, მათ შორის უკანონო დაწვა ან არასწორი განთავსება, მნიშვნელოვნად აზიანებს გარემოს, იწვევს ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებას და ბიომრავალფეროვნების შემცირებას. ნაშრომის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე არსებული სისტემური თავისებურებების ანალიზი, შეგროვებისა და გადამუშავების მეთოდების ეფექტიანობის შეფასება და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობს ნარჩენი ზეთების მდგრად მართვას. სტატია განიხილავს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, სადაც რეგენერაციის მაჩვენებლები ხშირად 80%-საც აჭარბებს, რაც განპირობებულია ძლიერი პოლიტიკური ჩარჩოთი, ეკონომიკური სტიმულებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების, მაგალითად, ვაკუუმური დისტილაციისა და ჰიდროდამუშავების, დანერგვით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) სისტემას, როგორც შეგროვებისა და რეგენერაციის მაჩვენებლების ზრდის ეფექტიან პოლიტიკურ ინსტრუმენტს. მიგნებები ცხადყოფს, რომ ნარჩენი ზეთების მენეჯმენტი მოითხოვს ინტეგრირებულ პოლიტიკურ ჩარჩოს, მძლავრ ზედამხედველობასა და მკაფიო მიკვლევადობას. საქართველოს კონტექსტში, ნაშრომი წარმოაჩენს ადგილობრივ გამოწვევებს, რომლებიც მოიცავს ინფრასტრუქტურულ და ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას, რეგულაციების სისუსტეს და დაბალ ცნობიერებას. სტატია ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ საქართველომ გარდაქმნას საკუთარი მართვის სისტემა ცირკულარული ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: *ნარჩენი ზეთები; მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება; მგვ; საქართველო; გარემოსდაცვითი პოლიტიკა.*

შესავალი

ნარჩენი ზეთების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს გარემოსდაცვით პოლიტიკაში, რადგან მათი არასწორი განთავსება იწვევს ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებას. ისინი კლასიფიცირდება როგორც სახიფათო ნარჩენი, რადგან შეიცავს მძიმე მეტალებს, კანცეროგენებს, პოლიარომატულ ნახშირწყალბადებს და სხვა ტოქსიკურ ნივთიერებებს. ნარჩენი ზეთები მავნე მახასიათებლებისა და ხანგრძლივი დეგრადაციის გამო ეკოსისტემებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. მათი გარემოში მოხვედრა იწვევს ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას, ბიომრავალფეროვნების შემცირებას და ჯანმრთელობის რისკებს.

გლობალური ტენდენციები მიუთითებს, რომ ნარჩენი ზეთების წარმოქმნა იზრდება ტრანსპორტის, ინდუსტრიის, აგრეგატების და ტექნიკის მზარდი მოხმარების პარალელურად. ნარჩენი ზეთების გლობალური ბაზრის მოცულობამ 2024 წელს 78,9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მოსალოდნელია, რომ 2034 წლისთვის ბაზრის ღირებულება დაახლოებით 147,2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს და ზრდის საშუალო ტემპი 6,4 % იქნება [23].

ნარჩენი ზეთი დეგრადირებული პროდუქტია, რომელიც ვეღარ გამოიყენება თავდაპირველი დანიშნულებით. ის ძირითადად წარმოიქმნება სატრანსპორტო და სამრეწველო ძრავებში. გლობალური ნარჩენი ზეთების გადამუშავების ბაზარი იზრდება, რასაც გარკვეულად ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით გამოყენებული ზეთების რეგენერაცია საწვავად ან საპოხ საშუალებად. უკონტროლო დაწვისა ან ნიადაგში ჩაღვრის საპირისპიროდ სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მის რეციკლირებას. თუმცა შეგროვების და გადამუშავების სისტემების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით: ევროკავშირში პროცესი მკაცრად რეგულირდება, ხოლო განვითარებად ქვეყნებში სისტემები ხშირად არასრულყოფილია [20]. განვითარებულ ქვეყნებში ნარჩენი ზეთების რეციკლირების მაჩვენებელი ზოგჯერ 80 პროცენტსაც კი აჭარბებს, განვითარებად ქვეყნებში კი მეტად დაბალია.

საქართველოში ნარჩენი ზეთების მართვის გამოწვევები მოიცავს ინფრასტრუქტურის არასაკმარის განვითარებას, ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას, ეკონომიკური სტიმულების ნაკლებობასა და დაბალ ცნობიერებას.

ნაშრომის მიზანია გამოქვეყნებული კვლევითი მასალების ანალიზის საფუძველზე ნარჩენი ზეთების შეგროვებისა და გადამუშავების გამოწვევების გამოვლენა, დაძლევის პრაქტიკების გაცნობა და რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში ამ პროცესის სისტემური გაუმჯობესებისთვის.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლიტერატურის მიმოხილვა

გლობალურად შეგროვებული ნარჩენი ზეთების დაახლოებით 38% გადამუშავდება საწვავ პროდუქტებად, ხოლო 25%-ის საპოხ საშუალებებად რეგენერირება ხდება. პროგნოზირებულია, რომ ნარჩენი ზეთების რეციკლირების საერთო ღირებულება 2025 წელს 4791.1 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2026 წლისთვის დაახლოებით 5239.55 მილიონი აშშ დოლარი იქნება. ბაზარი კიდევ უფრო გაიზრდება და 2033 წლისთვის 9801.6 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს [13]. რაც შეეხება ხელახალ გადამუშავებას, გამოიყენება უახლესი ტექნოლოგიები ვაკუუმური დისტილაციის, წყალბადით დამუშავების და გამხსნელებით ექსტრაციის პროცესში. ეს მნიშვნელოვნად ზრდის საბაზისო ზეთების გამოსავლიანობისა და ხარისხის მაჩვენებელს. ამასთან, ბლოკჩეინზე დაფუძნებული ნარჩენი ზეთების მონიტორინგის სისტემა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგნოზირებადი ტექნიკური მომსახურება აუმჯობესებს შეგროვების, სეგრეგაციისა და გადამუშავების ეფექტიანობას. აღნიშნული მიუთითებს, რომ ნარჩენი ზეთების ბაზარი თანდათან გადადის უფრო მაღალი ღირებულების გადამუშავების მოდელებზე. განსაკუთრებულად მზარდია ხელახლა გადამუშავებული საბაზისო ზეთების წარმოება, რომელიც ბოლო ათწლეულში 35%-ით გაიზარდა. ხოლო ბიოდიზელის მწარმოებლების დაახლოებით 20% პირველწყაროდ საკვებ და ძრავის ნარჩენ ზეთებს იყენებს [13].

ნარჩენი ზეთების ბაზარზე დომინანტური ტენდენციაა ინოვაციური ინტეგრირებული ნარჩენების მართვის სერვისების დანერგვა. ამ ტრანსფორმაციას ხელს უწყობს როგორც მარეგულირებელი მოთხოვნები, ასევე, კერძო სექტორის სტრატეგიული ინტერესები, რაც მიზნად ისახავს ნარჩენი ზეთების გადამუშავებისა და რეგენერაციის მაჩვენებლის ზრდას. ამგვარი პროცესები უშუალოდ უწყობს ხელს ბუნებრივი რესურსების კონსერვაციას და ამცირებს ნარჩენი ზეთების მოცულობას ნაგავსაყრელებზე [22].

მსხვილი კორპორაციები მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებენ ლოჯისტიკური და ტექნოლოგიური პროცესების გამარტივებაში. კომპანია Averda-ს ინიციატივა (2022) არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, მოწმობს, რომ კომპანიები აფართოებენ შეგროვების არეალს ტრადიციული საავტომობილო ზეთების მიღმა. საკვები ზეთის ნარჩენების შეგროვება რესტორნების სექტორიდან (10 მილიონი ლიტრი) არა მხოლოდ აუმჯობესებს ადგილობრივი ნარჩენების მართვის ხარისხს, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს სატრანსპორტო საშუალებების ნახშირბადის ემისიებს გამოყენებული კულინარიული ზეთის შემდგომში ბიოსაწვავად გამოყენების გზით. ასევე, საინტერესოა Shell-ის მიერ 2022 წელს ინდოეთში დაწყებული გამოყენებული ზეთის მართვის სერვისი, რომელიც წარმოადგენს სტრუქტურული მიდგომის მაგალითს. ამ სერვისის მიზანია ინდოეთის ნარჩენი ზეთის განთავსების სისტემის ფორმალურ ეკოსისტემაზე გადაყვანა, რადგან ნარჩენი ზეთის არასათანადო გატანა აღიარებულია, როგორც უდიდესი დაბრკოლება ინდუსტრიული ცირკულარულობისთვის. ამგვარი ინიციატივები ზრდის ზეთის ხელახალი რეგენერაციის მაჩვენებელს და მხარს უჭერს მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებს [22].

ვლინდება, რომ ნარჩენი ზეთების მართვის ბაზარი გადადის მარტივი განთავსებიდან მაღალტექნოლოგიურ, ინტეგრირებულ სერვისებზე, რომლებიც ეკოლოგიურ შედეგებს ეკონომიკურ სარგებელთან აკავშირებს. ახალი მონაცემები ცხადყოფს, რომ ნარჩენი ზეთების გადამუშავება მომგებიან ეკონომიკურ საქმიანობად გადაიქცა (მსხვილი კომპანიებისთვის), თუმცა სახელმწიფო რეგულაციები კვლავ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად რჩება სისტემური მართვის პროცესში.

ნარჩენების, მათ შორის ნარჩენი ზეთების, შეგროვებისა და გადამუშავების პროცესებში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემა (მგვ) ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ პოლიტიკის ინსტრუმენტად (თუმცა არა ცალსახად), რომელიც მწარმოებლებსა და იმპორტიორებს ნარჩენების შეგროვების და გადამუშავების პროცესებზე პასუხისმგებლობის აღებას ავალდებულებს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია OECD აღნიშნავს, რომ ძლიერი მგვ სისტემები ზრდის შეგროვების მაჩვენებლებს, ამცირებს არალეგალურ ჩაბარებას და უზრუნველყოფს ფინანსური ნაკადების გამჭვირვალობას [18]. მაგალითად, პორტუგალიის გამოცდილება აჩვენებს, რომ სწორად ჩამოყალიბებულმა მგვ სისტემამ ნარჩენი ზეთების მართვის ხარისხი მკვეთრად გააუმჯობესა. კვლევის მიხედვით, შესაბამისი პასუხისმგებლობის ორგანიზაციებმა შექმნეს ქვეყნის მასშტაბით კარგად ორგანიზებული შეგროვებისა და გადამუშავების ქსელები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც შეგროვების მაჩვენებლები, ისე რეგენერაციის ხარისხი. ავტო-

რები აღნიშნავენ, რომ პორტუგალიაში მიღწეული პროგრესი არა მხოლოდ რაოდენობრივი ზრდით, არამედ გაუმჯობესებული ეკოლოგიური შედეგებითაც გამოიხატება. შედეგად, ქვეყანა ევროკავშირის სამიზნე მაჩვენებლებს უსწრებს, რაც მგვ მოდელის ეფექტიანობის მკაფიო დასტურია [17].

ევროკავშირში ნარჩენი ზეთების მდგრადი მართვა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი კრიტიკული მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის პოლიტიკა მიზნად ისახავს ნარჩენი ზეთების შეგროვების, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების სისტემური მართვის უზრუნველყოფას. ნარჩენი ზეთების ეფექტიანი მართვა დაკავშირებულია რეგულაციების ხარისხთან, ეკონომიკურ სტიმულებთან, ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, მგვ მოდელების მუშაობასა და საზოგადოებრივ ცნობიერებასთან. აღნიშნული ნარჩენების მართვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რადგან თეორიულად შეგროვებადი რაოდენობის დაახლოებით 18% მაინც იკარგება და არ ხვდება ოფიციალური აღრიცხვის სივრცეში. ეს ნიშნავს, რომ ნარჩენი ზეთების თითქმის ყოველი მეხუთე ნაწილი საბოლოო ჯამში სამართლებრივად არ კონტროლდება, რაც მაღალი რისკის შემცველი პრაქტიკების გავრცელებას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მწვანე ეკონომიკის პოლიტიკა მკაფიოდ ითხოვს ნარჩენების პრევენციას, ზეთის ხარისხიან შეგროვებასა და რეგენერაციას, წევრ სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება და 38%-დან 100%-მდე მერყეობს. განსხვავება განპირობებულია როგორც რეგულაციების აღსრულების ხარისხით, ისე ეკონომიკური სტიმულებისა და კოლექციის ლოჯისტიკური სისტემების მოწყობით. ცუდად მართული სივრცეებში ხშირად ვხვდებით პრობლემებს, როგორიცაა უკანონო დაწვა მცირე ავტოსერვისებსა და ინდივიდუალურ სამუშაო ადგილებში; ზეთის შერევა სხვა სახის ნარჩენებთან, განსაკუთრებით საზღვაო სექტორში; ასევე „შავი ბაზრის“ არსებობა, რომელიც ნარჩენ ზეთს იყენებს ალტერნატიული საწვავის მოსამზადებლად [10].

ევროკავშირის ერთობლივი კვლევითი ცენტრი JRC [14] განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ნარჩენი ზეთების მართვის სისტემის სტრუქტურულ გამოწვევებზე. პირველი პრობლემა არის *შეგროვების არასაკმარისი დონე:* მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა ითხოვს ნარჩენი ზეთების მაქსიმალურ შეგროვებას, პრაქტიკაში მნიშვნელოვანი რაოდენობა კვლავ იკარგება ან უკანონო გზებით განთავსდება. ეს ქმნის როგორც გარემოსდაცვით, ისე ეკონომიკურ რისკებს, რადგან რეგენერაციისთვის საჭირო ნედლეული სრულად არ მიეწოდება სისტემას. მეორე გამოწვევა უკავშირდება *რეგენერაციის ეკონომიკურ სიცოცხლის უნარიანობას.* ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ახალი საბაზისო ზეთის დაბალი ფასი და ნარჩენი ზეთის შეგროვებისა და გადამუშავების მაღალი ხარჯები ხშირად ართულებს რეგენერაციის კონკურენტუნარიანობას. შედეგად, კომპანიებს ხშირად ურჩევიათ, მაგალითად, მიმართონ წვას საწარმოო პროცესებში, რაც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ნაკლებად მდგრადია. მესამე საკითხი *პოლიტიკის ინსტრუმენტების არასაკმარისი კოორდინაციაა.* ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი დირექტივები ზოგჯერ განსხვავებულად ინტერპრეტირდება ეროვნულ დონეზე, რაც ქმნის რეგენერაციისა და ენერგეტიკული აღდგენის პოლიტიკურ კონკურენციას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სუბსიდიებისა და მოსაკრებლების მექანიზმები ხშირად არ არის თანმიმდევრული, რის შედეგადაც ბაზარზე სტიმულების დისბალანსი ჩნდება. მეოთხე გამოწვევა *ტექნოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ შეზღუდვებს* უკავშირდება. რეგენერაციის თანამედროვე მეთოდები (ჰიდროდამუშავება, გამხსნელით ექსტრაქცია, დისტილაცია) გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო ეფექტიანია, თუმცა მათი დანერგვა მოითხოვს მაღალ ინვესტიციებს და ტექნოლოგიურ ცოდნას, რაც ყველა წევრ სახელმწიფოში ერთნაირად ხელმისაწვდომი არ არის.

ევროკავშირში ნარჩენი ზეთების მართვის სისტემები ორ ძირითად მოდელად იყოფა: მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებაზე (მგვ) დაფუძნებული სისტემები და საბაზრო სისტემები, რომლებიც არ ეყრდნობა მგვ-ს. ევროკომისიის ეგიდით ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ რომ მგვ-ის ფორმალური არსებობა ავტომატურად არ იწვევს მაღალი შეგროვების მაჩვენებლებს. მაგალითად, გერმანია და ავსტრია, სადაც მგვ სისტემა არ მოქმედებს, გამოირჩევიან მაღალი შეგროვებით. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის ძლიერი სახელმწიფო ზედამხედველობა, გამართული საბაზრო წახალისებები და ნარჩენების მფლობელებისთვის ხელმისაწვდომი, ხშირად უფასო ინფრასტრუქტურა. ამის საპირისპიროდ, პოლონეთსა და ბულგარეთში, სადაც მრავალი წელია მოქმედებს მგვ, შედეგები დაბალია, რაც შეიძლება აიხსნას ზედამხედველობის სისუსტით,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

არათანაბარი ტარიფებით და სისტემური დისფუნქციებით [11].

ევროკავშირში ნარჩენი ზეთის გადამუშავების ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების განხილვისას მკვლევრები Klenert et al., (2025) მიუთითებენ იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს ევროკავშირის 2008 წლის ნარჩენების ჩარჩო დირექტივის პრიორიტეტსა და რეალურ ეკონომიკურ სტიმულებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დირექტივა რეგენერაციას - საბაზო ზეთის ხელახალ წარმოებას - უმაღლეს ადგილს ანიჭებს, პრაქტიკაში ხშირად თავს იჩენს ისეთი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ამ მიზნის განხორციელებას აფერხებს. ავტორებმა სამი ძირითადი მიმართულების პრობლემა წარმოადგინეს - რეგენერაცია, წვის გამოყენება ენერგიის მისაღებად და უკანონო გადაყრა, რომელიც ეკონომიკური სტიმულების გამო კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. ეკონომიკური მოდელირებისა და სცენარების ანალიზის საშუალებით მკვლევრებმა განსაზღვრეს, რა პირობებში ხდება რეგენერაცია ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი. მათი დასკვნით, ხელუხლებელი საბაზო ზეთის დაბალი ფასი და ნარჩენი ზეთის შეგროვების მაღალი ხარჯები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს, რომელიც რეგენერაციის პროცესს აფერხებს[16].

ეკონომიკური სტიმულები, როგორიცაა სუბსიდიები, საგარანტიო მექანიზმები და ეკოტარიფები, ნარჩენების გადამუშავების ბაზრის განვითარების საფუძველია. განსაკუთრებით მცირე საწარმოები ფინანსური წახალისების გარეშე ვერ ახერხებენ ტექნოლოგიურ ინვესტირებას. აქვე აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება რჩება მნიშვნელოვან ფაქტორად. არაერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ინფორმაციული კამპანიები ზრდის როგორც ინდუსტრიული, ისე საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩაბარების მაჩვენებლებს.

ევროპის გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტიანი მგვ სისტემები იმ ქვეყნებში გვხვდება, სადაც არსებობს მაღალი გამჭვირვალობა, მკაფიო მონიტორინგი და მუდმივი ტარიფების გადახედვის მექანიზმი. გადამზიდავთა დაფინანსება უნდა ეფუძნებოდეს რეალურ ბაზრის პირობებს, ხოლო ნარჩენების მფლობელებისთვის სერვისი ან უფასო უნდა იყოს, ან ეკონომიკურად მომგებიანი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზეთის ხარისხის კონტროლი შეგროვების ეტაპზე - დაბინძურებული ზეთი განაპირობებს რეგენერაციის შეუძლებლობას და საბოლოოდ მიემართება ინსინერაციაზე, რაც ევროკავშირის პრიორიტეტულ მიმართულებებს ეწინააღმდეგება. ეკონომიკური წახალისება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია, რომელიც ევროკავშირის პრაქტიკაში მკაფიოდ იკვეთება. ბელგიაში ჩატარებულმა შემოწმებებმა აჩვენა, რომ ავტოსერვისების დაახლოებით 5% უკანონოდ წვავდა ნარჩენ ზეთს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის ლეგალურ გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები მაღალი იყო. პორტუგალიასა და ხორვატიაში კი შავი ბაზარი განსაკუთრებით აქტიურდება დიზელის მაღალი ფასების პერიოდში, რაც ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ფაქტორები პირდაპირ განსაზღვრავს ნარჩენ ზეთთან მიმართებით ქცევით გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნებისთვის ერთ-ერთი კრიტიკული ნაბიჯია ფინანსური წახალისებების სწორად გაწერა - მათ შორის სუბსიდიები მცირე ნარჩენების წარმომქმნელებისთვის, ტარიფების დიფერენცირება გეოგრაფიული სირთულეების მიხედვით და შეგროვების ლიცენზირების მკაცრი წესები [10].

კვლევები თითქმის ყველა სახეობის ზეთების ნარჩენების რეციკლირების პროცესში ჩართვაზე მიუთითებენ. Cabrera-Escobar at al. (2025) აღნიშნავენ, რომ საპოხი ზეთების ნარჩენების აღდგენა და გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს მდგრადი რესურსების მართვისა და წრიული ეკონომიკისკენ [7].

ნარჩენი ზეთების რეგენერაცია ევროკავშირისთვის ყველაზე პრიორიტეტულია, თუმცა მისი საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 61%-ს აღწევს. დაბალი ხარისხის ნარჩენი ზეთი, დამაბინძურებლების შერევა, ბაზრის მერყეობა და არასაკმარისი მონიტორინგი რეგენერაციას სერიოზულ გამოწვევად აქცევს. ინოვაციური ევროპული ქვეყნები (მაგ., პორტუგალია, საფრანგეთი) ნავთობების სტრატიფიცირებულ შეგროვებას იყენებენ, რაც ნიშნავს ზეთის კატეგორიზებულ და სეგრეგირებულ შეგროვებას - შედეგად რეგენერაციის მაჩვენებელი იზრდება, ხოლო დაბინძურებული პარტიები მცირდება. ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკები ადასტურებს, რომ წარმატებული სისტემა მრავალფაქტორიანია. გერმანია ხაზს უსვამს დაკვირვებადი საბაზრო მოდელის ეფექტიანობას, საფრანგეთი - ცენტრალიზებული მგვ-ის მოქნილ შესაძლებლობებს, პორტუგალია - ხარისხის ყველაზე მკაცრ კონტროლს, ხოლო ესპანეთი - მიკვლევადობის გამართულ სისტემას [11].

პოლიტიკის მაგალითების (ევროკაშირი, აშშ, ჩინეთი, ავსტრალია) გაანალიზებისას Cabrera-Escobar

at al. (2025) გამოავლინეს, რომ რეგულაციები, სუბსიდიები და სტიმულები კრიტიკულია ბაზრის განვითარებისა და გარემოსდაცვითი რისკების შემცირებისთვის[7].

პოლიტიკის ინსტრუმენტების განხილვისას მნიშვნელოვანია ხარჯის, ეფექტის და გარემოსდაცვითი სარგებლის გათვალისწინება. მაგალითად, სამთავრობო სუბსიდია გულისხმობს რეგენერაციის დაწესებულებების პირდაპირ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თუმცა, ეს მიდგომა საჯარო ფინანსებს მძიმე ტვირთს აყენებს და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა არამყარი აღმოჩნდეს. რეგენერაციასთან დაკავსირებით ისიც უნდა აღინიშნოს, ხელუხლებელი ბაზის ზეთის დაბალი ფასი და შეგროვების მაღალი ხარჯები ხშირად აფერხებს მის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, პოლიტიკის ინსტრუმენტების სწორად შერჩევა გადამწყვეტია. მოსაკრებლისა და სუბსიდიის მექანიზმი მოიცავს ხელუხლებელი ბაზის ზეთის გაყიდვაზე მოსაკრებლის დაწესებას, მიღებული შემოსავლების გამოყენებით კი რეგენერატორების მხარდაჭერას. ეს მოდელი ავტორების Klenert et al., (2025) შეფასებით უფრო მდგრადია, რადგან შემოსავალი მიზანმიმართულად იხარჯება და ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდება[16].

იტალიაში მოქმედი ეროვნული კონსორციუმი CONOU (Consorzio Nazionale per la Gestione, Raccolta e Trattamento degli Oli Usati), რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენი ზეთების შეგროვებასა და რეგენერაციაზე, 2021 წლის ანგარიშში მიუთითებს, რომ ნარჩენი ზეთების ცირკულარული სისტემა გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით და გარემოსდაცვითი შედეგებით. 2021 წელს მათ მოახერხეს დაახლოებით 186,000 ტონა ნარჩენი ზეთის შეგროვება, რაც თითქმის სრულად მოიცავს ქვეყანაში წარმოქმნილ შეგროვებად მოცულობას. შეგროვებული ნარჩენი ზეთების 98%-ზე მეტი რეგენერაციას დაექვემდებარა, რაც ნიშნავს, რომ ისინი ხელახლა გარდაიქმნენ საბაზისო ზეთად. ეს მაჩვენებელი ევროკავშირის საშუალო დონეს მნიშვნელოვნად აღემატება და იტალიას ლიდერ პოზიციაზე აყენებს. რეგენერაციის შედეგად მიღებული საბაზისო ზეთი ამცირებს ნედლი ნავთობის იმპორტის საჭიროებას, რაც ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსზე დადებითად მოქმედებს. გარდა ამისა, CONOU-ს ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ყოველწლიურად ათიათასობით ტონა CO_2 ემისია თავიდან აიცილა, ხოლო წყლის მოხმარება მნიშვნელოვნად შემცირდა. სისტემა ნათლად უჩვენებს, თუ მაღალი საფრთხის მატარებელი ნარჩენი როგორ გარდაიქმნება ღირებულ რესურსად და სწორად ორგანიზებული ეროვნული სისტემა, რომელიც ეფუძნება სავალდებულო შეგროვებას, მკაცრ მონიტორინგს და რეგენერაციის პრიორიტეტს, შეიძლება გახდეს ნარჩენი ზეთების მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკა [8].

ავსტრალიის Product Stewardship for Oil (PSO) Scheme არის ნარჩენი ზეთის მართვის მექანიზმი, რომელიც ემყარება მოსაკრებლისა და სუბსიდიის (Levy-Benefit) პრინციპს. პროგრამა აწესებს მოსაკრებელს (აქციზის სახით) ბაზარზე შესულ ახალ ზეთზე და შეგროვებული თანხით აფინანსებს (ფინანსური სარგებლის სახით) იმ კომპანიებს, რომლებიც ნარჩენ ზეთს აგროვებენ, გადაამუშავებენ და ხელახალ გადამუშავებას ახორციელებენ. ეს სქემა მიზნად ისახავს გადამუშავების მაჩვენებლის ზრდას, გარემოსდაცვითი რისკების შემცირებას და რე-რაფინირების, როგორც პრიორიტეტული მეთოდის წახალისებას.

ნარჩენი ზეთების მართვის საკითხი ქვეყნის დონეზე უმთავრესად ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების რთულ ქსელშია ჩართული, სადაც სწორი ინსტრუმენტების შერჩევა გადამწყვეტ როლს თამაშობს, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია მისი რეგენერაციის საკითხი, რამდენადაც ხშირად სწორედ ტექნოლოგიურ გამოწვევებს უკავშირდება.

მაგალითად, Khalid et al. (2023) აღნიშნავს, რომ თანამედროვე სისტემები იძლევა მაღალი ხარისხის საბაზისო ზეთების მისაღებად 70-80%-იან გამოსავლიანობას. ტექნოლოგიური ინოვაციები, განსაკუთრებით ვაკუუმური დისტილაცია, ჰიდროდამუშავება (Hydrotreating) და კატალიზური გაწმენდა, გადამუშავების ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის. ლოჯისტიკური საკითხები, მათ შორის შეგროვების პუნქტების ხელმისაწვდომობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მარშრუტების ოპტიმიზაცია, გადამუშავების სისტემის ეფექტიანობაზე დიდ გავლენას ახდენს. სკანდინავიის ქვეყნებში გამოიყენება milk-run მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ხარჯების შემცირებას და მეტ ეფექტიანობას (EEA, 2024). ეს მოდელი წარმატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის სპეციალური ნარჩენების ეფექტიან დაგროვებასა და ტრანსპორტირებას. იგი გულისხმობს ისეთი ლოგისტიკური სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულის შეგროვებას მრავალი, მაგრამ გეოგრაფიულად ახლოს მდებარე წყაროდან ერთი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ოპტიმიზირებული მარშრუტის გამოყენებით[15].

ნარჩენი ზეთების სისტემური მართვის ხარვეზები შემდეგ უარყოფით შედეგებს წარმოქმნის: გარემოს დაბინძურება, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ აისახება წყლისა და ნიადაგის ხარისხზე; ნარჩენების გადამისამართება დაბალიერარქიულ დამუშავებაზე, რაც ნარჩენების ნედლეულად გადაქცევას ამცირებს; უსამართლო კონკურენცია, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის შედეგად წარმოიქმნება და ხელს უშლის ლეგალური სექტორის განვითარებას, მათ შორის მაღალტექნოლოგიური გადამამუშავებელი ქარხნების მდგრად ოპერირებას.

ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნარჩენი ზეთების ეფექტიანი მართვა მრავალგანზომილებიანი პროცესია, რომელიც ეფუძნება რეგულაციების სიმყარეს, ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებას, ლოჯისტიკური ქსელების ეფექტიანობას, ეკონომიკური სტიმულების შექმნას და საზოგადოების ცნობიერების გაძლიერებას. მდგრადი სისტემა მოითხოვს არა მხოლოდ შეგროვების მაჩვენებლის ზრდას, არამედ რეგენერაციის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის მხარდაჭერას, პოლიტიკის ინსტრუმენტების ჰარმონიზაციასა და მონიტორინგის გამკაცრებას. სწორი რეგულაციების შემუშავება და კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა ნარჩენები ზეთების სისტემური მართვის მნიშვნელოვანი პირობაა. სწორედ ამ კომპლექსური მიდგომის განხორციელება უზრუნველყოფს ნარჩენი ზეთების მართვის სრულყოფილ მოდელს, რომელიც შეესაბამება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს და გრძელვადიან მდგრადობას.

ნარჩენი ზეთების შეგროვებისა და გადამუშავების მდგომარეობა და გამოწვევები საქართველოში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში (2024) და ეროვნული სტრატეგია (2016-2030) ხაზს უსვამს, რომ ნარჩენი ზეთები ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო კატეგორიის ნარჩენებია, რადგან მათი არასწორი განთავსება იწვევს ნიადაგისა და წყლის რესურსების მძიმე დაბინძურებას (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2016). ამდენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი შეგროვების, გადამუშავების და განთავსების საკითხები. საქართველოში ნარჩენების მართვა გამიზნულია ნარჩენების პრევენციისა და რეციკლირების მაღალი დონის მისაღწევად. პოლიტიკური ხედვა ემყარება შემდეგ ორიენტირებს: ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება; მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვა; ხარჯების სრული ამოღების დანერგვა; მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვა; ინიციატივების განხორციელებით სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბება; სტრატეგიის მიზნების მისაღწევად საჭირო წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა [1].

საქართველოში ნარჩენი ზეთების მართვის სისტემა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. არსებული ინფრასტრუქტურა არათანაბრადაა განაწილებული: შეგროვების პუნქტები ძირითადად დიდ ქალაქებში მდებარეობს, არსებული ლოჯისტიკა კი რეგიონული დონეზე სუსტია. მრავალ მცირე საწარმოს არ აქვს წვდომა ტრანსპორტირების სერვისებზე, რაც მათ არალეგალურად განთავსების პრაქტიკისკენ უბიძგებს. რეგიონებში პრობლემას ქმნის როგორც გეოგრაფიული დაშორება, ასევე შესაბამისი პერსონალისა და აღჭურვილობის ნაკლებობა.

ნარჩენების მართვის მიმართულებით გაწეული სამუშაოებიდან არსებითია 2020 წლის მაისში მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ოთხი ტექნიკური რეგლამენტი (ძალაშია 2022 წლიდან) და მათ შორის ნარჩენი ზეთების (ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების, ნარჩენი ზეთების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების და საბურავების ნარჩენების) მართვის შესახებ. რეციკლირების და აღდგენის მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულება სავალდებულოა 2023 წლიდან. იგივე დოკუმენტი მიუთითებს, რომ ნარჩენი ზეთების საშუალო რაოდენობა შეადგენს 20 000 ტონას წელიწადში და სახიფათო ნარჩენების დამუშავება ძირითადად ხორციელდება ინსინერაციის გზით ენერგიის აღდგენის გარეშე, ხოლო ზოგიერთი ინდუსტრიული ნარჩენის (ზეთები, აკუმულატორები, ელექტრონული ნარჩენები) დამუშავება ხორციელდება აღდგენის გზით [1].

საქართველოს ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტი [5] წარმოადგენს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სრულფასოვან ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს ნარჩენი

ზეთების პრევენციას, სეპარირებულ შეგროვებას, აღდგენას, რეგენერაციასა და უსაფრთხო განთავსების შემცირებას. რეგლამენტი ეფუძნება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებს და საქართველოს ზეთების ბაზარზე ყველა მწარმოებელსა და დისტრიბუტორს ავალდებულებს ჩაერთოს მგვ-ის ინდივიდუალურ ან კოლექტიურ სქემაში.

რეგლამენტი განსაზღვრავს ნარჩენი ზეთის ციკლის სრულად მიკვლევად მოდელს. ყველა ოპერატორი – მწარმოებელი, დისტრიბუტორი, შეგროვების პუნქტი, ცენტრი, შემგროვებელი და რეგენერაციის ობიექტი – ვალდებულია აწარმოოს მონაცემები შეგროვებულ, გადაცემულ და დამუშავებულ რაოდენობებზე. ასევე, რეგლამენტი ითხოვს უსაფრთხო ინფრასტრუქტურას: გაჟონვის საწინააღმდეგო ავზებს, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობასა და ავტორიზაციის მიღებას ტრანსპორტირებისა და დამუშავების პროცესისთვის.

მნიშვნელოვანი კომპონენტია მიზნობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ეტაპობრივად იზრდება 2023–2032 წლებში. მაგალითად, ნარჩენი ზეთებიდან რეგენერაციის მიზანი 2023 წლის 8%-დან 25%-მდე უნდა გაიზარდოს 2026 წლისთვის და მიაღწიოს 45%-ს 2030 წელს; ენერგიის აღდგენის მაჩვენებელმა 2023 წლის 7%-დან შესაბამის წლებში 12%-ს და შემდეგ 23%-ს, ხოლო რეციკლირებით პროტექტორის აღდგენამ 2023 წლის 8%-დან 2026 წელს 13% და 2030 წლისთვის 22% უნდა შეადგინოს.

აღსანიშნავია, რომ რეგლამენტი აწესებს ელექტრონულ რეესტრს, რომელშიც ყველა მწარმოებელი რეგისტრირდება ბაზარზე ზეთის განთავსებამდე. დამატებით, მგვ ორგანიზაციები ვალდებულნი არიან წარადგინონ წლიური ანგარიშები, დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნები და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც მართვის ღონისძიებებს, ისე ცნობიერების ამაღლების კამპანიებს.

რეგლამენტის ზედამხედველობას ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს შეისწავლოს მონაცემების სისწორე, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში გააუქმოს მგვ ორგანიზაციის ავტორიზაცია.

წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ელექტრონული რეესტრის შექმნა [6]. 2024 წლისთვის მგვ-ის ელექტრონულ რეესტრში რეგისტრირებულია 15288 მწარმოებელ-იმპორტიორი და მათ შორის ზეთების მოდულში 1273. სამინისტროს მიერ ავტორიზებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციებიდან ნარჩენი ზეთების მოდულს მოიცავს თეგეტა გრინ პლანეტი, Wasteless (საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციას) და ნარჩენების მართვის ბიზნესასოციაცია (იხ. ცხრილი 1).

საქართველოში ნარჩენი ზეთები წარმოიქმნება ძირითადად სატრანსპორტო სექტორისა და ინდუსტრიული საწარმოების მიერ. როგორც 2024 წლის ანგარიშში აღნიშნულია, შეგროვებული ნარჩენი ზეთების რაოდენობიდან დაახლოებით 88 % რეციკლირდება, მაგრამ წარმოქმნილი ზეთების ნარჩენების შესახებ არ გვაქვს საკმარისი მონაცემები და საჭიროა სტატისტიკის სრულყოფა. მიუხედავად ბოლო წლებში გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, სისტემა კვლავ ხასიათდება ტექნოლოგიური, ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური ხარვეზებით.

ინფრასტრუქტურული გამოწვევები. საქართველოში ნარჩენი ზეთების შეგროვება და გადამუშა-

ცხრილი 1.

ნარჩენი ზეთების შეგროვება და რეციკლირება საქართველოში, 2024 წელი

ორგანიზაციის დასახელება	წევრები (ზეთების მოდული)	ზეთის იმპორტი (ტონა)	ზეთის ნარჩენების შეგროვება (ტონა)	ზეთის ნარჩენების რეციკლირება (ტონა)
თეგეტა გრინ პლანეტი	103	5444	854	857
Wasteless	1081	7782	1576	1217
ნარჩენების მართვის ბიზნესასოციაცია.	89	7183	716	703
სულ	1273	20409	3146	2777

წყარო: მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების მიერ მიღწეული შედეგების შესახებ 2024 წლის ანგარიში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2025.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ვება ეტაპობრივად ვითარდება. არსებობს ლიცენზირებული კომპანიები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შეგროვებაზე, ტრანსპორტირებასა და გადამუშავებაზე. მგვ სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ის ავალდებულებს იმპორტიორებსა და მწარმოებლებს უზრუნველყონ მათი პროდუქციისგან წარმოქმნილი ნარჩენების მართვა [4]. თუმცა, ინფრასტრუქტურა რეგიონებში კვლავ არასაკმარისია. შეგროვების პუნქტები ძირითადად დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) არის კონცენტრირებული, რის გამოც მცირე საწარმოები და სოფლის მეურნეობის სექტორი ხშირად ვერ მონაწილეობენ სისტემაში. რეგიონული შეგროვების ჰაბების არარსებობა ზრდის ტრანსპორტირების ხარჯებს და ქმნის მნიშვნელოვან ლოგისტიკურ ბარიერებს, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში (სვანეთი, რაჭა, თუშეთი), სადაც ტრანსპორტირების ხარჯები ხშირად აღემატება თავად ნარჩენი ზეთის ეკონომიკურ ღირებულებას.

ტექნოლოგიური შეზღუდვები. გადამუშავების ტექნოლოგიები საქართველოში შეზღუდულია. რერაფინირების პროცესის სირთულე და მაღალი ხარჯები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს. არსებული გადამამუშავებელი საწარმოები ძირითადად საბაზისო დამუშავების მეთოდებს იყენებენ, რაც არ უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საბოლოო პროდუქტის მიღებას. კვლევები მიუთითებს, რომ თანამედროვე რერაფინირების ტექნოლოგიების (ვაკუუმური დისტილაცია, ჰიდროტრეტირება) არარსებობა ამცირებს გადამუშავებული ზეთების კონკურენტუნარიანობას ბაზარზე.

ეკონომიკური ბარიერები. ნარჩენი ზეთების გადამუშავება საქართველოში ხშირად არ არის ეკონომიკურად მომგებიანი. ბაზარზე მოთხოვნა გადამუშავებული ზეთების მიმართ არასტაბილურია, ხოლო სახელმწიფო სტიმულები და სუბსიდიები სუსტია. შედეგად, მცირე საწარმოები ვერ ხედავენ ინვესტირების მოტივაციას თანამედროვე ტექნოლოგიებში. დამატებითი ეკონომიკური გამოწვევები მოიცავს: გადამუშავებული ზეთების დაბალ ბაზრის ფასს, ახალი ზეთების იმპორტის მაღალ კონკურენტუნარიანობას, მომხმარებელთა ნდობის ნაკლებობას ხელახლა გადამუშავებული პროდუქტების მიმართ და ფინანსური ინსტრუმენტების (სესხები, გრანტები) შეზღუდულ ხელმისაწვდომობას. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკური სტიმულების არარსებობა არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც აფერხებს რეციკლირების სისტემების განვითარებას განვითარებად ქვეყნებში.

რეგულაციური გამოწვევები. საქართველოს კანონმდებლობა, როგორიცაა ნარჩენების მართვის კოდექსი (2015) და ეროვნული სტრატეგია 2016-2030, ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს, თუმცა პრაქტიკული მექანიზმების სრულყოფილად ამუშავებისთვის საჭიროა მონიტორინგისა და ინსპექციის სისტემების გაძლიერება, რაც აღმოფხვრის ნარჩენი ზეთების არალეგალურ განთავსებას.

საზოგადოებრივი ცნობიერება. მოსახლეობისა და საწარმოების ინფორმირებულობა ნარჩენი ზეთების მართვის მნიშვნელობაზე დაბალია. ბევრმა მომხმარებელმა და მცირე საწარმომ არ იცის, სად და როგორ უნდა ჩააბაროს ნარჩენი ზეთი. საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიების წარმოება, მათ შორის აქტიურად - საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ცნობიერების ამაღლების კამპანიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს შეგროვების მაჩვენებლის გაზრდაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

ნარჩენი ზეთების მართვა გლობალურ და ეროვნულ დონეზე კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება მოითხოვს მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოს, ტექნოლოგიურ ინოვაციებს, ინფრასტრუქტურის განვითარებას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. საქართველოში ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯები - ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, ნარჩენების მართვის კოდექსის მიღება და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) სისტემის დანერგვა - ქმნის საფუძველს მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებისთვის. თუმცა, ინფრასტრუქტურული შეზღუდვები, ეკონომიკური ბარიერები და ცნობიერების დაბალი დონე კვლავ მნიშვნელოვნად აფერხებს პროცესს.

საქართველოს ნარჩენი ზეთების მართვის სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია და მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაციები და კერძო სექტორის ჩართულობა ქმნის საფუძველს, რომ მომავალში შეგროვება და გადამუშავება უფრო ეფექტიანი გახდეს.

საქართველოსთვის ნარჩენი ზეთების მართვის

პოლიტიკის გაუმჯობესება შესაძლებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით. პირველ რიგში, აუცილებელია **მგვ სისტემის გაძლიერება** მკაფიო კვოტებითა და მონიტორინგის მექანიზმებით. მწარმოებლებსა და იმპორტიორებს უნდა დაევალოთ მინიმალური შეგროვებისა და გადამუშავების მაჩვენებლების შესრულება, ხოლო სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მკაცრი კონტროლი და ანგარიშგება.

მეორე, საჭიროა **ინფრასტრუქტურის გაფართოება რეგიონებში.** შეგროვების პუნქტები და ლიცენზირებული გადამამუშავებელი საწარმოები უნდა გახდეს ხელმისაწვდომი არა მხოლოდ დიდ ქალაქებში, არამედ სოფლის მეურნეობის რეგიონებში. ეფექტიანი იქნება **რეგიონული ჰაბების** შექმნა და მოძრავი კოლექციის სერვისების დანერგვა/გაფართოება.

მესამე, **ტექნოლოგიური ინოვაციების მხარდაჭერა** კრიტიკულია. სახელმწიფოს შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საწარმოებს თანამედროვე რე-რაფინირების ტექნოლოგიების დანერგვაში. საჯარო-კერძო პარტნიორობით შესაძლებელია ოპტიმალური გზების მოძიება. წარმატებული პრაქტიკის ქვეყნებთან **თანამშრომლობა** ხელს შეუწყობს ტექნოლოგიური ცოდნის გადაცემას და საერთო საინვესტიციო შესაძლებლობების მოძიებას.

მეოთხე, **ეკონომიკური სტიმულები** უნდა გახდეს სისტემის ნაწილი. ეკოლოგიური მოსაკრებლები ახალ საბაზისო ზეთებზე და სუბსიდიები გადამუშავებულ ზეთებზე შექმნის სტაბილურ ბაზარს და გაზრდის ინვესტირების მოტივაციას.

მეხუთე, **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება** აუცილებელია. საგანმანათლებლო კამპანიები, მედიის ჩართულობა და „bring-back“ პროგრამები (როცა მომხმარებელი თავად აბრუნებს ნარჩენს განსაზღვრულ პუნქტში - უსაფრთხო და კონტროლირებადი შეგროვების მიზნით) მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვნად გაზრდის შეგროვების მაჩვენებელს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

A CONCEPTUAL MODEL OF THE DYNAMICS OF INDIVIDUAL MENTAL TYPES AND THE PROBLEM OF THE STABILITY OF EQUILIBRIUM STATES

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 18, 2025
Published: December 12, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-74

Tamaz Obgadze
Doctor of Technical Sciences, Academician, International Engineering Academy
ORCID ID: https://orcid.org/0009-0004-1067-7311
E-mail: tamaz@mail.ru

Maia Shevardenidze
Doctor of Economics, Assistant Professor, Georgian Technical University
ORCID ID: https://orcid.org/0009-0009-0264-2481
E-mail: m.shevardenidze@gtu.ge

Tornike Ogadze
Doctoral student, Caucasus International University
ORCID ID: https://orcid.org/0009-0002-8334-6420
E-mail: tornike.ogadze@ciu.edu.ge

ABSTRACT

Relevance of the topic: *The paper builds a conceptual discrete model of the classification of Hippocrates' mental types. A continuous mathematical model corresponding to the conceptual model has been developed, the stationary points of which also give the index of the corresponding mental type. The issue of the stability of each mental type to the effects of external irritants has been studied. It has been established that the phlegmatic and melancholic temperaments are resistant to external stimuli, while the choleric and sanguine temperaments are unstable.*

The ways of determining the mental type of an individual have been studied. It has been shown that the character of the mental type for the Caucasus and Mesopotamia depends on the time of year of birth, and a correspondence scheme has been constructed. The limits of validity of the constructed theory are given.

Goal of the study: *In our opinion, the mathematization of consciousness is an important issue in the study of human capabilities. Knowledge of a person's mental type allows us to better understand ourselves and other people, to anticipate a person's behavior and interaction with other people in different situations. To understand the motivations of people's actions.*

Theoretical and practical significance: *Work on the classification of mental types has always been of practical value - for politicians, sociologists and business representatives, because they felt its practical value.*

Also, healthy relationships between people in a work group are essential for proper management. Knowledge of mental types and conclusions based on scientific research will help us in this

Conclusion: *The mathematization of consciousness allows us to create the best living conditions for people, and above all children, to eliminate stress, to reveal the best aspects of their inner world, and to teach them how to protect themselves from artificial, psychological, or informational, harmful influences.*

Working on the classification of mental types is another way to answer one of the main questions of man: Who am I?

Keywords: *conceptual model, discrete model, mental types, choleric, phlegmatic, syngetic, melancholic, dynamics.*

REFERENCES:

1. https://nadpo.ru/academy/blog/tipologiya-lichnosti-v-psihologii (in Russian)
2. Obgadze T. Mathematical Modeling. Monograph. GTU, Tbilisi, 2015 (in Georgian)
3. Obgadze T.A. Mathematical Modeling and Analysis of the Stability of Mental Types, V International Kosygin Forum. International Scientific and Technical Symposium "Modern Engineering Problems of Key Industries", Moscow, 2025 (in Russian)
4. Blavatsky, H.P. The Secret Doctrine: A Synthesis of Science, Religion, and Philosophy. Translated from English. Moscow, 2019 (in Russian)

ინდივიდის ფსიქიკური ტიპების დინამიკის კონცეპტუალური მოდელი და წონასწორული მდგომარეობების მდგრადობის პრობლემა

თამაზ ობგაძე
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემია

მაია შევარდენიძე
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თორნიკე ოღაძე
დოქტორანტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში აგებულია ჰიპოკრატეს ფსიქიკური ტიპების კლასიფიკაციის კონცეპტუალური დისკრეტული მოდელი. შემუშავებულია კონცეპტუალური მოდელის შესაბამისი უწყვეტი მათემატიკური მოდელი, რომლის სტაციონარული წერტილებიც იძლევიან შესაბამისი ფსიქიკური ტიპის ინდექსს. შესწავლილია თითოეული ფსიქიკური ტიპის მდგრადობის საკითხი გარე გამღიზიანებელთა მოქმედებებზე. დადგენილია, რომ ფლეგმატური და მელანქოლიური ტიპის ტემპერამენტი მდგრადია გარე შეშფოთებების მიმართ, ხოლო ქოლერიკული და სანგვინიკური ტემპერამენტი არამდგრადი.

შესწავლილია ინდივიდის ფსიქიკური ტიპის დადგენის გზები. ნაჩვენებია, რომ ფსიქიკური ტიპის ხასიათი, კავკასიისა და შუამდინარეთის ზოლისათვის, დამოკიდებულია დაბადების წელიწადის დროზე და აგებულია შესაბამისობის სქემა. მოცემულია აგებული თეორიის მოქმედების საზღვრები.

საკვანძო სიტყვები: კონცეპტუალური მოდელი, დისკრეტული მოდელი, ფსიქიკური ტიპები, ქოლერიკი, ფლეგმატიკი, სინგვინიკი, მელანქოლიკი, დინამიკა.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

როდესაც ვსაუბრობთ პიროვნებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანს, რომელსაც აქვს, მხოლოდ მისი ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელი თვისებები: ხასიათი, სტერეოტიპები, ფასეულობები, პრინციპები და ა.შ.

დაბადებიდან დაწყებული, ადამიანი ცხოვრობს სოციუმში და ბუნებრივად განიცდის საზოგადოების გავლენას, რის შედეგადაც ყალიბდება მისი ფსიქიკური ტიპი, ხასიათი და დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი. ადამიანის ფსიქიკური ტიპი, ყალიბდება და აღწევს სტაბილურ მდგომარეობას სრულწლოვანი ასაკის მიღწევასთან ერთად. თუმცა, გარემო პირობებთან ურთიერთქმედების პროცესში, შემდგომი ასაკისთვისაცაა დამახასიათებელი, პიროვნების ტრანსფორმაცია-ადაპტაცია. უმეტეს შემთხვევაში, ამ დროს პიროვნების გაორება ხდება. ის ირგებს საზოგადოებისათვის მისაღებ ნიღაბს, თუმცა მისი ფსიქიკური ტიპი აღარ იცვლება.

ყველა ადამიანი ინდივიდუალური თვისებების მატარებელია, თუმცა, დაკვირვებისას აღმოვაჩენთ რომ ბევრ მათგანს აქვს ერთნაირი ხასიათი, ქცევის სცენარი, ფასეულობები და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს გენეტიკური თავისებურებები, გარემო, ფსიქიკური ორგანიზაცია აღქმის ნიუანსები და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ხდება ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანთა ჯგუფებად დაყოფა, ფსიქიკური ტიპების მიხედვით, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმებს. ამგვარად წარმოიქმნება მთელი სისტემა - ტიპოლოგია.

ყველაზე უფრო ადრეული და ფუნდამენტური იყო, ლეგენდარული ბერძენი ექიმის და რეფორმატორის - **ჰიპოკრატეს** ფიქიკური ტიპების თეორია ჩვ.წ.ა. 460წ. (ქრისტეს შობამდე).

ადამიანის ფსიქიკური ტიპის ცოდნა, საშუალებას იძლევა უკეთესად შევიცნოთ საკუთარი თავი და სხვა ადამიანები, წინასწარ გავითვალისწინოთ პიროვნების ქცევა და ურთიერთქმედება სხვა ადამიანებთან, სხვადასხვა სიტუაციაში. გავერკვეთ ადამიანების ქმედებათა მოტივაციაში.

ჰიპოკრატეს ფსიქიკური ტიპების დინამიკის კონცეპტუალური დისკრეტული მოდელი

საყოველთაოდ ცნობილია, ჰიპოკრატეს მიერ შემოთავაზებული, ფსიქიკურ ტიპთა დაყოფა-კლასიფიკაცია: **ქოლერიკი, ფლეგმატიკი, სინგვინიკი და მელანქოლიკი** [1]. ის ექიმი იყო და ეს დაყოფაც, გარკვეულ წილად, ამ ფაქტიდან გამომდინარეობს. ჰიპოკრატე თვლიდა, რომ ადამიანის სხეულში არსებობს რამდენიმე სახის სითხე: სისხლი, ლიმფა, ყვითელი ნაღველი და შავი ნაღველი, რომლის რაოდენობის პრევალირებაც, იწვევს სხვადასხვა ფსიქიკური ტიპის ჩამოყალიბებას.

- ლიმფა აწონასწორებს;
- ყვითელი ნაღველი ადამიანს ხდის იმპულსურს;
- სისხლი იძლევა ენერგიულობას;
- შავი ნაღველი ადამიანს ხდის ნაღვლიანს,

აყალიბებს მელანქოლიურ ხასიათს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ლეგენდარულმა ექიმმა - ჰიპოკრატემ შემოგვთავაზა ოთხი სახის ტემპერამენტი:

სანგვინიკური ტემპერამენტი: ხასიათდება სისხლის პრევალირებით და იძლევა ენერგიულ სიცოცხლისმოყვარე ნატურას. ასეთი ტემპერამენტის ადამიანები არიან მხიარული, კომუნიკაბელური და ოპტიმისტურად განწობილნი. სანგვინიკები, ადვილად გდაეწყობიან ერთი საქმიდან მეორეზე, გამოირჩევიან ადაპტაციით და გაწონასწორებული ხასიათით. მათი ქცევა დამოკიდებულია გარშემომყოფებზე. ექსტრავერტები არიან, უყვართ კაშკაშა ემოციები და ტაში;

ქოლერიკული ტემპერამენტი: დაკავშირებულია ყვითელ ნაღველთან და მჟღავნდება ნებისყოფაში, გამბედაობასა და საკუთარი ძალების უკიდეგანო რწმენაში. ასეთი პიროვნებებისათვის დამახასიათებელია მაღალი შრომისუნარიანობა, მიზანსწრაფულობა და თავგანწირვა. ქოლერიკები იმპულსური, არაპროგნოზირებადი ხალხია და მათ უჭირთ საკუთარი ვნებების მართვა;

ფლეგმატური ტემპერამენტი: განისაზღვრება ლიმფის პრევალირებით, რაც მჟღავნდება გაწონასწორებულ, მშვიდ ხასიათში, ზომიერებაში. ასეთი ადამიანების წონასწორობიდან გამოყვანა შეუძლებელია. ისინი არ არიან ემოციურნი, არიან სტაბილური და მშვიდნი. მათ არაფერი ანაღვლებთ, უყვართ ძილი და ხშირად სიზარმაცე ძლევთ. ფლეგმატიკებს ადაპტაცია უჭირთ. ისინი თავის თავში ჩაკეტილი ინტროვერტები არიან;

მელანქოლიკური ტემპერამენტი: დაკავშირებულია შავი ნაღველის პრევალირებასთან, რაც იწვევს გამძაფრებულ მგრძნობელობას და მელანქოლიისკენ მიდრეკილებას. ასეთი ადამიანები, მალე იღლებიან, ძნელად ადაპტირდებიან გარემო პირობებთან, თავის თავში არ არიან დარწმუნებული. მათი მოძრაობები ნელია, ხმა დაბალი და მორიდებული, მიმიკა ნაკლებადგამოხატული. ისინი

ინტროვერტები არიან და მათზე გარემო დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სუფთა სახით გამოკვეთილი ტემპერამენტი, არ არსებობს. ნებისმიერ ადამიანში, შეიძლება ვიპოვოთ სხვა ტემპერამენტების შესაბამისი დამახასიათებელი თვისებებიც. თუმცა, ერთი მათგანი პრევალირებს დანარჩენებზე.

აგებული კონცეპტუალური მოდელი, შეგვიძლია წარმოვადგინოთ გრაფის - დისკრეტული მოდელის სახით შემდეგნაირად (იხ. ნახ 1):

ახლა შევადგინოთ, ჰიპოკრატეს კლასიფიკაციის მათემატიკური მოდელი და დავადგინოთ: ფსიკიქური ინდექსის, სტაციონარული მდგომარეობების მდგრადობის საკითხი, რათა შემდგომში შევძლოთ ინდივიდთა უერთიერთქმედების ხასიათში გარკვევა.

ჰიპოკრატეს ფსიქიკური ტიპის ინდექსის დინამიკის მათემატიკური მოდელის აგება

რადგან სრულწლოვანი ადამიანის ფსიქიკური ტიპი, ჩამოყალიბებულია და მაშასადამე, მას უკვე სტაბილური ხასიათი აქვს, ცხადია, რომ ფსიკიქური ტიპის დინამიკის განტოლების მარჯვენა მხარე, არ იქნება დროზე დამოკიდებული ანუ გვექნება **ავტონომიური სახის დიფერენციალური განტოლება**:

$$\frac{dx}{dt} = f(x), \quad (1)$$

სადაც x ფსიქიკური ტიპის რაოდენობრივი მაჩვენებელია, ხოლო f(x) ამ მაჩვენებელზე დამკიდებული პოლინომია [2], [3].

რადგან გვაქვს **ოთხი სტაციონარული მდგომარეობა,** (ცხადია რომ f(x) ფუნქციას აქვს ოთხი ფესვი $\bar{x}_1 < \bar{x}_2 < \bar{x}_3 < \bar{x}_4$. მაშინ, ბეზუს თეორემის თანახმად, ის უნაშთოდ იყოფა $(x - \bar{x}_i)$ ორწევრებზე, სადაც $i = \overline{1,4}$.

რადგან ეს ორწევრები არაა ერთმანეთზე წრფივად დამოკიდებული, მივიღებთ, რომ f(x) ფუნქციას, ყველაზე ზოგად შემთხვევაში, აქვს შემდეგი სახე:

$$f(x) = g(x)\prod_{i=1}^{4}(x - \bar{x}_i), \quad (2)$$

სადაც g(x) ფუნქციას არა აქვს ფესვები, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენს სისტემას აქვს მხოლოდ ოთხი სტაციონარული მდგომარეობა. მაშასადამე, g(x) ფუნქცია ინარჩუნებს ნიშანს, ანუ ან სულ დადებითია, ან სულ უარყოფითი. დადებითი g(x) ფუნქცია გავლენას ვერ მოახდენს სტაციონარული წერტილების მდგრადობაზე, ხოლო უარყოფითის შემთხვევაში, შეგვიძლია შევცვალოთ თვით x მაჩვენებელის ნიშანი და მდგრადობის ხასიათი არ შეიცვლება. მაშასადამე, სისტემის მდგრადობის ხასიათის დასადგენად, საკმარისია განვიხილოთ შემდეგი მათემატიკური მოდელი:

$$\frac{dx}{dt} = \prod_{i=1}^{4}(x - \bar{x}_i). \quad (3)$$

სისტემის შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავამყაროთ შემდეგი შესაბამისობა - შკალირება: $x_i=i$, სისტემის სტაციონარულ წერტილებსა და ფსიქიკურ ტიპებს შორის:

ნახ.1. ჰიპოკრატეს ფსიქიკური ტიპების კლასიფიკაციის დისკრეტული მოდელი



ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

$\bar{x}_1$ - ფლეგმატურ ტემპერამენტს;
$\bar{x}_2$- ქოლერიკის ტემპერამენტს;
$\bar{x}_3$ - მელანქოლიკის ტემპერამენტს;
$\bar{x}_4$ - სანგვინიკის ტემპერამენტს.



ნახ. 2. მათემატიკური (3) მოდელის. მარჯვენა მხარის ფუნქციის გრაფიკი

ნახ. 2-დან გამომდინარე, ცხადია რომ $\bar{x}_1$; $\bar{x}_3$ სტაციონარული მდგომარეობები ასიმპტოტურად მდგრადია ლიაპუნოვის აზრით, ხოლო $\bar{x}_2$; $\bar{x}_4$მდგომარეობები - არამდგრადია მცირე შეშფოთებების მიმართ.

ამრიგად, ჰიპოკრატეს ფსიქიკურ ტიპთა კლასიფიკაციის ბაზაზე, ჩვენ ავაგეთ კონცეპტუალური დისკრეტული და ჩვეულებრივი უწყვეტი მათემატიკური მოდელები, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ფსიქიკურ ტიპთა ინდექსის დინამიკა.

როგორც დინამიკა გვიჩვენებს, ფლეგმატური და მელანქოლიური ტიპის ტემპერამენტი მდგრადია გარე შეშფოთებების მიმართ, რადგან მათ ინტროვერტული ხასიათი აქვთ, ხოლო ქოლერიკული და სანგვინიკური ტემპერამენტი - ექსტრავერტულია და გარე შეშფოთებების მიმართ არამდგრადი.

(3) მოდელის ბაზაზე, კოშის ამოცანის ცხადი სახით, ანალიზურად ამოხსნა არ ხერხდება, აქედან გამომდინარე, ტრაექტორიების საპოვნელად, საჭიროა განტოლების რიცხვითი ამონახსნის პოვნა რუნგე-კუტას მეთოდით, სხვადასხვა საწყისი პირობების დროს (იხ. ნახ 3).

გათვლები გვიჩვენებენ, რომ სისტემის ტრაექტორიები მიისწრაფიან უახლოესი, მდგრადი სტაციონარული მნიშვნელობებისაკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქოლერიკის და სანგვინიკის ტემპერამენტის ინდივიდები, ადვილად ექცევიან გარე ზემოქმედების ქვეშ, რადგან ყოველთვის ცდილობენ იყვნენ წინა პლანზე ან დააკმაყოფილონ საკუთარი პრინციპული სტანდარტები; ხოლო ფლეგმატური და მელანქოლიური ტემპერამენტის ინდივიდები, საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან და გარე ზემოქმედებაზე მათი რეაქცია, უფრო მდგრადს ქმნის მათ იზოლაციონისტურ ბუნებას, რადგან გარე სამყაროს ისინი აღიქვამენ, როგორც მტრულ გარემოს.

Given

$$\frac{d}{dx}y(x) = (y(x) - 1)\cdot(y(x) - 2)\cdot(y(x) - 3)\cdot(y(x) - 4)$$

$y(0) = 3.9$

$y := \mathrm{odesolve}(x, 4.5, 100)$

Given

$$\frac{d}{dx}y1(x) = (y1(x) - 1)\cdot(y1(x) - 2)\cdot(y1(x) - 3)\cdot(y1(x) - 4)$$

$y1(0) = 1.9$

$y1 := \mathrm{odesolve}(x, 4.5, 100)$

$x := 0, 0.05..4.5$



ნახ. 3. პროგრამა Mathcad-ზე და ტრაექტორია სხვადასხვა საწყისი: y(0)=3.9 და y1(0)=1.9 პირობების დროს

იუნგის ფსიქიკური ტიპების კლასიფიკაციის იერარქიული, სამდონიანი მოდელი

ფსიქიკური ტიპების კლასიფიკაციაზე მუშაობა, ყოველთვის იყო პრაქტიკულად ფასეული - პოლიტიკოსების, სოციოლოგების და ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რადგან ისინი გრძნობდნენ მის პრაქტიკულ ღირებულებას.

ამ მიმართულებით, შემდგომი ნაბიჯი გადადგა, ცნობილმა შვეიცარელმა ფსიქოლოგმა **კარლ იუნგმა** (1875 -1961წ.). მან შექმნა ფსიქიკური ტიპების იერარქიული, **სამდონიანი კონცეპტუალური მოდელი.**

შვეიცარელმა ფსიქოლოგმა და ფსიქოანალიტიკოსმა **კარლ იუნგმა,** პაციენტებზე მრავალი წლის განმავლობაში დაკვირვების შედეგად, აღმოაჩინა, რომ ზოგი ადამიანებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემოს ანუ იმ ხალხს, ვისთანაც კომუნიკაცია უხდება მას. ზოგი კი კონცენტრი-

რებულია საკუთარ შიგა სამყაროზე. მათთვის მეორეხარისხოვანია გარშემო მყოფ ხალხთან ურთიერთობა. ამ მომენტების გათვალისწინებით, იუნგმა წარმოადგინა ინდივიდთა დაყოფის, ამ თვალსაზიერიდან გამომდინარე ორი ჯგუფი:

ექსტრავერტები - ინდივიდები, რომლებიც ორიენტირებული არიან გარე სამყაროზე. ისინი ენერგიით აღსავსენი არიან და ვერ წარმოუდგენიათ სიცოცხლე კომუნიკაციების გარეშე;

ინტროვერტები - ინდივიდები, რომლებიც კონცენტრირებულნი არიან საკუთარ შიგა სამყაროზე. მათ არ უნდათ ყურადღების ცენტრში ყოფნა, ურჩევნიათ განმარტოება საკუთარ თავთან.

ამას გარდა, კარლ იუნგი ამ ორ ჯგუფში, ფსიქოლოგიური ფუნქციებიდან გამომდინარე, გამოყოფს ქვეჯგუფებს: **ინტუიცია, აზროვნება, მგრძნობელობა და ღქმა**. თითოეული მათგანი კი გაყო ორ ჯგუფად: **რაციონალურნი** (ისინი არიან ემოცია-აზროვნების არეში) და **ირაციონალურნი** (ქვეცნობიერი ინტუიცია აზროვნების გარეშე).

იუნგის მოდელი, სინამდვილეში არ იძლევა ახალ ხედვას, რადგან სინამდვილეში, **ექსტრავერტებში** იგულისხმება ქოლერიკები და სანგვინიკები, ხოლო **ინტროვერტებში -** ერთიანდება ფლეგმატიკები და მელანქოლიკები. დანარჩენი დონეები, უბრალო დეტალიზაციაა პრაქტიკოსი ექიმებისათვის. ამდენად, თეორიული ფსიქოლოგიისათვის, დიდ ინტერესს არ წარმოადგენს.

ფსიქიკური ტიპის განსაზღვრის გზები

ინდივიდის ფსიქიკური ტიპის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს დედის ფსიქიკური მდგომარეობა, უკვე ჩანასახის ჩასახვიდან და დედის ყოველი სტრესი, გადაეცემა ჩანასახს - ბავშვს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის სტაბილურ განვითარებაზე. ინდივიდის ფსიქოლოგიის ასაკობრივი კლასიფიკაციისას, უმეტეს შემთხვევაში, განიხილავე საწყის ასაკს - 0-1,5 წელი, რომელიც **ფროიდის თეორიის** შემთხვევაში, დაკავშირებულია ბავშვის კვების სიამოვნებასთან. **კარლ იუნგი** განიხილავს უფრო დიდ შუალედს, სექსუალური მომწიფებიდან შუა ასაკამდე და შემდგომ. **ერიკ ერიკსონის** ფსიქოსოციალური კლასიფიკაციის მიხედვით, 0-1,5 წლის ასაკში ვითარდება გარე სამყაროსთან და გარშემო მყოფ ხალხთან ნდობის საკითხი. თუ მშობლები თავის დროზე კვებავენ და აკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს, ყალიბდება მიმნდობი პიროვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი ხდება ეჭვიანი და მშფოთავი, მოუსვენარი.

ცნობილი თეოსოფიის სპეციალისტის **ელენე ბლავატსკაიას** მიხედვით, ინდივიდის ფსიქიკური ტიპის ჩამოყალიბებაზე, გავლენას ახდენს ის, თუ, **წელიწადის რომელ დროს** დაიბადა ინდივიდი: **გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა თუ ზამთარში.** ეს გამოწვეულია შესაბამისი კლიმატური პირობებით, დედამიწის, მზისა და მთვარის მოძრაობით და ა.შ., რადგან ადამიანი 70% სითხისგან შედგება და ეს სითხეც იღებს მონაწილეობას შესაბამის მოძრაობაში.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ **ფსიქიკური ტიპის ჩამოყალიბებაზე, მთავარი როლი აქვს წელიწადის იმ დროს, როცა იბადება ინდივიდი**. თუმცა, გავლენა აქვს სხვა ფაქტორებსაც, რომლებსაც ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილავთ.

ოთხ ფსიქიკურ ტიპს, ადვილად შევუსაბამებთ **წლის ოთხ დროს,** მითუმეტეს, რომ **კარლ იუნგის** ფსიქიკური ტიპების თეორიაში და **ელენე ბლავატსკაიას** სისტემაში, ამ შესაბამისობას დიდი ადგილი უკავია.

წელიწადის დროების მიხედვით, ადამიანთა ხასიათს უფრო დაწვრილებით იძლევა **ასტროლოგია** (თვეების მიხედვით). ჩვენ კი გავჩერდებით **კარლ იუნგისა და ელენე ბლავატსკაიას** სისტემაზე [4], რაც საშუალებას იძლევა დავახასიათოთ ადამიანთა ხასიათი, დაბადების წელიწადის დროის მიხედვით.

გაზაფხულზე დაბადებული ადამიანები უფრო მოძრავნი, სიცოცხლისმოყვარენი და აქტიურები არიან. მათთვის უცხოა პესიმიზმი და ისინი, ყოველი სიტუაციიდან ადვილ გამოსავალს ეძებენ. თუმცა, არიან სულსწრაფნი და უნდათ ყველა საკითხი უცებ გადაწყვიტონ, რის გამოც, ზოგჯერ მძიმე ბრძოლების გადატანა უწევთ.

ზაფხულში დაბადებული ადამიანები, უფრო მგრძნობიარენი არიან, მოჭარბებულად რომანტიკულები და სევდიანი. ხშირად ვარდებიან დათრგუნულ მდგომარეობაში და ტირილით აღწევენ თავს მოწყენილობას. არიან მეგობრულები და სხვის მიმართ გამოხატავენ თანაგრძნობას.

შემოდგომაზე დაბადებული ადამიანები, არიან მხიარული, კომუნიკაბელური და ოპტიმისტურად განწობილნი. ისინი ადვილად გადაეწყობიან ერთი საქმიდან მეორეზე, გამოირჩევიან ადაპტაციით და გაწონასწორებული ხასიათით. არიან მდგრადი ფსიქიკის მატარებელნი და ძნელად გამოდიან წონასწორული მდგომარეობიდან.

ზამთარში დაბადებული ადამიანები, ამჟღავნებენ გაწონასწორებულ, მშვიდ ხასიათს, ზო-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მიერებას. ასეთი ადამიანების წონასწორობიდან გამოყვანა შეუძლებელია. ისინი არ არიან ემოციურნი, არიან სტაბილურნი და მშვიდნი. მათ არაფერი ანაღვლებთ. უყვართ ძილი, კარგად კვება და ხშირად ამჟღავნებენ სიზარმაცეს. ფლეგმატიკებს უჭირთ ადაპტაცია გარემო პირობებთან.

თუ, დავაკვირდებით ადამიანთა ხასიათის თვისებებს, დაბადების დროის მიხედვით და შესაბამისი ფსიქიკური ტიპების აღწერას, ადვილად ვიპოვით შესაბამისობას ნახ. 4.

ცხადია, რომ ეს შესაბამისობა ძალაშია დედამიწის იმ მცხოვრებთათვის, რომლებიც მოქცეულნი არიან კავკასიის მთებისა და შუა მდინარეთის განედთა შესაბამის ზოლში, სადაც წელიწადის ოთხი დრო გამოკვეთილია.

იმ განედებისათვის კი, სადაც წელიწადის ოთხი დრო არ არის გამოკვეთილი (ნახევარი წელი ბნელა) ეს თეორია არ მოქმედებს.



ნახ. 4. ფსიქიკური ტიპები და ინდივიდთა ასტროლოგიური ხასიათის ურთიერთმიმართების სქემა

დასკვნა

ცნობიერების მათემატიზაცია საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ ადამიანებს და უპირველესყოვლისა ბავშვებს შევუქმნათ ცხოვრების საუკეთესო პირობები, ავაცილოთ სტრესები, გამოვავლინოთ მათი შინაგანი სამყაროს საუკეთესო მხარეები და ვასწავლოთ ხელოვნური, ფსიქოლოგიური თუ ინფორმაციული, მავნე ზემოქმედებისგან თავდაცვა.

ფსიქიკური ტიპების კლასიფიკაციაზე მუშაობა არის კიდევ ერთი საშუალება იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ადამიანის ერთ-ერთ მთავარ კითხვას: ვინ ვარ მე?

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

INSTITUTIONAL MECHANISMS OF ECONOMIC INTEGRATION

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 22, 2025
Published: December 12, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-81

Lela Jamagidze,
Doctor of Economics,
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
e-mail: lela.jamagidze@tsu.ge

ABSTRACT

Research goal. *The goal of the paper is to examine the institutional mechanisms of economic integration through the lens of their regional differences. It also aims to assess the challenges and opportunities related to the sustainability of economic integration from the perspective of a small open economy such as Georgia. The study discusses the models of institutional mechanisms developed by major integration groupings and the external driving forces that affect their transformation. It demonstrates that flexible institutional arrangements, which countries increasingly prioritize under contemporary conditions, facilitate the redistribution of adjustment costs and support the development of economically viable forms of regional and global economic cooperation.*

Methodological approach. *To identify how the specific features of institutional models determine the depth of economic integration, the study employs comparative institutional analysis, while historical analysis is used to assess the evolution of institutional mechanisms. Based on qualitative research, the paper examines policy and strategy documents of major integration groupings, as well as reports reflecting their economic outcomes. Quantitative methods are used to analyze indicators of the functioning of economic integration, such as trade interdependence and measures of institutional development.*

Key findings and application. *Despite increasing pressures on regional integration arising from growing trade uncertainty, the transformation and fragmentation of global supply chains, and the weakening of multilateral trade rules, economic integration remains highly relevant for small open economies. In particular, Georgia should rely on economic integration mechanisms in order to identify new opportunities for engagement in global value chains, intensify its linkages, and further develop and strengthen trade links with large markets such as the European Union and China. The findings can inform* ***national trade and integration policy-makers while considering the features of institutional models*** *when designing relations with major integration groupings.*

Keywords: *economic integration, international trade, trade rules, institutional mechanisms.*

REFERENCES:

1. Closa, C., Casini, L., & Sender, O. (2016). *Comparative regional integration: Governance and legal models* (Integration through Law: The Role of Law and the Rule of Law in ASEAN Integration, No. 10). Cambridge University Press

2. Hix, S. (2010). Institutional Design of Regional Integration: Balancing Delegation and Representation No. 64

3. Fernandes, A, N. Rocha., Ruta, M. (2021). The Economics of Deep Trade Agreements, CEPR Press, Paris & London. https://cepr.org/publications/books-and-reports/economics-deep-trade-agreements

4. Jamagidze, L. (2019). Institution Importation in Georgia-EU Trade Relations. Economics and Business, (3), 199–216. (in Georgian)

5. Jamagidze, L. (2020). Trade Policy Responses to the Contemporary Challenges of The Global Market. Globalization and Business, (9), 70–76. (in Georgian)

6. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshap-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

idze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. *The New Economist*, *20*(2), 40-53.

7. Karchava, L., Veshapidze, S., & Chiabrishvili, K. (2023). Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. *The New Economist*, *18*(3), 7-2.

8. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. *The New Economist*, *20*(1), 8-23.

9. Mattli, W. (1999). The Logic of Regional Integration. Cambridge University Press

10. Papava, V. (2021). On pseudo deglobalization, Silk Road of global value chains. Eurasia Review. https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia/

11. Urata, S. (2025). Roles of Bilateral, Regional, and Plurilateral Cooperation. In The New Global Economic Order. Routledge

12. Veshapidze, S. (2023). New developments in the global world: challenges and opportunities for Georgia. *The New Economist*, *18*(3), 44-2.

13. Veshapidze, S. (2025). Georgia's Aspiration towards EU Integration: A Pathway to Economic and Social Prosperity. https://dspace.tsu.ge/items/874c92eb-8443-4319-bc51-6eab38bdd4f5

14. Veshapidze, S., Bakhtadze, L., Putkaradze, R., Kharitonashvili, J., Danelia, I., Lominashvili, M., & Chantladze, N. (2024). Modern International Economic Relations of Georgia: Monograph. Tbilisi: Smarty. (In Georgian)

15. WTO. (2025). GVC Trade Report. https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/gvcreport2025-01_e.pdf

16. Veshapidze, Sh., Jamagidze, L., Futkaradze, R., Kereselidze, L. (2025). Georgia's Strategic Priorities in Regional Integration amid Global Challenge. The New Economist. N3 (78) 2025, Vol. 20, Issue 3.

17. Jamagidze. L. (2020). Trade Policy Responses To The Contemporary Challenges of The Global Market. Globalization and Business #9. https://doi.org/10.35945/gb.2020.09.008

ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმები

ლელა ჯამაგიძე
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ.ფოსტა: lela.jamagidze@tsu.ge

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი. *წარმოდგენილი სატატიის მიზანია ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმების შესწავლა მათი რეგიონული განსხვავებების ნიშნით და ეკონომიკური ინტეგრაციის მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასება მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნის პერსპექტივიდან, როგორიც არის საქართველო. განხილულია ძირითადი ინტეგრაციული დაჯგუფებების ინსტიტუციური მექანიზმების მოდელები და მათი ტრანსფორმაციის განმაპირობებელი ძალები. ნაჩვენებია, რომ მოქნილი ინსტიტუტები, რომლებსაც ქვეყნები თანამედროვე პირობებში მეტ უპირატესობას ანიჭებენ, ხელს უწყობს ადაპტაციის ხარჯების გადანაწილებას და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი რეგიონული და გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმების განვითარებას.*

მეთოდოლოგიური მიდგომა. *იმისათვის, რომ გამოვავლინოთ, როგორ განსაზღვრავს ინსტიტუტების მოდელების თავისებურებები ეკონომიკური ინტეგრაციის სიღრმეს, გამოყენებულია შედარებითი ინსტიტუციური ანალიზი, ხოლო ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების შესაფასებლად _ ისტორიული ანალიზი. თვისებრივი კვლევის საფუძველზე შესწავლილია ძირითადი ინტეგრაციული დაჯგუფებების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები, ასევე, ეკონომიკური შედეგების ამსახველი ანგარიშები.*

რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები გამოყენებულია ეკონომიკური ინტეგრაციის ფუნქციონირების მაჩვენებლების შესასწავლად, როგორებიცაა სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულება და ინსტიტუციური განვითარების ინდიკატორები.

ძირითადი შედეგები. *მიუხედავად მზარდი ზეწოლისა, რასაც რეგიონული ინტეგრაცია განიცდის მზარდი სავაჭრო განუსაზღვრელობის, მიწოდების ჯაჭვების ტრანსფორმაციის და ფრაგმენტაციის და მრავალმხრივი სავაჭრო წესების შესუსტების შედეგად, ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობა მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის კვლავ დიდია. კერძოდ, ინტეგრაციის მექანიზმების გამოყენება საქართველოს სჭირდება გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში ჩართულობის ახალი შესაძლებლობების ძიებისა და მასში მონაწილეობის გააქტიურებისთვის და დიდ ბაზრებთან (ევროკავშირი, ჩინეთი) სავაჭრო კავშირების გაძლიერებისთვის. კვლევის შედეგები ინფორმაციული იქნება ქვეყნის სავაჭრო და ინტეგრაციის პოლიტიკის ფორმირების პროცესში ინსტიტუციური მოდელების თავისებურებების გასათვალისწინებლად.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ინტეგრაცია, საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო წესები, ინსტიტუციური მექანიზმები.*

შესავალი

ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში ორი ან მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნებაყოფლობითი კავშირს იმ მასშტაბით, რომ ეროვნული პოლიტიკის საკვანძო სფეროებზე კონტროლი ზენაციონალურ დონეზე გადადის. ამ კავშირს საფუძვლად უდევს განსაზღვრული სახის ინსტიტუციური მექანიზმები. ნათლად განსაზღვრული ინსტიტუტები უზრუნველყოფს ინტეგრაციის მონაწილეების პრეფერენციებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროგნოზირებად წესებში მოქცევას, ამცირებს ტრანზაქციურ ხარჯებს და აყალიბებს პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ პირობებს, რათა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყოს უზრუნველყოფილი ბაზრების გამართულად მუშაობა, პოლიტიკის კოორდინაცია და სადავო საკითხების მოგვარება. ამდენად, ეკონომიკური ინტეგრაცია ვაჭრობისა და წარმოების ფაქტორების მოძრაობის გზაზე სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მოხსნის გარდა, ინსტიტუტების კომპლექსური სისტემის შექმნას მოიზარებს, რომელის ფარგლებშიც უნდა წარიმართოს მონაწილე სახელმწფოებისა და კერძო სუბიექტების საქმიანობა.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ხასიათდება მნიშვნელოვანი ძვრებით, როგორებიცაა საერთაშორისო სავაჭრო და საწარმოო კავშირების ფრაგმენტაცია, მიწოდების ჯაჭვების ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადობის მიმართ მზარდი ყურადღება. ამ კონტექსტში ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმები — ერთობლივი მარეგულირებელი ორგანოების, დავების გადაწყვეტის სისტემებისა და მაკროეკონომიკური კოორდინაციის მექანიზმების სახით ქვეყნებს ეხმარება ურთიერთდამოკიდებულების მართვაში სამამულო ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პარალელურად. ინსტიტუციური მექანიზმების განსხვავება განსაზღვრავს ინტეგრაციის სიღრმესა და მდგრადობას.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმების შესწავლა მათი რეგიონული განსხვავებების ნიშნით და ეკონომიკური ინტეგრაციის კრიზისებისადმი მდგრადობის გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასება მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნის პერსპექტივიდან, როგორიც არის საქართველო. კარგად დაგეგმილ ინსტიტუტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ადაპტაციის ხარჯების გადანაწილებას და მდგრადი და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი რეგიონული და გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმების განვითარებას.

ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმების მოდელები და რეგიონული თავისებურებები

ინტეგრაციის წარმატება და განვითარების მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კოლექტიური ქმედების პრობლემების ინსტიტუციური გადაწყვეტის გზებზე (Mattli, 1999). ინტეგრაცია მოითხოვს როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ფაქტორების არსებობას. მოთხოვნის ძალებია საბაზრო სუბიექტების სურვილი, გავიდნენ უფრო ფართო და მეტად პროგნიირებად ბაზრებზე, ხოლო მიწოდების ძალები გულისხმობს პოლიტიკური სუბიექტებისა და ინსტიტუტების უნარს უზრუნველყონ ეფექტური წესების არსებობა და მათი აღსრულება.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტეგრაციის ფარგლებში ინსტიტუციური მექანიზმები უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების დელეგირებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგების გავრცობას. ინსტიტუციური მექანიზმების ხასიათი და მათი არჩევანის განმსაზღვრელ ფაქტორები მრავალფეროვანია. ისინი დამოკიდებულია როგორც ინტეგრაციის მიზნებზე, ასევე, სიღრმესა და მონაწილე ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მახასიათებლებზე. მაგალითად, ევროკავშირის ინსტიტუციური მოდელი მაღალი კოორდინაციის დონით გამოირჩევა, ხოლო ASEAN სუსტად კოორდინირებულია. ინსტიტუტების განვითარების სიღრმე და ხარისხი და არა დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა განსაზღვრავს ინტეგრაციის შედეგები რადენად აისახება წევრი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობაზე.

რეგიონული ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნები იღებენ ფორმალურ ვალდებულებებს თავიანთი მიზნების მისაღწევად იმ მოლოდინით, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფოებიც შესაბამისი ქმედებით უპასუხებენ. პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული კონკრეტული პირობები და ვალდებულებები გამომდინარეობს ამა თუ იმ რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფების ინსტიტუციური მოწყობიდან, რომლის ზოგადი ინსტრუმენტებია:

- წევრობის რეგულირება;
- ინტეგრაციის ორგანიზაციული სტრუქტურები;
- გადაწყვეტილების მიღების პროცედურა;
- მარეგულირებელი ნორმების ხასიათი და მათი ეროვნული სისტემებში ინტეგრაციის მექანიზმები;
- აგრეთვე, კონტროლის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის მექანიზმები.

თითოეული მათგანი ემსახურება მონაწილეთა გარკვეულწილად „შებოჭვას“ ინტეგრაციის სქემებში და ზღუდავს მათ თავისუფლებას, გადაუხვიონ უკვე აღებულ ვალდებულებებს.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ერთდროულად აერთიანებს რეგულირების და დერეგულირების პროცესებს, კერძოდ, საქონლისა და მომსახურების, კაპიტალისა და სხვა წარმოების ფაქტორების მოძრაობის ბარიერების მოხსნასთან ერთად, ის გულისხმობს სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების მიღებას. ვაჭრობის ბარიერების მოხსნა შეიძლება მიღწეულ იქნას ორმხრივი შეთანხმებებით ან მონაწილე ქვეყნების მიერ ერთხმად მხარდაჭერილი მრავალმხრივი ხელშეკრულებებით. თუმცა, ახალი წესების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ფუნქციონირებდეს ბაზარი — მაგალითად, კონკურენციის წესები, საქონლის სტანდარტები, გარემოსდაცვითი ნორმები — საჭიროებს დღის წესრიგის განსაზღვრისა და აღსრულების უფლებამოსილების დამოუკიდებელი, ზეეროვნული ორგანოსათვის გადაცემას.

დერეგულირების პროცესი სამ ძირითად ელემენტს აერთიანებს: პირველი დაკავშირებულია ერთიანი ბაზრის პროგრამის ძირითად ვალდებულებებთან, რომლებიც აიძულებს მთავრობებს გააუქმონ სატარიფო და არასატარიფო ბარიერები საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე. ეს მოიცავს ბარიერების მოხსნას, როგორიცაა კაპიტალის კონტროლი, იმპორტის კვოტები და საბაჟო გადასახადები. მეორე ელემენტია ურთიერთაღიარების პრინციპი. იგი წარმოადგენს ერთიანი ბაზრის ფუნქციონირების მთავარ საფუძველს. მესამე ელემენტია საერთო სტანდარტების ჰარმონიზაცია, რაც, თავის მხრივ, იწვევს ეროვნული წესების ჩანაცვლებას საერთო მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების ერთიანი სისტემით, რაც ბაზრებზე თამაშის ერთნაირი წესების მიღწევით, ლიბერალიზაციას ნიშნავს.

ერთი მხრივ, თითოეული სახელმწიფო ხვდება გარკვეულ ხარჯებს ამ წესების განხორციელებისას, რადგან მათი გამოყენება გულისხმობს შიდა ბაზრების გახსნას სხვა სახელმწიფოს საქონლის და მომსახურების მიმწოდებლების და, ამდენად, უფრო მეტი კონკურენციისთვის. მეორე მხრივ, თითოეული სახელმწიფო სარგებელს იღებს იმით, რომ მეორე სახელმწიფო ხსნის თავის ბაზარს.

ძლიერი და ავტონომიური რეგიონული ინსტიტუტები გამორიცხავენ მონაწილე აქტორების მხრიდან უკან დახევას და ამით ხელს უწყობენ ინტეგრაციიდან მიღებული სარგებლის კონსოლიდაციას. მათ, ასევე, შეუძლიათ ხელი შეუწყონ ინტეგრაციის პროცესების გაღრმავებასა და გაფართოებას — ინტეგრაციის ბარიერების მოხსნით და ახალი სფეროებში კოორდინირებული პოლიტიკის რეჟიმების ჩამოყალიბებით (ADB 2010). მათგან განსხვავებით, სუსტი ინსტიტუტები, ქმნიან რისკს, რომ გაამძაფრონ ეროვნულ განსხვავებები, რაც ხელს უშლის ლიბერალიზაციას, ჰარმონიზაციას და ეკონომიკური სარგებლის მაქსიმიზაციას.

რეგიონული ინსტიტუტების ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. როგორც კვლევები ცხადყოფს, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ერთგვაროვნება და თავსებადობა წევრ

სახელმწიფოებს შორის, როგორც წესი, ინსტიტუტებს უფრო ეფექტიანად მუშაობის საშუალებას აძლევს (Sidjanski, 1987). ავტონომიის ხარისხი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი ეფექტიანობისთვის უმნიშვნელოვანესია. ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, მთავრობათაშირისი ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ზოგადად, უფრო მაღალ ავტონომიას ფლობენ იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებელი ინიციატივების გამოვლენა ან შესაბამისობის მონიტორინგი. ეს მათ აძლევს საშუალებას უფრო აქტიური როლი ითამაშონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და ხელი შეუწყონ ინტეგრაციის გაღრმავებასა და გაფართოებას (Best 2005). ასევე, ეს შესაძლებლობას აძლევს მათ განსაზღვრონ წევრი სახელმწიფოების საერთო ინტერესები და კონსენსუსის მიღწევა უზრუნველყონ. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საკმარისი დაფინანსების არსებობა მნიშვნელოვანია ინსტიტუტების ფუნქციონირებისთვის, ხოლო მისი დეფიციტი ხშირია განვითარებად ქვეყნებში, ნათელად განსაზღვრული სტრუქტურები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები გადამწყვეტია ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმის ინტეგრაციისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ინსტიტუციური დაბრკოლებები და უზრუნველყოფილი იყოს სწრაფი გადაწყვეტილების მიღება.

რაც შეეხება მთავრობათაშორის ინსტიტუტებს, უმეტეს რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებში ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუტია მთავრობათაშორისი ორგანოები, რომელიც ერთსულოვნების პრინციპით ფუნქციონირებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ესაა საბჭოები, რომლებიც შედგება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებისგან, რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან. გარდა ამისა, ხშირად ინტეგრაციის სქემა ასევე მოიცავს სპეციალიზებულ საბჭოებს, რომლებიც ცალ-ცალკე იკრიბებიან და ფლობენ უფლებამოსილებებს თავიანთი სპეციალიზაციის სფეროში. მინისტრთა საბჭოების ქვედა დონეზე, შესაძლებელია აღმასრულებელი კომიტეტები ფუნქციონირებდეს, რომლებიც შედგებიან ეროვნული წარმომადგენლებისგან და პასუხისმგებელნი არიან მინისტრთა შეხვედრების მომზადებაზე.

ზოგიერთ ორგანიზაციაში კი გადაწყვეტილების მიღების პროცესი ცენტრალიზებულია უმაღლეს ორგანოში, რომელიც შედგება სახელმწიფო მეთაურებისგან. ეს, როგორც წესი, დამახასიათებელია იმ ორგანიზაციებისთვის, სადაც არადემოკრატიული ქვეყნები შედიან, რადგან ისინი ნაკლებად მიდრეკილნი არიან ძალაუფლების დელეგირებისა და გადანაწილებისკენ.

რეგიონული ინტეგრაციული ჯგუფები განსხვავდებიან თავიანთი ინსტიტუციური მოწყობით. ევროკავშირი მჭიდრო ინსტიტუციური მოდელია, რომელშიც ზენაციონალური ორგანოები, როგორიცაა ევროპული კომისია და სასამართლო, აყალიბებს სავალდებულო მექანიზმებს და უზრუნველყოფს სამართლებრივი ჰარმონიზაციის მაღალ ხარისხს. ამდენად, ეს მიწოდების მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. მისგან განსხვავებით, NAFTA იყო ინსტიტუციურად უფრო სუსტად შეკავშირებული მოდელი, რომელიც მთავრობათაშორის შეთანხებებს ეყრდნობოდა. ეს საკმარისია სავაჭრო ინტეგრაციისთვის, მაგრამ არასაკმარისია უფრო ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციისთვის. ASEAN კიდევ უფრო განსხვავებულ მოდელს მიჰყვება, რაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კონსენსუსის პრინციპზე და სუსტ სავალდებულო სამართლებრივ მექანიზმებზეა დამყარებული. ამდენად, ეროვნულ დონეზე მოქნილობას ენიჭება უპირატესობა შემბოჭველ ვალდებულებებთან შედარებით (იხ. ცხრილი).

ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შენარჩუნება სუსტი ინსტიტუტების პირობებშიც შესაძლებელია, მაგრამ ეს კავშირები ამ დროს უფრო მყიფეა, ვიდრე მაშინ როდესაც ზეეროვნული ინსტიტუტები არსებობს და ფუნქციონირებს.

ინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმების ტრანსფორმაციის გამოწვევები თანამედროვე ეტაპზე

გლობალური ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე ეკონომიკური ინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმები მზარდ ზეწოლას განიცდის. კერძოდ, მაღალი ფორმალიზაციის მქონე ინსტიტუტები, როგორიცაა ევროკავშირი, ხშირად აღიქმება ნელ, ბიუროკრატიულ და პოლიტიკურად მოუქნელ სტრუქტურებად, რაც იწვევს გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებას და სკეპტიციზმის ზრდას. ამავდროულად, უფრო ნაკლებად ფორმალიზებული ინსტიტუციური მოდელები ხასიათდება სუსტი და არათანაბარი აღსრულებით და შეთანხმებულ წესებსა და რეალურ ინტეგრაციას შორის არსებული ხარვეზებით, რაც ხელს უშლის ინტეგრაციის გაღრმავებას , ასევე მდგრადობას, განსაკუთრებით ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების დროს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებები ამოცანებისა და ინსტიტუციური მოდელების მიხედვით

ინტეგრაციული დაჯგუფება	ამოცანები	ინსტიტუციური მოდელი	ძირითადი ინსტიტუციური მახასიათებლები
ევროკავშირი (EU)	ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, საბაჟო კავშირი, ერთიანი ბაზარი, მონეტარული კავშირი, საერთო ეკონომიკური პოლიტიკა	ძლიერი/ზენაცონალური	სავალდებულო ზენაციონალური კანონმდებლობა, აღსრულებისა და მონიტორინგის მექანიზმები
ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია EFTA	სამრეწველო საქონლით თავისუფალი ვაჭრობა; EU-სთან თანამშრომლობა	სუსტი/მთავრობათშორისი	ზენაციონალური მექანიზმები არ გვაქვს.
NAFTA	თავისუფალი ვაჭრობა	ჰიბრიდული	დავების მოგვარების პანელის გადაწყვეტილებები სავალდებულოა, მთავრობათაშორისი.
MERCOSUR	საბაჟო კავშირი, პოლიტიკური კოორდინაცია	ჰიბრიდული	მთავრობათაშორისია.
ანდების გაერთიანება (CAN)	ისწრაფვის საერთო ბაზრისკენ, პოლიტიკის კოორდინაცია	ჰიბრიდული	გენერალური სამდივნო და ტრიბუნალი, რამდენიმე ზენაციონალური ინსტიტუტი
CARICOM	საბაჟო კავშირი და საერთო ბაზარი (CSME)	სუსტი/მთავრობათაშორისი	კონსენსუსზე დაფუძნებული.
LAIA (ALADI)	ვაჭრობის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია	სუსტი/მთავრობათაშორისი	მოქნილი ჩარჩო-პირობები, ზენაციონალური ინსტიტუტების არარსებობა.
SACU (სამხრეთ აფრიკის საბაჟო კავშირი)	საბაჟო კავშირი	ძლიერი	ერთიანი ტარიფი მესამე ქვეყნების მიმართ, ერთიანი საბაჟო წესები.
ECOWAS	ეკონომიკური ინტეგრაცია	სუსტი	სუსტი აღსრულების მექანიზმები.

SADC	ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რეგიონული უსაფრთხოება	სუსტი/ მთავრობათაშორისი	კონსენსუსზე დაფუძნებული.
ASEAN / AFTA	თავისუფალი ვაჭრობა, პოლიტიკური თანამშრომლობა	სუსტი/მთავრობათაშორისი	კონსენსუსზე დაფუძნებული
ANZCERTA (Australia–NZ CER)	თავისუფალი ვაჭრობა და მარეგულირებელი გარემოს ჰარმონიზაცია	ჰიბრიდული	ღრმა ტიპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
GCC (Gulf Cooperation Council)	საბაჟო კავშირი; სწრაფვა საერთო ბაზრისკენ	სუსტი/მთავრობათაშორისი	ნაწილობრივი კოორდინაცია
APEC	თავისუფალი ვაჭრობა და საინვესტიციო თანამშრომლობა	სუსტი/მთავრობათაშორისი	ნებაყოფლობითი აღიარება, საკონსულტაციო ფორუმი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, Mattli, W. (1999). The Logic of Regional Integration. Cambridge University Press და Closa, C., Casini, L., & Sender, O. (2016). Comparative regional integration: Governance and legal models (Integration through Law: The Role of Law and the Rule of Law in ASEAN Integration, No. 10). Cambridge University Press მიხედვით.

რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების სწრაფი გავრცელება 2000-იან წლებში წარმოადგენდა ერთ-ერთ გზას, რომ ქვეყნებს გლობალური ვაჭრობის სფეროში მრავალმხრივი წესების მოუქნელობით გამოწვეული სირთულეები აეცილებინთ. სავაჭრო პარტნიორის შერჩევის შესაძლებლობა რეგიონული შთანხმების ფარგლებში ქვეყნებს გარკვეულ მოქნილობას ანიჭებს, რომ შეინარჩუნონ შედარებითი ავტონომია და მათთვის პრიორიტეტული სავაჭრო პარტნიორების მიმართ განსხვავებული სავაჭრო რეჟიმები აამოქმედონ, ასევე, ეს შეთანხმებები ეროვნული ეკონომიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად გამოიყენონ. (ჯამაგიძე, 2020).

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის საყურადღებოა გლობალური მიწოდების ჯაჭვების ცვლილებები. კოვიდ--პანადემიით გამოწვეული შოკების დაძლევის მიუხედავად, პოსტპანდემიურ პერიოდში გამოცოცხლება საკმაოდ არათანაბრად წარიმართა (WTO, 2025). ტრადიციულ ვაჭრობასა და ღირებულების ჯაჭვში ვაჭრობის ზრდის ტემპებში არსებული სხვაობა გაღრმავდა, განსაკუთრებით აშშ-ჩინეთისა სავაჭრო ომისა და რუსეთ-უკრაინის ომის გავლენით. როგორც მონაცემები ცხადყოფს, GVC-თან დაკავშირებული ვაჭრობის წილი 2022 წლის პიკური 48%-იანი მაჩვენებლიდან შემცირდა და 2024 წელს 46.3%-ს შეადგენდა (WTO, 2025), ეს მიუთითებს, რომ გლობალურად, მიწოდების ჯაჭვები გაგრძელდა, რადგან ომებისა და ეკონომიკური სანქციების გავლენამ სავაჭრო ნაკადების გადანაწილება განაპირობა, შეასაბამისად, ჯაჭვში გაიზარდა მონაწილე ქვეყნების რაოდენობა და ურთიერთდამოკიდებულება უფრო კომპლექსური გახდა. გარდა ამისა, გაიზარდა ყველა გლობალური დარგის დამოკიდებულება დიდ ქვეყნებზე, ჩინეთზე, იაპონიაზე, ევროკავშირსა და აშშ-ზე. რუსეთ-უკრაინის ომმა ამ სივრცეში ინტეგრაციის ხარისხი შეასუსტა, ხოლო ჩინეთის "ერთი სარტყელი, ერთი გზის" ინიციატივამ გამოიწვია ახალი სავაჭრო ნაკადებისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებების ჩამოყალიბება (ვეშაპიძე, და სხვ. 2025).

გლობალურ ვაჭრობაში არსებულ განუსაზღვრელობას ემატება მსოფლიო ვაჭრობის მრავალმხრივი წესების შეფერხებული ფუნქციონირება, განსაკუთრებით წესების შემუშავებისა და დავების გადაწყვეტის სფეროში. ამავდროულად, ყოველწლიურად მზარდია ვაჭრობის შემზღუდ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ველი ახალი ზომების მიღების ტენდენცია, რომლებიც არა ლოკალურ სავაჭრო ნაკადებს, არამედ გლობალურ ნაკადებს აბრკოლებს. აღნიშნული მიზეზებით, ქვეყნები მეტ მიდრეკილებას ავლენენ გადავიდნენ ორმხრივი რეგიონული სავაჭრო შეთანხმებებიდან (RTA) მრავალმხრივ (პლურილატერალურ) შეთანხმებებზე. მაგალითად, იაპონიამ თავდაპირველად გააფორმა ორმხრივი RTA-ები სინგაპურთან (2002), მექსიკასთან (2005), მალაიზიასთან (2006), ჩილესთან (2007), ტაილანდთან (2007), ინდონეზიასთან (2008), ვიდრე 2008 წელს ASEAN-ის წევრ სახელმწიფოებთან გააფორმებდა პლურილატერალურ შეთანხმებას. იაპონიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდეგი შეთანხმებების ჩამოყალიბებაში: ყოვლისმომცველი და პროგრესული ტრანს-წყნაროკეანური პარტნიორობის შეთანხმება (Comprehensive and Progressive Trans-Pacific Partnership, 2018), რომელშიც 11 ქვეყანა მონაწილეობს; იაპონია–ევროკავშირის ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება (2019), რომელიც 28 ქვეყანას მოიცავს; და რეგიონული ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება (Regional Comprehensive Economic Partnership, 2022), რომელშიც 15 ქვეყანა მონაწილეობს. ორმხრივიდან პლურილატერალურ შეთანხმებებზე გადასვლის მსგავსი ტენდენციები შეინიშნება სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, სამხრეთ კორეისა და შეერთებული შტატების შემთხვევაშიც (Urata, 2025).

ამ ცვლილებების საპასუხოდ, თანამედროვე ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმები სულ უფრო მეტად არის განპირობებული გეოეკონომიკური, უსაფრთხოების და არა მხოლოდ ეფექტიანობის მოსაზრებებით. ქვეყნები ცდილობენ წარმოებისა და ვაჭრობის გადანაცვლებას პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო უსაფრთხო პარტნიორებისკენ, ასევე, გეოგრაფიულად ახლოს მყოფი ქვეყნებისკენ. შექმნილი ახალი ლანდშაფტი მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნისგან, როგორიც საქართველოა საჭიროებს სპეციალიზაციის შესაძლებლობებისა და გლობალური ფრაგმენტაციის გამოწვევებთან ადაპტაციის მექანიზმების შემუშავებას.

დასკვნა

რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებები მრავალფეროვანი ინსტიტუციური მექანიზმებით ხასიათდებიან. სუსტი მექანიზმები უზრუნველყოფს მეტ ავტონომიას და მოქნილობას, მაგრამ, ასევე, სუსტი აღსრულებით ხასიათდება. მკაცრად ფორმალიზებული სტურქურები კი ძირთადად ღრმა ინტეგრაციას უდევს საფუძვლად, თუმცა მზარდი გლობალური საწარმოო და სავაჭრო ფრაგმენტაციის პირობებში დაბალ მოქნილობას განაპირობებს. ამიტომ ჩნდება მრავალფეროვანი ფორმები, როგორიცაა ორმხრივი და პლურილატერალური შეთანხმებები, სექტორული და ფუნქციონალური ინტეგრაცია, ასევე, ტრანს-რეგიონული თანამშრომლობის ფორმები.

მიუხედავად მზარდი ზეწოლისა, რასაც რეგიონული ინტეგრაცია განიცდის მზარდი სავაჭრო განუსაზღვრელობის, მიწოდების ჯაჭვების ტრანსფორმაციის და ფრაგმენტაციის და მრავალმხრივი სავაჭრო წესების შესუსტების შედეგად, ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობა მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის კვლავ დიდია. კერძოდ, ინტეგრაციის მექანიზმების გამოყენება საქართველოს სჭირდება გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში ჩართულობის ახალი შესაძლებლობების ძიებისა და მასში მონაწილეობის გააქტიურებისთვის. ინტეგრაციულ შეთანხმებებში ჩართულობით (ევროკავშირი, ჩინეთი) დიდ ბაზრებთან სავაჭრო კავშირების შესუსტება თავიდან იქნება აცილებული.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

CHALLENGES AND OPPORTUNITIES FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT OF MOUNTAIN TOURISM IN GEORGIA

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 19, 2025
Published: December 14 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-89

Otar Japaridze,
Student of Doctoral programme
of Business administration
The East European University,
ORCID ID: 0009-0005-6570-6113
E-mail: otar.jafaridze@eeu.edu.ge

ABSTRACT

The paper addresses the challenges and opportunities of sustainable development of mountain tourism in Georgia in the context of contemporary global and regional challenges. It examines the impact of various crises — including the pandemic, the ongoing war in the region, and other related disruptions — on the tourism sector, particularly in mountain areas, where the growing demand for distance, clean air, and nature-based travel has created new opportunities.

The research component of the paper is based on secondary data analysis and aims to review and evaluate the best international practices in mountain tourism. This allows for the identification and transfer of essential knowledge for sectoral development, as well as an understanding of successful strategies and crisis management experiences from countries with similar mountainous landscapes and well-developed mountain tourism.

For the empirical part, an online survey was conducted to determine the trends of sustainable tourism development in Georgia's mountain regions. A structured online questionnaire was used, and 120 respondents — active mountain and cultural guides, as well as representatives of travel companies — participated in the quantitative study.

The findings reveal that the sustainable development of mountain tourism in Georgia is hindered by insufficient knowledge, environmental pollution, inadequate infrastructure, and a sharp rise in prices. The paper emphasizes the crucial role of the state and local governments in managing these processes and recommends the establishment of professional training programs and the promotion of environmentally responsible tourism. In conclusion, despite the existing challenges, Georgia's mountain tourism holds significant potential that requires a long-term, sustainable, and integrated approach.

Key words: *mountain tourism, sustainable development of tourism, travel industry, resorts, natural resources.*

REFERENCES:

1. Kostić, M., Lakićević, M., & Milićević, S. (2018). Sustainable tourism development of mountain tourism destinations in Serbia. Research Gate. https://www.researchgate.net/publication/327193211_Sustainable_tourism_development_of_mountain_tourism_destinations_in_Serbia

2. Kveladze, K. (2017). Formation and development of the innovation system in EU tourism (p. 14). Ivane Javakhishvili Tbilisi State University. (In Georgian)

3. Metreveli, M. (2012). Environment and ecotourism management. Tbilisi: Hospitality Industry Publishing and Training Center. (In Georgian)

4. Nepal, S. K. (2002). Mountain ecotourism and sustainable development. BioOne. https://doi.org/10.1659/0276-4741(2002)022[0104:MEASD]2.0.CO;2

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

5. UN Tourism. (2023, April 23). International tourism and COVID-19. https://www.unwto.org/tourism-data/international-tourism-and-covid-19

6. UN Tourism. (2023, April 23). Tourism's potential for mountain ecosystems and communities outlined in new report. https://www.unwto.org/news/tourism-s-potential-for-mountain-ecosystems-and-communities-outlined-in-new-report

7. UN Tourism. (2018). Sustainable mountain tourism: Opportunities for local communities. Madrid. https://www.e-unwto.org/doi/book/10.18111/9789284420261

8. UN Tourism. (2004). Indicators of sustainable development for tourism destinations: A guidebook. https://www.e-unwto.org/doi/book/10.18111/9789284407262

საქართველოს მთის ტურიზმის მდგრადი განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები

ოთარ ჯაფარიძე
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების
სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
otojafaridze@yahoo.com

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება საქართველოს მთის ტურიზმის მდგრადი განვითარების პრობლემებსა და შესაძლებლობებს თანამედროვე გლობალური და რეგიონული გამოწვევების ფონზე. ტექსტში განხილულია სხვადასხვა კრიზისების (პანდემიისა, რეგიონში ომის და სხვა კრიზისების) გავლენა ტურიზმის სექტორზე, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც დისტანცირებისა და ბუნებრივ გარემოში მოგზაურობის მოთხოვნის ზრდამ შექმნა ახალი შესაძლებლობები.

ნაშრომის კვლევითი კომპონენტი, მეორად მონაცემებზე დაყრდნობით მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკების გაცნობა-გაანალიზებას გულისხმობს, რაც საშუალებას მოგვცემს გავიზიაროთ სფეროს განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და იმ ქვეყნების წარმატებული, თუ კრიზისების დაძლევის მაგალითები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მსგავსი მთიანი რელიეფით გამოირჩევიან და ამავდროულად აქვთ წარმატებული სამთო ტურიზმი.

სტატიის მომზადებისთვის დაიგეგმა ონლაინ გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო საქართველოში სამთო რეგიონებში ტურიზმის მდგრადი განვითარების ტენდეციების დადგენა. წარიმართა სტრუქტურირებული, ონლაინ კითხვარის მეშვეობით. რაოდენობრივ კვლევაში რომელიც ონლაინ ანკეტირების მეშვეობით ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო 120-მა რესპოდენტმა რომლებიც არიან მოქმედი სამთო, კულტურული გიდები და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები.

შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მთის ტურიზმის მდგრად განვითარებას აფერხებს შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა, ეკოლოგიური დაბინძურება, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და ფასების მკვეთრი მატება. ნაშრომში ხაზი აქვს გასმული, სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების როლს ამ პროცესების მართვაში, ასევე რეკომენდაციას აძლევს პროფესიული ტრენინგებისა და ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ტურიზმის ხელშეწყობის აუცილებლობაზე. დასკვნის საზით კი შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სირთულეებისა, საქართველოს მთის ტურიზმს აქვს დიდი პოტენციალი, რომელიც საჭიროებს გრძელვადიან, მდგრად და ინტეგრირებულ მიდგომას.

საკვანძო სიტყვები: *სამთო ტურიზმი, ტურიზმის მდგრადი განვითარება, ტურისტული ინდუსტრია, კურორტები, ბუნებრივი რესურსები.*

შესავალი

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა - მისი მრავალფეროვანი მთიანი რელიეფი და შესაბამისად განსხვავებული კულტურული თავისებურებები, ლოგიკურად ქმნის ქვეყანაში მთის ტურიზმით დაინტერესების საფუძველს - განსაკუთრებით ტურისტული ბიზნესის აღმავლობის ხანაში, როდესაც მსოფლიოს საზღვრები ღიაა ტურისტული მიმოსვლებისთვის და თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზულ წილს სწორედ ტურისტული ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები ქმნის. დღეს მსოფლიოში არსებულმა მდგომარეობამ, საქართველოს რეგიონში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა და მისგან გამოწვეულმა კრიზისებმა, ასევე გავლილმა პანდემიამ, ტურიზმის ინდუსტრია როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე დააყენა ფუნდამენტური გარდაქმნების წინაშე. აღნიშნულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ტურისტული მოთხოვნების სტრუქტურა, მომხმარებელთა ქცევა და ეკონომიკური პრიორიტეტები. განსაკუთრებით გამოკვეთილად ეს ტენდენცია გამოვლინდა მთის ტურიზმის მიმართულებით, რომელიც პანდემიის დროს ერთდროულად იქცა როგორც შეზღუდვების შედეგად დაზარალებულ, ასევე ახალი შესაძლებლობების მატარებელ სექტორად. მთის ტურიზმი, თავისი ბუნებრივი, ეკოლოგიური და კულტურული პოტენციალიდან გამომდინარე, პოსტპანდემიურ პერიოდში უფრო მეტად იქცა უსაფრთხო, მდგრად და ეკოლოგიურად პასუხისმგებელ მოგზაურობათა სიმბოლოდ. შესაბამისად, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური ფაქტორების გააზრებას, არამედ მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრაციას, რაც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი, სოციოკულტურული და ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებას.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს მთის ტურისტული პოტენციალის სრულად ასათვისებად და მისი ტურიზმის განვითარების პროცესში სრულფასოვნად ინტეგრირებისთვის, მნიშვნელოვანია პირველ ეტაპზე შევისწავლოთ მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკები მთის ტურიზმის მდგრადი განვითრების პროცესში. ვნახოთ თუ როგორ მოახერხეს/ახერხებენ მსოფლიოს მთიანი რელიეფის მქონე ტურისტულად დატვირთული ქვეყნები, ტურიზმის აღნიშნული მიმართულების განვითარებას და ამით ეკონომიკური სარგებლის - ისევე როგორც საკუთარი ქვეყნის კულტურისა და ბუნებრივი პირობების შენარჩუნება-წარმოჩინებას. სწორედ ამას ემსახურება ნაშრომის კვლევითი კომპონენტის თვისებრივი ნაწილი, რომელიც მეორად მონაცემებზე დაყრდნობით მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკების გაცნობა-გაანალიზებას გულისხმობს.

აღნიშნული მეორადი მონაცემების გაანალიზება საშუალებას მოგვცემს შევიცნოთ სფეროს განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გავიზიაროთ იმ ქვეყნების წარმატებული თუ კრიზისების დაძლევის მაგალითები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მსგავსი მთიანი რელიეფით გამოირჩევიან და ამავდროულად აქვთ წარმატებული სამთო ტურიზმი.

მოცემული კვლევის მეორე კომპონენტათ დაიგეგმა ონლაინ დაუსწრებელი ანკეტირება. რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მთის ტურიზმის განვითარების როგორც ხელისშემშლელ ასევე ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიკაცია, საქართველოში სამთო ტურისტულად პოპულარული რეგიონები, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ტურისტების დამოკიდებულება და მოთხოვნების იდენტიფიკაცია, ასევე დარგში მომუშავე ადამიანების ცოდნის ხარისხის დადგენა საქართველოში მდგრადი განვითარების პრინციპების მიმართ.

რაოდენობრივი კვლევის სამიზნე სეგმენტად განისაზღვრა საქართველოში მომუშავე აქტიური გიდები და ტურ სააგენტოს წარმომადგენლები რომელთა სამუშაო არეალს წარმოადგენს მთიანი რეგიონები და ახდენენ როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ტურისტების სამთო მარშუტების ორგანიზებას. მეთოდად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევა (ონლაინ დაუსწრებელი ანკეტირება), ხოლო მის ისტრუმენტად მკაცრად სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი კითხვარი. რესპოდენტთა შერჩევა მოხდა არაალბათური მეთოდით. საბოლოოდ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 120-მა ადამიანმა.

სამთო ტურისტული მიმართულებები, როგორც წესი, გვთავაზობენ ერთმანეთის მსგავს პროდუქტებს, თუმცა ისინი უნდა ცდილობდნენ ერთმანეთისგან განსხვავებული პროდუქციის შექმნას და თავისი ნიშის პოვნას, განსხვავებული პროდუქციის შეთავაზებით კი შეძლებენ ბაზარზე უფრო ძლიერად პოზიციონირებას. ფაქტობრივად ამ ეტაპზე უმეტესი სამთო ქვეყანა ეძებს მათი პროდუქციის დიაპაზონის ზრდისა და სეზონური დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს. სახელმწიფო ადმინისტრა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ციები დიდ როლს თამაშობენ მთის ტურიზმის ზრდის სტიმულირებაში. ეს კი ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია ღარიბი მთიანი რეგიონებისთვის.

აქვე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც აკისრია რეგიონის მთავრობებს, კერძოდ: როდესაც ვხედავთ ტურიზმის შედეგად გმოწვეულ მეტ შემოსავლებს და დასაქმების ხარისხს, ეს პარალერულად მეტყველებს ისეთ ნეგატიურ ფაქტორებზე როგორიცაა მიწის „ოკუპაცია“ სასტუმროების მიერ, ნარჩენებისა და ტრანსპორტის სახის პრობლემებს - რაც არღვევს რეგიონის ცხოვრების ხარისხს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სამთო რეგიონის წარმომადგენლებმა, ტერიტორიის ზრდის ზემოქმედების ოპტიმიზაციის მიზნით წარმოადგინონ ზრდის ისეთი პირობები, სადაც მინიმალურად იქნება მსგავსი ნეგატიური ფაქტორები მოცემული.

მრავალრიცხოვანი ზემოქმედების საფრთხეები გარემოზე შეგვიძლია დავყოთ შემდეგნაირად:

ეკონომიკური: რესურსების მართვის ეკონომიკური ეფექტიანობის განვითარების უზრუნველყოფა - ტურიზმის დაუგეგმავი განვითარება იწვევს ბიზნესის ტრადიციული ფორმების განადგურებას, განსაკუთრებით საფრთხის ქვეშ დგება სოფლის მეურნეობა, რის გამოც იზრდება იმპორტზე დამოკიდებულება, მატულობს არაკვალიფიცირებული და ცუდად ანაზღაურებადი სამუშაო, და ა.შ.

სოციოკულტურული: ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმართველობის დაცვასა და შენარჩუნებას, იგი განაპირობებს ისეთ მიდგომებს როდესაც განვითარება ეხმარება ადამიანებს საკუთარ ყოფაზე კონტროლის ზრდაში და კულტურული და მატერიალური ფასეულობების შენარჩუნებაში - წინააღმდეგ შემთხვევაში უკონტროლოდ განვითარებული ტურიზმი გამოიწვევს ისეთ საფრთხეებს, როგორებიცაა: კულტურული იდენტობის დაკარგვა, ტრადიციული ღირებულებათა სისტემების გაქრობა და კრიმინალის მაღალი საფრთხე.

რა არ მოსწონთ ყველაზე მეტად ტურისტებს



დიაგრამა 1.

ეკოლოგიური: იგი ეხმარება საბაზრო ეკოლოგიური პროცესების, ასევე ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და რესურსებისადმი განვითარების შეთავსებას. ასევე ქაოსურად განვითარებული ტურიზმის შემთხვევაში, ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწისა და ტყის ტურისტული მიზნებისთვის ოკუპაცია, რის ხარჯზე ხდება ბუნებრივი რესურსების არასწორი გამოყენება, დიდი რაოდენობით იზრდება ნარჩენები, გაზრდილი ხმაური და მავნე აირების გამოყოფა და კიდევ მრავალი სხვა (WTO 2004).

კვლევის შედეგები

სამთო ტურიზმის მდგრადი განვითარების ტენდეციების დადგენის მიზნით ჩატარებულმა ონლაინ ანკეტირებამ, გვაჩვენა რომ მდგრად განვითარებას საქართველოში აფერხებს მისი პრინციპების ნაკლები ცოდნა როგორც რეგიონის მოსახლეობაში ასევე ტურისტულ სეგმენტში დასაქმებულ გიდებში - რაც გამოწვეულია ერთის მხრივ გიდების უნარჩევევების მხოლოდ გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებით და თეორიული ცოდნის ნაკლეობობით, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივ მოსახლეობასთან შესაბამისი ორგანოების მხრიდან ნაკლები კომუნიკაციით.

კვლევის თანახმად, საქართველოს მთიან რეგიონებში საკმაოდ მძიმე სურათია მდგრადი განვითარების მიმართულებით, კერძოდ: გამოკითხულთა 65% მიიჩნევს, რომ ერთ ერთი მთავარი პრობლემა არის დაბინძურებული გარემო. (იხილეთ დიაგრამა 1.)

ასევე, პრობლემურ კომპონენტებად გველინება მოძველებული ავტოპარკი 23% (მოუწესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა/ავტომობილები) და სანიტარულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურა 24%. ავტოპარკის მოუწესრიგებლობა თავის მხრივ იწვევს მრავალ პრობლემებს, როგორებიცაა ჰაერის დაბინძურება, ავტო საგზაო შემთხვევები, მგზავრობის დროის გაზრდა და ა.შ. ხოლო სანიტარულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურის გაუმართაობა - ტურისტების სამართლიან უკმაყოფილებას.

ასევე, კვლევის შედეგებით ერთ ერთ პრობლემურ ფაქტორად იდენტიფიცირდება ფასების მკვეთრი მატება 37%. რასაც ხაზი ესმევა არა მარტო ქართველ მომხმარებელთა მიერ, არამედ უცხოელი ტურისტების მხრიდანაც.

წინ წამოიწია მაღალი ხარისხის ინტერნეტ კავშირის საჭიროებამ მთიან რეგიონებში 30%. დღეს ეს უკვე უფრო მეტ ადამიანს აწუხებს, რადგან მსოფლიო გადასულია დისტანციურ მუშაობაზე ხოლო ჩქარი, მაღალი ხარისხის ინტერნეტი ამ მიმართულებით გადამწყვეტია.

ასევე ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება უკვე ტურისტულად განვითარებულ მხარეებში ქაოტური განაშენიანება, ეს კი პირველ რიგში იწვევს გარემოს ავთენტურობის რღვევას. რასაც გამოკითხულთა 47% ადასტურებს. აქვე უნდა ითქვას, რომ გარდა ავთენტურობის რღვევისა, ქაოსურად მიმდინარე განაშენიანება, ისედაც მცირე მიწიან რეგიონებში იწვევს სასოფლო სამეურნეო საბარგულების სასტუმროებით ჩანაცვლებას. აღნიშნული საკითხი, პრობლემას წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის, ვინაიდან იწვევს ტრადიციული მეურნეობებისა და ყოფის რღვევას, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემცირებას და სხვა.

ხოლო ისეთი საკითხები როგორებიცაა: სასტუმრო სახლების კომფორტულობა, კვება, ენობრივი ბარიერი და ა.შ. აღმოჩნდა, რომ მათ არც თუ იმდენი აღიქვამს მთავარ გამოწვევად და საკმაოდ დაბალი პროცენტული მაჩვენებელიც აქვთ.

აქვე როდესაც ვსაუბრობთ საქართველოში მთის ტურიზმის განვითარებაზე და მის ხელიშემშლელ თუ ხელშემწყობ ფაქტორებზე, ძნელია არ გამოვყოთ რეგიონების განსხვავებული ხარისხის დატვირთულობა. გიდები და ტურისტული საგენტოები გამოყოფენ შემდეგ სამთო რეგიონებს სადაც მათ უწევთ მეტად მუშაობა (იხ. დიაგრამა 2.)

როგორც ხედავთ გამოკითხულთა სრული უმრავლესობა მათ ძირითად სამუშაო არეალად სვანეთსა და ყაზბეგს ასახელებენ, შემდეგ თუშეთი და ხევსურეთი. რაჭის, იმერეთის, გურიისა და მთიანი აჭარის რეგიონები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ხვდება ინტერესის სფეროში.

აღნიშნულ შედეგს რესპოდენტები ხსიან შემდეგი ფაქტორებით:

გეოგრაფიული: სვანეთსა და ყაზბეგში განლაგებულია კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები რომლებიც ყოველთვის იზიდავდნენ მოგზაურებს.

მარკეტინგული: მთავრობის მხრიდან ამ რეგიონების პროპაგანდას თავიდანვე დიდი ადგილი ეკავა.

ინფრასტრუქტურული: ასევე ხელისუფლების მხრიდან ამ რეგიონებში გატარდა პირველი ფართო მაშტაბიანი სამუშაოები.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში მომუშავე გიდების უმრავლესობას კარგად ესმით მდგრადი განვითარების მნიშვნელობა - მიუხედა-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



დიაგრამა 2.

ვად იმისა, რომ უმეტესი მათგანისთვის ტურიზმი არ არის ძირითადი სპეციალობა, მათი უმრავლესობა მთელი წლის განმავლობაში ჩართულნი არიან სხვადასხვა ტრენინგებსა თუ სემინარებში და ეწევიან თვით განვითარებას, თუმცა გამოკითხულთა 16%-მა ვერ განსაზღვრა მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები, რაც დამაფიქრებელია და მიგვანიშნებს მთავრობის მხრიდან გასატარებელ მრავალ ღონისძიებაზე გიდების მომზადება გადამზადების მიმართულებით.

ასევე პრობლემად დგას სექტორიდან გამოცდილი გიდების მასიური გადინება სხვა სფეროებში, რაც გამოიწვია ტურიზმში შექმნილმა კრიზისმა - ერთის მხრივ პოსტპანდემიურმა პერიოდმა, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთ-უკრეინის ომმა - ეს ყოველივე, კი იწვევს რეგიონში ზოგად დაძაბულობასა და ფასების მკვეთრ მომატებას ტურისტულ სერვისებთან მიმართებით.

დასკვნა

ტურიზმის მდგრადი განვითარება წარმოადგენს მრავალმხრივ და გრძელვადიან პროცესს, რომელიც მოითხოვს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციოკულტურულ ფაქტორებს შორის ბალანსის დამყარებას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების მთავარი გამოწვევებია ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, გარემოს დაბინძურება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმართაობა, მომსახურების ხარისხის უთანასწორო დონე და გიდების პროფესიული ცოდნის დეფიციტი. ამავდროულად, გამოკვეთილია მნიშვნელოვანი პოტენციალი – უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტები, კულტურული მრავალფეროვნება და პოსტპანდემიური პერიოდში გაზრდილი მოთხოვნა ეკოტურიზმს, სამთო სათავგადასავლო მოგზაურობაზე.

მიღწეული შედეგები მიუთითებს, რომ მდგრადი განვითარების მიმართულებით აუცილებელია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის კოორდინირებული თანამშრომლობა, განათლებისა და გადამზადების სისტემის გაძლიერება, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მიზნობრივი განაწილება და საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირება. მხოლოდ ამგვარი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს მთის ტურიზმის სფეროს გარდაქმნას მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ რესურსად, რომელიც არა მხოლოდ გააძლიერებს ადგილობრივ თემებს, არამედ ხელს შეუწყობს საქართველოს ტურისტული იმიჯის გრძელვადიან განვითარებას საერთაშორისო დონეზე.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ECONOMIC POLICY OF WASTE MANAGEMENT AND UTILIZATION IN GEORGIA

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 17, 2025
Published: December 10, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-95

Nika Tsotsoria
PhD Student at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: https://orcid.org/0009-0004-6254-9864
Email: nika.tsotsoria4371@eab.tsu.edu.ge

ABSTRACT

Research Objective: *The primary objective of this research is to examine the economic policy of waste management and utilization in Georgia and to evaluate its impact on sustainable economic development and environmental protection. The study seeks to analyze the role of waste management as an economic instrument, assess the effectiveness of existing policy measures, and identify the potential of waste utilization in supporting resource efficiency, innovation, and long-term economic growth. Particular attention is given to the alignment of Georgia's waste management policy with international standards and circular economy principles.*

Methodological Approach: *The research is based on a mixed-methods approach combining qualitative and quantitative analysis. The study utilizes official statistical data from national authorities, legislative and strategic policy documents, and analytical reports published by international organizations. Methods such as comparative analysis, trend analysis, and descriptive economic assessment are applied to evaluate current waste management practices, economic instruments, and institutional arrangements. This methodological framework enables a comprehensive assessment of challenges, policy effectiveness, and future development prospects in the waste management sector of Georgia.*

Main Results and Implications: *The main results of the study indicate that the waste management policy in Georgia generates both environmental and economic benefits. The efficient use of waste contributes to resource conservation, the development of innovative projects, employment growth, and the strengthening of the regional economy. The conclusions and proposed recommendations of the study can be applied to policy development, attracting investments, and improving practical waste management programs.*

Key words*: Waste management, economic policy, circular economy, Georgia, sustainable development.*

REFERENCES:

1. Pavliashvili, S. (2023). Waste Management and Extended Producer Responsibility in Georgia. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. https://www.mepa.gov.ge/En/News/Details/21302
2. Pavliashvili, S. (2024). Symposium: Waste Management and Circular Economy. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. Retrieved from: https://www.mepa.gov.ge/Ge/News/Details/22903
3. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia (MEPA). (2024). A New Project aimed at Waste Management in Georgia. https://mepa.gov.ge/En/News/Details/21654
4. Ellen MacArthur Foundation. (2021). Circular economy in waste management.
5. https://ellenmacarthurfoundation.org/topics/circular-economy-introduction/overview
6. European Environment Agency. (2020). Circular economy and waste management in Europe. https://www.eea.europa.eu/themes/waste

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

7. Formal and informal solid waste management in Kutaisi. (2022). PubMed. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/36416082

8. Georgian Ministry of Environmental Protection. (2022). Waste management system in Georgia. https://waste.mepa.gov.ge/Methodology/Index

9. Georgian National Statistics Office. (2022). Municipal waste generated per capita in Georgia. https://www.ceicdata.com/en/georgia/environmental-waste-management-non-oecd-member-annual/municipal-waste-generated-kg-per-capita

10. OECD. (2020). Municipal waste management indicators. Organisation for Economic Co-operation and Development. https://www.oecd.org/environment/waste/

11. World Bank. (2021). Solid waste management in Georgia: Challenges and opportunities. https://www.worldbank.org/en/country/georgia

12. Tskhakaia, K. (2024). Biodegradable waste management in Georgia: Opportunities and challenges. Environmental and Climate Technologies, 28(1), 556–565. https://sciendo.com/de/article/10.2478/rtuect-2024-0043

13. Lomia, T. (2020). The economic policy of waste management in Georgia. Ecoforum Journal, 9(1). https://ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1955

14. Akaki Tsereteli State University. (2025). Waste Management Challenges and Opportunities in Tourist Destinations of Imereti. Georgian Scientists Journal. https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/3897

15. Dvalishvili, N. (n.d.). Impact of incineration of municipal solid waste on climate change in Georgia. Walsh Medical Media. https://www.walshmedicalmedia.com/proceedings/impact-of-incineration-ofmunicipal-solid-waste-on-climate-change-in-georgia-38662.html

16. Buachidze, N., Dzebisashvili, N., Gurguliani, I., & Chikviladze, K. (2023). Circular economy of Georgia. In Circular Economy: Recent Trends in Global Perspective (pp. xx–xx). IDEAS RePEc. https://ideas.repec.org/h/spr/sprchp/978-981-16-0913-8_12.html

17. REC Caucasus. (2022). Support to Waste Management and Development of Circular Economy in Georgia. https://rec-caucasus.org/project/support-to-waste-management-and-development-of-circular-economy-in-georgia/

18. Khatiwada, D., et al. (2021). Circularity in the management of municipal solid waste – A systematic review. Environmental and Climate Technologies, 25(1), 491–507. https://sciendo.com/article/10.2478/rtuect-2021-0036

19. OECD. (2019). Waste management and the circular economy in selected OECD countries: Evidence from environmental performance reviews. OECD Publishing. https://www.oecd.org/industry/waste-management-and-the-circular-economy-in-selected-oecd-countries-9789264309395-en.htm

20. European Commission. (2020). Circular economy action plan. https://environment.ec.europa.eu/topics/circular-economy/circular-economy-action-plan_en

21. World Bank. (2020). Georgia: Municipal waste management modernization. https://projects.worldbank.org/en/projects-operations/project-detail/P160215

22. European Investment Bank. (2021). Financing waste management projects in Eastern Europe and Caucasus. https://www.eib.org/en/projects/sectors/environment/waste-management/index.htm

23. UNDP. (2022). Municipal waste management in Georgia. https://www.undp.org/georgia/publications/municipal-waste-management

24. REC Georgia. (2025). Waste management in Georgia: Guidelines and best practices. https://recp.ge/ge/waste-management.htm

25. Ellen MacArthur Foundation. (2022). Circular economy in practice: Case studies https://ellenmacarthurfoundation.org/case-studies

26. Gurguliani, I. (2025). Waste management and circular economy issues in Georgia. United Nations Economic Commission for Europe. Retrieved from https://unece.org/sites/default/files/2021-11/5_2_ENG_waste%20policy-georgia.pdf

27. Dvalishvili, N., & Kobalia, M. (2021). Waste management policies in Georgia: Analysis and future perspectives. Journal of Environmental Policy and Planning, 23(3), 345–362.

28. Matsne.gov.ge. (2025). Georgia – Waste Management Code. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416

29. National Statistics Office of Georgia (Geostat). Environmental Statistics https://www.geostat.ge/en/modules/categories/73/environment-statistics

30. European Environment Agency. (2021). Waste management in Europe – Trends and indicators. https://www.eea.europa.eu/themes/waste

31. Khutsishvili, T., & Lomidze, N. (2022). Circular economy and resource efficiency in Georgian municipalities. Georgian Economic Review, 14(2), 101–118.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნარჩენების დამუშავებისა და გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

ნიკა წოწორია
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: nika.tsotsoria4371@eab.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვისა და გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლა და მისი გავლენის შეფასება მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვაზე. კვლევა მიზნად ისახავს ნარჩენების მართვის, როგორც ეკონომიკური ინსტრუმენტის, როლის ანალიზს, არსებული პოლიტიკის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას და ნარჩენების გამოყენების პოტენციალის გამოვლენას რესურსების ეფექტიანი გამოყენების, ინოვაციების და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ნარჩენების მართვის პოლიტიკის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან და წრიული ეკონომიკის პრინციპებთან.*

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზს. ნაშრომში გამოყენებულია ეროვნული ორგანოების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, საკანონმდებლო და სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური ანგარიშები. ნარჩენების მართვის არსებული პრაქტიკის, ეკონომიკური ინსტრუმენტებისა და ინსტიტუციური მოწყობის შეფასების მიზნით გამოყენებულია შედარებითი ანალიზის, ტენდენციური ანალიზისა და აღწერითი ეკონომიკური შეფასების მეთოდები. აღნიშნული მეთოდოლოგიური ჩარჩო უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გამოწვევების, პოლიტიკის ეფექტიანობისა და განვითარების სამომავლო პერსპექტივების ყოვლისმომცველ შეფასებას საქართველოში.*

ძირითადი შედეგები და გამოყენება: *კვლევის ძირითადი შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკა ქმნის როგორც გარემოსდაცვით, ისე ეკონომიკურ სარგებელს. ნარჩენების ეფექტიანი გამოყენება ხელს უწყობს რესურსების დაზოგვას, ინოვაციური პროექტების განვითარებას, დასაქმების ზრდას და რეგიონული ეკონომიკის გაძლიერებას. კვლევის დასკვნები და შემოთავაზებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკის შემუშავების, ინვესტიციების მოზიდვისა და პრაქტიკული ნარჩენების მართვის პროგრამების გაუმჯობესებისთვის.*

საკვანძო სიტყვები: *ნარჩენების მართვა, ეკონომიკური პოლიტიკა, წრიული ეკონომიკა, საქართველო, მდგრადი განვითარება.*

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პირობებში ნარჩენების მართვისა და გამოყენების საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა როგორც გარემოსდაცვითი, ისე ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში. მოსახლეობის ზრდამ, ურბანიზაციის პროცესების დაჩქარებამ, წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურის ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ნარჩენების მოცულობა, რაც სერიოზულ გამოწვევებს უქმნის სახელმწიფოებს. ამავდროულად, ნარჩენები სულ უფრო მეტად განიხილება არა მხოლოდ გარემოსთვის საზიანო ფაქტორად, არამედ როგორც ეკონომიკური რესურსი, რომლის ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების მართვის ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება იმ მიდგომას, რომლის მიხედვითაც რესურსების შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია მათი რაციონალური გამოყენება და მეორადი რესურსების მაქსიმალური ჩართვა ეკონომიკურ ციკლში. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

აქტუალურია წრიული ეკონომიკის კონცეფციის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ნარჩენების შემცირებას, გადამუშავებას, ხელახალ გამოყენებას და ენერგიის მიღებას ნარჩენებისგან. ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს გარემოზე ზეწოლის შემცირებას, ბუნებრივი რესურსების დაზოგვას და ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას უფრო მდგრადი განვითარების მიმართულებით.

საქართველოსთვის ნარჩენების მართვისა და გამოყენების ეკონომიკური პოლიტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ბოლო წლებში, რაც განპირობებულია როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებით, ისე საერთაშორისო ვალდებულებებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ქვეყანამ აიღო ვალდებულება, დაახლოვდეს ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან, მათ შორის ნარჩენების მართვის სფეროში. ამ პროცესმა მნიშვნელოვნად დააჩქარა საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები, თუმცა პრაქტიკაში კვლავ რჩება მრავალი გამოწვევა, რომელიც დაკავშირებულია ინფრასტრუქტურის ნაკლებობასთან, ფინანსურ შეზღუდვებთან და საზოგადოების დაბალ ჩართულობასთან.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ნარჩენების მართვა და გამოყენება საქართველოში ქმნის როგორც პრობლემებს, ისე შესაძლებლობებს. ერთი მხრივ, არასათანადო მართვა იწვევს გარემოს დაბინძურებას, ჯანმრთელობის რისკებს და ეკონომიკურ დანაკარგებს. მეორე მხრივ, ნარჩენების გადამუშავებისა და გამოყენების განვითარება ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ინვესტიციების მოზიდვას, ინოვაციების განვითარებას და რეგიონული ეკონომიკის გაძლიერებას. შესაბამისად, ნარჩენების მართვა სულ უფრო მეტად განიხილება როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

სტატია სტრუქტურულად მოიცავს ნარჩენების მართვის ეკონომიკური თეორიის განხილვას, საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემის ანალიზს, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შეფასებას, ეკონომიკური ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის მექანიზმების განხილვას, ასევე ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ დონეზე, ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების მართვის ეკონომიკური თეორია

ნარჩენების მართვის ეკონომიკური მიდგომა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ნარჩენები არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი პრობლემა, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსია. თანამედროვე ეკონომიკაში ნარჩენების მართვის პოლიტიკა დაკავშირებულია როგორც რესურსების ეფექტიანი გამოყენების, ასევე გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნებთან. ეკონომიკური თვალსაზრისით, ნარჩენები შეიძლება განიხილებოდეს როგორც მეორადი რესურსები, რომლის გადაამუშავება და რეინტეგრაცია წარმოების ან ენერგიის აღდგენის პროცესში ქმნის დამატებით ეკონომიკურ სარგებელს (Georgian Ministry of Environmental Protection, 2022).

წრიული ეკონომიკის კონცეფცია წარმოადგენს მნიშვნელოვან თეორიულ საფუძვლს ნარჩენების მართვის პოლიტიკისთვის. ამ კონცეფციის მიხედვით, რესურსები მაქსიმალურად გამოიყენება, ნარჩენები გადამუშავდება ან ისევ გამოიყენება ეკონომიკურ ციკლში, რაც ხელს უწყობს წარმოების და მოხმარების პროცესების მდგრადი მოდელების განვითარებას. წრიული ეკონომიკა ამტკიცებს, რომ ნარჩენების ეფექტიანი მართვა ხელს უწყობს არა მხოლოდ გარემოს დაცვას, არამედ ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ხელშეწყობას, ინოვაციების განვითარებას და ენერგეტიკული ეფექტიანობის გაუმჯობესებას (Ellen MacArthur Foundation, 2021).

ეკონომიკური თვალსაზრისით ნარჩენების მართვა მოიცავს რამდენიმე ძირითად კომპონენტს:

1. **საზოგადოებრივი ხარჯების და სარგებლის შეფასება** – ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება კოორდინირებული ფინანსური და სოციალური პოლიტიკით (OECD, 2020).
2. **ეკონომიკური ინსტრუმენტები** – ლანდფილების გადასახადები, მწარმოებელთა გაფართოებული პასუხისმგებლობა, სუბსიდიები გადამუშავების და ნარჩენების გამოყენების პროექტებისთვის (World Bank, 2021).
3. **მოთხოვნა და მიწოდების მოდელები** – ნარჩენების მართვა და მისი გამოყენება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი ბიზნესებისთვის და მოქალაქეებისთვის, რათა ჩართულობა გაიზარდოს (European Environment Agency, 2020).

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ნარჩენების მართვის პოლიტიკა

კარგად არის განვითარებული, არა მხოლოდ შემცირდა გარემოსდაცვითი საფრთხეები, არამედ განვითარდა ახალი ეკონომიკური სექტორები და გაიზარდა დასაქმება. ამიტომ ნარჩენების მართვა საქართველოში უნდა იქნეს განიხილებული როგორც მრავალმხრივი ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს გარემოს დაცვის, სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებს (Georgian National Statistics Office, 2022).

ციკლური ეკონომიკის მოდელის მიხედვით, ნარჩენები აღარ არის მხოლოდ სარეზერვო მასალა, არამედ რესურსი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ენერგიის მიღებასა თუ ახალი პროდუქტების წარმოებაში (Buachidze et al., 2023; All Noman et al., 2022). მაგალითად, ევროკავშირში სხვადასხვა მუნიციპალიტეტი უკვე წარმატებით იყენებს ბიოლოგიურ ნარჩენებს სასოფლო-სამეურნეო სასუქისა და ბიოენერგიის წარმოებაში (European Commission, 2020; Ellen MacArthur Foundation, 2022). ეფექტური PPP მოდელები საშუალებას აძლევს ადგილობრივ ხელისუფლებას მიიღოს ინოვაციური გადაწყვეტილებები ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, ხოლო ბიზნესს – ჩაერთოს ცირკულარული ეკონომიკის პროცესებში, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ქვეყანაში. (Pavliashvili S., 2024).

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო გამოცდილება არ უნდა განვიხილოთ როგორც პირდაპირი მოდელი – აუცილებელია მისი შეფასება ადგილობრივ პირობებთან შესაბამისობაში. საქართველოს შემთხვევაში საჭიროა:

1. კანონის აღსრულების გაძლიერება;
2. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
3. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და ჩართვა.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ნარჩენების გადამუშავების წილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყანაში, რაც უმეტესად დამოკიდებულია საკანონმდებლო ბაზაზე, ტექნოლოგიურ განვითარებაზე და საზოგადოების ჩართულობაზე. ევროპაში ნარჩენების გადამუშავების საშუალო მაჩვენებელი 50–70% ფარგლებშია, რაც მკაფიოდ უსვამს ხაზს ციკლური ეკონომიკის მნიშვნელობას (European Environment Agency, 2020; OECD, 2019).

ცხრილი 1 აჩვენებს, რომ ევროპულ ქვეყნებში ნარჩენების გადამუშავების მაჩვენებელი მაღალია, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ძალიან დაბალია . ეს გვაძლევს დასკვნას, რომ საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ხაზს უსვამს **ციკლური ეკონომიკის დანერგვის აუცილებლობას**, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ტექნოლოგიური მიდგომების შემოღებას.

ნარჩენების მართვის პროცესში არსებული პრობლემები და განვითარების გზები საქართველოში

საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემა დღეს დგას მრავალი სერიოზული გამოწვევის

ცხრილი 1. ნარჩენების გადამუშავების წილი საერთაშორისო პრაქტიკაში (2023–2025)

ქვეყანა	ნარჩენების გადამუშავების წილი (%)	ძირითადი ინიციატივები
გერმანია	67 %	ბიოლოგიური ნარჩენების გადამუშავება ენერგიაში, პლასტიკის გამეორებული გამოყენება
ნიდერლანდები	52 %	ციკლური ეკონომიკა მუნიციპალურ დონეზე, ინოვაციური ბიზნეს-პროექტები
შვედეთი	50 %	ენერგეტიკული გადამუშავება, ნარჩენების მინიმიზაცია
საქართველო	15 %	ძირითადად ნაგავსაყრელზე, ლოკალური გადამუშავების პროექტები
რუმინეთი	12 %	ნაგავსაყრელზე განთავსება, შეზღუდული გადამუშავების ინფრასტრუქტურა
ალბანეთი	10%	ნარჩენების შეგროვების ბიუჯეტური პროექტები, დაბალი გადამუშავება
კვიპროსი	8%	ნაგავსაყრელზე ძირითადად, ძალიან დაბალი გადამუშავება

***წყარო:EEA (European Environment Agency, 2023)**

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

წინაშე, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოზე, ეკონომიკასა და სოციალურ მდგომარეობაზე. ბოლო წლებში ნარჩენების რაოდენობა მუდმივად იზრდება. 2023 წელს მხოლოდ მუნიციპალიტეტებში ნაგავსაყრელებში მოხვედრილი ნარჩენების მოცულობამ მიაღწია დაახლოებით 1 116 600 ათას ტონას, რაც 2022 წელთან შედარებით 7 პროცენტით მეტია. ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების საშუალო რაოდენობა დაახლოებით 302 კილოგრამია. ამ ზრდის ტემპი აჩენს საჭიროებას ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურად და მდგრადად განვითარებისთვის (Georgian National Statistics Office, 2023).

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მომსახურება ქვეყანაში შეეხო მხოლოდ 89 პროცენტს მოსახლეობისა, თუმცა ქალაქებში დაფარვა უფრო მაღალია (97%), სოფლებში კი მხოლოდ 64 პროცენტი. ეს ცხადყოფს რეგიონებს შორის არსებულ ინფრასტრუქტურულ უთანაბრობას და კიდევ უფრო ამძაფრებს ნარჩენების მართვის პრობლემებს. რეალურად, მცირე ზომის ქალაქები და სოფლის ტერიტორები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ სისტემურ ნარჩენების გადამუშავების პროცესს, რაც იწვევს ნაგავსაყრელებზე გადატვირთვას (REC Caucasus, 2022).

მთავარი პრობლემა ინფრასტრუქტურაში მდგომარეობს — ქვეყანაში თითქმის არ არსებობს მრავალმომხმარებლური გადამუშავების საწარმოები. არსებული ობიექტები ძირითადად მცირე პილოტური პროექტებია და ძირითადად ნარჩენების მექანიკური გადამუშავების საწყის ფორმებს მოიცავს. მაგალითად, ქუთაისში დამონტაჟებული სმარტ კონტეინერები საშუალებას აძლევს მოქალაქეებს პლასტიკს, ქაღალდსა და მყარი ნარჩენებს დახარისხებულად ჩააბარონ, თუმცა ეს მხოლოდ მცირე მასშტაბია ქვეყნის მასშტაბით (Formal and informal solid waste management in Kutaisi, 2022).

ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა, ნარჩენების მართვის კოდექსი, საკმაოდ სრულყოფილია 2016–2030 წლის სტრატეგიული გეგმით, რომელიც მოიცავს ნარჩენების სეპარაციის, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის და ციკლური ეკონომიკის პრინციპების დანერგვას (Matsne.gov.ge, 2025).

როგორც ცხრილი „2“ აჩვენებს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნარჩენების წარმოქმნის ტენდენცია მუდმივად მატულობს. განსაკუთრებით 2022–2023 წლებში დაფიქსირდა უფრო მკვეთრი ზრდა, რაც ნაწილობრივ განპირობებულია ურბანული მოსახლეობის ზრდით და სერვისების გაფართოებით.

ცხრილი 2: საქართველოს მუნიციპალიტეტებში წარმოებული ნარჩენების რაოდენობა 2019–2023 წლებში (ათასი ტონა)

წელი	წარმოებული ნარჩენები (ათასი ტონა)
2019	**950**
2020	**980**
2021	**1020**
2022	**1040**
2023	**1116**

წყარო: Georgian National Statistics Office (2023)

ინფრასტრუქტურული უკმარისობა, დაბალი საზოგადოებრივი ჩართულობა, სამართლებრივი შეზღუდვები და ტექნოლოგიური დეფიციტები წარმოადგენენ გამოწვევებს, მაგრამ არსებობს განვითარების პერსპექტივები, საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა და ინოვაციური მიდგომები, რაც საშუალებას აძლევს სისტემას განვითარდეს მდგრად და ეფექტიან მიმართულებაში (Khutsishvili & Lomidze, 2022).

ქვეყანაში ნარჩენების მართვის სტრატეგია და ეროვნული გეგმა გაერთიანებულია პრევენციის, ხელმეორედ გამოყენების და რეციკლირების პრინციპებზე, რაც არის საბაზო საფუძველი მდგრადი და გრძელვადიანი გარემოსდაცვითი პოლიტიკისთვის. ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს არა მხოლოდ შემცირდეს ნარჩენების რაოდენობა, არამედ ოპტიმიზირდეს მათი ჩაშვება ეკონომიკურ ციკლებში, შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყოს ცირკულარული ეკონომიკის ეფექტურ განვითარებას. სტრატეგია მოიცავს როგორც ადგილობრივი ნაგავსაყრელების დახურვის, ისე თანამედროვე რეგიონის ობიექტების მშენებლობის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს ნარჩენების მართვას როგორც გარემოსდაცვითად, ასევე ეკონომიკურად გამართული და მდგრადი სისტემის შექმნის კუთხით (Pavliashvili. S, 2024).

სტრატეგიული რეკომენდაციები საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის

საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემა ამჟამად დგას ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი და სოციალურ გამოწვევებთან პირისპირ. არსებული სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს,

რომ ნარჩენების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება, რაც საჭიროებს სისტემური და ხანგრძლივი პოლიტიკის შემუშავებას. ამიტომ აუცილებელია ნარჩენების მართვის სფეროში სტრატეგიული რეკომენდაციების წარმოდგენა, რომელიც მოიცავს როგორც ტექნიკურ, ისე ორგანიზაციულ და სოციალურ მექანიზმებს.

პირველი მნიშვნელოვანი მიმართულება არის **ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის სრულმასშტაბიანი დანერგვა**. სახელმწიფოს უნდა განუვითაროს სტანდარტები ნარჩენების დახარისხებისთვის ყველა მუნიციპალიტეტში, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. სეპარირებული შეგროვება ხელს შეუწყობს ნარჩენების ეფექტიან გადამუშავებას, რესურსების დაზოგვასა და გარემოს დაცვას (საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, 2022).

მეორე, აუცილებელია **გადამუშავების ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაცია**. ეს მოიცავს კომპოსტირების ცენტრების, ელექტრონული ნარჩენების მართვის ობიექტებისა და მაღალი ტექნოლოგიების დანერგვას. კერძო სექტორის ჩართულობა ამ პროცესში აუცილებელია, რადგან საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საჯარო–კერძო პარტნიორობა ზრდის ინოვაციების და ფინანსური მდგრადობის შესაძლებლობას (მსოფლიო ბანკი, 2021).

მესამე მიმართულება არის **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება**. მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიები, სკოლებში და უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ასწავლის ნარჩენების დახარისხების მნიშვნელობას, მეორადი გამოყენების საჭიროებასა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას (გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, 2024).

მეოთხე, რეკომენდებულია **ციკლური ეკონომიკის პრინციპების დანერგვა**. ნარჩენების რესურსებად გარდაქმნა, მეორადი პროდუქციის წარმოება და ენერგეტიკული გადამუშავება არა მხოლოდ შეამცირებს ნაგავსაყრელებზე დატვირთვას, არამედ შექმნის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებს. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ციკლური ეკონომიკის პრინციპების გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურობას (Ellen MacArthur Foundation, 2021).

საქართველოს ნარჩენების მართვის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს **სტაბილურ სამართლებრივ ჩარჩოს, ინფრასტრუქტურულ განვითარებას და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებას**. სტრატეგიის წარმატებისთვის აუცილებელია მდგრადი ფინანსური და ტექნოლოგიური მხარდაჭერა, ინოვაციური მიდგომების დანერგვა და მოსახლეობის მაღალი ჩართულობა.

ცხრილი 3: ნარჩენების შეგროვების პროგნოზი საქართველოში 2026–2030 წლებში (%)

წელი	ნარჩენების შეგროვების პროცენტული დაფარვა (%)
2026	**52**
2027	**58**
2028	**64**
2029	**70**
2030	**78**

წყარო: ავტორის გაანგარიშება საქართველოს არსებული მონაცემებისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023; მსოფლიო ბანკი, 2021)

გრაფიკი აჩვენებს ნარჩენების შეგროვების მზარდ ტენდენციას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. პროგნოზი ეფუძნება არსებულ ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს, ასევე საერთაშორისო გამოცდილებას. 2026 წელს სეპარირებული შეგროვება საშუალოდ 52 პროცენტია, ხოლო 2030 წლისთვის პროგნოზირებულია ზრდა 78 პროცენტამდე. ეს ზრდა უზრუნველყოფს ნარჩენების ეფექტიან გადამუშავებას, რესურსების დაზოგვას და გარემოს დაცვას.

დასკვნა

საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ქვეყნის გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ნარჩენების წარმოება ქვეყანაში მუდმივად იზრდება, ხოლო არსებული ინფრასტრუქტურა და სამართლებრივი ჩარჩო ვერ პასუხობს ამ ზრდას ეფექტურად. ნარჩენების მართვის პრობლემა მხოლოდ გარემოსდაცვითი საკითხი არაა; ის პირდაპირ კავშირშია რესურსების სწორად გამოყენებასთან, ენერგეტიკულ დაზოგვასთან, ეკონომიკურ განვითარებასთან და მოსახლეობის ჯანმრთელობასთან.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საქართველოსთვის აუცილებელია სისტემური მიდგომა ნარჩენების მართვის პროცესში. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის მასშტაბური დანერგვა. ეს საშუალებას მისცემს მოქალაქეებს აქტიურად ჩაერთონ პროცესში და გაზარდოს ნარჩენების ხარისხიანი გადამუშავება. საზოგადოების მაღალი ჩართულობა და განათლება არის სტრატეგიული ფაქტორი, რადგან მხოლოდ ინფორმირებული მოსახლეობა შეძლებს ნარჩენების სწორად დახარისხებას, რაც პირდაპირ აისახება გარემოს დაცვაზე და ეკონომიკურ სარგებელზე.

ნარჩენების გადამუშავების ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. სახელმწიფოს და კერძო სექტორის თანამშრომლობა აუცილებელია ახალი საწარმოებისა და ტექნოლოგიების დანერგვისთვის. ავტორის მოსაზრებით, მხოლოდ თანამედროვე ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ნარჩენების ეფექტიან გადამუშავებას, ენერგეტიკულ გამოყენებასა და რესურსების დაზოგვას. ეს ასევე ზრდის ადგილობრივი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას, ქმნის სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს ინოვაციური ბიზნეს-მოდელების დანერგვას.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნაა, რომ ციკლური ეკონომიკის პრინციპების დანერგვა ნარჩენების მართვის სისტემას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. ნარჩენების რესურსებად გარდაქმნა, მეორადი პროდუქციის წარმოება და ენერგეტიკული გადამუშავება არამხოლოდ შეამცირებს ნაგავსაყრელებზე დატვირთვას, არამედ შექმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ავტორის პოზიციით, ეს მიდგომა უნდა გახდეს საქართველოს ნარჩენების მართვის პოლიტიკის ცენტრალური ნაწილი, რათა ნარჩენების მართვა აღარ იყოს მხოლოდ ადმინისტრაციული მოვალეობა, არამედ იქცეს მდგრადი განვითარების ინსტრუმენტად.

მნიშვნელოვანია, რომ ნარჩენების მართვის სისტემა იყოს მონიტორინგირებული, მონაცემებზე დაფუძნებული და პროგნოზირებადი. ნარჩენების რაოდენობის, ტიპისა და გავრცელების რეგულარული ანალიზი საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემქმნელებს დროულად გამოავლინონ პრობლემური სფეროები, განსაზღვრონ პრიორიტეტები და მოახდინონ რესურსების ეფექტიანი განაწილება. ავტორის მოსაზრებით, მონაცემთა აკურატული შეგროვება და ანალიზი არის საკვანძო ინსტრუმენტი მდგრადი სისტემის შექმნისთვის, რომელიც ითვალისწინებს როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს.

კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემას აქვს მნიშვნელოვანი განვითარების პოტენციალი, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური კუთხით. ინფრასტრუქტურული, ტექნოლოგიური და სამართლებრივი სიძლიერე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის სისტემის მდგრად განვითარებას. ავტორის მოსაზრებით, საქართველო აქვს რეალური შესაძლებლობა ნარჩენების მართვის სისტემის გარდაქმნის, რაც არა მხოლოდ გარემოსდაცვით სარგებელს მისცემს, არამედ ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელსაც მოიტანს.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ნარჩენების მართვის სფერო უნდა იყოს პოლიტიკის, ინვესტიციების, ინოვაციებისა და საზოგადოების ერთიან პროექტად. ასეთი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას, ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას, გარემოს დაცვას და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ნარჩენების მართვა აღარ უნდა იყოს მხოლოდ პრობლემის მართვა, არამედ უნდა იქცეს ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიულ ინსტრუმენტად, რაც საქართველო უკეთეს მომავლისკენ მიიყვანს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REGIONAL PROBLEMS OF AGRICULTURAL DEVELOPMENT AND ECONOMIC POLICY MEASURES FOR THEIR RESOLUTION

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 11, 2025
Published: December 01, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-103

Ani Otarashvili
PhD Student at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID: https://orcid.org/0009-0008-9212-409X
Email: ani.otarashvili@tsu.ge

ABSTRACT

Research Objective: *The objective of this study is to identify the key regional challenges affecting agricultural development and to analyze economic policy measures aimed at overcoming these constraints. The research focuses on structural, institutional, and financial barriers that limit productivity, competitiveness, and sustainable growth in the agricultural sector across different regions.*

Methodological Approach: *The study employs a qualitative and quantitative research approach, combining comparative regional analysis, review of policy documents, and analysis of statistical data related to agricultural production, investment, and rural development. General scientific methods such as analysis, synthesis, and induction are applied to assess the effectiveness of existing economic policies.*

Main Results and Implications: *The findings indicate that uneven regional development, limited access to finance, inadequate infrastructure, and low adoption of modern technologies remain the primary obstacles to agricultural growth. The study demonstrates that targeted economic policies, including regional investment incentives, support for small and medium-sized farms, and improved access to innovation and markets, can significantly enhance agricultural performance and reduce regional disparities. The results may be useful for policymakers, researchers, and stakeholders involved in agricultural and regional development planning.*

Key Words: *Agricultural development, regional disparities, economic policy, rural development, investment incentives*

REFERENCES

1. Gvelesiani, R. (2012). Economic Policy of Agricultural Sector Development. Proceedings of the I International Scientific-Practical Conference "Priorities of Sustainable Agricultural Development".

2. Gvelesiani, R. (2012). Economic Policy. Tbilisi: Universali Publishing House.

3. Kharaishvili, E. (2011). Problems of Competition and Competitiveness in Georgia's Agri-Food Sector. Tbilisi: Universali Publishing House.

4. Erkomaishvili, G. (2010). Economic Policy Determining National Competitiveness. Collection of Scientific Papers. Tbilisi.

5. Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., & Zoidze, G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10(2), 22-32.

6. Veshapidze, S., Kereselidze, L., & Tsirdava, N. (2024). Decarbonization of energy and challenges of sustainable development of Georgia.

7. Hasidi, J. (2017). Introduction to Entrepreneurship, Parts I–II (Theoretical Foundations).

8. Koguashvili, P., Zibzibadze, G. (2010). Agricultural Economics. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

9. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2023). Annual Report. https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=1&pageSize=9

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

10. Archvadze, I., Mekvabishvili, E. (2010). Current State of Agriculture in Georgia and Development Prospects. "Economics and Business", No. 6.

11. Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027: Action Plan for 2024–2027.

12. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2019). Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021–2027. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395

13. Report on Results Achieved by Extended Producer Responsibility Organizations. (2023).

14. Monitoring Report on the Implementation of the 2023 Action Plan of the Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027.

15. Monitoring Report on the Implementation of the 2022 Action Plan of the Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027. https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=2&pageSize=9

16. Monitoring Report on the Implementation of the 2021 Action Plan of the Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027. https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=2&pageSize=9

17. Monitoring Report on the Implementation of the 2020 Action Plan of the Agricultural Development Strategy 2015–2020. https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=3&pageSize=9

18. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2021). Small and Medium Enterprise Development Strategy of Georgia 2021–2025. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf

19. Georgia's Innovation and Technology Agency. (2021). https://grants.gov.ge (Last accessed: 22.12.2021)

20. Faltin, G. (2015). The Mind Beats Capital: A Completely Different Way of Starting Entrepreneurship. Entrepreneurship for Everyone: Smart, Economical, Simple. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi.

21. Monitoring Report on the Implementation of the Rural Development Strategy 2017–2020 Action Plan (2020). https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=4&pageSize=9

22. Hasidi, J., Komselsi, A., Papaliou, I., Psilaki, M., Gvelesiani, R., Mekvabishvili, E., Gagnidze, I., Lekashvili, E., Natsvaladze, M. (2011). Theoretical Foundations of Entrepreneurship (Supplementary Textbook), Part III. Tbilisi State University Press. Tbilisi.

23. Hamilton, A. (1791, December 5). Report on the Subject of Manufactures.: https://founders.archives.gov/documents/Hamilton/01-10-02-0001-0007

24. Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021–2027. https://eu4georgia.eu/wp-content/uploads/Agriculture-and-Rural-Development-Strategy-of-Georgia-2021%E2%80%932027.pdf

25. Regional Development Programme of Georgia 2018–2021. https://www.mrdi.gov.ge/files/1/2018_2021_regional_development_programme_of_georgia_unofficial_translation.pdf

26. Regional Problems of Accelerating Economic Development Rates in the Context of Globalization (Georgian Case Study). https://www.researchgate.net/publication/315646492

27. Georgia's Agricultural Sector: Analyzing Indicators and Challenges. https://gnomonwise.org/en/publications/review/119

28. Problems of Youth Employment in the Agricultural Sector of Georgia and Causes of Migration. https://www.researchgate.net/publication/321747012

29. Government of Georgia. (2021). Program for 2021–2024: Towards Building a European State. https://www.gov.ge/files/41_79014_435561_gov-program.PDF

30. Soken-Huberty, E. (2019). 10 Reasons Why Agriculture Is Important. https://theimportantsite.com/10-reasons-why-agriculture-is-important/

31. Luoni, S. Food Hubs and Rebuilding the Missing Middle Market Structure in Agriculture: The Social Role in Supply Chain Development. https://www.usda.gov/media/blog/2011/11/14/reflection-state-agriculture-and-future

32. Lehner, P. H., Rosenberg, N. A. Farming for Our Future: The Science, Law, and Policy of Climate-Neutral Agriculture. https://www.eli.org/eli-press-books/farming-our-future-science-law-and-policy-climate-neutral-agriculture.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული პრობლემები და მისი დაძლევის ეკონომიკური პოლიტიკა

ანი ოთარაშვილი
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: ani.otarashvili@tsu.ge

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *კვლევის მიზანია აგრარული სფეროს განვითარების წინაშე არსებული ძირითადი რეგიონული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი დაძლევისათვის მიმართული ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების ანალიზი. კვლევა ფოკუსირებულია იმ სტრუქტურულ, ინსტიტუციურ და ფინანსურ ბარიერებზე, რომლებიც ზღუდავს აგრარული სექტორის პროდუქტიულობას, კონკურენტუნარიანობასა და მდგრად განვითარებას სხვადასხვა რეგიონში.*

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევაში გამოყენებულია ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის მიდგომების კომბინაცია, მათ შორის რეგიონთაშორისი შედარებითი ანალიზი, პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა და აგრარული წარმოების, ინვესტიციებისა და სოფლის განვითარების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებისთვის გამოყენებულია ზოგადსამეცნიერო მეთოდები: ანალიზი, სინთეზი და ინდუქცია.*

ძირითადი შედეგები და პრაქტიკული მნიშვნელობა: *კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რეგიონთაშორისი უთანასწორობა, ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიების დაბალი დანერგვის დონე აგრარული განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს. კვლევა ადასტურებს, რომ მიზნობრივი ეკონომიკური პოლიტიკა, მათ შორის რეგიონული საინვესტიციო წახალისება, მცირე და საშუალო მეურნეობების მხარდაჭერა და ინოვაციებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აგრარული სექტორის განვითარებას და რეგიონული დისბალანსის შემცირებას. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკის შემმუშავებლების, მკვლევრებისა და აგრარული და რეგიონული განვითარების პროცესში ჩართული მხარეების მიერ.*

საკვანძო სიტყვები: *აგრარული განვითარება, რეგიონული დისბალანსი, ეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის განვითარება, საინვესტიციო წახალისება.*

შესავალი

აგრარული სფერო ისტორიულად და ეკონომიკურად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაში, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის. იგი არა მხოლოდ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ძირითად წყაროს წარმოადგენს, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასაქმების, რეგიონული განვითარების, სოციალური სტაბილურობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აგრარული სექტორის ეფექტიანი განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდასთან, სიღარიბის შემცირებასთან და რეგიონთაშორისი უთანასწორობის დაძლევასთან.

თანამედროვე პირობებში აგრარული განვითარების პროცესები ხასიათდება მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებით, რაც განპირობებულია გლობალიზაციით, კლიმატის ცვლილებით, ტექნოლოგიური პროგრესითა და საერთაშორისო ბაზრების მზარდი კონკურენციით. აღნიშნული ფაქტორები განსაკუთრებულ გამოწვევებს უქმნის რეგიონებს, სადაც აგრარული წარმოება კვლავაც რჩება ეკონომიკური აქტივობის მთავარ წყაროდ. რეგიონულ დონეზე აგრარული განვითარების განსხვავებული ტემპები და შესაძლებლობები ქმნის ეკონომიკურ დისბალანსს, რაც ხშირად იწვევს მოსახლეობის მიგრაციას, სოფლის ტერიტორიის დაც-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლას და სოციალური პრობლემების გამწვავებას.

რეგიონული პრობლემები აგრარულ სფეროში მრავალმხრივ ხასიათს ატარებს და მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ და ინსტიტუციურ ასპექტებს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ტექნოლოგიების დაბალი დანერგვის დონე, მიწის რესურსების არაეფექტიანი გამოყენება და აგრარული განათლებისა და კონსულტაციის სისტემის სისუსტე. აღნიშნული პრობლემები მნიშვნელოვნად ზღუდავს აგრარული წარმოების პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე.

ამავე დროს, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს აგრარული სექტორის განვითარების მიმართულების განსაზღვრასა და რეგიონული პრობლემების დაძლევაში. ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებას, ადგილობრივი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და აგრარული მწარმოებლების სტიმულირებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები, საინვესტიციო წახალისების მექანიზმები, სუბსიდირების პოლიტიკა და აგრარული ინფრასტრუქტურის განვითარება, რომლებიც ხელს უწყობს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდას.

აღნიშნული თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული პრობლემების გადაუჭრელობა აფერხებს არა მხოლოდ სექტორის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. შესაბამისად, აუცილებელია არსებული გამოწვევების კომპლექსური ანალიზი და ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შეფასება, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფს აგრარული სექტორის მდგრად განვითარებასა და რეგიონთაშორისი დისბალანსის შემცირებას.

წინამდებარე სტატიის მიზანია აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული პრობლემების მეცნიერული ანალიზი და მათი დაძლევისათვის მიმართული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხილვა. კვლევა ემსახურება იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც განსაზღვრავს აგრარული განვითარების განსხვავებულ დონეს რეგიონებში, და იმ პოლიტიკის ღონისძიებების შეფასებას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტისთვის.

სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემები: სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება არა მხოლოდ საკვების წარმოებას, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას, დასაქმებასა და გარემოს დაცვას. ქვეყნის განვითარების დონე ხშირად აისახება აგრარული სექტორის განვითარებაში, მისი მოცულობაში, ეფექტურობაში და გლობალურ ბაზრებზე მონაწილეობაში.

გლობალური სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის წილი ეროვნული პროდუქტის ფორმირებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის. მაგალითად, **აშშ-ში**, რომელიც მიეკუთვნება განვითარებულ ქვეყნებს, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში დაახლოებით 1.0%-ს შეადგენს (USDA, 2023), თუმცა სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად ძლიერი სარგებლის მომცემი ინდუსტრიაა, რადგან ეს სექტორი უზრუნველყოფს ქვეყნის საკვები პროდუქტებით თვითმყოფადობას, ექსპორტს და ათასობით სამუშაო ადგილს. 2023 წლის მონაცემებით, აშშ-ში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი, მაშინ როცა ჯამური დასაქმების საერთო რაოდენობის დაახლოებით 1.2% შეადგენს.

საფრანგეთი წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს, სადაც სოფლის მეურნეობა არა მხოლოდ საკვების წარმოებას უზრუნველყოფს, არამედ ქვეყნის კულტურულ და რეგიონალურ იდენტობასაც განსაზღვრავს. საფრანგეთში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში დაახლოებით 1.5%-ს აღწევს, თუმცა სამუშაო ადგილების თვალსაზრისით სოფლის მეურნეობა ქვეყნის დასაქმებულთა 3.5%-ს უზრუნველყოფს. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მაღალი მოსავლიანობის მქონე ზონებში ძირითადად წარმოების სფეროა ხილი, ბოსტნეული და მარცვლეული, ხოლო სამხრეთში, სადაც კლიმატი უფრო მშრალია, მთავარი კულტურებია ღვინო და ზეთისხილი.

ჩინეთი წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებს, სადაც სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. ჩინეთში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 2023 წლის მონაცემებით დაახლოებით 7%-ს შეადგენს, თუმცა დასაქმების თვალსაზრისით ამ სექტორში მუშაობს 25 მილიონზე მეტი ადამიანი, რაც ქვეყნის დასაქმებულთა დაახლოებით 18%-ს წარმოადგენს (FAO, 2023). ჩინეთის მაგალითი აჩვენებს, რომ განვითარების მაღალი დონის ინდუსტრიული სექტორების მიუხედავად, სოფლის მეურნეობა

კვლავ მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ როლს თამაშობს. განსაკუთრებული ყურადღება აქეთ მიმართულია მარცვლეული კულტურების წარმოებაზე, განსაკუთრებით სიმინდზე და ბრინჯზე, რომელიც ქვეყნის საკვების უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანია.

საქართველო, როგორც პატარა ეკონომიკური და აგრარული ქვეყანა, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე. 2023 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში დაახლოებით 8%-ს შეადგენს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 40% ამ სექტორში მუშაობს (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023). ქვეყანაში წარმოება ფოკუსირებულია სხვადასხვა კულტურაზე: მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი, ღვინო და რძის პროდუქტები. შიდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის რეგიონები ყველაზე აქტიურ რეგიონებად ითვლებიან, როგორც წარმოების, ასევე ბაზრის განვითარების თვალსაზრისით.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები აჩვენებს აგროსექტორის ეფექტურობის სხვადასხვა მაჩვენებელს:

- **მშპ-ს წილი სოფლის მეურნეობაში**: აშშ 1%, საფრანგეთი 1.5%, ჩინეთი 7%, საქართველო 8%.
- **სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა პროცენტი**: აშშ 1.2%, საფრანგეთი 3.5%, ჩინეთი 18%, საქართველო 40%.
- **მნიშვნელოვანი კულტურები**: აშშ – მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი; საფრანგეთი – ხილი, ბოსტნეული, ღვინო; ჩინეთი – ბრინჯი, სიმინდი, ბოსტნეული; საქართველო – მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი, ღვინო, რძის პროდუქტები.

მსგავსი მონაცემები მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში. განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა ძირითადად მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის, ავტომატიზაციისა და ხარისხის მართვის საფუძველზე ფუნქციონირებს. მაგალითად, აშშ-ში ფერმები იყენებენ მაღალი ეფექტურობის სარწყავ სისტემებს, დროგონის მართვის ტექნოლოგიებს და მიწათმოქმედების მდგრადი პრაქტიკას. საფრანგეთში დიდი ყურადღება ეთმობა ორგანული წარმოების სტანდარტების დაცვას, რაც საშუალებას აძლევს ქვეყანას მაღალი ხარისხის პროდუქტი ექსპორტზე გავიდეს.

შემდეგ, განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო და ჩინეთი, პრობლემებს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, მოსავლიანობის არასტაბილურობა და კლიმატური რისკები. საქართველოში განსაკუთრებით პრობლემურია სარწყავი სისტემების არასაკმარისი განვითარების დონე, რაც ზამთრისა და ზაფხულის წვიმიანობის არათანაბარი განაწილების გამო ახდენს მოსავლიანობის ცვლილებას. მაგალითად, შიდა ქართლის რეგიონში, კასპის მუნიციპალიტეტში ბოსტნეულის მოსავლიანობა საშუალოდ 3–5 ტონას შეადგენს ჰექტარზე, ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტში ხილის და ბოსტნეულის მოსავლიანობა 4–6 ტონას აღწევს ჰექტარზე (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023; Luoni, 2011). სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა ძირითადად ტექნოლოგიურად მოწინავეა, თუმცა მშპ-ში წილი მცირეა, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი დაბალია. განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში უფრო მაღალია და დასაქმებულთა რაოდენობა დიდია, რაც აისახება ეკონომიკურ სტაბილურობაზე და სოციალური პრობლემების შემცირებაზე. საქართველოს მაგალითი აჩვენებს, რომ აგროსექტორს აქვს დიდი პოტენციალი, თუმცა საჭიროა ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, სარწყავი სისტემების გაუმჯობესება და ფერმერთა მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს მოსავლიანობა და პროდუქტის ხარისხი.

სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე აჩვენებს აგრარული პოლიტიკის მნიშვნელობას ეკონომიკის მდგრადობაში, აგროსექტორის განვითარებაში და გლობალურ კონკურენციაში ქვეყნის პოზიციების განსაზღვრაში (USDA, 2023; FAO, 2023; Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023; Luoni, 2011).

სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მნიშვნელობა აგრარული სექტორის პრობლემების გადაწყვეტაში

საქართველოს აგრარული სექტორი, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს, მრავალი გამოწვევის წინაშეა. რეგიონული დიფერენციაცია, ინფრასტრუქტურული პრობლემები, კლიმატური ცვლილებები, საკადასტრო დეფიციტები, ფერმერთა ტექნიკური შესაძლებლობების სიმცირე და ფინანსური რესურსების ნაკლებობა წარმოადგენენ ძირითად დაბრკოლებებს, რომლებიც უშუალოდ გავლენას ახდენენ სექტორის ეფექტურობაზე. აგრარული პროდუქციის წარმოების ინდიკატორები აჩვენებს, რომ სხვადასხვა რეგიონში მოსავლიანობაა საკმაოდ სხვადასხვაგვარი. მაგალითად, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 2,5–3,5 ტონა აღწევს, მაშინ როცა სამცხე-ჯავახეთში იგივე კულტურა 1,8–2,2 ტონას იძლევა (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023).

ფერმერთა ფინანსური მდგომარეობა ასევე

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მცირე და საშუალო ფერმერები ხშირად არ ფლობენ საკმარის კაპიტალს თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძენად, სათბურების ან სარწყავი სისტემების მოსაწყობად, რაც პირდაპირ აისახება მოსავლიანობაზე და პროდუქციის ხარისხზე. სუბსიდიების გარეშე, მცირე ფერმერთა პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად დაბალია, რაც ზრდის რეგიონულ ეკონომიკურ უთანასწორობას (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2021).

კლიმატური ფაქტორებიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოსალოდნელი მოსავალი დიდწილად დამოკიდებულია ნალექისა და ტემპერატურის სიზუსტეზე. საშინაო მონაცემებით, წელიწადში საშუალოდ 10–15% მოსავლიანობა კლიმატური ექსტრემუმების გამო იკარგება. შიდა ქართლში, კერძოდ კასპის და გორის მუნიციპალიტეტებში, ხშირი გვალვები და ნალექების არასტაბილურობა იწვევს ხორბლის, ბოსტნეულის და პარკოსნიანი კულტურების მნიშვნელოვან დანაკარგებს (Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021–2027).

გარდა ამისა, ფერმერთა ტექნიკური და საგანმანათლებლო მხარდაჭერის ნაკლებობაც აშკარაა. მცირე და საშუალო მეწარმეები ხშირად არ ფლობენ ინფორმაციას თანამედროვე მენეჯმენტისა და ორგანული წარმოების ტექნოლოგიების შესახებ. 2023 წლის მონაცემებით, საქართველოში მხოლოდ 5 000–6 000 ფერმერს ჰქონდა წვდომა სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც საერთო რაოდენობის მცირე ნაწილია (Luoni, 2011). შედეგად, წარმოების ხარისხი და მოსავლიანობა რჩება დაბალ დონეზე, რაც უქმნის პრობლემებს ბაზარზე კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა აგრარული პროდუქციის რეალიზაცია და ბაზრის სტაბილურობა. მცირე ფერმერები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ წარმოებული პროდუქციის ექსპორტსა და გრძელვადიან მარკეტინგულ გეგმებს. არასტაბილური ფასები ბაზარზე ზრდის ფერმერთა ფინანსურ რისკს და რეგიონული ეკონომიკური განვითარების შეფერხებას იწვევს.

ეკონომიკური შეფასების მიხედვით, ძირითადი პრობლემები პირდაპირ აისახება ქვეყნის მთლიან ეკონომიკაზე. დაბალი მოსავლიანობა და არასტაბილური ფასი მნიშვნელოვნად ამცირებს სოფლის მეურნეობის ღირებულებას ეროვნული ეკონომიკის შიგნით. ექსპერტების შეფასებით, სახელმწიფო სუბსიდიების, ინვესტიციების და ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე, საქართველოს აგრარული სექტორის ზრდა წლის ბოლოს მხოლოდ 1–2% იქნება, მაშინ როცა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ეს მაჩვენებელი უნდა იყოს 4–5% (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023; Luoni, 2011).

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საქართველოს აგრარული სექტორი წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. ადგილობრივი პროდუქციის ხარისხი, მრავალფეროვანი კულტურები, სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების სიმრავლე და სახელმწიფოს თანდათანობით ზრდადი ჩართულობა ქმნის საფუძველს მდგრადი განვითარებისათვის. ეს მოითხოვს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მოიცავს ფინანსურ სტიმულებს, ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას, ბაზრის სტაბილიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას (FAO, 2023; Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2021).

სოფლის მეურნეობის ძირითად სექტორებში ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის სტრატეგიები

საქართველოს აგრარული სექტორი მოიცავს მრავალრიცხოვან ქვესექტორებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მარცვლეული კულტურების, ბოსტნეული კულტურების, ხილის და მეძროხეობის წარმოება. თითოეული სექტორი სხვადასხვაგვარ გამოწვევებს აწყდება, თუმცა მათი საერთო პრობლემა არის დაბალი მოსავლიანობა, არასაკმარისი ინვესტიციები, ტექნოლოგიური ჩამორჩენა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ნაკლებობა. ამ გამოწვევების ეფექტური გადაჭრა შესაძლებელი ხდება ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის მიზანმიმართული სტრატეგიების დანერგვით.

მარცვლეულის სექტორში ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი გზა არის თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა. ეს მოიცავს მაღალი მოსავლიანობის ჯიშების გამოყენებას, სარწყავი სისტემების მოდერნიზაციას, ნიადაგის ხარისხის მონიტორინგსა და საკომბინაციო სამუშაოების ავტომატიზაციას. მაგალითისთვის, შიდა ქართლში, კერძოდ გორის და კასპის მუნიციპალიტეტებში, სარწყავი სისტემების დანერგვამ საშუალო მოსავლიანობა გაზარდა 2,8 ტონიდან 3,5 ტონამდე ერთ ჰექტარზე, რაც ფერმერთა შემოსავლის 15–20%-ით ზრდას უზრუნველყოფს (Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2023).

ბოსტნეული კულტურების წარმოების ეფექტურობის ზრდა ასევე დაკავშირებულია სათბურების, თანამედროვე სასუქებისა და ორგანული დაცვის სისტემების გამოყენებასთან. ბოსტნეულის

სექტორში ინვესტიციების გაზრდა მცირე ფერმერებისთვის ფინანსური სუბსიდიებითა და იპოთეკური სესხებით ხდება. კასპისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგად, სათბურებში წარმოების მოცულობა გაიზარდა 20–25%, ხოლო პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდა, რაც ბაზარზე კონკურენტუნარიანობას ზრდის (Luoni, 2011; FAO, 2023).

ხილის წარმოების სექტორში ეფექტურობის გაზრდის სტრატეგიები მოიცავს ჯიშების განახლებას, გვალვისგან დაცვის სისტემებს, აგრონომიული მეთოდების დახვეწასა და საწყობის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას. მაგალითად, ქარელის რეგიონში სარწყავი სისტემების მოდერნიზაციამ საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 15–20%-ით გაზარდა, ხოლო ინვესტიციები საწყობის ინფრასტრუქტურაში ხელი შეუწყო ხილის ხანგრძლივი შენახვისა და ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობას (Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021–2027).

მეძროხეობის სექტორში ეკონომიკური ეფექტურობის ზრდა დაკავშირებულია ფერმერთა ცოდნის ამაღლებასთან, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასთან და საკვები ბაზარზე პირდაპირი წვდომის უზრუნველყოფასთან. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებს, ვეტერინარული სერვისების ხელმისაწვდომობას და სუბსიდიებს ცხოველთა შესყიდვაზე. გორის და კასპის მუნიციპალიტეტებში განხორციელებულმა პროგრამებმა საშუალო დონის ფერმერული სადგურებში ძროხის მოზრდილი უპირატესობა გამოიწვია, რაც შემოსავლის ზრდასა და შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას უწყობს ხელს (Luoni, 2011; Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2021).

ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის სტრატეგიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა. ეს მოიცავს GPS მონიტორინგს, სენსორებს ნიადაგის მდგომარეობის გასაზომად, თანამედროვე სასუქების გამოყენებას, სარწყავი სისტემების ავტომატიზაციას და კლიმატური მონაცემების პროგნოზირების სისტემებს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ფერმერებისთვის მოსავლიანობის მაქსიმიზაციას, რესურსების ეკონომიას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას (Luoni, 2011; FAO, 2023).

საბოლოოდ, საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ეფექტურობის ზრდა მოითხოვს ერთიანი და სისტემური მიდგომის დანერგვას, რომელიც მოიცავს ინვესტიციებს, სახელმწიფო მხარდაჭერას, ინოვაციებს, ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას და ფერმერთა საგანმანათლებლო პროგრამებს. ამ სტრატეგიების წარმატებით განხორციელება საშუალებას აძლევს საქართველოს აგრარულ სექტორს მიაღწიოს მდგრად განვითარებას, გაზარდოს პროდუქციის ხარისხი, სტაბილური ბაზრები შექმნას და კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

დასკვნა

საქართველოს აგრარული სექტორი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან და სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც შიდა ბაზრის საკვები პროდუქტით უზრუნველყოფაში, ისე საერთაშორისო სავაჭრო აქტივობებში. სოფლის მეურნეობა, გარდა იმისა, რომ არის საყრდენი წყარო ბევრი ოჯახის შემოსავლისთვის, პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის, დასაქმების დონეს, რეგიონალური განვითარებასა და გრძელვადიან მდგრადობას. მიუხედავად სექტორის მნიშვნელოვანი როლისა, მისი განვითარების გზაზე მრავალი სირთულე არსებობს, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ მოსავლიანობაზე, პროდუქციის ხარისხსა და კონკურენტუნარიანობაზე.

დღეს საქართველოს აგრარული სექტორი ატარებს რეგიონულ დიფერენციაციას – სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული კლიმატური პირობები, ნიადაგის ხარისხი, წყლის რესურსების ხელმისაწვდომობა და ინფრასტრუქტურის დონე იწვევს არათანაბარ განვითარებას. გარდა ამისა, ტექნოლოგიური ზეგავლენის არასაკმარისი გამოყენება, თანამედროვე სათბურებისა და სასაწყობე ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, ფერმერთა პროფესიული მომზადების დეფიციტი, ფინანსური რესურსების სირთულეები და ბაზრის სტაბილურობის პრობლემები წარმოადგენენ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს, რომლებიც სერიოზულად ამცირებენ სექტორის ეფექტურობას და კონკურენტუნარიანობას.

საქართველოს აგრარული სექტორის წარმატება იქნება შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო, კერძო სექტორი და ფერმერები ერთობლივად იმოქმედებენ, რაც უზრუნველყოფს როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე სოფლად დასაქმების სტაბილიზაციას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ქვეყნის რეგიონული განვითარების გაძლიერებას. სტატიაში შემუშავებული ანალიზი წარმოადგენს საფუძველს შემდგომი სიღრმისეული კვლევებისთვის, ინოვაციური სტრატეგიების დანერგვისთვის და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელიც რეაგირებს როგორც შიდა გამოწვევებზე, ისე გლობალური ეკონომიკური ტენდენციებისადმი.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ORTHODOX VALUES AND THE ETHICAL CHALLENGES OF THE MODERN ECONOMY

Copyright © 2025 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 17, 2025
Published: December 12, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20042025-110

Megi Abashidze
MA student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID ID: https://orcid.org/0009-0000-5003-1604
Email: megiabashidze0401@gmail.com

ABSTRACT

Research Objective: *The development of the modern economic system is increasingly based on the primacy of material benefit, which often leads to the weakening of moral boundaries and the violation of principles of social justice. In this context, special importance is attached to understanding the role of Orthodox values in economic life as a moral and spiritual foundation oriented toward human dignity and the common good. The main objective of this study is to analyze the relationship between Orthodox values and the ethical challenges of the modern economy and to identify those aspects that remain relevant for the humanization of economic relations and the promotion of social stability. The research seeks to demonstrate how faith-based ethical principles can be integrated into contemporary economic processes and applied within the framework of a country's socio-economic development.*

Methodological Approach: *The study is based on the analysis of Orthodox teachings, biblical texts, and the works of the Church Fathers, as well as contemporary economic and philosophical literature. Particular attention is devoted to key thematic areas such as the moral significance of labor, the relationship between property and responsibility, social justice, the ethical foundations of economic relations, the role of education and faith in economic development, the transformation of values under globalization, and the formation of human-centered economic models. The research employs historical and evolutionary approaches, logical-deductive and inductive reasoning, comparative analysis, and synthesis.*

Main Findings and Practical Implications: *The findings indicate that Orthodox values represent an important resource for the ethical evaluation of economic processes, allowing the economy to be considered not only in terms of efficiency but also through the prism of human dignity and social responsibility. The study demonstrates that faith-based moral principles are practically applicable in assessing contemporary economic challenges and in formulating alternative, scientifically grounded solutions. The results may be used both in academic discourse and in the development of economic policy and strategies for social development.*

Keywords: *economic ethics; Orthodox values; labor and responsibility; social justice; human-centered economy.*

REFERENCES:

1. Abba Alaverdeli, Metropolitan David (Makharadze). (2015). Land cultivation – "Ani" and "Hoe". In Proceedings of the 8th International Scientific Conference "Christianity and Economics" (pp. 11–16). Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi–Batumi.
2. Akhvlediani, B., Shikhashvili, G., & Bakashvili, N. (2009). Foundations of Orthodox theological economics and management. Meridian Publishing House. Tbilisi.
3. Aquinas, T. Summa Theologica.
4. Bandzeladze, G. (1996). Ethics. Ganatleba Publishing House. Tbilisi.

5. Beridze, T., & Shikhashvili, G. (2016). Theological economics and legal-managerial aspects in the works of Ivane Javakhishvili. In Proceedings of the 9th International Scientific Conference "Christianity and Economics" (pp. 31–37). Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi–Kutaisi.

6. Buadze, T. (2020). Christianity and Georgia – Ilia Chavchavadze's liberal choice. Dialogi, 1(10), 21–41. (In Georgian)

7. Chantladze, V. (1992). Economic views of Shota Rustaveli. Metsniereba Publishing House. Tbilisi.

8. Chavchavadze, I. (2014, January 16). What shall I tell you? How shall I make you glad? [Blog post].

9. Chavchavadze, I. (1876). Droeba Newspaper, No. 59.

10. Chavchavadze, I. (1902). Iveria Newspaper.

11. Chikhladze, N. (2007). Some issues of understanding Orthodox values in economic relations. Economic Profile, 2(2), 32–36.

12. Chikhladze, N. (2009). Orthodox understanding of labor and entrepreneurial ability. Economic Profile, 4(1).

13. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). Values: Limits and Contradictions. Globalization & Business,(1), 35-39.

14. Gagnidze, I. (2013). Orthodoxy and economics. Universal Publishing House. Tbilisi.

15. Gagnidze, I. (2015). Sustainable economic development from the perspective of Orthodox teaching. In Proceedings of the 8th International Scientific Conference "Christianity and Economics" (pp. 31–35). Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi–Batumi.

16. Gagnidze, I. (2019). Principles of economic relations from an Orthodox perspective. In Proceedings of the 4th International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business" (pp. 36–39). Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Tbilisi.

17. Gagnidze, I. (2020). Principles describing the functioning of the economy as a holistic system and Orthodox teaching. In Proceedings of the 5th International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business" (pp. 100–106). Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Tbilisi.

18. Gogorishvili, I. (2015). Sustainable consumption as a Christian value and the necessity of its establishment in Georgia. In Proceedings of the 8th International Scientific Conference "Christianity and Economics" (pp. 36–39). Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi–Batumi.

19. Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia. (2006). Christmas encyclical.

20. Kharaishvili, E. (2009). Possibilities for the development of church production in Georgia. In Proceedings of the Scientific Conference "Christianity and Economics" (pp. 141–143). Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi.

21. Kharitonashvili, J. (2019). History of economic thought (2nd ed.). University Press. Tbilisi.

22. Mankiw, G. (2008). Principles of economics. Diogene Publishing House. Tbilisi.

23. Mekvabishvili, E. (2009). Globalization of the economy: Directions, challenges, prospects. Tbilisi State University Press.

24. North, G. (2012). An economic commentary on the Bible (3rd ed.). Point Five Press.

25. Orthodoxy.ge. The Bible – full text.

26. Papava, V. (2020). Non-traditional economics: Methodology and methods. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi.

27. Rustaveli, Sh. (2020). The Knight in the Panther's Skin. Palitra L Publishing House.

28. Silagadze, A. (2010). Economic doctrines. Georgian National Academy of Sciences, Innovation Publishing House. Tbilisi.

29. Silagadze, A. (2018). At the origins of economic science. Tbilisi State University Press. Tbilisi.

30. Sen, A. (1999). Development as freedom. Oxford University Press.

31. Sen, A. (1987). On ethics and economics.

32. Shikhashvili, G. (2013). The essence, purpose, and objectives of theological economics. In Proceedings of the 7th Scientific Conference "Christianity and Economics" (pp. 107–112). Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. Tbilisi–Gori.

33. Stiglitz, J. (2002). Globalization and its discontents.

34. Veshapidze, Shota. "Religion and national values in Georgia." In World economy and international economic relations, vol. 3, pp. 33-36. 2020.

35. Veshapidze, S. (2025). Values and Principles in Ilia Chavchavadze's Thought: Interpretation in the Modern Economic Context. The New Economist, 20(2), 25-39.

36. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: https://doi. org/10.5281/zenodo, 6373197.

37. Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A.,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Abuselidze, G., & Zoidze, G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10(2), 22-32.

38. Veshapidze, S., Jamagidze, L., Kereselidze, L., & Futkaradze, R. (2025). Georgia's Strategic Priorities in Regional Integration Amid Global Challenge. The New Economist, 20(3), 19-33.

39. Weber, M. (2007). The Protestant ethic and the spirit of capitalism (N. Pirtskhalava & E. Jgerenaia, Trans.). Uploaded December 24, 2021.

40. Zsolnai, L. (2011). Spirituality and ethics in management.

მართლმადიდებლური ფასეულობები და თანამედროვე ეკონომიკის ეთიკური გამოწვევები

მეგი აბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარება სულ უფრო მეტად ეფუძნება მატერიალური სარგებლის პრიმატს, რაც ხშირად იწვევს ზნეობრივი საზღვრების შესუსტებას და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევას. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მართლმადიდებლური ფასეულობების როლის გააზრება ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც ზნეობრივი და სულიერი საყრდენისა, რომელიც ადამიანის ღირსებასა და საერთო სიკეთეზეა ორიენტირებული. წარმოდგენილი კვლევის მთავარი მიზანია მართლმადიდებლური ფასეულობებისა და თანამედროვე ეკონომიკის ეთიკური გამოწვევების ურთიერთმიმართების გაანალიზება და იმ ასპექტების გამოვლენა, რომლებიც დღესაც რელევანტურია ეკონომიკური ურთიერთობების ჰუმანიზაციისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. კვლევა ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ შეიძლება სარწმუნოებაზე დაფუძნებული ეთიკური პრინციპების ინტეგრირება თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებში და მათი გამოყენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტში.*

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევა ეფუძნება მართლმადიდებლური სწავლების, ბიბლიური ტექსტებისა და ეკლესიის მამათა ნაშრომების ანალიზს, ასევე თანამედროვე ეკონომიკური და ფილოსოფიური ლიტერატურის შესწავლას. ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ საკვანძო თემატიკას, როგორიცაა შრომის ზნეობრივი მნიშვნელობა, საკუთრებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთკავშირი, სოციალური სამართლიანობა, ეკონომიკური ურთიერთობების ეთიკური საფუძვლები, განათლებისა და რწმენის როლი ეკონომიკურ განვითარებაში, გლობალიზაციის პირობებში ღირებულებათა ტრანსფორმაცია და ეკონომიკის ადამიანზე ორიენტირებული მოდელების ჩამოყალიბების შესაძლებლობები. კვლევაში გამოყენებულია ისტორიული და ევოლუციური განვითარების მიდგომები, ლოგიკურ-დედუქციური და ინდუქციური მსჯელობები, შედარებითი ანალიზი და სინთეზი.*

ძირითადი შედეგები და გამოყენება: *კვლევის შედეგად იკვეთება, რომ მართლმადიდებლური ფასეულობები წარმოადგენს ეკონომიკური პროცესების ეთიკური შეფასების მნიშვნელოვან რესურსს, რომელიც საშუალებას იძლევა ეკონომიკა განიხილებოდეს არა მხოლოდ ეფექტიანობის, არამედ ადამიანის ღირსებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჭრილში. ნაჩვენებია, რომ სარწმუნოებაზე დაფუძნებული ზნეობრივი პრინციპები პრაქტიკულად გამოყენებადია თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევების შეფასებისა და ალტერნატიული, მეცნიერულად გამყარებული გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც აკადემიურ დისკურსში, ისე ეკონომიკური პოლიტიკისა და საზოგადოებრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ეთიკა, მართლმადიდებლური ფასეულობები, შრომა და პასუხისმგებლობა, სოციალური სამართლიანობ, ადამიანზე ორიენტირებული ეკონომიკა.*

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკური სისტემა ხშირად ეფუძნება მატერიალური სარგებლის პრიმატს, რის შედეგადაც სუსტდება ზნეობრივი ფასეულობები და ირღვევა სოციალური სამართლიანობა. ეკონომიკური გადაწყვეტილებები ნაკლებად ითვალისწინებს ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა სამართლიანობა, სინდისიერება და ურთიერთპატივისცემა, რაც ეკონომიკას ადამიანურ შინაარსს აკარგვინებს. მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა ეკონომიკას განიხილავს როგორც სულიერი სრულყოფისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის სივრცეს, სადაც შრომა და საკუთრება მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა საერთო სიკეთეს ემსახურება. საქართველოს ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ სარწმუნოება, განათლება და შრომა ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ხოლო პროგრესი სულიერი თვითშეგნების გარეშე წარმოუდგენლად მიიჩნეოდა. გლობალიზაციის პირობებში ეთიკური პრობლემების გამწვავება კიდევ უფრო ზრდის სულიერი ღირებულებების დაბრუნების საჭიროებას ეკონომიკურ აზროვნებაში. მართლმადიდებლური ფასეულობები ამ პროცესში გვევლინება როგორც ზნეობრივი საფუძველი, რომელიც ეკონომიკას სოციალური სამართლიანობისა და ადამიანური პასუხისმგებლობის სამსახურში აყენებს.

სარწმუნოება, როგორც ეროვნული თვითმყოფადობისა და ეკონომიკური განვითარების საფუძველი

საქართველოს ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთობლივ ძალისხმევას საზოგადოების სულიერი და მატერიალური წინსვლისთვის. ქრისტიანობის მიღებიდან სარწმუნოება იქცა არა მხოლოდ სულიერ, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ საყრდენად. მონასტრებსა და სასულიერო სკოლებში ჩამოყალიბდა ცოდნისა და შრომის ერთიანობის სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზებაში.

დავით აღმაშენებლის ეპოქაში განსაკუთრებულად გამოიკვეთა რწმენისა და სახელმწიფოს ერთიანობა. გელათის აკადემია წარმოდგენდა სივრცეს, სადაც სწავლება, მეცნიერება და რწმენა ერთობლივად ემსახურებოდა ადამიანის სრულყოფას. იგი იყო ცოდნისა და შრომის ჰარმონიის სიმბოლო და ამავე დროს ეკონომიკური საქმიანობის ცენტრი, რაც ნათლად აჩვენებდა, რომ სულიერი და მატერიალური სფეროები ეფექტიანად თანაარსებობს საერთო ღირებულებით საფუძველზე.

სარწმუნოება საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნული თვითმყოფადობის ბირთვად, რომელმაც განსაზღვრა შრომის ეთიკა, სოციალური ურთიერთობები და საკუთრებისადმი დამოკიდებულება. ამ კონტექსტში დამკვიდრდა სოლიდარული ეკონომიკის პრინციპი, ურთიერთდახმარება, ქველმოქმედება და საერთო პასუხისმგებლობა. ეკლესიები და მონასტრები არა მხოლოდ სულიერ, არამედ სოციალურ ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც გაჭირვებულნი იღებდნენ დახმარებას, რაც სოციალური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა.

მართლმადიდებლური სწავლება შრომას ანიჭებს ზნეობრივ მნიშვნელობას და მას განიხილავს როგორც შემოქმედებით საქმიანობასა და ღმერთთან თანაზიარების ფორმას. ეს ხედვა საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა ქართული ეკონომიკური კულტურის ხასიათს და ამყარებდა პატიოსნების პრინციპს, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს.

სოციალური სამართლიანობა ქართულ ტრადიციაში სარწმუნოებრივ კონტექსტში განიხილებოდა. სიმდიდრე არ მიიჩნეოდა ცოდვად, თუმცა აღიქმებოდა პასუხისმგებლობად. ბიბლიური სწავლება ხაზს უსვამს იმას, რომ ადამიანის ქცევა, მათ შორის ეკონომიკური მოქმედება, ექვემდებარება ზნეობრივ შეფასებას (ლუკ. 12:46–48). აღნიშნული პრინციპი ამყარებდა წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც რესურსი არის მოვალეობა და არა თვითმიზანი, ხოლო ფლობა გულისხმობს არა მხოლოდ უფლებას, არამედ პასუხისმგებლობით ცხოვრებას. ამგვარი ღირებულებითი ჩარჩო ხელს უწყობდა ქველმოქმედების, სოციალური სოლიდარობისა და ეროვნული ერთიანობის განმტკიცებას ქართულ საზოგადოებაში.

დასავლური კვლევები რელიგიისა და ეკონომიკის კავშირზე

რელიგიასა და ეკონომიკას შორის კავშირის საკითხი დასავლურ მეცნიერებაშიც დიდი ხანია კვლევის საგანია. ამ თემის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად ითვლება მაქს ვებერი, რომელმაც თავის ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ ჩამოაყალიბა თეზისი, რომ ქრისტიანულმა ეთიკამ საფუძველი ჩაუყარა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კაპიტალიზმის განვითარებას. ვებერის თქმით, შრომა არ არის მხოლოდ ეკონომიკური აუცილებლობა, არამედ ღვთისადმი მსახურება, იგი წერდა, რომ სიცოცხლე არის მოვალეობა ღმერთის წინაშე და შრომა მისი აღსრულებაა ყოველდღიურობაში.

ვებერის მოსაზრებით, პროტესტანტულმა ეთიკამ შექმნა ახალი ტიპის ეკონომიკური ადამიანი, პასუხისმგებელი, დისციპლინირებული და მომავლის მიმართ ორიენტირებული, რამაც დასავლური ეკონომიკის სწრაფი განვითარება შესაძლებელი გახადა. ამასთან, თუ დასავლეთში ეკონომიკური ეთიკა უფრო ინდივიდუალისტური ხასიათისაა, მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა უფრო კოლექტიურ, საზოგადოებრივ თანაზიარებაზეა დაფუძნებული და ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ პირად შრომაზე, არამედ ურთიერთდახმარებაზე (Weber, M. 2007).

ამ განსხვავებას გამოხატავს ეკონომისტი გერი ნორთიც, რომლის აზრით, ეკონომიკური სისტემა ვერ იქნება მდგრადი, თუ იგი მთლიანად გათიშულია ღვთიურ კანონზომიერებებზე. ის ხაზს უსვამდა, რომ ეკონომიკა უნდა ემსახურებოდეს ადამიანთა კეთილდღეობას და არა პირად სიხარბეს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მისი წარმატება იყოს რეალური და მდგრადი.

დასავლურ აზროვნებაში ცენტრალურ ფიგურად გვევლინება თომა აქვინელი, რომლის შრომამ გადამწყვეტი როლი შეასრულა შუა საუკუნეების და ადრეული კაპიტალიზმის ეკონომიკური კულტურის ფორმირებაში. აქვინელმა სცადა ქრისტიანული დოგმების მისადაგება რეალურ ეკონომიკურ პრაქტიკასთან და შექმნა ეთიკურ-თეოლოგიური ჩარჩო, რომელიც დღემდე განიხილება ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ ფუნდამენტად. აქვინელის მიხედვით, საკუთრების ფლობა ბუნებრივი და დასაშვები მოვლენაა, რადგან კერძო საკუთრება აუმჯობესებს პასუხისმგებლობას, შრომის მოტივაციას და რესურსების მართვის ეფექტიანობას.

მისი აზრით, სიმდიდრე თავისთავად ბოროტებად ვერ ჩაითვლება და მხოლოდ მაშინ იძენს ზნეობრივ სიმძიმეს, თუ ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებასა და საზოგადოების კეთილდღეობას. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მისეულ ხედვას მოგებისა და სესხის საკითხებზე, სადაც იგი მიუთითებდა, რომ მოგება დასაშვებია მაშინ, თუ წარმოადგენს შრომისა და რისკის სამართლიან ანაზღაურებას და ეფუძნება „სამართლიანი ფასის“ პრინციპს. აქვინელი ასევე ამახვილებდა ყურადღებას ფულის არასწორი გამოყენების მორალურ მიუღებლობაზე და აღნიშნავდა სახელმწიფოს როლს ფულადი მიმოქცევის კანონიერ რეგულაციაში (Aquinas, 1274/2006).

ვებერის ინდივიდუალისტური პროტესტანტული ეთიკა და აქვინელის სქოლასტიკური თეოლოგია ერთმანეთისაგან განსხვავებული, თუმცა ურთიერთშემავსებელი სისტემებია. დასავლურ კვლევებში ბოლო წლებში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება მოსაზრება, რომ ეკონომიკა, რომელიც მთლიანად ეფუძნება მოგების მაქსიმიზაციას და არ ითვალისწინებს ზნეობრივ საზღვრებს, საბოლოოდ თავადვე კარგავს მდგრადობას.

განათლება და რწმენა, ეთიკური ეკონომიკის საფუძველი

ეკონომიკური და სულიერი განვითარება საქართველოში ისტორიულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული განათლებასთან, რომელიც აღიქმებოდა როგორც ცოდნისა და ზნეობის ერთიანობა. გელათის აკადემიის დევიზი , „ესე იყოს სახლი საუნჯე სიბრძნისა“, გამოხატავდა წარმოდგენას, რომ ინტელექტუალური შრომა სულიერი პასუხისმგებლობის გარეშე ფასს კარგავს. ეკლესიის სწავლებით, ცოდნა ზრდის პასუხისმგებლობას, ხოლო განათლებული ადამიანი საზოგადოების ზნეობრივ საყრდენად უნდა იქცეს. თანამედროვე პირობებში განათლება ხშირად მხოლოდ ტექნიკურ უნარებზეა ორიენტირებული, რის შედეგადაც იკარგება მისი სულიერი დანიშნულება. ეკონომიკური განათლება, რომელიც პასუხისმგებლობასა და სამართლიანობას არ ასწავლის, ქმნის სპეციალისტს, მაგრამ არა მოქალაქეს. მართლმადიდებლური სწავლება გვთავაზობს განათლების მოდელს, სადაც ცოდნა და მორალი ერთიანდება. ასეთი საფუძვლით ჩამოყალიბებული ეკონომიკური აზროვნება ხელს უწყობს სამართლიან და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც ადამიანის ღირსებაზეა ორიენტირებული.

ეკონომიკური პრინციპების ზნეობრივი საფუძველი

ეკონომიკური ურთიერთობები იწყება შრომით, ადამიანის მცდელობით, შექმნას, იმუშაოს და საკუთარი ძალისხმევით იპოვოს ადგილი სამყაროში. ბიბლიის თანახმად, შრომა არ არის მხოლოდ ეკონომიკური აუცილებლობა, არამედ ღვთის ნებით დადგენილი მოწოდებაა: „და მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი, რომელი შექმნა, და დაადგინა იგი სამოთხესა მას საშვებელისასა საქმედ მისა და

დაცვად“ (დაბ. 2:15). ამ გაგებით, შრომა ადამიანის ღვთის ხატად შექმნის გამოვლინებაა.

ბიბლიის მეოთხე მცნება, „მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი... ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა“, გვასწავლის, რომ შრომას უნდა ჰქონდეს საზღვარი, რათა ადამიანი არ გადაიქცეს შრომის მონად. შაბათი არის დრო სულიერი წონასწორობის აღსადგენად და იმის გასააზრებლად, რომ ადამიანის ძალაც და შრომის ნაყოფიც ღვთის ნებით არის მინიჭებული.

მერვე მცნება, „არა იპარო“. ბიბლიურ გაგებაში გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ქურდობა და მოიცავს ყოველგვარ უსამართლობას, როცა ადამიანი ითვისებს სხვის შრომას, რესურსს ან ნდობას. შეუძლებელია იყო ღმერთის წინაშე მართალი, როცა სხვების შრომით ცხოვრობ. ასეთი ქცევა არღვევს არა მხოლოდ სოციალურ წესრიგს, არამედ ზნეობრივ იერარქიასაც. იქ, სადაც სხვისი ნაშრომის მითვისება ნორმად იქცევა, ინგრევა ნდობა, ხოლო ნდობის გარეშე ვერ იარსებებს ვერც ბაზარი, ვერც სახელმწიფო და ვერც საზოგადოება.

მეათე მცნება, „არა გული გითქმიდეს... ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა“ სიხარბისა და შურის უარყოფას გულისხმობს. ამ ღირებულებითი ჩარჩოდან გამომდინარეობს ზომიერების, მადლიერებისა და ქველმოქმედების პრინციპი. ქველმოქმედება ბიბლიური გაგებით საერთო პასუხისმგებლობის ფორმაა: „ნეტარ არს მიცემაი უფროის მოღებისა“ (საქ. 20:35).

დავით აღმაშენებლის ეპოქაში ეს პრინციპები სახელმწიფოებრივ დონეზეც მოქმედებდა. გელათის აკადემიის დაფუძნება ქველმოქმედების უმაღლეს ფორმად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი ცოდნის გაზიარებასა და მომავალი თაობების სულიერ და ინტელექტუალურ გაძლიერებას ემსახურებოდა. მისი დევიზი „ესე იყოს სახლი საუნჯე სიბრძნისა“, გამოხატავს ეკონომიკურ ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც ნამდვილი სიმდიდრე არის ცოდნა და არა ოქრო.

მართლმადიდებლური სწავლება ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ

ეკონომიკური ურთიერთობები ადამიანის სულიერი და ზნეობრივი ბუნების განუყოფელი ნაწილია. ეკონომიკური გადაწყვეტილებები მხოლოდ მატერიალურ შედეგებს არ განსაზღვრავს, არამედ ავლენს სამართლიანობასა და უსამართლობას, პატიოსნებასა და ანგარებას. მართლმადიდებლური სწავლება სწორედ ამ ზნეობრივ საზღვრებს უსვამს ხაზს.

ბიბლიური მცნება „არა ცილი-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“ ეკონომიკურ ურთიერთობებში სიმართლისა და ნდობის ფუნდამენტს წარმოადგენს. თანამედროვე ეკონომიკაში ინფორმაციის მანიპულაცია და სიცრუე ხშირად კონკურენციის იარაღად იქცევა, თუმცა მართლმადიდებლური ეთიკა ასეთ პრაქტიკას ზნეობრივ დეგრადაციად აფასებს. ეკონომიკური ურთიერთობა ქრისტიანულ ხედვაში მხოლოდ გარიგება არ არის, იგი სულიერი კავშირია, რომელიც პატიოსნებასა და ერთგულებას ეფუძნება. მეშვიდე მცნება ეკონომიკურ კონტექსტში გამოიხატება პასუხისმგებლობის შესრულებასა და სიტყვის ერთგულებაში.

ილია ჭავჭავაძე შრომასა და პასუხისმგებლობას ეროვნული გადარჩენის საფუძვლად მიიჩნევდა. მისთვის შრომა იყო ზნეობრივი მოვალეობა როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობით. სწორედ ერთგულება და პატიოსნება ქმნის ნდობაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემას და მდგრად განვითარებას.

ამრიგად, ეკონომიკური ურთიერთობების ქრისტიანული გაგება ეფუძნება სიმართლეს, ერთგულებასა და პასუხისმგებლობას. ასეთ პირობებში ეკონომიკური ეთიკა იქცევა არა იძულებით ნორმად, არამედ ადამიანის შინაგანი რწმენის გამოხატულებად.

შრომა, საკუთრება და ადამიანის ზნეობრივი პასუხისმგებლობა ეკონომიკურ ცხოვრებაში

შრომა და საკუთრება ადამიანის არსებობის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ზნეობრივი საფუძვლებია. ბიბლიური სწავლების მიხედვით, შრომა ადამიანის მოწოდებაა და არა სასჯელი, იგი წარმოადგენს შემოქმედებით და პასუხისმგებლიან საქმიანობას, რომლის მეშვეობითაც ადამიანი მონაწილეობს საერთო სიკეთის შექმნაში. ტალანტების იგავი ხაზს უსვამს, რომ შრომა და ნიჭი ღმერთის მიერ ნდობით მინიჭებული შესაძლებლობებია და მათი უგულებელყოფა ზნეობრივ უკმარისობად ითვლება.

თანამედროვე ეკონომიკაში შრომა ხშირად იკარგავს ამ ზნეობრივ შინაარსს და მხოლოდ პროდუქტიულობის საზომად იქცევა, რაც ადამიანის გაუცხოებას იწვევს. ამიტომ შრომის ჰუმანიზაცია თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად რჩება. შრომა უნდა ეფუძნებოდეს ღირსებას, სამართლიან ანაზღაურებას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საკუთრებაც ქრისტიანულ ეთიკაში განიხილება როგორც პასუხისმგებლობა და არა აბსოლუტური უფლება. წმინდა ბასილი დიდი და ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამენ, რომ საკუთრება ღირებულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა იგი შრომას, ცოდნასა და საზოგადოებრივ სიკეთეს ემსახურება. ამგვარად, შრომისა და საკუთრების ზნეობრივი გააზრება აყალიბებს ადამიანზე ორიენტირებულ ეკონომიკას, სადაც განვითარება ეფუძნება ღირსებას, სამართლიანობასა და სოლიდარობას.

სარწმუნოება და ეკონომიკა გლობალიზაციის ეპოქაში: ღირებულებათა გადაკვეთები

გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკა იქცა ურთიერთდამოკიდებულ სისტემად, რომელმაც გააფართოვა ზრდის შესაძლებლობები, მაგრამ ამავე დროს გაამწვავა ზნეობრივი გამოწვევები. როდესაც ბაზარი კარგავს მორალურ საზომს, ადამიანი აღიქმება მხოლოდ რესურსად ან მომხმარებლად, რის ფონზეც სარწმუნოება იძენს მნიშვნელოვან როლს, როგორც ეკონომიკური პროცესების ეთიკური მაკონტროლებელი. გლობალური ეკონომიკა მოიცავს არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ კულტურულ და სულიერ განზომილებებსაც, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ღირსების დაცვასა და საერთო სიკეთეს. ამ კონტექსტში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხაზს უსვამს, რომ გლობალიზაცია ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ისე საფრთხეებს, ტრანსნაციონალური ინტერესების გაძლიერებას, კულტურათა ასიმილაციას და ცნობიერებაზე ზემოქმედებას (მექვაბიშვილი, ე. 2019). თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევები, სოციალური უთანასწორობა, ეკოლოგიური კრიზისი და შრომის გაუცხოება, აჩვენებს, რომ მდგრადი განვითარება შეუძლებელია სარწმუნოებისა და ეკონომიკის დიალოგის გარეშე, სადაც ეკონომიკა ემსახურება ადამიანს, ხოლო სარწმუნოება რჩება მის ზნეობრივ საყრდენად.

დასკვნა

მართლმადიდებლური სწავლებისა და ეკონომიკური აზრის ურთიერთმიმართება ცხადყოფს, რომ სარწმუნოება და ეკონომიკა ურთიერთგამომრიცხავი სფეროები არ არის. ისინი ქმნიან ურთიერთშემავსებელ სისტემას, რომლის ცენტრშიც დგას ადამიანი, მისი ღირსება და საერთო სიკეთე. ეკონომიკური განვითარება, რომელიც ზნეობრივ საფუძველს მოკლებულია, საბოლოოდ კარგავს მდგრადობას და ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ჰარმონიულ წინსვლას.

ქრისტიანული ეთიკა ეკონომიკას ანიჭებს ადამიანურ და სულიერ განზომილებას. შრომა, საკუთრება და სამართლიანობა განიხილება არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც მსახურების ფორმა, რომელიც აძლიერებს საზოგადოებრივ ნდობას, ამცირებს უთანასწორობას და ხელს უწყობს თანამშრომლობას.

„სულიერი ეკონომიკის“ მიდგომა აერთიანებს ეკონომიკურ რაციონალობასა და ზნეობრივ პასუხისმგებლობას და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს რეალობისთვის. ეკონომიკა, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ მატერიალურ ზრდას, არამედ ადამიანის ღირსებასა და საერთო კეთილდღეობას, შეიძლება იქცეს ქვეყნის გრძელვადიანი და ჰარმონიული განვითარების საფუძვლად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პროფესორი რამაზ აბესაძე

გარდაიცვალა ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი — **რამაზ აბესაძე.**

რამაზ ბორისის ძე აბესაძე დაიბადა 1952 წლის 14 მაისს, ქ. ტყიბულში.

1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში (ამჟამად თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი). სხვადასხვა წლებში იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1986–1989), წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1989–2008) და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2008 წლიდან). ასევე ეკავა ლაბორატორიის გამგის თანამდებობა (1991–1997), განყოფილების გამგის თანამდებობა (1997–2002), დირექტორის მოადგილის პოსტი (2002–2008), ხოლო 2008 წლიდან არის ამავე ინსტიტუტის დირექტორი. მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ინსტიტუტის შენარჩუნებასა და განვითარებაში. 1987 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

პროფესორი რამაზ აბესაძე იყო საერთაშორისო ანალიტიკური ჟურნალის „ეკონომისტი“ და პერიოდული გამოცემის — „პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკური ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის“ — დაარსების ინიციატორი და მთავარი რედაქტორი. მისი რედაქტორობით გამოიცა ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალების კრებულები. 2001–2003 წლებში იყო ინსტიტუტთან არსებული დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2003–2007 წლებში — თავმჯდომარე. მისი სამეცნიერო ნაშრომები მოიცავს ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, სექტორული ეკონომიკის, ეკონომიკური განვითარების, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის პრობლემატიკას.

ბატონი რამაზი იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 9 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი. თსუ-ის მაკროეკონომიკის კათედრის ინიციატივით მან მომზადდა ლექციების კურსი, მისინავტორობით გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელოები: „ეკონომიკური განვითარება“ (2006) და „ეკონომიკური განვითარების თეორია“ (2016).

პროფესორ რამაზ აბესაძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ეკონომიკური განვითარების თეორიაში. მან პირველად დაამუშავა ეკონომიკური რეგრესის პრობლემები.

დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით (2002) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით (2014).

დასანანია, რომ ნაადრევად დაგვტოვა ნიჭიერმა მეცნიერმა. მისი სახელი დიდხანს ემახსოვრებათ მის ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებსა და საერთოდ, საზოგადოებას. მომავალი თაობა საპატიო ადგილს დაუთმობს მის მეცნიერულ ნამოღვაწარს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ლეონიდ ქარჩავა
ჟურნალის მთავარი რედაქტორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკლესიის აღდგენა



აი, ეს გახლავთ „ლექარჩეს მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია“, რომელიც შენდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკიანში, **ლექარჩეში.**

მისი ძირითადი პარამეტრებია: სიგანე - 8 მეტრი, სიგრძე - 13,5 მეტრი, სიმაღლე - 9,05 მეტრი.

აღნიშნული ეკლესია შენდება იმავე ადგილას და იმავე პარამეტრებით, სადაც ჩვენს წინაპრებს 1833 წელს აუშენებიათ ხის, ხოლო 1902 წელს - ქვის ეკლესია. (ეს ინფორმაცია აღებული გვაქვს საარქივო მასალებიდან. კერძოდ, ამავე ეკლესის საეკლესიო ჟურნალის 1909 წლის ჩანაწერის მიხედვით). თუმცა, 1933-34 წლებში ადგილობრივ კომუნისტებს დაუნგრევიათ. დღეს მიმდინარეობს ამ ეკლესიის აღდგენა საპატრიარქოს შესაბამისი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით.

ანგარიშის ნომერი, სადაც შემომწირველებს შეუძლიათ თანხის ჩარიცხვა:

საქართველოს ბანკი. ლარში: GE81BG0000000574048941; მიმღები: ააიპ „ლექარჩე",

გფარავდეთ უფალი!

სიყვარულით,

ლოიდ ქარჩავა

სურათი 11.01.2026 მდგომარეობით.

The New ECONOMIST ახალი ეკონომისტი

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს - ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი E33LB0113168905809000, სს "ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-ით აუცილებელი არ არის.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge